



განათლება

კელაქტოკი: თეგუკ ჯგტდნოუგოლო
თსნაკელაქტოკი: კასეელ გუსმან ტიკალო

GANATLEBA

Georgian Technical University
Georgian Academy of Education Sciences

Editor: Temur Jagodnishvili
Coeditor: Rafael Guzman Tirado

№ 3 (34) 2021

ISSN 2346-8300

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

GANATLEBA

**ყოველკვარტალური რეპერიკეზალი და
რეკონსტრუქციული სამუშაოების შუიუნალი**

3(34)
2021

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ქურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით
(ოქმი №7)

№ 3(34), 2021 წელი

რედაქტორი — თემურ ჯაგოდნიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თანარედაქტორი რაფაელ გუსმან ტირადო — პროფესორი, გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)

რედაქტორის მოადგილე - ზურაბ ჩაჩხიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

საკმაჟსციო კოლეგია:

ლია ქათამაძე — პასუხისმგებელი მდივანი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლია მენტეშაშვილი — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ანზორ აბრალავა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ირაკლი გაბისონია — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი გაგოშიძე — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

გელა ყიფიანი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ელისაბედ ხახუტაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ივანე ჯაგოდნიშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვახტანგ მალრაძე — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზურაბ გამეზარდაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლია მეტრეველი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ ზონდარენკო — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თეა ცომია — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ ხობოლაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო ჯავახიშვილი — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით გოცირიძე — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი ხუბუნი — მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ირჟი კლაჰკა — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

ტომას შმიდტი — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)

სესილია ოდე — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)

გალინა ტროფიმოვა — პროფესორი, მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი (რუსეთი)

რედაქცია: თემურ ჯაგოდნიშვილი

რაფაელ გუსმან ტირადო

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელი არიან ავტორები

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტელ.: (032) 236 57 07

web-გვერდი: <https://gtu.ge/Journals/newsletters/>

ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

№ 3(34), 2021

Editor – **Temur Jagodnishvili**, Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

Coeditor – **Raphael Guzman Tirado** – Professor, University of Granada (SPA)

Sub-editor – **Zurab Chachkhiani**, Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

EDITORIAL BOARD:

Lia Katamadze – Responsible Secretary, Associate professor Georgian Technical University

Lia Menteshashvili – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences

Anzor Abzalava – Professor, Georgian Technical University

Irakli Gabisonia – Professor, Georgian Technical University

Giorgi Gagoshidze – Professor, Georgian Technical University. Full member of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician

Gela Kipiani – Professor, Georgian Technical University

Elisabeth Khakhutashvili – Associate professor, Georgian Technical University

Ivane Jagodnishvili – Professor, Georgian Technical University

Vakhtang Magradze – Professor, Georgian Technical University

Zurab Gamezardashvili – Professor, Georgian Technical University

Lia Metreveli – professor, Georgian Technical University

Tamar Bondarenko – Associate professor Georgian Technical University

Tea Tsomaia – professor, Georgian Technical University

Tamar Khokhobashvili – Professor, Georgian Technical University

Niko Javakhishvili – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

David Gothsiridze – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Giorgi Khukhuni – Professor, Linguistic University of Moscow

Jiri Klapka – professor, Karlos University (CZE)

Tomas Schmidt – Professor, University of Bern (SUI)

Cecilia Ode – University of Amsterdam (NED)

Galina Trophimova – Professor, Moscow University of Friendship of People (RUS)

Editor office: **Temur Jagodnishvili,**
Raphael Guzman Tirado

Technical editor: **Asmat Pipia**

The authors are responsible for the accuracy of the facts in the article

Address: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU

TEL.: (032) 236 57 07

web-said's adress: <http://gtu.ge/Journals/newsletters>

e-mail: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

შინაარსი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 წლისა

აკეთილდღიოსა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტი.....11

განათლების მეცნიერებანი

ქეთევან კვესელავა, ზამბზ ხინუა, მათა გამსახურდია
თანამედროვე დისტანციური განათლება 21-ე საუკუნეში 15

ლელა ზამბიძე
სკოლის აღფრთოვანებით სისტემატიკური მეთოდები მართლმადიდებლობის
სამართლებრივი რეგულირება 21

ლელა ზამბიძე
თავისუფალი დიდიკურსი განვითარებაში 26

ჟურნალისტიკა

თემურ ჯაფარიძე, ნინო დანელია
ორსაზღვროვანი ჟურნალისტიკის რეკონსტრუქციის საკითხები: O. იმედაშვილის
ჟურნალისტიკის ენის თავისებურებანი..... 31

ნაზი გოგოლაძე
ნიკო ნიკოლაძის ეპოქის რეკონსტრუქციის უმნიშვნელო გლუბის გათვალისწინების უმნიშვნელო37

ნინო ზარბიძე
„სტრატეგია ჟურნალისტიკის განვითარებაში“42

თენის ყიფიანი
კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფორმირების თავისებურებები მედიის კონტექსტში..... 45

თამარ ჭეჭია
მედიის კონტექსტის სტრატეგიული სტრატეგიები მედიის მნიშვნელობის უმნიშვნელო 51

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

გულნარა კატარიაძე, ბესიკ დავითაშვილი
ინფორმაციის დაცვა რეკონსტრუქციის კონტექსტში, მათემატიკური მეთოდებისა და
განათლების განვითარების განვითარება 55

გულნარა კატარიაძე, იულია პარკიანი
ინფორმაციული მართლმადიდებლობის განვითარება, განვითარება,
SCSII სიმბოლოები და UNICODE სტანდარტი..... 58

გივი მურგულიანი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი განვითარების განვითარების მნიშვნელოვანი კავშირის
მნიშვნელობის განვითარება.....62

ირაკლი კუკავა
უახლესი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალთა ბაზარი,
კვირების ინტერვიუს განხილვითა და კლასიფიკაციით 66

გივი მურგულიანი
სიმგავსები კრების ცხვილები დეპოზიტები77

სამართალმცოდნეო ურთიერთობები

თამარ დარჩია
დონორ ტრანსპორტირების კონსტიტუცია „ამერიკის უნივერსიტეტის მრავლის“ 80

ნათია ლავროვი
მედიკალიზაცია და მონეტარული ურთიერთობების ახალი სტრატეგია87

თეიმურაზ ფეხვაძე
მედიკალიზაციის დიფერენციალური სანქციონირების განხილვების კომპლექსი 91

პროცესი და გონება

ნიკოლოზ გოგოლაძე
ქვეყნის მთავრის მართვის სამართალმცოდნეო გონება 96

ნატალია კანდილაკო
მედიკალიზაციის მართვის მართვის სისტემის მდგრადი განხილვების მართვის
მედიკალიზაციის კონსტიტუცია100

მარია მარია
პატენტის მართვის ახალი მართვები და ინტერნაციონალიზაცია უახლესი
განათლების სექტორში104

ნინო ხმელაძე
მედიკალიზაციის მართვის მართვის მართვის სისტემის მართვის მართვის
განხილვის112

მანუჩარ ვაგინიანი
მართვის მართვის მართვის116

სოციალური მართვები

როზა ვაგინიანი
მართვის მართვის მართვის მართვის მართვის მართვის
მართვის მართვის120

ნათია მარია
მართვის მართვის მართვის მართვის124

| | |
|--|------------|
| <i>იას ალანია</i> | |
| სტატიალუკი სავაკთლიანობა: იღვის თანამედროვე ისტორია..... | 128 |
| <i>ლიას ანთაძე</i> | |
| თვალსი, მოზაკლო დან სკოლა..... | 132 |
| <i>აკაკი გაბუნია</i> | |
| ღვინფოტკმაცთან სტატიალუკი მადიაში | 136 |
| <i>ბონი ვაჩუხანიძე</i> | |
| მუჰაჰიკობა – ფაქტი დან კიალობა..... | 140 |
| <i>ლალო კაპანაძე, ბობა გაფრინდაშვილი</i> | |
| ანაკტომანია დან დეზიატია..... | 143 |
| <i>ეკა კობახიძე</i> | |
| ფოტოგოლოზის, კოგოტკ ალიქტოუკი ქტვის ფსიქოლოგია..... | 149 |
| <i>იამა (კოკა) კუტუბიძე, სოფიო მამესწარბაშვილი</i> | |
| ანასკულფლოგანია დანაწაულუბკიში ქმადუბის მაკოგოტკიკიბელი ფაქტობები..... | 153 |
| <i>ირინა ტერტვაძე</i> | |
| წაკმატბის ფოკოულან | 157 |
| <i>ლაშა ჩეკუბიშვილი</i> | |
| თანამედროვე ტინდენციები ნაკოგომანკბის ფეტიკიბაში..... | 162 |
| <i>ლევან თსიძე, ვიორგო მუსხელიშვილი</i> | |
| ელექტოკალუკი ქტვის ასაკობკიში დან ბუნუბკიგ-ფსიქოლოგიუკი მანანიათელები | 167 |
| <i>ზურაბ ბუნაია</i> | |
| სტატიალუკი სავსახუკი ანითინტოუკი სისთევაში, კოგოტკ დანაწაულის აკემენციის სწაულუბა | 174 |

CONTENTS

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY – 100 YEARS OLD

| | |
|---|----|
| Department of Archeology and History of Georgia | 11 |
|---|----|

EDUCATION SCIENCES

| | |
|---|----|
| <i>Ketevan Kveselava, Ramaz Chichua, Maia Gamsakhurdia</i> Modern distance education in 21 st century | 15 |
|---|----|

| | |
|--|----|
| <i>Lela Ramishvili</i> The educational system the school as an object of management Acteology | 21 |
|--|----|

| | |
|--|----|
| <i>Lela Ramishvili</i> Play in didactic measurements..... | 26 |
|--|----|

JOURNALIZM

| | |
|---|----|
| <i>Temur Jagodnishvili, Nino Danelia</i> Issues of Ioseb Imedashvili's Publicist Mastery: Peculiarities of Ioseb Imedashvili's Language of Journalism | 31 |
|---|----|

| | |
|---|----|
| <i>Nazi Gogoladze</i> Niko Nikoladze's economic views on the release of peasants | 37 |
|---|----|

| | |
|--|----|
| <i>Nino Zaridze</i> Coverage of the "Khorava Street case" | 42 |
|--|----|

| | |
|---|----|
| <i>Teona Kochiashvili</i> Peculiarities of forming a political leader in the context of media policy | 45 |
|---|----|

| | |
|---|----|
| <i>Tamar CheJia</i> Digital media business strategies in changing media consumption..... | 51 |
|---|----|

S C I E N C E S

| | |
|--|----|
| <i>Gulnara Kotrikadze, Beqa Davitashvili</i> Protecting information with a combination of numbers, without the use of mathematical calculations and keys | 55 |
|--|----|

| | |
|--|----|
| <i>Gulnara Kotrikadze, Iulia Parikova</i> In an information environment, information exchange, transmission, ACSII characters and the UNICODE standard | 58 |
|--|----|

| | |
|---|----|
| <i>Givi Murjikneli</i> Impact of the subscriber device on the quality of the operator's mobile network..... | 62 |
| <i>Irakli Kukava</i> The world market for the latest information and communication technologies, analyzing and classifying the interests of the regions | 66 |
| <i>Givi Murjikneli</i> Tabular decoding of simplex codes..... | 77 |

INTERNATIONAL RELATIONS

| | |
|---|----|
| <i>Tamar Darchia</i> Donald Trump’s “America First” Policy | 80 |
| <i>Natia Latsabidze</i> EU-China - a new strategy of relations | 87 |
| <i>Teumuraz Feradze</i> Prospects for the development of the EU Diplomatic Service | 91 |

ECONOMICS AND BUSINESS

| | |
|--|-----|
| <i>Nikoloz Gogoladze</i> Managing Behavioral Ethics in International Business | 96 |
| <i>Natalia Kandelaki</i> Cognitive Approach to Developing a Model for Sustainable Development of an Electronic Governance System | 100 |
| <i>Magda Magradze</i> New Partnership Models for Internationalization of Higher Education | 104 |
| <i>Nino Khmiadashvili</i> The role of customer satisfaction in determining the quality of hotel service..... | 112 |
| <i>Manuchar jagodnishvili</i> Financial accounting in budget organizations..... | 116 |

SOCIAL SCIENCES

| | |
|--|-----|
| <i>Roza Gaprindashvili</i> Population control and scientific management of agriculture - epidemics, aggression, wars and ecological disasters..... | 120 |
|--|-----|

| | |
|--|------------|
| <i>Nato Makhatadze</i> | |
| Guarantee of norm-stability, positive deviation - the basis of progress | 124 |
| <i>Ia Alania</i> | |
| Social Justice: Modern History of the Idea | 128 |
| <i>Lia Antadze</i> | |
| Family, teen, and school..... | 132 |
| <i>Akaki Gabunia</i> | |
| Disinformation on social media | 136 |
| <i>Roin Varshanidze</i> | |
| Muhajirism - fact and reality | 140 |
| <i>Lali Kapanadze, Roza Gaprindashvili</i> | |
| Gambling Addiction and deviation..... | 143 |
| <i>Eka Kordzadze</i> | |
| Psychology of Shopogolism as an Addictive Behavior | 149 |
| <i>Iasha (Koka) Kutubidze, Sopio Mamestsarashvili</i> | |
| Determinative factors of juvenile delinquency | 153 |
| <i>Irina Tsertsvadze</i> | |
| The formula for success..... | 157 |
| <i>Lasha Chekurishvili</i> | |
| Modern trends in reducing drug use..... | 162 |
| <i>Levan Osidze, Giorgi Muskhelishvili</i> | |
| Age-related and natural-psychological characteristics of electoral behavior | 167 |
| <i>Zurab Rukhaia</i> | |
| Social service in the penitentiary system as a crime | |
| Means of prevention..... | 174 |

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 წლისაა

აკადემიკოსისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცნიერები, მკვლევარები აღნიშნავენ საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრის დაარსებიდან 30 წლის იუბილეს.

დასანანია, რომ აღნიშნულ თარიღს ვხვდებით მისი დამაარსებლის, აკად. ნანა ხაზარაძის გარდაცვალების შემდეგ. დღეს და სამომავლოდ უკვდავია დიდი მეცნიერის, არაჩვეულებრივი ქალბატონის ხსოვნა, რომლის სახელს უკავშირდება კათედრის და დეპარტამენტის შექმნისა და შემდგომ ხელმძღვანელობის დაუღალავი მოღვაწეობის წლები. როგორც ქალბატონი ნანა აღნიშნავს „1981 წლიდან დღემდე დამოუკიდებელ საქართველოში მიმდინარე ურთულესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული პროცესების მიუხედავად, საისტორიო მეცნიერება წარმატებით ვითარდება“, რომლის აქტიური მონაწილეა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრა, შემდგომ კი არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტი.



კოლეგიის სხდომაზე

1990 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის თაოსნობით, ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე დაფუძნდა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრა. საქართველოს საყოველთაოდ ცნობილ საინჟინრო უმაღლეს სასწავლებელში ჩაისახა ქართული კულტურის ისტორიის მნიშვნელოვანი კერა.

პროფესორ ნანა ხაზარაძის ხელმძღვანელობით კათედრამ შემოიკრიბა 90-იანი წლების საქართველოს ისტორიის მიმართულების ცნობილი სპეციალისტები, პროფესორები: ოთარ აბუთიძე, ვილი ასათიანი, ნინო ახვლედიანი, თამაზ ბერაძე, კარლო თოფურია, თემურ ჩიგოშვილი, ნიკოლოზ ჩუბინიშვილი, გურამ ჩხაიძე, გიული ძიმიგური, დარეჯან მეგრელაძე, გივი ინანიშვილი, რომელთა ცოდნა-გამოცდილებით საფუძველი ჩაეყარა კათედრის პირველ შემადგენლობას, რომელმაც წლების მანძილზე პედაგოგიური შემოქმედებითი მოღვაწეობით, სიყვარულითა და რუდუნებით შეძლეს ღირსეულად მოეხადათ ვალი ერის შეცნობით დატვირთული, ახალგაზრდა კადრების აღზრდა-მომზადების საქმეში.

კათედრა ამზადებდა ორი სპეციალობის ბაკალავრებს, მაგისტრებს და დოქტორებს-სიძველეთა ტექნიკურ ექსპერტებს (ხელოვნებათმცოდნეებს, მასალათმცოდნეებს) და კონფლიქტოლოგებს (კონფლიქტის მენეჯერებს, საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტების მოგვარების სპეციალისტებს) კათედრასთან ფუნქციონირებდა “ისტორიული ინფორმაციის კომპიუტერული



აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე



თბილისის შუა საუკუნეების კერამიკა

დამუშავების საპრობლემო ლაბორატორია“. უნივერსიტეტის კედლებში მაღალი სამეცნიერო კვალიფიკაცია მიიღეს და დღეს საქართველოს ეროვნულ მიზეუმში, ხელოვნების მუზეუმსა და რაიონულ ცენტრებში არსებულ არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში მოღვაწეობენ კათედრაზე აღზრდილი მეცნიერ-თანამშრომლები - ნინო კალანდაძე, მამუკა ქაფიანიძე, ვახტანგ ცინცაძე, თეიმურაზ ფარჯანაძე, ინგა ქარაია, ლელა კაკაშვილი, ზიძინა ჩოლოყაშვილი.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი „არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის“ დეპარტამენტის სასწავლო სექცია, უნივერსიტეტის სრულიად განსაკუთრებული საკვლევადიებო ლაბო-

რატორიულ-ექსპერიმენტული ტექნიკური ბაზის შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ქმნის ყველა პირობას ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო-ტექნიკურ მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევებით შეიარაღებული კადრების აღზრდისათვის.

დეპარტამენტი ითვალისწინებს არქეოლოგიური მეცნიერების განსაკუთრებულ თანამშრომლობას სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებებთან, პროფესიული კადრების მომზადებისა და დასაქმების საერთო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ახორციელებს ერთობლივ სასწავლო-მეცნიერულ საქმიანობას ს. ჯანაშიას ეროვნულ მუზეუმთან, შ. ამირანაშვილის საქართველოს ხელოვნების მუზეუმთან, ფ. თავაძის მეტალურგიისა



არქეოლოგიის კაბინეტის საგამოფენო სივრცის ნაწილი



სტუდენტების ნაშრომების განხილვა

და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტთან, ა. აფაქიძის არქეოლოგიის ინსტიტუტთან.

2014 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე მომზადდა „არქეოლოგიის“ სამი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. აკადემიკოს ნანა ხაზარაძისა და პროგრამაში ჩართული ავტორების, პროფესიონალი აკადემიური პერსონალის მიერ შეიქმნა ქართული მეცნიერების ერთ-ერთი ეროვნული და პრიორიტეტული დარგის, არქეოლოგიისათვის მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეული და ინტერდისციპლინარული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტების აღზრდის პრინციპით შესრულებული პროგრამა, რომელიც ხორციელდება არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის სპეციალისტების მონაწილეობით (პროფესორები: თამარ ხოხობაშვილი, მანანა აბუთიძე, ხათუნა თოდაძე, მაია ქუთათელაძე, გივი ინანიშვილი, ვაჟა სადრაძე, მერაბ მნელაძე).

პროგრამა ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის გამოკვლევის კვალად მის დაცვას, კვლევის პროცესის მართვის ეთიკური პოლიტიკის ერთგულებას, აღმოჩენილი ძეგლის დაცვისა და კონდიციის შენარჩუნებას, რესტავრაცია-კონსერვაციის, მრავალპროფილიანი ანალიტიკურ ტექნოლოგიური მეთოდების ცოდნას, ლაბორატორიული ექსპერიმენტის შესრულების გამოცდილებას, სას-

წავლო-საკვლევო პროცესის მართვას, სტაციონალურ არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობას და ხელმძღვანელობას, საერთაშორისო არქეოლოგიური კომპლექსური პროგრამების განხორციელებას.

განსაზღვრულია დეპარტამენტის ინიციატივით უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დაფუძნება, რომელიც დიდი მეცნიერის, ნანა ხაზარაძის სახელს დაუკავშირდება. ახალგაზრდა მკვლევარების, მომავალი არქეოლოგების აღზრდას არსებითად შეუწყობს ხელს სამომავლოდ არქეოლოგიური მუზეუმის გახსნა, სადაც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა მიერ საველე-პრაქტიკული სამუშაოებით, არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი სხვადასხვა ისტორიული პერიოდის არტეფაქტები იქნება გამოფენილი.

ამ თვალსაზრისით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამა „არქეოლოგია“ განიხილება აქამდე წარმატებით ფუნქციონირებადი პროგრამის „სიმკველეთა ტექნიკური ექსპერტიზის“ მემკვიდრედ. არქეოლოგიური არტეფაქტის სამუზეუმო ექსპონატად წარმოდგენის პროცესი. ქართული ეროვნული კულტურის მომავალი გაბრწყინების საწინდარია.



2019 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია თბილისის ზღვის მიდამოებში.
გორასამარხი, ძვ. წ. XIII-XII სს



2021 არქეოლოგიური ექსპედიცია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ამლევში.
ქვაყულები, ძვ. წ. IV-III სს

განათლების მეცნიერება

EDUCATION SCIENCES

თანამედროვე დისტანციური განათლება 21-ე საუკუნეში

*ქეთევან კვეციელაძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*რამაზ ჩიჩუა, ასისტენტ-პროფესორი
დავით აღმაშენებლის სახ. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია*

*მაია გამსახურდია, მონაცემთა მართვის მენეჯერი
დავით აღმაშენებლის სახ. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია*

რეზიუმე

დღესდღეობით დისტანციური განათლება ყველაზე პოპულარული სწავლების მეთოდია. ხელმისაწვდომობის, მოქნილობისა და მრავალფეროვანი ფორმების გამო, აღნიშნული სწავლების მეთოდი აპრობირებულია თითქმის ყველა ქვეყანაში. ელექტრონული და დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების გამოყენება პრაქტიკული ხდება საქართველოშიც. წარმოდგენილი სტატია ეძღვნება 21 - ე საუკუნის საკმაოდ აქტუალურ თემას - დისტანციურ განათლებას. სტატიის ანალიზის საგანიც დისტანციური განათლებაა.

აღსანიშნავია, რომ სპეციალისტები, რომლებიც აქტიურად იყენებენ კომპიუტერული ტექნოლოგიებს დისტანციური განათლების ორგანიზებაში, ხშირად აქვთ გაურკვეველი წარმოდგენა საგანმანათლებლო საქმიანობის დისტანციური ფორმის პრეისტორიაზე. აღნიშნულ სტატიაში ასევე განხილულია დისტანციური სწავლების შედარებითი ანალიზი სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე. ბოლო წლებში, მთელ მსოფლიოში თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენება პოპულარული გახდა განათლების პროცესში. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო საგანმანათლებლო ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო ინტენსიურად განვითარდა და უფრო აქტიურად გამოიყენება მსოფლიოს მრავალი ქვეყანის საგანმანათლებლო პროცესში, ტრადიციულ განათლებასთან ერთად. სტატიაში ჩვენ განვიხილავთ დისტანციური სწავლების როგორც დანერგვას,

ისე გამოყენებას სხვადასხვა ქვეყანების საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურ წარმართვასა და სასწავლო პროცესში ჩართულ მსურველთა ცოდნის არეალის გააფართოვებას. აღნიშნული თემის არჩევა განპირობებულია დისტანციური სწავლების, როგორც განათლების მიღების ინოვაციური ფორმის აქტუალობის სხვადასხვა თვალსაზრისით და ასევე დისტანციური სწავლების წარმართვის განსხვავებული ფორმის შესწავლის აუცილებლობით. ზემოთაღნიშნულმა ავტორებმა წარმოვადგინეთ დისტანციური სწავლების გამოყენების ანალიზი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე. კვლევის თეორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მიღებულმა მონაცემებმა ხელი უნდა შეუწყოს დისტანციური სწავლების სიღრმისეულ შესწავლას. თუ ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით დისტანციური სწავლების ფორმირებისა და განვითარების პროცესს, მაშინ შეგვიძლია გამოვყოთ მთელი რიგი თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს სწავლების აღნიშნულ ფორმას. აღნიშნულ „თავისებურებებად“ შეიძლება მივიჩნიოთ საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული დოკუმენტაციის ბრუნვა, რადიო და ტელევიზიის გამოყენებით სასწავლო პროცესის წარმართვა და სხვადასხვა დისციპლინების შესწავლა.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური განათლება, თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ინტენსიური გან-

ვითარება, სწავლების ინოვაციური ფორმის აქტუალობა, თანამედროვე განათლება.

შესავალი

დღესდღეობით დისტანციური სწავლება განათლების ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მიმართულებაა. იგი იძლევა განათლების მიღების საშუალებას შეფერხების გარეშე, როგორც დასაქმებულ დაწესებულებებში, ისე ქალაქებსა და რეგიონებს გარეთ. მრავალ საგანმანათლებლო დაწესებულებას დისტანციური სწავლების ორგანიზებისათვის შექმნილი აქვთ სასწავლო ვებ პორტალები. ეს არის მონაცემთა რესური, რომელიც შეიცავს სასწავლო მასალებს, დამოუკიდებლად შესასრულებელ დავალებებს, თვითშეფასების ტესტებს და სხვა ინფორმაციებს. რა თქმა უნდა ეს ყოველივე ზემოთაღნიშნულზე წვდომა შესაძლებელი გახდა ინფორმაციული ტექნოლოგიისა და ინტერნეტის განვითარების წყალობით. ცხადია, დისტანციური სწავლება ყოველთვის არ იყო ასეთ მაღალ ტექნოლოგიურ დონეზე. იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ თანამედროვე ტექნოლოგიების არსი და შესაძლებლობები, აუცილებელია ამ სისტემის ფორმირების პროცესის განვითარების შესწავლა. თავდაპირველად, განვიხილოთ, ზოგადად თუ რამ ჩაუყარა საფუძველი დისტანციური განათლებას. სტატიაში ჩვენ წარმოვადგინეთ დისტანციური სწავლების ძირითად ეტაპების მოკლე მიმოხილვა. როგორც საყოველთაოდ ცნობილია დისტანციური სწავლებას საფუძველი ჩაეყარა საზღვარგარეთის ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ დისტანციური განათლების განვითარების საწყისი ეტაპი ევროპის ქვეყნებში მე-19 საუკუნის შუა წლებში გამოიკვეთა, რაშიც განსაკუთრებულად აქტიურად იყვნენ ჩართულები დიდი ბრიტანეთი, კერძოდ, ლონდონის უნივერსიტეტი. ამ სწავლების დამფუძნებლად ითვლება ისააკ პიტმანი. ცნობილია, რომ 1840 წელს, გაერთიანებულ სამეფოში იგი ასწავლიდა სტენოგრაფიას, რომელიც ხორციელდებოდა წერილების ფოსტით გაგზავნის საშუალებით. სწორედ 1840 წელია მიჩნეული პირველი დისტანციური სწავლების საგანმანათლებლო კურსის შექმნის წლად. 1836 წელს, გაერთიანებულ სამეფოში, დაარსდა ლონდონის უნივერსიტეტი, სადაც სხვა ქალაქების სტუდენტებს ეძლეოდათ დასკვნითი გამოცდების ჩაბარების საშუალება ლონდონის უნივერსიტეტში იმ პირობით, რომ ისინი თავისი ქვეყნის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში გაივლიდნენ სასწავლო კურსებს. აღნიშნული სწავლების მეთოდით, უნივერსიტეტი იძლეოდა უმაღლესი განათლების დისტანციურად. მიღების საშუალებას. სწავლების ეს მეთოდი აღმოჩნდა მოთხოვნადი და პოპულარობა სწრაფად მოიპოვა.

ამიტომაც, 1858 წელს, სხვადასხვა ქვეყნების სტუდენტებს მიეცათ ლონდონის უნივერსიტეტში გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, რომელიც არ მოითხოვდა „კონკრეტულ“ აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებას.

ასეთი სახის დისტანციური სწავლების გამოცდილების გამოყენება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებმაც დაიწყეს. შეიქმნა კოლეჯები, რომლებიც ფოსტის საშუალებით ანხორციელებდნენ სწავლებას უნივერსიტეტის პროგრამის შესაბამისად [1]. აღსანიშნავია, რომ 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის დასასრული მიჩნეულია ყოვლისმომცველ სწავლებაზე გადასვლის პერიოდად, რომელიც ხორციელდებოდა Web 2.0 სერვერების საფუძველზე და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებით [2].

ამრიგად, დისტანციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენების ზოგადი სისტემა და განსაკუთრებით პროფესიული განათლების სისტემა, სტუდენტებს საშუალებას აძლევს დაეუფლონ საგანმანათლებლო პროგრამებს განურჩევლად მათი საცხოვრებელი ადგილმდებარეობისა [3].

ძირითადი ნაწილი

განათლების სისტემის დისტანციური სწავლების დანერგვამ საფუძველი დაუდო უწყვეტი განათლების შექმნის სისტემებს, სადაც ტექნოლოგიური მიღწევები და ინფორმაციული საგანმანათლებლო ტექნოლოგიები იძლევა როგორც ცოდნის განვითარების მეთოდოლოგიის ცვლილებების, ისე სასწავლო პროცესის დეტალურ შეფასების საშუალებას და აუმჯობესებს ინდივიდის თვითგანათლების აქტივობას.

თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, შესაძლებელია როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საგანმანათლებლო პროცესის ფუნქციონირება, ისე ეფექტური დისტანციური სასწავლო პროცესის მიღწევა.

აღნიშნული მიდგომების ძირითადი სახეებია:

- ბოლო თაობის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო და სამეცნიერო ლაბორატორიული აღჭურვილობის ინფორმატიზაცია;

- კომპიუტერული მოდელების გამოყენებით, შესაძლებელია: უახლესი თაობის საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შემუშავება, შესწავლილი ობიექტების ანიმაცია და ფიზიკური მოდელირება, ისეთი პროცესების მართვა, რომელიც ორიენტირებულია ისეთი პრობლემების გადაჭრაზე, როგორცაა საკონტროლო სისტემების ავტომატიზაციის გამოყენებით საგანმანათლებლო პროცესის რუტინული სამუშაოს შემცირება და შედეგების დამუშავება; ამასთანავე, აღსანიშნავია,

რომ სატელეკომუნიკაციო სისტემა უზრუნველყოფს ინდივიდუალური და კოლექტიური რეჟიმების გამოყენების ეფექტურობას.

ელექტრონული სწავლების მეთოდები მოიცავს კომპიუტერული სწავლების ისეთ ფორმებს, როგორცაა: ცოდნის კონტროლი, ინდივიდუალური დავალების მიღება, ექსპერიმენტის ჩატარება, მათი შედეგების ანალიზი და დამუშავება, მონაწილეთა შორის დისტანციური წვდომის რეჟიმი.

დღეისათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტებს დისტანციური სწავლების მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ. სამწუხაროდ, საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა მხოლოდ ამჟამად ანვითარებს დისტანციური სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებს. კოვიდ19-ის პანდემიამ უმაღლესი განათლების სისტემა დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიოს ბევრ უნივერსიტეტს აპრობირებული აქვს ინტერნეტის გამოყენებით დისტანციური სწავლების წარმართვა. თუმცა, საქართველოში აღნიშნული ტექნოლოგიით სწავლება განსაკუთრებულ სიახლეს წარმოადგენს 2020 წლიდან, როდესაც კოვიდ19-მა არანაირი ალტერნატივა არ დაუტოვა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემას და იძულებული გახადა ჩაეტარებინა დისტანციური სწავლების მასშტაბური ექსპერიმენტი.

პანდემიის გამო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. კერძოდ მათ ან ქვეყნის მასშტაბით უნდა გამოეცხადებინათ აკადემიური წელი ან უნდა გაეგრძელებინათ სასწავლო პროცესი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობებში. სასწავლო პროცესის გაგრძელების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები დაჩქარებული წესით გადავიდნენ დისტანციურ სწავლებაზე. აღნიშნულმა განაპირობა ახალი ტერმინების შემოტანა საქართველოს განათლების სისტემაში. ეს ტერმინებია: ელექტრონული სწავლება, დისტანციური განათლება/სწავლება [4] ონლაინ განათლება/სწავლება, შერეული სწავლება, ჰიბრიდული სწავლება, დამორებული სწავლა, სწავლება საგანგებო სიტუაციის დროს და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ფონდ ა. სლოანის (A.Sloan) მხარდაჭერით, აშშ-ში ჩატარებულმა დისტანციური სწავლების ყოველწლიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში, დისტანციური სწავლება გაიზარდა 10-20 პროცენტით. შედეგად, აშშ-ს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების ერთ მესამედი ჩართულია დისტანციური სწავლების პროცესში. ამ სტუდენტთაგან ნახევარზე მეტი დისტანციურ სწავლებას იღებს აშშ-ს

ტერიტორიაზე. სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ ექსკლუზიური დისტანციური სწავლებით, შეადგენს საერთო რაოდენობის დაახლოებით 13%-ს.

აღსანიშნავია რომ არაკომერციული საგანმანათლებლო ორგანიზაციები სტუდენტთა მიღებისას უპირატესობას ანიჭებენ დისტანციური სწავლების მსურველ სტუდენტებს, რომლებიც რეალურად მათი კონტიგენტის ნახევარს შეადგენენ. რაც შეეხება სახელმწიფო უნივერსიტეტებს, ამ შემთხვევაში სტუდენტთა არანაკლებ 10% სწავლობს დისტანციურად.

შეერთებულ შტატებში დისტანციური განათლება ხშირად ასოცირდება ეგრეთ წოდებულ „დიპლომების ქარხანასთან“ და აგრეთვე ცნობილი არაკომერციული კერძო უნივერსიტეტების ფენიქსის და კაპლანის მიერ შემოთავაზებულ დისტანციური სწავლების შედეგად გაცემულ დიპლომებთან. როგორც ირკვევა, ეს გაგრცელებული ინფორმაცია მცდარია. თითქმის სტუდენტების სამი მეოთხედი იღებს დისტანციურ განათლებას სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ უნივერსიტეტებში და მხოლოდ სტუდენტების დაახლოებით 10% გადის დისტანციურ სწავლებას არაკომერციულ კერძო სასწავლო დაწესებულებებში. შეერთებულ შტატებში დიდდისტანციური სწავლების განვითარება საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს, ერთის მხრივ, საგანმანათლებლო მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდის და მეორეს მხრივ, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების შედეგად.

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა მოითხოვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნას. დისტანციური სწავლებისათვის სტუდენტებს უნდა შეეძლოთ საჭირო პროგრამებისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენება. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ელექტრონულ ფორუმებში, სასაუბრო ოთახებში, ონლაინ ვიქტორინებში და ა.შ. გაზრდილი ქსელური მუშაობა მოდელირების მეთოდების გამოყენებითა და ვიდეო კონფერენციების წარმართვით, თავის მხრივ ზრდის დისტანციური სწავლების აქტუალობას. ასეთი სახის სწავლების მართვის განვითარება

ყოველივე ზემოთჩამოთვლილი ასპექტები არ უნდა იყოს მიჩნეული როგორც დამატებითი სერვისის სტუდენტებისათვის. თავად სახელმწიფოები და საგანმანათლებლო დაწესებულებები დაინტერესებულნი არიან ელექტრონული ტიპის საწავლების დაფუძნებით, რათა შეამცირონ ხარჯები და გაზარდონ სტუდენტთა რაოდენობა. მაგალითად, შეერთებულ შტატებში დისტანციური სწავლების პროგრამები - პრინციპული საკითხია ბიუჯეტის დეფიციტის გამო. ისეთი სახელმწიფოები და

კერძო უნივერსიტეტები, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები საკუთარი კამპუსების შენახვისა და მათი შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისად, უნივერსიტეტები სულ უფრო ხშირად ანთავსებენ დისტანციურ სწავლებაზე მორგებულ პროგრამებს თავიანთ ვებ გვერდებზე.

კერძოდ, განვიხილოთ ერთ-ერთი საერთაშორისო საგანმანათლებლო უნივერსიტეტის „დაფოდელის“ დისტანციური სწავლების მაგალითი. აღნიშნული უნივერსიტეტი შეიქმნა 2002 წელს ბანგლადეშში. იგი აქტიურად იყენებს დისტანციური სწავლების ფორმას ტრადიციულ განათლებასთან ერთად. უნივერსიტეტის დისტანციური განათლების ორგანიზაციული მოდელი და მეთოდები, როგორც წესი, ემყარება უნივერსიტეტის განათლების ფილოსოფიას, მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეზღუდვებს.[6] სავარაუდოდ, პედაგოგთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს ტრადიციული სწავლების მოდელს, ხოლო უნივერსიტეტის პოლიტიკა და ეკონომიკა კი ეფუძნება უფრო ინსტიტუციონალურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს „მეტ კონტროლსა და მეტ სტუდენტებს“.

აღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა ხაზი გავუსვათ დისტანციური განათლების ფუნქციონირების სამ განსხვავებულ ფაქტორს. [6] :

1. სრული პასუხისმგებლობა - როდესაც დაწესებულება და მისი ადმინისტრაცია დისტანციურ განათლებას აღიქვამენ როგორც მათ ერთადერთ პასუხისმგებლობას და მიზანს. მაგალითად, როგორც დიდი ბრიტანეთის ღია უნივერსიტეტი, რომლის ადმინისტრაცია და ფაკულტეტი ორიენტირებულია დისტანციური სწავლების მეთოდებზე, სტუდენტების მოთხოვნებსა და სჭიროებებზე. მათ უმთავრეს უპირატესობად ითვლება სწავლების მეთოდებისა და ინოვაციური პრაქტიკის მუდმივი განვითარება.

2. შერეული სწავლების რეჟიმი - როდესაც სასწავლო დაწესებულებებს აქვთ როგორც დისტანციური სწავლების, ისე ტრადიციული განათლების მოდელი. ასეთი სასწავლო დაწესებულებებია „ახალი ინგლისის“ უნივერსიტეტი ავსტრალიაში და ტრადიციული ამერიკული უნივერსიტეტების უმრავლესობა. აღნიშნული შერეული სწავლების რეჟიმის სწავლების მეთოდის ორგანიზება შეიძლება განხორციელდეს ერთი განყოფილების მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის პასუხისმგებელი ადმინისტრაცია. ასევე, შესაძლებელია დისტანციური სწავლების მეთოდის ორგანიზებას ანხორციელებდეს რამდენიმე დეპარტამენტი საკუთარი პროგრამით. შესაძლოა ცალკეულმა ერთეულმა განახორციელოს დისტანციური სწავლება სხვადასხვა სფეროსა და დარგების მიხედვით და მთლიანად ემსახურს

მხოლოდ ამ მიზანს. სწავლების შერეულ მიდგომას შეიძლება ჰქონდეს უპირატესობა ფაკულტეტის რესურსებისა და სერვისების გამოყენების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პროფესორ-მასწავლებელი დისტანციურ სწავლების მეთოდს აფასებს უარყოფითად დაწესებულებაში არსებული აუდიტორიებში წარმართულ პროცესებთან შედარებით და განიხილავს როგორც ნაკლებად ეფექტურ და მნიშვნელოვან სწავლების მეთოდს.

3. კონსორციუმი - წარმოადგენს დისტანციური საგანმანათლებლო დაწესებულებების ან პროგრამების ჯგუფს, რომლის მიზანია დისტანციურ სწავლების გაღრმავება, როგორც სწავლების პროგრამების ან ამ პროგრამების ზეპირი ან წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ერთობლივი გამოყენება. სტუდენტებს მარტივად შეუძლიათ დარეგისტრირდნენ საკუთარ სასწავლებლებში და გამოიყენონ ცენტრალიზირებულად დამუშავებული სასწავლო პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ სტუდენტების მიერ არჩევითი საგნების მოსახერხებელ ცვლილებას ან ჩანაცვლებას. ეს არის დისტანციური განათლების ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სეგმენტი, მაგრამ როდესაც საქმე ეხება უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობას, სწავლების რესურსებსა და საერთო ხარჯებს ამ შემთხვევაში შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული ადმინისტრაციული პრობლემები. [6]

ნებისმიერ ორგანიზაციულ თუ ადმინისტრაციულ სტრუქტურას წარმატების მისაღწევად უნდა ჰქონდეს ეფექტური საკომუნიკაციო საშუალებები. ცხადია, დისტანციური სწავლება, თავისი მრავალფეროვანი აქტიობებით, პერსონალითა და სტუდენტთა კონტინგენტით, რომელიც დაფუძნებულია ძირითადად კომპიუტერულ პროგრამებზე, მოითხოვს ეფექტურ კომუნიკაციას. დოქტორ კატერინ ვერდუინის აზრით, დისტანციური სწავლების პროცესის წარმართვისას, ინფორმაციის გაზიარების პროცესი უნდა იყოს საინტერესო სტუდენტებისათვის. საერთო მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, რომ ყველა დაინტერესებული პირი თანაბრად იყოს ჩართული პროცესში და ჰქონდეს გამოხმაურებისა და უკუკავშირის შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში. [5].

ამერკელი მეცნიერების მოსაზრებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისტანციური სწავლების პროგრამების დანერგვას თან ახლავს რიგი პრობლემები. მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალური გამოწვევაა დისტანციურ განათლების პროცესის თანმდევ კონფლიქტი (რომელსაც მუდმივად სჭირდება კონტროლი და მართვა), უნივერსიტეტის მენეჯმენტის სტრუქტურასა და ტრადიციულ აკადემიურ სფეროებს შორის,

ვინაიდან, აღნიშნულ სტრუქტურასა და ტრადიციულ აკადემიურ სფეროებს გააჩნიათ დისტანციურ განათლების პროცესისგან სრულიად განსხვავებული მართვის სტილი. სწორედ აღნიშნული „განსხვავებული მართვის სტილი“ ქმნის კონფლიქტს აკადემიურ და ეფექტური საქმის წარმოების მექანიზმების შენარჩუნების საკითხებთან დაკავშირებით.“ [6].

ინოვაციებსა და ორგანიზაციებს შორის არსებული განსხვავება შეიძლება აღვიქვათ როგორც ახალი ასპექტის დანერგვა, რომელიც მიისწავვის კონფლიქტების მოგვარების საშუალებით, ინსტიტუციონალიზაციისავე.

ტრადიციულ უნივერსიტეტებში დისტანციური სწავლების პროგრამების უმრავლესობა მიზნად ისახავს სწორედ ამგვარი ინტეგრაციის პროცესს. თუმცა, ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ ხშირ შემთხვევაში, იქმნება ინსტიტუციონალური ბარიერი დისტანციური განათლებისა და ზოგადი განათლების კონვერგენციის პროცესში. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებული საგანმანათლებლო სფეროს ცვლილებები არის ტექნიკურად მარტივი და სოციალურად რთულად აღსაქმელი, თუმცა არ უნდა მიიჩნიოთ, რომ ის არის სწორხაზოვანი პროცესი. აღსაშინავეა, რომ ინოვაციების დანერგვისა და განვითარებისათვის არსებობს კონკრეტული, მკაცრად განსაზღვრული სტრატეგიები, რომელთა ცვლილება ხშირად ხორციელდება ორგანიზაციული კუთხით.

კანადაში უნივერსიტეტ ატაბასკაში (Athabasca) ჩატარებულმა თეორიულმა კვლევებმა აჩვენა ყველასთვის მოულოდნელი შედეგები. იმისდა მიუხედავად, რომ უნივერსიტეტი იყო „ღია“ დისტანციური სწავლების ობიექტი, სადაც ინერგებოდა თანამედროვე ინოვაციური საგანმანათლებლო მიდგომები, დროთა განმავლობაში, ყველასთვის მოულოდნელად, უნივერსიტეტმა ტრადიციული განათლების მიმართულებას მიანიჭა პრიორიტეტი.

დასაწყისში, აკადემიური პროგრამების სწავლების ძირითადი მიზანი იყო სასწავლო პროგრამების განხორციელება მცირე რაოდენობის აკადემიური პერსონალის ჩართულობითა და უფრო მეტად მულტიმედიური ტექნოლოგიების სწავლების გამოყენებით. გარკვეული პერიოდის შემდგომ, აღნიშნულმა ინოვაციამ შეიცვალა ორიენტირი და შედეგად, დისტანციური სწავლების პროცესს აღარ აქვს მინიჭებული „მასწავლების როლი“. სასწავლო კურსები მოიცავს უფრო მეტ ტრადიციულ მიდგომებს და ნაკლებად იყენებს მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს. ამრიგად, კანადის უნივერსიტეტ ატაბასკაში (Athabasca) სასწავლო პროცესი დაუბრუნდა განათლების ტრადიციულ ფორმას. და ჩნდება კითხვა, ტრადიციული უნივერსიტეტი მისცემს თუ არა

ცვლილებების განხორციელებისა და ინოვაციების დანერგვის უფლებას. საგანმანათლებლო-ტექნოლოგიური თვალსაზრისით, დისტანციური სწავლება შეიძლება განვიხილოთ, როგორც სწავლების „ჩაკეტილი საზღვრების მქონე სივრცე“, ხოლო ტრადიციული სწავლების პროცესი ეფუძნება პროფესორ-მასწავლებელთა მიერ წარმართულ სალექციო კურსსა და სამეცნიერო კვლევებს. სასწავლო გარემოში დისტანციური სწავლების პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის, დღემდე ჩატარებული კვლევის დიდი ნაწილი ორიენტირებული იყო ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

მკვლევარებს მიერ კვლევისათვის შედგენილი იყო დახურული კითხვები [7]. აღნიშნული ემპირიული კვლევა მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში ნათლად არის ხაზგასმული ის საკითხები, რომლებსაც სტუდენტები ანიჭებენ უპირატესობას და ამასთანავე, ნათლად აჩვენებს იმ განსხვავებებს, რომლებიც არსებობენ სხვადასხვა მასობრივ ინფორმაციულ საშუალებებს შორის. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის პროფესორ სტეფან მორგანის აზრით, ეფექტურად ჩატარებული კვლევის მეთოდები შესაძლოა გამოყენებულ იქნას დისტანციური სწავლების მთლიან პროცესში.

დისტანციური განათლების საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციის მიხედვით იმ სასწავლო დაწესებულებებში, სადაც მიმდინარეობს დისტანციურ სწავლება, ადმინისტრაციული სტრუქტურის შესწავლის მიზნით, საჭიროა ინდუქციური კვლევის ჩატარება ისეთ საკითხებზე, როგორცაა: სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო მასალების შემუშავება და გავრცელება, სისტემაში მყოფ წევრებს შორის უკუკავშირი. შესაბამისად, უნდა იყოს შესწავლილი იმ ტიპის აქტივობები, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესის წარმატებული მართვისათვის. აღნიშნული სახის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც დისტანციური სწავლების ახალი პროგრამების შექმნისათვის, ისე ტრადიციული და არატრადიციული საგანმანათლებლო პროგრამების შედარებისათვის.

დასკვნა

ამრიგად, სხვადასხვა ქვეყანებში დისტანციური სწავლების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ დისტანციური სწავლება დღითიდღე პოპულარული ხდება მთელ რიგ ქვეყნებში მსოფლიოს მასშტაბით. ყოველივე ზემოთაღნიშნულის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნებისმიერი ზრდასრული ადამიანისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და ნაკლები დანახარჯით, ხელმისაწვდომია განათლების მიღება ქვეყნიდან გაუსვლელად.

რეგიონების მაცხოვრებლებს გაუჩნდათ მანამდე მათთვის არარსებული წვდომა ისეთ სასურველ სპეციალობებზე, რომლებიც არ იყო ხელმისაწვდომი თავიანთ რეგიონებში. სტუდენტებისათვის შესაძლებელი გახდა სასურველი სპეციალობის დაუფლება და პედაგოგებთან კომუნიკაცია

უფრო მოქნილი სასწავლო პროცესით. ყოველივე ზემოთაღნიშნული ასპექტი იძლევა დისტანციური სწავლების კიდევ უფრო მეტად განვითარებისა და დახვეწის შესაძლებლობას როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Хузиахметов А.Н., Насибуллов Р.Р. Учебная деятельность студентов вузов в условиях дистанционного образования. 2012. № 4. С. 98–102.
2. Куклев Валерий Александрович. Автореферат диссертации по теме "Становление системы мобильного обучения в открытом дистанционном образовании": 13.00.01 /
3. Григорьев Юрий Владиславович. Моделирование процесса дистанционного группового обучения студентов ВУЗа: автореферат дис. Кандидата педагогических наук: 13.00.01 / Григорьев Юрий Владиславович-Чебоксары, 2012.- 21с.
4. N.B. უმაღლესი განათლების შესახებ კანონში.
5. Rumble, Greville. 1988. «The Costs and Costing of Distance/Open Education.» In J. Jenkins, ed., Commonwealth Co-operation in Open Learning: Background Papers. London: Commonwealth Secretariat, pp. 249-255.
6. Meyer, J. W. & B. Rowan (1978) “The Structure of Educational Organizations.” In M. W. Meyer et al (eds), Environments and Organizations: 78-109. San Francisco: Jossey Bass.
7. Coldeway, D. (1988) «Methodological issues in distance educational research. The American Journal of Distance Education» . 2(3), pp.4-54.

Modern distance education in 21st century

Ketevan Kveselava, Professor of Georgian Technical University

Ramaz Chichua, Assistant Professor of David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Maia Gamsakhurdia, Invited Lecturer of David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Summary

Distance education is the most popular teaching method today. Due to its accessibility, flexibility and variety of forms, this teaching method has been tried and tested in almost all countries. The use of both e-learning and distance learning technologies became practical in Georgia as well. The subject of article analysis is a distance education.

It is noteworthy that specialists who actively use computer technology in the organization of distance education, often have uncertain idea about the prehistory of the distant form of educational activity. The article also discusses the comparative analysis of distance learning on the example of different countries. In recent years, the use of modern technical means in the process of education has become popular all over the world.

It is noteworthy that information education technologies together with traditional education. have been developed more and more intensively and are more actively used in the educational process of many countries around the world. In this article, we will discuss both the introduction and use of distance learning in educational institutions in different countries, which helps to manage effectively the learning process as well as expand knowledge area of those involved in the learning process. The choice of this topic is conditioned by the urgency of distance learning as an innovative form of education, as well as the need to study a different form of distance learning.

The above mentioned authors presented the analysis of distance learning on the example of different countries. The theoretical significance of the research is as follows: the obtained data should facilitate in-depth study of distance learning. As a result of observing the process of formation and development of distance learning process, we can identify a number of "peculiarities" characterizing the form. These "peculiarities" are: circulation of electronic documentation, conduct the learning process using radio and television and study of agility in various disciplines.

Keywords: distance education, modern technical means, intensive development of educational technologies, urgency of innovative form of teaching, modern education.

სკოლის აღზრდელობითი სისტემა გოგობრუ განათლებლობითი აკადემიის ობიექტი

ლელა რამიშვილი, პედაგოგი
თბილისის 70-ე საჯარო სკოლა

რეზიუმე

სტატიაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სკოლის აღზრდელობითი სისტემაზე, როგორც მმართველობითი აკადემიის ობიექტსა და აღზრდისა და სწავლების პრობლემების უწყვეტ ურთიერთკავშირზე.

მეცნიერთა დასკვნით, უფროსი უმცროს თაობაზე სოციალური გამოცდილების გადაცემის საზოგადოებრივი პრაქტიკა ჩამოყალიბდა უფრო ადრე, ვიდრე მისი ტერმინი დაფიქსირდა. ამიტომ აღზრდის არსი განიხილება სხვადასხვა თვალსაზრისით. ნებისმიერ შემთხვევაში აღზრდის საგნად განიხილება ადამიანი, რომელიც განიცდის შესაბამის ზემოქმედებას.

პრაქტიკიდან გამომდინარე, აღზრდელობითი ზემოქმედების ფუნქცია შეიძლება რეალიზდეს სხვადასხვა საშუალებით, სხვადასხვა დონეზე. მაგალითად, თვითონ ადამიანს შეუძლია თავის თავზე მიზანმიმართულად მოახდინოს აღზრდელობითი გავლენა თავისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის, ქცევისა და აქტიურობის მართვით, რასაც თვითაღზრდას ვუწოდებთ.

სტატიაში განხილვის ობიექტს წარმოადგენს სკოლის აღზრდელობითი სისტემა და მისი მართვა და აქ გამოყენებულია აკადემიის, როგორც პედაგოგიური სისტემების მართვის მეცნიერება. როგორც ცნობილია, მართვითი აკადემიის შესწავლის საგანს წარმოადგენს მმართველობითი საქმიანობაში პროფესიული ოსტატობის სიმძლევების, მასში მაქსიმალური ზემოქმედებითი თვითზოლაციის მიღწევის პროცესი.

მართვის თეორიაში გამოყოფენ პედაგოგიური სისტემებით მართვის შემდეგ კანონზომიერებებს: სისტემის ერთიანობა; მართვითი და მმართველობითი ქვესისტემების პროპორციულობა და ოპტიმალური თანაფარდობითობა; მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შეთავსება (შეწყობა); მართვის პრინციპების ერთიანობა ყველა საფეხურზე.

რაც შეეხება პედაგოგიური სისტემებით მართვის პრინციპებს, აქ ისინი მკაფიოდ არიან აღნიშნული სპეციალისტების მიერ; მეცნიერულობის პრინციპების გეგმიანობა მართვაში, შრომის შედეგებით მატერიალური და მორალური დაინტერესების პრინციპი, პედაგოგიური სისტემებით მართვის პროცესში კანონზომიერებისა და მართლწესრიგის დაცვის პრინციპი, სასწავლო საგ-

ნის სპეციფიკური თავისებურებებისა და ინდივიდუალური თავისებურებების აღრიცხვის 3 პრინციპი სწავლების პროცესზე დაკვირვებისას და სხვ.

სკოლის აღზრდელობითი სისტემა, რომელიც დინამიურია თავის განვითარებაში, გადის ძირითად ეტაპებს, რომელთაგან თითოეულისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური (განსაკუთრებული) ამოცანები, საქმიანობის სახეები, ორგანიზაციული ფორმები, სისტემაწარმომქმნელი კავშირები. სტატიაში ცალ-ცალკე დეტალურადაა აღწერილი ეს ეტაპები.

საკვანძო სიტყვები: სკოლა, აღზრდელობითი სისტემა, აკადემიის, სწავლება, სისტემა, მართვა.

შესავალი

აღზრდისა და სწავლების პრობლემები უწყვეტ კავშირში არიან, რადგან მოცემული პროცესები ადამიანზე მთლიანადაა მიმართული. ამიტომ, პრაქტიკაში რთულია ადამიანის განვითარებაზე მოსწავლეებისა და აღზრდელების ზემოქმედების განსაკუთრებული გავლენის სფეროების გამოყოფა. სახელდობრ როგორც მისი ემოციები, ნებისყოფა, ხასიათი, ასევე მოტივაციები, ფასეული ორიენტაციები და ინტელექტი. ჯერ კიდევ პლატონი წერდა: „... სწავლებაში ყველაზე მნიშვნელოვნად ჩვენ მივიჩნევთ სათანადო (მართებულ) აღზრდას“.

მაგრამ სწავლებისა და აღზრდის პროცესების მეცნიერულ გაგებულებასა და ორგანიზაციას აქვს თავისი თავისებურებანი. ამიტომ მოცემული პროცესების დაყოფა ხდება მეცნიერების მიერ მათი არსის განმარტების მიზნით.

აღზრდის თეორია და მეთოდოლოგია წარმოადგენენ საერთო პედაგოგიკის განყოფილებას, რომლებშიც ზუსტდება აღზრდის პროცესის არსი, პრინციპები და მეთოდები, მიზნები და შინაარსი.

პედაგოგიური აზროვნების განვითარების მანძილზე ზემოაღნიშნული პროცესი იმყოფებოდა მეცნიერებისა და პრაქტიკოსების ყურადღების ცენტრში. ამიტომ, თანამედროვეობაშიც აღზრდა რჩება პედაგოგიკის ძირითად კატეგორიად. მოცემული მოვლენის შინაარსი ახლდება პრაქტიკული გამოცდილების, პედაგოგიური მეცნიერების და მისი წამყვანი დოქტრინის განვითარების შესაბამისად.

მეცნიერთა დასკვნის თანახმად, უფროსი თაობიდან უმცროს თაობაზე სოციალური გამოცდილების გადაცემის საზოგადოებრივი პრაქტიკა

ჩამოყალიბდა უფრო ადრე, ვიდრე დაფიქსირდა მისი ტერმინი. ამიტომ აღზრდის არსი განიხილება (გაიაზრება) სხვადასხვა თვალსაზრისით. ნებისმიერ (ყველა) შემთხვევაში აღზრდის საგნად განიხილება ადამიანი, რომელიც განიცდის შესაბამის ზემოქმედებას [4].

ძირითადი ნაწილი

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, აღმზრდელობითი ზემოქმედების ფუნქცია შეიძლება რეალიზდეს სხვადასხვა საშუალებებით, სხვადასხვა დონეებზე, უამრავი მიზნებით. მაგალითად, თვითონ ადამიანს შეუძლია თავისთავზე მიზანმართულად მოახდინოს აღმზრდელობითი გავლენა თავისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის, ქცევისა და აქტიურობის მართვით.

ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ თვითაღზრდაზე. ამ დროს საკუთარი თავის მიმართ (ვინ უნდა რომ იყვეს აწმყოში და მომავალში) ადამიანის პოზიციებზე და მოკიდებული აღმზრდელობითი მიზნებისა და მისი მიღწევის საშუალებების არჩევა.

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების აღმზრდელობითი სისტემების შექმნასა და ფორმირებასთან დაკავშირებულმა არაერთმა ნამუშევარმა იხილა დღის სინათლე (ვ. ბესპალკო [1], ვ. კარაკოვსკი [4], ი. კონარჟევსკი [5], ლ. ნოვიკოვა [7], ლ. შიიანი [8] და სხვ.

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ, იმ მეცნიერთა დასკვნას, რომლებიც იძლევიან რა მთლიანი სისტემის განსაზღვრებას, მასში ხედავენ ურთიერთქმედებაში მყოფი ელემენტების ერთგვარ ერთობლიობას, რომელიც პროვოცირებულია გარკვეული მიზნის მისაღწევად და წარმოადგენს ერთ მთლიანს, რომელიც ურთიერთქმედებს გარემოსთან [7].

როგორია აღმზრდელობითი სისტემის ძირითადი ნიშნები (თვისებები)? ჩვენ გამოვყოფთ დანიშნულებას, სტრუქტურას და თვისებას.

- დანიშნულება - მიზანი და მიზანშეწონილი ხასიათი (მისწრაფება რისკენ), გადასაწყვეტი ამოცანები (რას გადალახავს, ჩამოიცილებს); ფუნქციები (რისთვისაა განკუთვნილი); ფუნქციონირება, განვითარება და თვითგანვითარება (როგორ უნდა განვითარდეს და შეიცვალოს).

- სტრუქტურა - ობიექტები (სუბიექტები); კომპონენტები, ატრიბუტები, დამოკიდებულებები ან ურთიერთქმედებები; ორი ან უფრო მეტი ტიპის კავშირის არსებობა (პირდაპირი ან უკუკავშირი); იერარქიის დონეების არსებობა.

- თვისება - მთლიანობა; შეთავსებადობა ან შეუთავსებლობა სხვა სისტემებთან; ადაპტაცია (შეგუება გარემოსთან); სრულყოფისკენ სწრაფვის უნარი.

ზემოაღნიშნულ დახასიათებებზე დაყრდნო-

ბით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ აღმზრდელობითი სისტემა - ესაა ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების მოწესრიგებული ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებენ აღმზრდელობით პედაგოგიურ საქმიანობას. ცნებებს შორის, როგორებიცაა „პედაგოგიური სისტემა“, „დიდაქტიკური სისტემა“, „აღმზრდელობითი მუშაობის სისტემა“, განსაკუთრებული ადგილი უკავია „აღმზრდელობით სისტემას“. ეს, როგორც აღნიშნავს ი. კიბალიჩენკო, უფრო ფართო ცნებაა, რომელიც თავისი კომპონენტების სახით მოიცავს სამ წინა განხილულს [8].

სისტემის ნიშნებად გვევლინებიან - კომპეტენტურობა, სტრუქტურულობა, მრავალდონიანობა, კომპონენტების იერარქიულობა, შეპირობებულობა და ურთიერთკავშირი [5].

ჩვენი განხილვის ობიექტს წარმოადგენს სკოლის აღმზრდელობითი სისტემა, მისი მართვა. და აქ ჩვენ ვეყრდნობით აკმეოლოგიას, როგორც პედაგოგიური სისტემების მართვის მეცნიერებას. როგორც ცნობილია, მართვითი აკმეოლოგიის შესწავლის საგანს წარმოადგენს მმართველობით საქმიანობაში პროფესიული ოსტატობის სიმადლეების, მასში მაქსიმალური შემოქმედებითი თვითიზოლაციის მიღწევის პროცესი.

ლ. შიიანი აღნიშნავს, რომ პედაგოგიური სისტემების მართვა პირველ ყოვლისა უნდა გვესმოდეს როგორც მისი პრინციპები, ფუნქციონირების კანონზომიერებები, მოსწავლეებსა და პედაგოგებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების მთელი ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნებიან პედაგოგიური მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავების მიღებისა და რეალიზაციის პროცესში [8].

მართვის თეორიაში გამოყოფენ პედაგოგიური სისტემებით მართვის შემდეგ კანონზომიერებებს: სისტემის ერთიანობა; მართვითი და მმართველობითი ქვესისტემების პროპორციულობა და ოპტიმალური თანაფარდობითობა; მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შეთავსება (შეწყობა); მართვის პრინციპების ერთიანობა ყველა საფეხურზე.

რაც შეეხება პედაგოგიური სისტემებით მართვის პრინციპებს, აქ ისინი მკაფიოდ არიან აღნიშნული სპეციალისტების მიერ; მეცნიერულობის პრინციპების გეგმიანობა მართვაში, შრომის შედეგებით მატერიალური და მორალური დაინტერესების პრინციპი, პედაგოგიური სისტემებით მართვის პროცესში კანონზომიერებისა და მართლწესრიგის დაცვის პრინციპი, სასწავლო საგნის სპეციფიკური თავისებურებებისა და ინდივიდუალური თავისებურებების აღრიცხვის 3 პრინციპი სწავლების პროცესზე დაკვირვებისას და სხვ.

სკოლის აღმზრდელობითი სისტემა, რომელიც სოციალური სისტემების ერთ-ერთი ნაირსახე-

ობაა, ვითარდება რა საერთო სახელმწიფოებრივი აღზრდის სისტემის ჩარჩოებში (ფარგლებში), გარკვეულ ადგილს იკავებს აღზრდელობითი სისტემების იერარქიაში (სახელმწიფოებრივი, ლოკალური, სასკოლო). თუმცა, როგორც აღნიშნავს ვ. კარანოვსკი, მიუხედავად იმისა რომ სკოლის აღზრდელობითი სისტემა ატარებს მასში შემაჯავლი სისტემების ნიშნებს, მაინც არ შემოიფარგლება მათით და არ წარმოადგენს მათ შემცირებულ ასლს. მას გააჩნია თავისი განსაკუთრებული ნიშნები, რომლებიც ასახავენ აღზრდის კონკრეტულ პირობებს [4].

სხვადასხვა ავტორთა პოზიციების ყურადღებით შესწავლისას შეიძლება გამოვყოთ არსობრივი დახასიათების და ცნების - „სკოლის აღზრდელობითი სისტემის“ განსხვავებული ვარიანტები (მისი ნიშნები, სტრუქტურები, ელემენტები, ფუნქციები, სისტემა-წარმომქმნელი ფაქტორები, განვითარების ეტაპები, მართვის თავისებურებები, მისი ეფექტურობის კრიტერიუმები) [6].

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ცნების „სკოლის აღზრდელობითი სისტემის“ განსაზღვრისას, ერთ შემთხვევაში ლაპარაკია არსებითზე - პედაგოგების ზეგავლენის (ზემოქმედების) სისტემაზე, ხოლო სხვა შემთხვევებში - პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა სისტემაზე. მიუხედავად განსხვავებისა, ორივე შემთხვევაში სკოლის აღზრდელობითი სისტემა გაიგება როგორც პროცესუალური მხარე [2].

სხვა ვარიანტებში - აღზრდელობითი სისტემა განიხილება როგორც გარკვეული ნორმების, პრინციპების, აბსტრაქტული ორგანიზაციული ფორმების სისტემა, რომელიც შეიძლება დამკვიდრდეს (შევიდეს) ნებისმიერ სასწავლო დაწესებულებაში. ამ მიდგომის თანახმად, პედაგოგიურ პრაქტიკაში სკოლის აღზრდელობითი სისტემა მიღებულია განვიხილოთ როგორც ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების ერთობლიობა, რომლებიც თეორიულ დონეზე უფრო განზოგადებული ფორმით ახასიათებენ სკოლის აღზრდელობითი საქმიანობის ყველა შემადგენელს მისი განვითარების მოცემულ ეტაპზე.

აღზრდელობით სისტემაზე არსებობს აგრეთვე განსხვავებული წარმოდგენა მოცემულ სასწავლო დაწესებულებაში, რომელშიც ჩართულია კონკრეტული ადამიანები, არის კონკრეტული მატერიალური პირობები, კონკრეტული გარემო.

ზემოთ განხილული მიდგომების ფარგლებში ჩვენ პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ცნების - „სკოლის აღზრდელობითი სისტემის“ განსაზღვრებას და ცოდნას, თუ რაში გამოიხატება სკოლის მთავარი ფუნქცია. თუ პირველ რიგში ეს არის სწავლების ფუნქცია, მაშინ აღზრდელობითი

სისტემა არის ის, რაც ემატება (ავსებს) მართვის დიდაქტიკურ სისტემას. თუ თავიდანვე ცნობილია, რომ სასწავლო დაწესებულებაში რეალიზდება ზოგადსაგანმანათლებლო და აღზრდელობითი ფუნქციები როგორც ერთნაირად მნიშვნელოვანი დონის მქონენი, მაშინ, ბუნებრივია, მის ფარგლებში ფორმირდება ორი სისტემა: დიდაქტიკური და აღზრდელობითი. სწორედ მაშინ, არსებითად, ასკვნის ლ. შიიანი, „არ არის განსხვავება ცნებებს შორის; „სასწავლო დაწესებულების აღზრდელობითი მუშაობის სისტემა“ და მისი „აღზრდელობითი სისტემა“. მაგრამ არის მესამე მიდგომა: სასწავლო დაწესებულების მთავარი ფუნქცია - აღზრდის ფუნქცია, ხოლო სწავლება - მოსწავლეთა ცხოველქმედების ერთ-ერთი სფერო, ამ ფუნქციის რეალიზაციის ერთ-ერთი პირობა. ასეთი მიდგომის დროს ჩნდება კითხვა: მაინც რა არის აღზრდა? ჩვენ ვთვლით, რომ საფუძვლად მიღებული უნდა იყოს განსაზღვრება, რომელიც აღზრდას განიხილავს როგორც პიროვნების ფორმირებისა და განვითარების პროცესის მიზანმიმართულ მართვას.

ეს განსაზღვრება გარკვეული სახით განსხვავდება პედაგოგიაში გავრცელებული აღზრდის განსაზღვრებისაგან, რომელიც გულისხმობს მოზარდი თაობისათვის სოციალური გამოცდილების გადაცემის პროცესს, როცა აღზრდის პროცესის დერმს წარმოადგენს (როგორც ადრე) სწავლება - მოსწავლეთა აღჭურვა გარკვეული ცოდნებით, უნარებითა და ჩვევებით. თი აღზრდას განვიხილავთ როგორც ბავშვის პიროვნების განვითარების პროცესის მართვას, მაშინ აღზრდელობითი სისტემა გამოიყურება სხვანაირად. ა. ნოვიკოვას მიერ შემუშავებული მოდელის მიხედვით [7], სკოლის აღზრდელობით სისტემას გააჩნია რთული ორგანიზაციული სტრუქტურა და მიზნები, რისთვისაც იგი იქმნება; სუბიექტისა და ობიექტის ერთობლიობა - მთლიანი პიროვნება; დამოკიდებულებები, რომლებიც ყალიბდებოდნენ ბავშვებისა და უფროსების საქმიანობისა და ურთიერთობის პროცესში; მართვა, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის განვითარებას და მის ეფექტურ გავლენას ნებისმიერი ბავშვის პიროვნებაზე [3].

ამავე პოზიციიდან კვლევის შედეგად, ვ. კარაკოვსკიმ სკოლის აღზრდელობითი სისტემა განსაზღვრა როგორც რთული, ორერთიანი, სოციალ-პედაგოგიური განათლება, მოწოდებული მოახდინოს ბავშვზე მიმართული ყველა აღზრდელობითი ქმედების ინტეგრირება ერთიან აღზრდელობით პროცესში რომელიც კონკრეტულ სოციალურ-პედაგოგიურ პირობებში უზრუნველყოფს აღზრდის მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციას [4].

ჩვენ აუცილებლობად ვთვლით აღინიშნოს, რომ დასახელებული ავტორები „სკოლის აღმზრდელობითი სისტემის“ ცნების არსს განსაზღვრავენ როგორც ცალკეული (დაქსაქსული) გავლენების გავლენას, მიმართულს ერთიანობისკენ, თვითრეგულირებისკენ, აღსაზრდელი ორგანიზმისკენ, ცხოველქმედების ისეთი ფორმების შემუშავებისკენ, რომლებიც უფრო მისაღებია როგორც სკოლის მოსწავლეებისთვის, ისე მათთან მომუშავე უფროსებისთვის.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ როგორც ნებისმიერი სოციალური სისტემა, სკოლის აღმზრდელობითი სისტემაც პოლისტრუქტურულია. ის შეიძლება განვიხილოთ მიზნების, საქმიანობის, დამოკიდებულებების თვალთახედვით, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ამ სისტემის სტრუქტურა არის არა მხოლოდ მისი შემადგენელი კომპონენტების (ბლოკების) ჯამი, არამედ მათი ორგანული ერთიანობა: მათგან ერთის ცვლილება იწვევს სხვების ცვლილებასაც, ხანდახან კი მთელი სისტემისას, რადგან სისტემა თავისი განვითარებით ისწრაფვის ერთიანობისკენ.

გარკვეული დროის ნანძილზე ითვლებოდა, რომ სისტემაწარმომქმნელ ფაქტორად მიჩნეული იყო საქმიანობა. მაგრამ როგორც გამოცდილება აჩვენებს, სისტემაწარმომქმნელი ხასიათი ყოველ სისტემას არ გააჩნია. ვ. ბესპალკოს პოზიციის თანახმად, დომინირებული (უპირატესი) უნდა იყოს საქმიანობა, რომელიც უფრო სრულად გამოხატავს სისტემის მიზანდასახულობას. სისტემაწარმომქმნელ საქმიანობას შეუძლია მეტწილად მოიცვას ცოდნისა და შრომის სფერო. ნებისმიერი აღმზრდელობითი სისტემის ტენდენცია კი არის - მოიცვას ბავშვების ცხოველმოქმედების ყველა ძირითადი სფერო. ვ. კარაკოვსკის [4] აზრით, საქმიანობა, რომელიც საფუძვლად უდევს აღმზრდელობითი სისტემის შექმნას, ფუნქციონირებას და განვითარებას, არის საქმიანად კოლექტიურად ორგანიზებული და წარმოშობს (იწვევს) ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის, ერთმანეთით დაინტერესების მქონე დამოკიდებულებებს წარმატების მისაღწევად.

ზემოაღნიშნული ავტორების თეორიულმა გამოკვლევებმა და საცდელ-ექსპერიმენტულმა მუშაობამ განსაზღვრეს სკოლის აღმზრდელობითი სისტემის შემდეგი ძირითადი ფუნქციები: ინტეგრირება, რეგულირება და განვითარება.

პირველს მივყავართ დაქსაქსული, შეუთანხმებელი აღმზრდელობითი ზემოქმედებების ერთ მთლიანობაში გაერთიანებისაკენ, მეორე მიმართულია აღმზრდელობითი პროცესის მოწესრიგებაზე დამისმართვაზე. მესამე - უზრუნველყოფს სისტემის დინამიკას, რომელიც გამოიხატება, ერთი მხრივ, მისი ფუნქციონირების ოპტიმიზაციაში, ხოლო მეორე მხრივ - მის წინსვლით მოძრაობაში,

სრულყოფაში.

სკოლის აღმზრდელობითი სისტემა, რომელიც დინამიურია თავის განვითარებაში, გადის ძირითად ეტაპებს, რომელთაგან თითოეული-სათვის დამახასიათებელია სპეციფიკური (განსაკუთრებული) ამოცანები, საქმიანობის სახეები, ორგანიზაციული ფორმები, სისტემაწარმომქმნელი კავშირები. გამოვყოთ და დავახასიათოთ მისი განვითარების ეტაპები:

პირველი ეტაპი - სისტემის ჩამოყალიბება. ამ ეტაპზე ხდება მიზანდასახულობის ფორმირება, გამომუშავდება ორიენტირები აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციაში, პროექტირდება კოლექტიური ფასეულობები. მთლიანად სისტემა ხასიათდება შიდა კავშირების არასაკმარისი სიმტკიცით (სიმყარით). არაიშვიათად შეიმჩნევა შეუთანხმებლობა განსაზღვრასა (ჩანაფიქრსა) და რეალურ განხორციელებას შორის, მაგრამ ეს განსხვავება ყოველთვის არ ნიშნავს შეცდომას, ვერგათვლას მოდელის აგებაში. უბრალოდ, სისტემა ჯერ არ არის ძლიერი, მისი კომპონენტები იზოლირებულად მუშაობენ, ჯერ კიდევ არ არის მიღწეული პედაგოგიური ქმედებების ერთიანობა.

მეორე ეტაპი დაკავშირებულია საქმიანობისა და სისტემის სტრუქტურის დამუშავებასთან. ამ ეტაპზე საბოლოოდ მტკიცდება საქმიანობის სისტემაწარმომქმნელი სახეობები, სისტემის ფუნქციონირების პრიორიტეტული მიმართულებები. დამუშავების პროცესშია მასობრივი აღმზრდელობითი ზემოქმედებების უფრო ეფექტური ფორმები და მეთოდები, იხვეწება ჯერ კიდევ წინა წლებიდან სკოლაში დარჩენილი მათი ორგანიზაციის ძველი ფორმები და მეთოდები. ეს ეტაპი ხასიათდება ზოგადსასკოლო კოლექტივის ინტენსიური განვითარებით, პიროვნებათაშორისი ურთიერთობების განვითარებით. ვითარდება ინიციატივა, იქმნება წინაპირობები კოლექტიული შემოქმედებისთვის. მიდის მკაფიოდ გამოხატული აღზრდის პროცესი კოლექტივის საშუალებით, ჩნდება კოლექტიური ტრადიციები.

მესამე ეტაპი - დამამთავრებელი. საბოლოოდ ფორმდება სისტემა: ყოველი კომპონენტი იკავებს თავის ადგილს, სისტემური კავშირები მყარდება, ძლიერდება ინტეგრაციული პროცესები, ისინი აღწევენ სასწავლო - შემეცნებით საქმიანობაში, ორგანულად აკავშირებენ მას აღზრდასთან. სკოლის აღმზრდელობითი კოლექტივი გადადის ახალ თვისებრივ მდგომარეობაში: ის უფრო ხშირად გამოდის როგორც ერთი მთლიანი, როგორც ბავშვებისა და უფროსების თანამეგობრობა; გაერთიანებული საერთო, ღრმად გაცნობიერებული მიზნით, საერთო საქმიანობით, შემოქმედებით მეგობრული ურთიერთობით და საერთო პასუხისმგებლობით.

ლიტერატურა:

1. Беспалько В.П. Основы теории педагогических систем. Воронеж, 1977.
2. Воспитательная система школы: проблемы и поиски. м., 1992.
3. Гольдберг В.А. Управление становлением воспитательной системы школы 1995.
4. Карановский В.А. Воспитательная система школы как объект педагогического управления. м., 1989.
5. Конаржевский Ю.А. Педагогический анализ учебно-воспитательного процесса и управление школой. м., 1986.
6. Лазарев В.С. Управление образованием на пороге новой эпохи //Педагогика, 1995, №5.
7. Новикова Л.И. Гуманистическая воспитательная система как феномен социальной действительности и объект педагогических исследований. м., 1992.
8. Шиян Л.К. Акмеологические основы управления педагогическими системами. м., 2003.

The educational system the school as an object of management Acetology

*Lela Ramishvili, Teacher
Tbilisi school N70*

SUMMARY

The article focuses on the school education system as an object of managerial acmeology and the ongoing relationship between upbringing and teaching problems.

According to scholars, the social practice of passing on social experiences from the older generation to the younger generation was formed earlier than its term was observed. The essence of upbringing is therefore considered from different points of view. In any case, the subject of upbringing is considered to be a person who experiences the appropriate impact.

In practice, the function of educational influence can be realized in different ways, at different levels. For example, a person can purposefully exert an educational influence on himself by managing his psychological state, behavior and activity, which we call self-education.

The subject of the article is the school education system and its management, and here acmeology is used as a science of managing pedagogical systems. As it is known, the subject of management acmeology is the process of achieving the heights of professional mastery in management, maximum creative self-isolation in it.

In management theory, the following regularities are distinguished by management by pedagogical systems: system unity; Proportionality and optimal ratio of management and management subsystems; Optimal combination of management centralization and decentralization; Unity of management principles at all levels.

As for the principles of management of pedagogical systems, here they are clearly mentioned by specialists; Planning the principles of science in management, the principle of material and moral interest in the results of labor, the principle of maintaining law and order in the process of management of pedagogical systems, the principle of recording the specific features of the subject and individual features in observing the teaching process, etc.

The school education system, which is dynamic in its development, goes through the main stages, each of which is characterized by specific (special) tasks, types of activities, organizational forms, system-building connections. The article describes these stages in detail.

Keywords: school, education system, acmeology, teaching, system, management.

Игра в дидактическом измерении

*Лела Рамишвили, преподаватель
Тбилисской 70-ой публичной школы*

Резюме

В подготовке деловой игры дидакты выделяют следующие операции:

1. Выбор темы и диагностика исходной ситуации. Желательным является то, чтобы учебный материал имел практический выход на профессиональную деятельность.
2. Формирование целей и задач с учетом не только темы, но и исходной ситуации. Нужно построить игру в одной ситуации.
3. Определение структуры с учетом целей, задач, темы, состава участников.
4. Диагностика игровых качеств участников деловой игры [2].

Для подготовки деловой игры могут использоваться все дидактические методы: объяснительно - иллюстративный, репродуктивный, проблемное изложение, частично-поисковый, исследовательские. Но, что очень важно, необходимо соблюдать методические требования к деловой игре. Схематично они выглядят следующим образом:

Деловая игра должно строиться на принципах коллективной работы, практической полезности, демократичности, гласности, соревновательности, максимальной занятости каждого и неограниченной перспективы творческой деятельности [8].

Практика исследования деловой игры в высшей школе убеждает, что она помогает достижению учебных, воспитательных и развивающих целей коллективного характера на основе знакомства с реальной организацией работы.

Познавательная эффективность осуществляется в процессе игры, путем знакомства студентов с диалектическими методами исследования (проблемы), организацией работы коллектива, с функциями своей будущем профессиональной деятельности на личном примере.

Ключевые слова: игра как комплексный социокультурный феномен, игра в теоретических представлениях, игра в образовательном процессе, этапы обучения на основе дидактических игр, процедура проектирования игры в учебном процессе, деловая игра и методические требования к ней.

Введение

Игра наряду с трудом и учением - один из основных видов деятельности человека. Она представляет собой комплексный социокультурный феномен,

которому посвящены многочисленные философско-культурологические, психологические педагогические исследования. Для дидактики важен вопрос об использовании игры в учебных целях.

В психолого-педагогической науке проблему игровой деятельности разработали Л. Выготский, А. Леонтьев, Д. Эльконин, А. Зинченко, М. Кларин, Г. Щедровицкий и др.

Согласно выводу ученых, игра - это вид деятельности в условиях ситуации, направленных на воззодание и усвоение общественного опыта, в котором складывается и совершенствуется самоуправление поведением [7]. Одновременно подчеркивается моделирующий характер игры, т.е. создание в игре модели объективной реальности [4].

Основная часть

В английском языке игра по правилам (game) отличается от игры как самодостаточного и самооценного процесса (игровая деятельность - play).

Однако понятия game и play не разделены сущностным барьером: чтобы игра по правилам оставалась игрой (game) ее участники должны быть вовлечены в самодостаточный и самооценный процесс - играть в игру (play the game).

В теоретических представлениях прочно утвердилась идея известного социального психолога Д. Мида о том, что игра представляет собой модель социального взаимодействия средства, усвоения социальных установок (6).

Интерес представляет взгляд философов М. Бахтина об общности и различии искусства и игры. Их общность он видел в том, что и то и другое не является действительной жизнью, но природа их отличий разная: игра воображает жизнь, а искусство отображает [1]. По аналогии с этим можно сказать, что в обучающей игре участник воображает изучаемые явления, тогда как в остальных видах обучения имеет дело с их «изображениями», описаниями.

М. Кларин отмечает особое значение в игровой деятельности условного плана, сопровождающего внешне выраженные действия участников. Для образовательной практики важно, что игра содержит несколько пластов действий.

- Моделирующее действие: моделирование мира (действия с упрощенной моделью).

- Действие в воображении: воображаемое представление мира («как ели бы»).

- Действия в роли («я действую не как -я, как другой).
- Пробное действие («что происходит, если»).
- Состязательные действия (состязание с другими).
- Действия по правилам [5].

Мы акцентируем внимание на таком включении игры в обучение, при котором она служит не только «фоновым» средством, не вспомогательным приемом, а определяет характер целостных блоков учебного процесса.

Одним из основных структурных элементов игры является ее сюжет, или согласно классическому определению Д. Эльконина, та область действительности, которая воспроизводится обучаемыми в игре. Именно сюжет выполняет функцию «стержня» игры, вокруг которого разворачиваются игровые действия и реализуется на конкретное содержание [9].

Особенностью учебной цели дидактической игры является то, что она выступает перед обучающимися в открытом виде, в виде основной игровой задачи.

Игровая деятельность в совокупности всех ее составляющих компонентов оказывает активизирующее воздействие на когнитивную и эффективную сферы познавательной деятельности обучающихся.

В практике организации учебного процесса можно выделить ряд этапов обучения на основе дидактических игр:

1. Ориентация

Педагог представляет изучаемую тему, знакомит с основными представлениями, которые в ней используются, дает характеристику имитации и игровых правил, обзор общего хода игры.

2. Подготовка к проведению

Педагог излагает, останавливаясь на игровых задачах, правилах, ролях, игровых процедурах, правила подсчета очков, примерном типе решений в ходе игры. После распределения ролей между участниками проводится репетиция игры в сокращенном виде.

3. Основная часть проведения игры

Педагог организует проведение игры, по ходу фиксируя игровые результаты действий участников (следит за подсчетом очков характером принимаемых решений).

4. Обсуждение игры

Педагог проводит обсуждение игры в ходе которого дается описательный обзор-характеристика «событий» игры и их восприятия участниками, возникающих по ходу дела трудностей, идей, которые приходили в голову и т.п.; побуждает обучающихся провести анализ игры. Особое внимание уделяется сопоставлению имитации с соответствующей сферой реального мира, установлению связи содержания игры с содержанием учебного курса [3].

Из вышеуказанного анализа игры как обучения,

ясно прослеживается и структура: в нее входят целеполагание, планирование, реализация цели, анализ результатов, в которых личность полностью реализует себя как субъект. Мотивация игровой деятельности обеспечивается ее добровольностью, возможностями выбора и элементам соревновательности, удовлетворения потребностями в самоутверждении, самореализации.

Популярны ролевые учебные игры в аспекте игр-драматизации в сочетании с эмоциональной рефлексией. Отметим, что здесь обращение у чувств, переживаниям; обсуждение игрового действия с вниманием к возникающим чувствам у учащихся; сведения одного сопоставляются с эмоционально окрашенными высказываниями; итоги подводятся на основе пережитых суждений.

Представляя в игре определенную сферу реальной жизни, обогащая и развивая имеющиеся в его сознании образы, учащийся совершает целенаправленные осознанные действия, которые отражают имеющуюся у него потребность в преобразовании окружающей действительности. Эта потребность и ее реализация невозможны без построения идеальной модели преобразованной действительности, что обязательно требует активной работы воображения [6]. Именно активная деятельность воображения обуславливает процесс вхождения учащегося в роль, его идентификацию с персонажем игры.

В схематичном виде модели обучения на основе дидактической игры выглядит следующим образом:



Еще одна дидактическая (шире говоря, учебно-воспитательная) установка педагога - ориентация на активность самих учащихся, инструментальная в игровом способе учебной работы. Сочетания этих дидактических установок дает плодотворный подход к сочетанию игры и дискуссии в учебной аудитории.

Главной особенностью игровой деятельности является ее двуплановость: с одной стороны - играющий выполняет реальную деятельность, решает конкретную задачу, с другой стороны - ряд моментов

деятельности носит условный характер, позволяет отвлечься от реальной ситуации.

Именно двуплановость, отмечает М. Кларин, обуславливает эффект игры, помогает снять психологическое напряжение, так как в случае неудачи игру можно повторить несколько раз. Особенно это относится к имитационным играм [5].

Особого рассмотрения требует деловая игра, получившая широкое распространение в системе высшего образования. Наряду с другими технологиями обучения она служит накоплению профессионального опыта близкого реальному, и по существу заменяет профессиональный опыт лабораторным, причем удается это, по мнению дидактов, намного лучше.

Деловая игра, во -первых, достаточно реально имитирует осуществляющую действительность; во-вторых, создает динамичные организационные модели; в -третьих, более интенсивно побуждает к решению намечанных целей.

Исследователями установлено, что при подаче материала в форме деловой игры усваивается более 90% информации. Активность студентов проявляется ярче, носит продолжительный характер и «заставляет» их быть более активными.

Ю. Скоропуд отмечает три сферы деловой игры в высшей школе:

- исследовательская сфера: используется для моделирования будущей профессиональной деятельности с целью изучения принятия решений, оценки эффективности организационных структур;
- учебная сфера: применяется в учебной программе для обучения, повышения квалификации;
- операционно-практическая сфера: используется для анализа элементов конкретных систем, для разработки различных элементов системы образования,

организационных структур [8].

Прежде чем приступить к использованию деловой игры в учебном процессе, дидакты рекомендуют начинать с имитационных упражнений. Они отмечаются меньшим объемом и ограниченностью решаемых задач. Имитационные упражнения ближе к учебным играм. Их цель - предоставить студентам возможность в творческой обстановке закрепить те или иные навыки, а акцентировать внимание на каком-либо важном понятии, категории. После имитационных упражнений можно переходить к деловым играм. В учебном процессе высшего учебного заведения это, скорее, ролевая игра, так как студенты еще не владеют в полной мере своей специальностью.

В подготовке деловой игры дидакты выделяют следующие операции:

1. Выбор темы и диагностика исходной ситуации. Желательным является то, чтобы учебный материал имел практический выход на профессиональную деятельность.
2. Формирование целей и задач с учетом не только темы, но и исходной ситуации, Нужно построить игру в одной ситуации.
3. Определение структуры с учетом целей, задач, темы, состава участников.
4. Диагностика игровых качеств участников деловой игры [2].

Для подготовки деловой игры могут использоваться все дидактические методы: объяснительно - иллюстративный, репродуктивный, проблемное изложение, частично-поисковый, исследовательские. Но, что очень важно, необходимо соблюдать методические требования к деловой игре. Схематично они выглядят следующим образом:



Заклучение

Деловая игра должно строиться на принципах коллективной работы, практической полезности, демократичности, гласности, соревновательности, максимальной занятости каждого и неограниченной перспективы творческой деятельности [8].

Практика исследования деловой игры в высшей школе убеждает, что она помогает достижению учебных, воспитательных и развивающих целей

коллективного характера на основе знакомства с реальной организацией работы.

Познавательная эффективность осуществляется в процессе игры, путем знакомства студентов с диалектическими методами исследования (проблемы), организацией работы коллектива, с функциями своей будущем профессиональной деятельности на личном примере

Литერатура

1. Бахтин М.М. Эстетика словесного творчества. м., 1979.
2. Белчиков Я.М., Бирштейн М.М. Деловые игры - Рига, 1989.
3. Зинченко А.В. Игровая педагогика. м., 2005.
4. Игры для интенсивного обучения. м., 1991.
5. Кларин М.В. Обучение как игра // Инновационные модели обучения, М., 2018.
6. Особенности игровой деятельности, ее компоненты и классификация //технология решения частных и педагогических задач. Астрахань, 1999.
7. Селевко Г.К. Игровые технологии //Современные образовательные технологии. М., 1998.
8. Сорокопуд Ю.В. Деловая игра как метод активного обучения //Педагогика высшей школы. М., 2011.
9. Эльконин Д.Б. Психология игры. М., 1992.

თამაში დიდაქტიურ გაზომვაში

*ლევა რამიშვილი, მასწავლებელი
თბილისის 70-ე საჯარო სკოლა*

რეზიუმე

განათლების თანამედროვე პარადიგმების გათვალისწინებით და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით, ავტორი განიხილავს თამაშის ქმედების პოლიტიფუნქციურ ხასიათს, გამოყოფს სწავლის ეტაპებს, დიდაქტიკური თამაშების საფუძველზე.

სტატიაში წარმოდგენილი დიდაქტიკური თამაშების მოდელი, აღწერილია სფეროები საქმიანი თამაშის, რომლის მოწოდებაც უმაღლესი განათლების სისტემაში ემსახუროს რეალურ - პროფესიონალურ გამოცდილების დაგროვებას.

საქმიანი თამაშის მომზადებაში გამოყოფენ შემდეგ ოპერაციებს:

1. თემის არჩევანი და ამოსავალი სიტუაციის დიაგნოსტიკა. სასურველი ის არის, რომ სასწავლო მასალას პრაქტიკული ამოსავალი ჰქონდეს პროფესიული მოღვაწეობისათვის;
2. მიზნებისა და ამოცანების ფორმირება არა მხოლოდ თემის გათვალისწინებით, არამედ ამოსავალი სიტუაციისაც. საჭიროა თამაშის აგება ერთ სიტუაციაში;
3. სტრუქტურის განსაზღვრა თემის მიზნების, ამოცანების და მონაწილეთა შემადგენლობის გათვალისწინებით;
4. საქმიანი თამაშის მონაწილეთა სათამაშო თვისებების დიაგნოსტიკა.

საქმიანი თამაშის მომზადებისათვის შესაძლებელია ყველა დიდაქტიკური მეთოდის გამოყენება: განმარტებით-საილუსტრაციო, რეპროდუქციული, პრობლემური გადმოცემა, ნაწილობრივ-საძიებო, კვლევითი. მაგრამ რაც მნიშვნელოვანია აუცილებელია საქმიანი თამაშისადმი მეთოდური მოთხოვნების გათვალისწინება.

საქმიანი თამაში უნდა ემყარებოდეს კოლექტიური მუშაობის პრინციპებს, პრაქტიკულ სარგებლიანობას, დემოკრატიულობას, შეჯიბრებითობას, თითოეულის მაქსიმალურ დაკავებულობას და შემოქმედებითი მოღვაწეობის პერსპექტივის განუსაზღვრელობას.

საქმიანი თამაშის კვლევის პრაქტიკა უმაღლეს სკოლაში გვარწმუნებს, რომ იგი ეხმარება სასწავლო-აღმზრდელობითი და კოლექტიური ხასიათის განვითარების მიზნების მიღწევას მუშაობის რეალური

ორგანიზების ცოდნის საფუძველზე.

შემეცნების ეფექტურობა ხორციელდება თამაშის პროცესში სტუდენტების კვლევის დიდაქტიკური მეთოდების გაცნობის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: თამაში, როგორც რთული სოციოკულტურული ფენომენი, თამაში თეორიულ ცნებებში, თამაში საგანმანათლებლო პროცესში, სწავლის ეტაპები დიდაქტიკური თამაშების საფუძველზე, თამაშის დიზაინის პროცედურა სასწავლო პროცესში, ბიზნეს თამაში და მასზე მეთოდოლოგიური მოთხოვნები.

A game in didactic measurement

*Lela Ramishvili, teacher
Tbilisi 70th Public School*

Summary

Taking into account the modern paradigms of education and based on the achievements of psychological-pedagogical science, the author discusses the multifunctional nature of the action of the game, distinguishes the stages of learning, based on didactic games.

The model of didactic games presented in the article describes the areas of business play, which call for the accumulation of real - professional experience in the higher education system.

The following operations are distinguished in the preparation of a business game:

1. Choice of topic and diagnosis of the starting situation. It is desirable that the study material has a practical solution for professional activity;
2. Formation of goals and objectives not only taking into account the topic, but also the starting point. You need to build the game in one situation;
3. Defining the structure taking into account the goals, objectives and composition of the participants;
4. Diagnose the game qualities of business game participants.

All didactic methods can be used to prepare a business game: explanatory-illustrative, reproductive, problematic, partial-exploratory, research. But what is important is to take into account the methodological requirements for the business game.

The business game should be based on the principles of collective work, practical utility, democracy, competitiveness, maximum occupancy of each and the uncertainty of the perspective of creative activity.

Business game research practice in high school assures us that it helps to achieve educational-collective and collective development goals based on knowledge of real work organization.

Cognitive effectiveness is realized through the introduction of didactic methods of student research in the game process.

Keywords: game as a complex socio-cultural phenomenon, play in theoretical concepts, play in the educational process, learning stages based on didactic games, game design procedure in the learning process, business game and methodological requirements.

ქ უ ზ ნ ა ლ ი ს ტ ი კ ა

JOURNALISM

იოსებ იმედაშვილის პუბლიცისტიკის ოსტატობის საკითხები: ი. იმედაშვილის პუბლიცისტიკის ენის თავისებურებანი

*თემურ ვაგოდინიშვილი, პრეფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ნინო დანელია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

იოსებ იმედაშვილი XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის თვალსაჩინო მოღვაწეა – მწერალი, პოეტი, დრამატურგი, ლექსიკოლოგი, ლექსიკოგრაფი, თეატრალური მოღვაწე – რეჟისორი, მსახიობი, თეატრალური და ლიტერატურული კრიტიკოსი და რედაქტორ-გამომცემელი, საქართველოში სახალხო თეატრის მოამაგე, თვალსაჩინო პუბლიცისტი. მისი რედაქტორობით 1910-1925 წლებში გამომავალმა ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრებამ“ ეპოქა შექმნა ქართული ჟურნალისტიკის, კერძოდ, თეატრალური ჟურნალისტიკის ისტორიაში.

როგორც პუბლიცისტი, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური სკოლის წარმომადგენელია. იგი შემოქმედებითად იყენებდა ამ სკოლის პუბლიცისტური ოსტატობის ხერხებსა და ტრადიციებს. მისი პუბლიცისტიკის ენა ხალხურ სასაუბრო მეტყველების ტრადიციებს ემყარება და შემოქმედებითად განვითარებას წარმოადგენს. ი. იმედაშვილის პუბლიცისტიკის ენის, იდეოსტილის თავისებურებებს ქმნის სიტყვაწარმოების საოცარი რეგისტრები, მეტაფორული პარაფრაზის, სინტაქსური პარალელიზმისა და სხვა ხერხების მიზნობრივი გამოყენება. მისი მწერლური ნიჭი მის პუბლიცისტურ ნაწერებს გამორჩეული მხატვრული სახეობრივი აზროვნების ელფერით აღბეჭდავს. ეს ტენდენცია გარკვეულად „დროის ნიშნით“ არის განპირობებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ თავისი დროის კატაკლიზმების უთავბოლოობაში საერთოდ სათქმელის და,

კერძოდ, ეროვნული სატკივარის გამოხატვის ტრიბუნა საზოგადოებისათვის მწერლობა და მისი პუბლიცისტურობით გადაჯერებულობა გახდა.

საკვანძო სიტყვები: პუბლიცისტიკა, პუბლიცისტური ოსტატობა, იდეოსტილი, მეტაფორული პარაფრაზი, სინტაქსური პარალელიზმი.

შესავალი

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში იოსებ იმედაშვილი ცნობილია როგორც რედაქტორ-გამომცემელი და საინტერესო პუბლიცისტი. მის მიერ დაარსებული ყოველკვირეული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, მართალია, ქართული თეატრის სამყაროს, გამორჩეულად სახალხო (არაპროფესიონალურის გაგებით) თეატრის ამბების გაშუქებას, თეატრალური სპექტაკლების რეცენზირებას, მსახიობების თეატრალური ნიჭისა და ოსტატობის საკითხების პუბლიცირებას, ამით ქართული თეატრის საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროპაგანდას ემსახურებოდა, მაგრამ მისთვის არც თანადროული ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სასიცოცხლო და აქტუალური პრობლემების გაშუქება ყოფილა უცხო.

ი. იმედაშვილი აქტიური მონაწილე იყო ამ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისა, არა როგორც „მოთვალთვალე“-დამკვირვებელი, რეგისტრატორი, ინფორმატორი, არამედ როგორც მოღვაწე, საზოგადოებრივად აქტუალური მოვლენების „მაჯაშიცა შემტყვებარი“ და გარკვეულწილად მათი შინაარსის განმსაზღვრელიც.

ძირითადი ნაწილი

„თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებზე დასტამბული პუბლიცისტური ტექსტები ცხადყოფს, რომ არ დარჩენილა XX საუკუნის 10-30-იანი წლების არც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტი, მოვლენა, ხდომილება, რომ ამ ჟურნალს არ გაემუქებინოს და შემფასებლური დამოკიდებულება არ დაეფიქსირებინოს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ ჟურნალს, ფაქტობრივ, მარტოხელად აწარმოებდა მისი რედაქტორი, საკუთარი ხელით წერდა მოწინავეებს, თეატრალურ რეცენზიებს, საზოგადოებრივად თუ პოლიტიკურად აქტუალური პრობლემების ამსახველ სტატიებს, წერილებს, მიმოხილვებს, ცხადი გახდება ი. იმედაშვილის პუბლიცისტური ინტერესების დიაპაზონი, მისი პუბლიცისტური ოსტატობის რეგისტრები.

მისი პუბლიცისტური აზროვნებისა და ოსტატობის ღირებულებას ის გარემოებაც ზრდის, რომ ი. იმედაშვილის პუბლიცისტური მოღვაწეობის დრო, ფაქტობრივ, ილია ჭავჭავაძისა და მისი გუნდის მიერ დაწყებული ქართული პუბლიცისტიკის ენისა და სტილის შექმნის პროცესი ჯერაც არ იყო გასრულებული და განმტკიცება-დამკვიდრებას საჭიროებდა, მიმდევართა გაჩენა კი ამ დიადი ამოცანის გადაწყვეტის ერთადერთი გზა იყო. ილიას ენობრივ-სტილისტური ნორმებისა თუ ლექსიკა-ფრაზეოლოგიის დამკვიდრების საყოველთაომა სწორედ მიმდევართა არსებობასა და მონდომებაზე იყო დამოკიდებული. ი. იმედაშვილი ამგვარ მიმდევართა ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი იყო. მისი მიმდევრობა ილიას სკოლისა, რომლის არსებითი მახასიათებელი ხალხურობა იყო, კარგად არის ცნობილი, ყველას აღუნიშნავს, ვინც კი ი. იმედაშვილის პუბლიცისტიკისა თუ საერთოდ სამწერლობო ენას შეხება. ამ მხრივ არგუმენტების ძიება არც კი არის საჭირო და მაინც, უპრიანი იქნება ერთი კარგად ცნობილი ფაქტის გახსენება, რომელიც საგანგებოდ დააფიქსირა თავად ი. იმედაშვილმა აკაკი წერეთლის მოსაგონრად დაწერილ წერილში „აკაკი შთამაგონებელი (მოგონება თვალის ერთი გადავლებით)“, რომელიც „თეატრი და ცხოვრების“ 1915 წლის მეათე ნომერში გამოაქვეყნა (გვ. 10-14).

აკაკისთან ი. იმედაშვილს გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდა. დიდი მგოსანი მის ჟურნალში თანამშრომლობდა, პიროვნულადაც მხარში ედგა, ახალისებდა და აგულიანებდა. ი. იმედაშვილისათვის აკაკის თანადგომას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით საკუთარი მოღვაწეობის მნიშვნელობის გაცნობიერების თვალ-საზრისით.

ი. იმედაშვილის მოწმობით იგი აკაკის 1910 წელს დაუახლოვდა, როდესაც „თეატრი და ცხოვრება“ დააარსა, ხოლო ეს სიახლოვე კიდევ უფრო განამტკიცა ამ ჟურნალის გამოცემის განსახლების

შემდეგ – 1914 წელს. როდესაც აკაკიმ შეიტყო, რომ ჟურნალის მეთაურებს ი. იმედაშვილი წერდა, გაიოცა და უთხრა:

„მადლობა ღმერთს... ჩანს, კიდევ არ დაგვიწყებიავართ. ის, რაც მთელი სიცოცხლე ნატვრად მქონდა, აწ ვხედავ განხორციელებულს. ხალხის საქმეს ხალხის შვილებმა უნდა უჭირისუფლონ... ხალხის ენით მხოლოდ ხალხის შვილები დაილაპარაკებენ. ყური უგდე ხალხის გულისთქმას. გეტყობა უცხო გავლენას აცდენილი ხარ... ქართველი მწერალი და ქართული ჟურნალ-გაზეთის ხელმძღვანელი აგეთი უნდა იყოს...“

აკაკიმ უზუსტესად განსაზღვრა ი. იმედაშვილის პუბლიცისტიკის ენის ვექტორი, წარმომავლობა, სამირკველი. ი. იმედაშვილი თვითნასწავლი იყო. მას განათლება არ ჰქონდა მიღებული გიმნაზიასა თუ უნივერსიტეტში. სახელოსნო ორწლიანი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამა ენობრივი განსწავლის თვალსაზრისით ბევრს ვერაფერს მისცემდა ისეთს, რომ პუბლიცისტიკის სფეროსათვის ყოფილიყო დამაკმაყოფილებელი. ასე რომ, მისი პუბლიცისტიკის ენა მისი საარსებო გარემოს ენობრივი ცნობიერების ინდივიდუალური რეალიზების გამოხატულებას წარმოადგენდა. გამოდის, რომ ი. იმედაშვილი გარკვეულწილად აქტიურად იყო ჩართული ქართული პუბლიცისტიკის ფუნქციური ენისა და სტილის ფორმირების პროცესში. ილიას მიმდევრობით ი. იმედაშვილი ხალხური ენობრივი ცნობიერებისათვის ბუნებრივი მოდელებით არჩევდა სიტყვებს, ქმნიდა შესიტყვებებს; გამოიყენებოდა ხალხური ფრაზეოლოგიური მოდელების, საერთოდ ენობრივი წარმოების – მოდელების პრინციპებს. ამით კი იგი დგას ქართული პუბლიცისტიკის ენის ფორმირების სათავეებთან.

აღნიშნულს მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ი. იმედაშვილის საარსებო გარემო, ერთი მხრივ, მისი ბავშვობისა და ყრმობის სივრცე – ბორჩალო - ქვემო ქართლი (მარნეულის რეგიონი) თავისი იმ უნიკალური ძველქართული მეტყველებით, რომელმაც ქართულ მწერლობას შესძინა დიდი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი – მისი უახლოესი ადამიანი და, მეორე მხრივ, ასეთივე ძირძველობით გამორჩეული ქართული მეტყველების შემცველი რეგიონი, რომელიც მოიცავს უჯარმა-ხაშმის, პატარმეულის, ნინოწმინდის, გიორგი წმინდის და გარეკახეთის სხვა სოფლებს, რომლის ენობრივი ცნობიერებისა და მეტყველების ტრადიციები ვახტანგ გორგასლის ეპოქიდან მომდინარეობს და დღესაც გამოირჩევა თანამედროვე სალიტერატურო ქართულ სამეტყველო მოდელებთან დიდი სიახლოვით, რისი კვალიც მკაფიოდ აქვს შემონახული გიორგი ლეონი-

მისა თუ რეზო ინანიშვილის სამწერლო ბო ენებს. ამ კვალს შეიცავს ქართული ფოლკლორის მოტივების ლიტერატურული გააზრების ნიადაგიდან ამოზრდილი მწერლის დ. ნახუცრიშვილის გახმაურებული ნაწარმოები „ჭინჭრაქა“. ყველაზე ცხადი მაჩვენებელია აქაურების ამჟამინდელი მეტყველება, რომელიც კლასიკის რეგისტრში აზიდულია გოგლა ლეონიძის „ნატურის ხეში“.

ამ რეგიონების სამეტყველო ტრადიციები ასაზრდოებდა ი. იმედაშვილის სამწერლო ბო ენას, რომლის უფრო მაღალ რეგისტრებში აზიდვას ახერხებდა ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის მიმდევრობა ლექსიკის, ფრაზეოლოგიის გამოყენებასა და გამოყენების მანერაში, მოდელირების ხერხებსა და პრინციპებში.

ერთი სიტყვით, ილია ჭავჭავაძის ძალისხმევით, მისი უტყუარი ენობრივი ცნობიერებისა და ავტორიტეტის წყალობით XX საუკუნის 20-30-იანი წლებისათვის უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა და პრაქტიკულად დამკვიდრდა პუბლიცისტიკის ის ენა და სტილი, რაც არსებითად შეუცვლელად ასაზრდოებს ქართულ პუბლიცისტურ აზროვნებას, თუ არ ჩავთვლით დროის დინებით შეპირობებულ ენობრივ ნოვაციებს, რომლებიც უფრო ლექსიკის, – ნეოლოგიზმებისა და ტერმინოლოგიის სფეროებს დაეწყო ხოლმე. ამგვარი მოვლენები, როგორც პუბლიცისტური პრაქტიკა ცხადყოფს, უპირატესად და უმთავრესად ლექსიკას, კერძოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკას ამდიდრებს და ოდნავადაც ვერ ტოვებს კვალს პუბლიცისტური მეტყველების ბუნებაზე, ფრაზეოლოგიის მოდელზე, სინტაქსსა და ილიას ეპოქიდან მომდინარე ენობრივი მოდელირების პრინციპებზე, უპირველესად საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკის შევსებაზე ლექსიკური სიტყვაწარმოების საშუალებებზე.

დღესაც პუბლიცისტიკის ენობრივ სივრცეში, მაგალითად, ზედსართავი სახელები საგნის თვისების გამოხატვასთან ერთად (რაც მათი ძირითადი ფუნქციაა), შეფასების ფუნქციასაც ითავსებენ; მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ირონიული ელფერის ლექსიკას; სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებისა და განზოგადების ტენდენციებს; დეტერმინოლოგიის მოვლენას, როგორც საერთო ლექსიკასთან ახალი სემანტიკურ-სტილური მიმართებების წარმოქმნას (2, 209); ლექსიკის გადატანით ხმარებას, მეტაფორიზაციას, მყარი ფრაზეოლოგიური ტიპის გამოთქმების სიხშირეს და ა. შ. (1, 159-195).

აღნიშნული, საერთოდ, იმით არის განპირობებული, რომ პუბლიცისტიკის ენა ჰიბრიდულია, ლექსიკა კი მოძრავი და ცვალებადი, ხოლო ამის მიზეზი ის არის, რომ მასალა პუბლიცისტიკაში მრავალფეროვანია, საზოგადოებრივი ცხოვრების

ყველა სფეროს მოიცავს და ამ სფეროთა დარგობრივ ლექსიკასაც გამოიყენებს (1, 143).

ი. იმედაშვილის პუბლიცისტიკის ენასა და სტილს ყველა ზემოთ აღნიშნული სამეტყველო მოვლენათა მეტ-ნაკლები სიხშირით გამოყენება ახასიათებს. უმთავრესი მახასიათებელი კი ის არის, რომ მისი პუბლიცისტური მეტყველება სათქმელის იმდაგვარი ენობრივი გაფორმებისაკენ მიისწრაფის, რომელიც თვალშისაცემად გამოკვეთილიც არის და სიახლის ელფერიც დაჰკრავს. ეს უპირველესად სიტყვაწარმოებაზე, უფრო ზუსტად სიტყვათშემოქმედებაზე ითქმის, სიტყვათშემოქმედების პროცესი კი მასთან აბსოლუტურად შეუზღუდავია. მაგალითად, მის პუბლიცისტურ ნაწერებში არც თუ იშვიათია მხატვრულ ექსპრესიული მუხის შემცველი ნაწარმოები (უმეტესად კომპოზიტიური) სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც იდეოსტილის კუთვნილებას წარმოადგენს, რადგან ან საერთოდ არ გვხვდება სხვასთან და სხვაგან, ან თავისებურად არის ნაწარმოები – გრამატიკული ნორმების გვერდის ავლით, რაც პუბლიცისტიკის დარგობრივი ენისათვის სულაც არ არის უცხო (1, 138-140).

ამგვარი სიტყვაწარმოების შემთხვევები განსაკუთრებით თვალში საცემია, მაგალითად, 1915 წელს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ (#6, #7, #10) გამოქვეყნებულ აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ წერილებში. ასე, მაგალითად, წერილში „აკაკი ნანგრევებზე – აკაკი ხალხში“ (1915, # 6, გვ. 4) გვხვდება ამგვარი ფრაზა: „ასე ჰსუნთქავს, ჰსცოცხლობს, **ნაყოფიერობს** ხე იგი ძველ დანგრეულ ტამარზე...“ აქ ნაწარმოები სიტყვაა „**ნაყოფიერობს**“, ზმნური წარმოების ეს მაგალითი ი. იმედაშვილს ეკუთვნის.

მსგავს ვითარებას ვხვდებით წერილში „აკაკის ძეგლი“ (1915, # 7, გვ. 2). აქ ი. იმედაშვილი წერს: „და თუ ჩვენ მხოლოდ **თვალსერიის** ხალხი არა ვართ, ამთავითვე უნდა შევუდგეთ საქმეს“. სიტყვა „თვალსერიი“ კომპოზიტია, ეირი ფუძის გაერთიანებით არის შექმნილი და შორიდან მაყურებლობის, მოვლენის უშუალო ან გულგრილი დასწრების აღსანიშნად არის გამოყენებული. ამგვარი ვითარების აღსანიშნად, ქართული ენობრივი პრაქტიკა მაშინაც და ახლაც სიტყვა „სერიის“ გამოყენებით კმაყოფილდებოდა. სიტყვა „თვალის“ მიმატებამ კი „სერიის“ მეტი ექსპრესიულობა შესძინა, უჩვეულოდ გაზარდა მისი მხატვრულ-ემოციური მუხტი და სათქმელის ზეგავლენის სიძლიერე.

სიტყვაწარმოებითი ნოვაციებით განსაკუთრებით არის დატვირთული ი. იმედაშვილის პუბლიცისტიკა „აკაკი შთამაგონებელი (მოგონება ერთის თვალის გადავლებით)“ (1915, #10, გვ. 10-14). აქ განსაკუთრებით იგრძნობა კომპოზიტიური

სიტყვაწარმოებისაკენ მიდრეკა. მაგალითად, ილიას და აკაკის სინტაქსური პარალელიზმის ხერხით დასახასიათებლად გამოყენებული ასეთი ფრაზა:

„პირველი – ილია – მუდამ სევდიანი, **ფიქრ-ჩაღრმავებული, კოპებშეკრული.**

მეორე – აკაკი – მომღიმარე, **სახენათელი, გულ-ღია.**“ აქ სათქმელის ემოციურ-ექსპრესიულობის სიძლიერის სამსახურში ჩაყენებულია, ერთი მხრივ, იდიომატური (ტრადიციული) გამოთქმები – „კოპებშეკრული“, „სახე ნათელი“, „გულღია“, ხოლო მეორე მხრივ, საკუთრივ ი. იმედაშვილის შექმნილი – „ფიქრ-ჩაღრმავებული“, რომელიც თავისი დროის გრამატიკული ნორმით არის გაფორმებული, რაც შემდგომ ფუძეების გაერთიანებით დამკვიდრდა, როგორც ერთცნებიანი კომპოზიტი.

ამავე წერილში ინდივიდუალურ-საავტორო სიტყვა „**ნაამაგდარი**“ ფრაზაში „ყოველი ასეთი სიტყვით **ნაამაგდარი** მგოსანი შთამაგონებდა...“ სიტყვა **ნა-ამაგდარი** თავისებურად, უკვე წარმოები სიტყვიდან ერთცნებიანი კომპოზიტიდან „ამაგდარი“ (ამაგი + დარი (შესადარის, დიდი ამაგის მქონე მნიშვნელობით) = დიდი ამაგის გამწევი) წარმოებია ახალი ფორმა თავსართ „ნა“-ს დართვით და ამით საგრძნობლად გაძლიერებულია კომპოზიტის ემოციური მუხტი, ხოლო პუბლიცისტიკისათვის რაოდენ დამახასიათებელია ხატოვან და რაციონალურ ენობრივ საწყისთა ერთიანობა, კარგად არის ცნობილი.

მსგავსი-არატრადიციული წარმოების კომპოზიტები საერთოდ არის დამახასიათებელი ი. იმედაშვილის პუბლიცისტიკის ენისათვის. მაგალითად, წერილში „ქართული სახიობა“ (1915, # 27, გვ. 15) გვხვდება ქართულ ენობრივ პრაქტიკაში საკმაოდ ფეხმოკიდებული კომპოზიტური თქმის „**მრავალფერი**“-ს ასეთი ფორმა: „**მრავალფერადი**“ („ზ. გომელაურმა და ა. შანშიაშვილმა სახალხო სახლში კვირას, 28 ივნისს **მრავალფერადი** საღამო გამართეს“). ცხადია, რომ „**მრავალფერადი**“ იმავენაირად არის წარმოები, როგორც „ნაამაგდარი“, ანუ უკვე წარმოებ (და არა ძირულ) სიტყვა (ფერი+ად-ი) სიმრავლის კიდევ ერთი გამომხატავი სიტყვის დართვით: **მრავალ+ფერ+ად-ი**, რაც ი. იმედაშვილის ენობრივი ცნობიერების ერთ თავისებურებას წარმოადგენს. ამგვარი ენობრივი წიაღსვლები, ბუნებრივია, მხოლოდ განსწავლით, მშობლიურ ენასთან წიგნის მეშვეობით მისვლით არ მიიღწევა. აქ თავის სიტყვას მშობლიური ენის ბუნების გენეტიკური შეგრძნება ამბობს თავის სიტყვას და ამის დასტურია ის, რომ ი. იმედაშვილი საერთოდ შესანიშნავი მთხრობელი იყო, მწერალი, პოეტი, დრამატურგი, ერთი სიტყვით – საოცარი მესიტყვე. ამიტომაცაა მისი პუბლიცისტიკაც ეგოდენ შთამბეჭდავი, რადგან პუბლიცისტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების

პრობლემათა მხატვრული გადმოცემაა, ცხადია სოციალური შემფასებლობის აქცენტირებით (1, 141).

პუბლიცისტიკის ენის (და შესაბამისად პუბლიცისტიკური ოსტატობის) სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია **მეტაფორული პარაფრაზი**. იგი უაღრესად საინტერესო მოვლენაა და მხატვრული (სახეობრივი) აზროვნების მაჩვენებელია. მასში ჩანს პუბლიცისტის ენობრივი ცნობიერების რეგისტრები, ხატოვანი აზროვნების რაგვარობა, სათქმელისათვის მიზნობრივი ემოციურ-ექსპრესიული მუხტის მინიჭება. ი. იმედაშვილის პუბლიცისტიკის ენის ერთი მახასიათებელია მეტაფორული პარაფრაზით თქმა, ანუ სიტყვების (შესიტყვებების) გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება.

ცნობილია, რომ მეტაფორული პარაფრაზი სტანდარტის მიხედვით ითხზევა, როგორც სქემატურად, ისე სიტყვათა შერჩევით. მას სამი უმთავრესი ფუნქცია აქვს: **მხატვრულ-სახოვანი**, ნორმატიულ-სტილური და ეკონომიის.

ნომინაციურ აღმნიშვნელთა ჩანაცვლება მეტაფორული პარაფრაზით ამცირებს ერთი და იმავე სიტყვების ხმარების სიხშირეს, საერთოდ, პარაფრაზიც ამცირებს ერთი და იმავე სიტყვების ხმარების სიხშირეს, მრავალსიტყვიან აღწერათა გარეშე ახასიათებს საგანს (თანაც მხატვრულად), ქმნის იმგვარ ენობრივ საშუალებათა ფორმირების ბაზას, რომელთა მეშვეობითაც აიგება ტექსტი, რომელშიც ემოციური, ექსპრესიული და ხატოვანი მდგენლები სემანტიკურად ერწყმიან ინტერტექსტუალურ ინფორმაციას (1, 138).

ი. იმედაშვილის პუბლიცისტიკური ოსტატობის ერთი მახასიათებელია მეტაფორული პარაფრაზით მეტყველება. მაგალითად, აკაკის მოგონებისადმი მიძღვნილ ზემოთ ნახსენებ წერილში (1915, #10) მგოსანთან ბოლო შეხვედრას ი. იმედაშვილი ასე აღწერს:

„მგოსანმა მძიმე ნაბიჯებით გაიარა გრძელ ტალანში, მერე მოტრიალდა და ჩქარა წავიდა... სახეზე ჩვეულებრივი ღიმი ალარ უკრთოდა, **რადაც მწუხარების ღრუბელი გადაჰკროდა, თითქოს იალბუზის მთას ჟანდი მოჰხვევიაო**“.

აკაკის დამწუხრებული სახის გადატანითი მნიშვნელობით აღსანიშნად ქვეტექსტურ-მეტაფორულად იალბუზის (სიმაღლე-სიდიადის მეტაფორა) სახეობრიობა და მთას მოხვეული ჯანდი ანალოგიაა მოშველიებული. ამით კი სათქმელი გრძელი აღწერა-დახასიათების გარეშე, მოკლედ და ხატოვნად არის მოწოდებული.

მეტაფორული პარაფრაზით არის გადმოცემული, მაგალითად, ნიკო ლომოურის სულიერი მდგომარეობა წერილში „ნიკოლოზ იოსების ძე ლომოური (1852-1915)“ (1915, # 17, გვ. 1-2).

აქნ. ლომოურის შინაგანი სულიერი მღელვარება იდიომატური გამოთქმის „ცეცხლით დადაგვა“ მეტაფორული გამოყენებით არის გადმოცემული:

„...ნათლად დაინახავთ – რა ცეცხლი სდაგავდა ამ გარეგანი შეხედულებით მშვიდობიან, სათნოებით აღსავსე ადამიანს“.

წერილში „მშობელო ჩემო“ (1915, #31, გვ. 1-5) ვაჟა-ფშაველაზე საუბარში ი. იმედაშვილი ასევე წარმატებით იყენებს მეტაფორული პარაფრაზის ხერხს. აქ ერთ შემთხვევაში ვაჟას სულიერი გამძლეობის ასასახავად გამოყენებულია ცის მრისხანებისა და ხევხუვების ჩარეგვის მეტაფორულობები („არა, არ დაეცემი სულით, რაც უნდაც ამრისხანებდეს, ხევხუვნი ირეგვენოდეს!..“), სხვაგან ვაჟას სულიერ მისწრაფებათა დასახასიათებლად კეთილისმსურველთა შეუდრეკელობა (სიმტკიცე) არის გამოყენებული გადატანითი მნიშვნელობით („შენი მზიურობის მომდერალთა შეუდრეკელი სულის სწრაფვა არ გაცუდდება...“), ანდა ვაჟას პატრიოტიზმის არსის გადმოსაცემად არის მომარჯვებული მეტაფორული პარაფრაზირებული თქმა („მშვიდობით, წამებული სამშობლოს უებრო ჭირისუფალო“).

ამავე წერილში მეტაფორული პარაფრაზების ნიმუშებია:

„...ხალხი უმეტეს ხალისით დასწაფებოდეს ამ ჩვენი მწერლების გოლიათის ნაწარმოებთ“. და: „დადგა ცა ქვეყნის შუა ქედ-მოუდრეკელ სვეტად“. როგორც ვხედავთ, მეტაფორული პარაფრაზები: „მწერლების გოლიათი“, „დადგა ცა ქვეყნის შუა“, „ქედ-მოუდრეკელ სვეტად“ მოკლედ, სხარტად, სიღრმისეულად და შთამბეჭდავად, ემოციურად გადმოგვცემს სათქმელს.

საინტერესოა, რომ მეტაფორულ პარაფრაზებს ი. იმედაშვილი ზოგ შემთხვევაში გავრცელებული იდიომატური გამოთქმათა და თავად ვაჟა-ფშაველას ნათქვამის მეტაფორული გამოყენებით (გადატანითი მნიშვნელობით) ქმნის. აი, ერთი

მაგალითი: „ვაჟა ხედავდა, რომ „კეთილი ბოროტისაგან ძლეულა“ – „ჩვენს მამაპაპულ სახლს ჩამონგრევია ჭერია, ცეცხლი ჩამქრალა კერაზე და ჩვენი სახლ-კარი ბოროტ სულს დაუჭერია“.

ი. იმედაშვილის პუბლიცისტიკის კიდევ ერთი მახასიათებელია **სინტაქსური პარალელიზმი**, რომელიც მოვლენის შედარება-შეპირისპირების პრინციპით წარმოჩენას ემყარება. აქ კი ამჯერად ერთი მაგალითის მოყვანით შემოვიფარგლებით. ეს მაგალითი ორი დიდი ქართულის – ილიასა და აკაკის პიროვნული პორტრეტების წარმოჩენას ემსახურება. აკაკისადმი მიძღვნილ ზემოთ. არაერთგზის ციტირებულ ტექსტში ი. იმედაშვილი ასე ახასიათებს ორ ბუმბერაზს: „პირველი – ილია – მუდამ სევდიანი, ფიქრ-ჩაღრამვებული, კოპებშეკრული. მეორე – აკაკი – მომდომარე, სახე ნათელი, გულდია“ (1915, # 10, გვ. 10-14).

ი. იმედაშვილის პუბლიცისტიკის ენა, რომელიც მისი პუბლიცისტური ოსტატობის ერთ გამოხატულებას წარმოადგენს, არაერთ სხვა თავისებურებასაც შეიცავს და იდეოსტილის არსებობას ცხადყოფს.

დასკვნა

იოსებ იმედაშვილი თავისი პუბლიცისტური ოსტატობით, პუბლიცისტიკის ენითა და ფრაზეოლოგიით, იდეოსტილით ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური ტრადიციების გამგრძელებელია. მისი პუბლიცისტური ნაწერები ცხადყოფს, რომ იგი ხალხურ სასაუბრო სამეტყველო ტრადიციებს ემყარებოდა. ამასთან თავისი ენობრივი ცნობიერების წყალობით უზუსტესად იყენებდა სიტყვაწარმოების შესაძლებლობებს, რომლებიც ყურადღებას იქცევენ მხატვრულობით და ემოციუ-ექსპრესიულობით.

ი. იმედაშვილის პუბლიცისტიკის ენას ასევე ახასიათებს მეტაფორული პარაფრაზის, სინტაქსური პარალელიზმის ხერხებით ოსტატური ოპერირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვარაცხელია გუჩა, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1990;
2. ლევინა ტ. ს., სინონიმური რიგების შესახებ პუბლიცისტურ მეტყველებაში, „საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საკითხები“, გამოშვება I, გომელი, 1974 (რუს. ენაზე);
3. იმედაშვილი ი., აკაკი ნანგრევებზე – აკაკი ხალხში, ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, #6;
4. იმედაშვილი ი., აკაკი ძეგლი, ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, #7;
5. იმედაშვილი ი., აკაკი შთამაგონებელი (მოგონება თვალის ერთი გადავლებით), ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, #10
6. იმედაშვილი ი., ქართული სახიობა, ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, #27;
7. იმედაშვილი ი., ნიკოლოზ იოსების ძე ლომოური (1852-1915), ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, # 17;
8. იმედაშვილი ი., მშობელო ჩემო, ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, #31.

Issues of Ioseb Imedashvili's Publicist Mastery: Peculiarities of Ioseb Imedashvili's Language of Journalism

*Teimuraz Jagodnishvili, Professor
Georgian Technical University*

*Nino Danelia, PhD student
Georgian Technical University*

Summary

In Georgia, as well as in the whole world, the end of the XIX century and the beginning of the XX century proved to be crucial for the further development of the society. It was during this period that a special interest in social issues took place and young writers came to the arena, who had already been brought up in the thinking space created by the previous generation called ‘Tergdaleuli’. Most of them later lived and created their writing in Soviet Georgia and in fact are considered to be creators of Georgian literature of the twentieth century. Ioseb Imedashvili stands out among these writers working at the turn of the XIX - XX centuries with his versatile activities and interesting works.

Ioseb Imedashvili is a prominent figure of the end of the XIX century and the first half of the XX century - writer, poet, playwright, lexicologist, lexicographer, theatrical figure - director, actor, theatrical and literary critic and editor-publisher, guardian of Georgian Public Theater, prominent publicist. Under his editorship, the magazine ‘Theater and Life’, published in 1910-1925, created an era in the history of Georgian journalism, in particular, theatrical journalism.

As a publicist, he is a representative of Ilia Chavchavadze Publicist School. He creatively used the techniques and traditions of this school of publicism. The language of his publicism is based on the traditions of folk speech and represents creative development. The peculiarities of I. Imedashvili's publicistic language, idiostyle are created by amazing registers of word building, targeted use of metaphorical paraphrase, syntactic parallelism and other methods. His writing talent captures his publicist writings with a touch of distinctive artistic genre thinking. This tendency is to some extent conditioned by the ‘sign of the times’, which is reflected in the fact that in the endless cataclysms of his contemporary time, writing and its public persuasion became a tribune for the society in general to express national pain in particular.

Key words: publicism, publicistic mastery, ideostyle, metaphorical paraphrase, syntactic parallelism.

ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური უმჯობესებანი გლეხთა გათავისუფლების უმსახეობა

ნაზი გოგოლაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნ. ნიკოლაძის შეხედულებანი თითქოს იმ დებულებათა ლოგიკური გაგრძელებაა, რომელთა დამცველი იყო ჩერნიშევსკი. ნ.ნიკოლაძე ასე აფასებდა თავისი მასწავლებლის მოღვაწეობას რუსეთის საზოგადოების გამოცოცხლებაში: „... ემზადებოდა რა მომავალი, უფრო სერიოზული მოღვაწეობისათვის, მას მხედველობიდან როდი ეპარებოდა სინამდვილე. ყველა მოხერხებულ შემთხვევაში იგი ცდილობდა ასე თუ ისე დაეკმაყოფილებინა ის მოთხოვნები, რომელთაც იგი რუსეთის ჟურნალისტიკას მიზნად უსახავდა; ეს მოთხოვნები კი შემდეგი იყო: „ვასწავლოთ საზოგადოებას, იყოს იმაზე უკეთესი, ვიდრე იგი ახლა არის, ჩავუნერგოთ მას სიკეთის ცნებანი და აღმოვფხვრათ მასში საეჭვო, ხანდახან კი მავნე მოვლენებისადმი აპათია, რომელიც მას ეუფლება.“

ნ. ნიკოლაძემ კარგად გაიგო, რომ მეფის ხელისუფლება იძულებული იყო რეფორმები ჩატარებინა: იგი წერდა რომ ალექსანდრე II-ის მიერ ბატონყმობის მოსპობა არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა მისი პიტადი საქმე, მისი მოპრიანება, სახელის მოხვეჭის სურვილი, ერთი სიტყვით, არ ყოფილა ამა თუ იმ ხელმწიფის კაპრიზი. ეს სხვა არა იყო რა, თუ არა რუსეთის ხალხის განვითარების აუცილებელი მოთხოვნილება...

ნ. ნიკოლაძემ კარგად იცის, რომ რეფორმა მემამულეთა ინტერესების დაცვით ხდება. მეფის ხელისუფლება გრძნობდა რა საფრთხე მოელოდა ფეოდალებს გლეხობისაგან, თუ იგი განთავისუფლდებოდა, ნ. ნიკოლაძემ ისიც იცის, რომ მეფის მთავრობას ემინია რადიკალური რეფორმისა. ნ.ნიკოლაძეა. გერცენის („კოლოკოლში“ იმ აზრს ავითარებდა, რომ საქართველომ თავისი განვითარების სვე-ბედი რუსეთს უნდა დაუკავშიროს, ამათ „იგი უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესო მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობთ მფლობელობაზე).

ახალი თაობა, რომელიც სამოქმედო ასპარეზზე 60-70-იან წლებში გამოვიდა, ძირითად ამოცანად საგლეხო საკითხების მოგვარებას თვლიდა. „გაუადვილეთ ხალხს სხვისთვის შრომისგან თავის დახსნა, გამოიყვანეთ ის უსაქმო კაცების მონობისაგან, მიწა დაუმკვიდრეთ, მყვლეფარებისა და მუქთი მჭამელებისაგან დაიხსენით ან ასწავლეთ

თუ რა გზით დაიხსნას თავი, სასარგებლო გამოსადეგი რჩევა აძლიეთ, სიკეთე, ნამდვილი რეალური სიკეთე მოუტანეთ მას რჩევით და საქმით და მაშინ ნახეთ რომ მარტო ამნაირი საშუალებით შესაძლებელი ყოფილა, როგორც ერთობის დაარსება, ისე ხალხის ნდობის მოპოვება“.

ნ.ნიკოლაძის 70-იანი წლების აგრარული პროგრამა და იმავე პერიოდის საბანკო პოლიტიკა მჭიდროდ არის ურთიერთთან დაკავშირებული. კიდევ მეტი: აგრარული საკითხის მოწესრიგების შესაძლებელ ერთ-ერთ საშუალებას იგი ბანკების ორგანიზაციაში ხედავს.

რეფორმის შემდეგ ქართველი გლეხი სავალალო მდგომარეობაში მოექცა, იგი ისევ ფეოდალზე დამოკიდებული დარჩა, სწრაფად მიმდინარეობდა სოციალური დიფერენციაციის პროცესი, ქართველი თავად-აზნაურობის მამულები ვაჭრებისა და მევახშეების ხელში გადადიოდა. ყოველივე ამას ნიკოლაძე კარგად ხედავდა. იგი დაინტერესებული იყო მამული გლეხს დარჩენოდა და ცდილობდა საბანკო პოლიტიკა აქეთკენ წარემართა. ნ.ნიკოლაძის აზრით, რეფორმის შემდეგი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ თვით გლეხობამ გადადგას ნაბიჯი თავისი ცხოვრების მოსაწესრიგებლად.

ნ.ნიკოლაძე თვლის, რომ უნდა დაარსდეს ისეთი საზოგადოებრივი ბანკი, რომ თავდებით თანხა დანდობა მოიპოვონ და გაჭირვებული ხალხი დაიხსნან ჩარჩებისაგან. იგი წინააღმდეგია ფიზიოკრატიების დებულების თავისუფალი სამეურნეო საქმიანობის შესახებ. ნ.ნიკოლაძე წერდა: „ამის წინააღმდეგია ის მიმართულება, რომელსაც ჰქვია „საზოგადოებრივი“, ამბობს: საზოგადოება შედგება ცალ-ცალკე პირებისგან და საკუთარი სარგებლობისათვის მთელი საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ არც ერთი მისი წევრი არ დაიჩაგროს, არ წახდეს, სწორედ ესე. როგორც კი თითოეულ თავის თითს ან სხეულის ნაწილს უფრთხილდება. ცხოვრება ბრძოლაა, რომელშიც დაიარაღებული კაცი იმარჯვებს დაუიარაღებელზე.

საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ თუ ამ ბრძოლის მომლა და ჰარმონიის გამართვა ჯერჯერობით არ შეძლება, ბრძოლა ისე მაინც მიდიოდეს, რომ ყოველი მეზობელი ერთნაირად იყოს დაიარაღებული.

შესავალი

1861 წლის 19 თებეტვლის მანიფესტმა ერთბაშად

გამოაცოცხლა რუსეთის საზოგადოებრივი აზრი, ვინაიდან იგი ეხებოდა რუსეთის საზოგადოების ყველა კლასს, მისი გატარების შედეგად იცვლებოდა ურთიერთობა მემამულეებსა და ყმა გლეხებს სორის. ერთ მომენტში, რუსეთის საზოგადოებრივ აზრში თითქოს რაღაც მთლიანობა გადარჩა. 1855 წლის 3 ნოემბერს კაველინი წერდა პოგონინს: „ახლა ისეთი დროა რომ პატიოსანმა და კეთილმოაზროვნე ადამიანებმა რუსეთში უნდა დაივიწყოს პირადი ლიტერატურული და სამეცნიერო ურთიერთ უკმაყოფილება და აზრებში შეუთანხმებლობა მეორე რიგზე დატოვონ, პირველზე კი ერთიანობა, ნდობა, ურთიერთ შეთანხმება უნდა დააყენონ თუნდაც იმაში, რაშიც დათანხმება შეიძლება ასეთი შეხების წერტილები გაცილებით მეტია, ვიდრე იგი პირველი შეხედვით ჩანს. ახლა უფრო მეტად, ვიდრე არასდროს, შეიძლება იმდენადვე როგორც 1882 წელს, რუსეთი მოითხოვს ერთგულ სამსახურს თავისი სვილებისაგან და არც კი უნდა იცოდეს მათი მცირე უთანხმოების შესახებ”. ნ.გ. ჩერნიშევსკი ცდილობდა მეგობრული კავშირი ჰქონოდა სლავოფილებთან „სოვრემენნიკის’ საშუალებით, სლავოფილები თავის მხრივ მეტად აფასებდნენ „სოვრემენნიკის” მეგობრულ შენიშვნებს; მაგრამ ასეთი „ერთიანობა” და მეგობრობა” მხოლოდ ერთი მომენტი იყო, შემდეგ იწყება რეფორმის გარშემო აზრთა რადიკალური სხვადასხვაობა: ბატონყმური, ლიბერალური და რევოლუციური მიმართულებანი გამოხატავდნენ რუსეთის სხვადასხვა კლასების ინტერესებს.

ნ.გ. ჩერნიშევსკი იმთავითვე გლეხების ინტერესების დამცველად გამოვიდა . ხალხი, -წერდა ჩერნიშევსკი, - რეფორმიდან მოელის მიწას და თავისუფლებას, ე.ი. არა მარტო პირად განთავისუფლებას, არამედ ყველა იქ მიწის საკუთრებად მიღებას (მცირეოდენი გამოსასყიდი თანხის გაღებით), რომელიც მისი ოფლით არის მორწყული. იმ შემთხვევაში, თუ მეფის ხელისუფლება დაუშვებს დროებით ვალდებულების არსებობას და გლეხობას დააკისრებს დიდ გამოსასყიდი თანხის გადახდას, მაშინ ხალხში, გლეხობაში დაიბადება აზრი, რომ იგი მოატყუეს და ასეთ შემთხვევაში ქვეყანა დიდ განსაცდელში ჩავარდება. როდესაც მანიფესტის ძირითად დებულებებთან ნათელი გახდა, რომ გლეხობა მოატყუეს, ნ.გ. ჩერნიშევსკი მთელ იმედებს გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაზე, რომელმაც მაშინ ფართო ხასიათი მიიღო. თავის „უმისამართო წერილებში” ნ.გ. ჩერნიშევსკი წერდა: „როდესაც ადამიანები მივლენ იმ აზრამდე, რომ „არავისგან არ სეგიძლია მოელოდე სარგებელს ჩემი საქმისთვის”, ისინი უეჭველად და მალე გამოიტანენ იმ დასკვნას, რომ მათ თვითონ უნდა მოჰკიდონ ხელი თავიანთი საქმის წაყვანას. ყველა

პიროვნება და საზოგადოებრივი ფენები. ხალხიდან გათიშულნი ცახცახებენ მოსალოდნელი ბოლოს გამო.

ძირითადი ნაწილი

ნ. ნიკოლაძის შეხედულებანი თითქოს იმ დებულებათა ლოგიკური გაგრძელებაა, რომელთა დამცველი იყო ჩერნიშევსკი. ნ.ნიკოლაძე ასე აფასებდა თავისი მასწავლებლის მოღვაწეობას რუსეთის საზოგადოების გამოცოცხლებაში: „... ემზადებოდა რა მომავალი, უფრო სერიოზული მოღვაწეობისათვის, მას მხედველობიდან როდი ეპარებოდა სინამდვილე. ყველა მოხერხებულ შემთხვევაში იგი ცდილობდა ასე თუ ისე დაეკმაყოფილებინა ის მოთხოვნილებანი, რომელთაც იგი რუსეთის ჟურნალისტიკას მიზნად უსახავდა; ეს მოთხოვნილება კი შემდეგი იყო: „ვასწავლოთ საზოგადოებას, იყოს იმაზე უკეთესი, ვიდრე იგი ახლა არის, ჩავუნერგოთ მას სიკეთის ცნებანი და აღმოვფხვრათ მასში საეჭვო, ხანდახან კი მავნე მოვლენებისადმი აპათია, რომელიც მას ეუფლება”, ნ. ნიკოლაძე სამართლიანად შენიშნავდა, რომ „საქართველოში გლეხთა განთავისუფლების საკითხმა საზოგადოების ყველა ელემენტი ააღელვა. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში არაჩვეულებრივი ძალით განვითარდა და თავისი ბედ-იღბალი თანდათან საკითხის ასეთ თუ ისეთ გადაჭრას დაუკვშირა”.

ნ. ნიკოლაძემ სწორად გააშუქა საგლეხო რეფორმის მიზეზები. ამ მიზეზთაგან ერთ-ერთი იყო მეფის ხელისუფლების დამარცხება ყირიმის ომში. დამარცხებამ გამოამჟღავნა მეფის რუსეთის სისუსტე, რაც ფეოდალური წარმოებით ურთიერთობათა ბატონობით აიხსნებოდა. ვ.ი. ლენინი წერდა: „ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური ყუსეთს სიღამპლე და უძლურება”. ამას თან დაერთო გლეხთა აჯანყებანი.

ნ. ნიკოლაძემ კარგად გაიგო, რომ მეფის ხელისუფლება იძულებული იყო რეფორმები ჩაეტარებინა: იგი წერდა რომ ალექსანდრე II-ის მიერ ბატონყმობის მოსპობა არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა მისი პიტადი საქმე, მისი მოპრიანება, სახელის მოხვეჭის სურვილი, ერთი სიტყვით, არ ყოფილა ამა თუ იმ ხელმწიფის კაპრიზი. ეს სხვა არა იყო რა, თუ არა რუსეთის ხალხის განვითარების აუცილებელი მოთხოვნილება... ყირიმის ომის შემდეგ ხალხში ისეთი საყოველთაო დტრვინვა იყო, რომ ამას ვერ შეამჩნევდა - წინასწარ განზრახულად. განგებისად დაბრმავებული თავადაზნაურთა პარტია. ამ უკმაყოფილებას მალე მიხვდა იმპერატორი და მისი შედეგი იყო 1857 წლის ოქტომბრის რესკრიპტები.

ნ. ნიკოლაძეს მოჰყავს 1858 წლის აგვისტოში

მეფე ალექსანდრე II-ის ნათქვამი: „ბატონებო - თქვა მაშინ ალექსანდრე II-მ, ადრე თუ გვიან საჭირო იქნება ხელი მოვკიდოთ ბატონყმობის შეცვლას და საჭიროა ეს დავიწყოთ ზევიდან და არა ქვევიდან“. ნ. ნიკოლაძემ კარგად იცის, რომ რეფორმა მემამულეთა ინტერესების დაცვით ხდება. მეფის ხელისუფლება გრძნობდა რა საფრთხე მოელოდა ფეოდალებს გლეხობისაგან, თუ იგი განთავისუფლებოდა, ნ. ნიკოლაძემ ისიც იცის, რომ მეფის მთავრობას ემინია რადიკალური რეფორმისა. ნ. ნიკოლაძე ა. გერცენის („კოლოკოლიში“ იმ აზრს ავითარებდა, რომ საქართველომ თავისი განვითარების სვებედი რუსეთს უნდა დაუკავშიროს, ამათ „იგი უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესო მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობთ მფლობელობაზე). ევროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებაც საქართველოში არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის: 1, „ნ. ნიკოლაძე არ იზიარებს ა.გერცენის აზრს ევროპის სიდაძლის შესახებ. ევროპა მიაღწევს თავისი იდეალის განხორციელებას, მაგრამ ეს მას გაუძნელდება რუსეთთან შედარებით. რა უნდა მისცეს საქართველოს ამ კავშირმა? სათემო საკუთრების ფორმის გავრცელება საქართველოშიც, რომელსაც რუსეთში საკმაოდ მკვიდრი საფუძველი აქვს. ნ. ნიკოლაძე წერდა: „ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ერთადერთ ფორმას, რომელსაც შეუძლიან ამდვილისარგებლობა მოუტანოს საქართველოს. წარმოადგენს მიწისა და ყოველგვარი სხვა საკუთრების სათემო განაწილება, აგრეთვე ხალხის შრომისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საერთო ორგანიზაცია. ასეთი წყობილება სწორედ იმიტომ იქნება სასარგებლო საქართველოსათვის, რომ ყველა სხვა წყობილებაზე უკეთესად და უფრო მეტიც, მხოლოდ და მხოლოდ ის შეუწყობს ხელს, შეძლებისამებრ, ხალხის კეთილდღეობის სრულ განვითარებას, რაც თავის მხრით, ხელს შეუწყობს ხალხის გონებრივი და ზნეობრივი ძალ-ღონისა და ნიჭის განვითარებას, ყოველივე ეს ოდნავადაც არ მიგვაჩნია საეჭვოდ“, მაგრამ საქართველოში თემური წყობილების არარსებობის პირობებში ქართველებს მოუხდებათ ეროვნული მისწრაფება გვერდზე გადადონ და თვით რუსეთის გარდაქმნის მოლოდინში გაეცნონ როგორც რუსეთის საერთო მიწადმფლობელობას ისე საერთოდ მთელი სოციალური წყობილების ზირითად პრინციპებს. ნ. ნიკოლაძემ სწორად გაიგო რეფორმის აზრიც. მისი აზრით „რანაირიც უნდა ყოფილიყო გარემოება, მთავრობას უნდოდა ისეთი შედეგები მიეღო, რომ მის საყვარელ პრივილეგიან ელემენტებს მაინც შერჩენოდათ მნიშვნელოვანი

ეკონომიკური უპირატესობანი. მას უნდოდა თავისი მომავალი კეთილდღეობა. დაეფუძნებინა არა ერთი კლასის მიერ მეორის კანონით შეწყნარებულ ყმად ქცევაზე, არამედ ამ კლასთა ინტერესების ისეთ გასინჯვაზე, რომლის დროსაც პრივილეგიანი წოდება შეუმჩნეველად, თითქოს შემთხვევით, ეკონომიკური მხრით დაიმონებდა განთავისუფლებულ გლეხობას. ამ მიზნით ფიქრობდნენ გლეხებისთვის ჯერ ერთი სამოსახლო მიეცათ, ხოლო შემდეგ გადაწყვიტეს მიეცათ მათთვის უფლება ცოტაოდენი მიწა გამოესყიდათ. თავად აზნაურობა კი, თანახმად მთავრობის პროგრამისა, მიწათა უმეტესობას შეინარჩუნებდა და ვინაიდან ცხადი იყო, რომ მიწის ნაკლებობა იზულებულს გახდის გლეხებს მიწა იჯარით აიღონ ყოფილი მებატონეებისგან, იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ ერთი მხრით, თავადაზნაურობის არშევიწროებული და შედარებით კარგი მდგომარეობის გამო, თავადაზნაურობა ხელახლა ჩაიგდებდა ხელში ხალხს“. ასეთმა პოლიტიკამ გლეხობა ისევ მემამულეთა კაბალაში ჩაყარა. ნალი თაობა, რომელიც სამოქმედო ასპარეზზე 60-70-იან წლებში გამოვიდა, ძირითად ამოცანად საგლეხო საკითხების მოგვარებას თვლიდა. „გაუადვილეთ ხალხს სხვისთვის შრომისგან ტავის დახსნა, გამოიყვანეთ ის უსაქმო კაცების მონობისაგან, მიწა დაუმკვიდრეთ, მყველფარებისა და მუქთი მჭამელებისაგან დაიხსენით ან ასწავლეთ თუ რა გზით დაიხსნას თავი, სასარგებლო გამოსადეგი რჩევა აძლიეთ, სიკეთე, ნამდვილი რეალური სიკეთე მოუტანეთ მას რჩევით და საქმით და მაშინ ნახეთ რომ მარტო ამნაირი საშუალებით შესაძლებელი ყოფილა, როგორც ერთობის დაარსება, ისე ხალხის ნდობის მოპოვება“.

აგრარული პროგრამა და საბანკო პოლიტიკა

ნ. ნიკოლაძის 70-იანი წლების აგრარული პროგრამა და იმავე პერიოდის საბანკო პოლიტიკა მჭიდროდ არის ურთიერთთან დაკავშირებული. კიდევ მეტი: აგრარული საკითხის მოწესრიგების შესაძლებელ ერთ-ერთ საშუალებას იგი ბანკების ორგანიზაციაში ხედავს. ს. ხუნდაძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ნ. ნიკოლაძე „გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და აგრარული საკითხის მოწესრიგების დროს... სამგვარ საშუალებს მიმართავს: 1) გლეხებმა შეერთებულად გამოიყენონ მიწები მემამულეებისგან და დაიმკვიდრონ საერთო საკუთრებად; 2) საადგილ მამულო და სასოფლო ბანკები დაეხმარონ გლეხებს მიწის გამოსყიდვაში და შეერთებულ ამხანაგობათა დაარსებაში; 3) თვით სახელმწიფომ ითაოს მიწის გადაცემა გამოყიდვით გლეხობაზე და დააკანონოს თემობრივი წესი მიწის მფლობელობისა და მოიჯარეებისა. ვინაიდან ეს საშუალებები არ ეწინააღმდეგებოდა ერთი-მეორეს,

ამიტომ ნიკოლაძე დრო გამოშვებით ხან ერთს მიმართავდა, ხან მეორეს.

რეფორმის შემდეგ ქართველი გლეხი სავალალო მდგომარეობაში მოექცა, იგი ისევ ფეოდალზე დამოკიდებული დარჩა, სწრაფად მიმდინარეობდა სოციალური დიფერენციაციის პროცესი, ქართველი თავად-აზნაურობის მამულები ვაჭრებისა და მევახშეების ხელში გადადიოდა. ყოველივე ამას ნიკოლაძე კარგად ხედავდა. იგი დაინტერესებული იყო მამული გლეხს დარჩენოდა და ცდილობდა საბანკო პოლიტიკა აქეთკენ წარემართა. - ნ.ნიკოლაძის აზრით, რეფორმის შემდეგი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ თვით გლეხობამ გადადგას ნაბიჯი თავისი ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ბანკს. ნ.ნიკოლაძე მომხრეა ისეთი ბანკის დაარსებისა, რომელშიც საადგილმამულო ბანკის პრინციპი შერწყმული იქნებოდა ურთიერთნდობის ბანკის პრინციპთან. იგი გადაჭრით ილაშქრებს ყოველგვარი მიმზაძველობის წინააღმდეგ. ბანკის დაარსებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ის პირობები, რაც ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელია, სახელდობრ: რა განწყობილებაა ბატონებსა და ყოველ ყმებს შორის, როგორი უფლებები აქვთ მიწის მეპატრონეთ ადგილ-მამულებზე, რა კანონებს ემორჩილება მმართველობა და სამართალი, რა ეკონომიკური ტვირთი აწევს ხალხს. სხვადასხვა წესდებათაგან ნასესხები დებულებებით შეუძლებელია ერთი მთლიანი წესდების შედგენა ისეთი ბანკისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას გამოდგება.

ნ.ნიკოლაძე შემდეგნაირად აყალიბებს ჩვენში საბანკო პოლიტიკის პრინციპებს: 1) ბანკი მხოლოდ მაშინ გამოადგებათ ახლანდელი ადგილის მეპატრონეებს, როცა ნასესხები ფულით თავიანთ მამულებს გააუმჯობესებენ, ე.ი. იმ იმ ფულს იმგვარად მოიხმარენ, რომ მამულს უწინდელზე მეტი შემოჰქონდეს, იმდენი მაინც, რომ მომატებული შემოსავალი სესხის სარგებელს გადააჭარბებდეს. საჭიროა იმის ცოდნა თუ რა მოუხდება მამულს, როგორი პატრონობა და მოვლაა საჭირო, საიდან და როგორ შეიძლება სარგებლობის პოვნა და სხვ.” 2) ბანკი ყოველთვის იმ მეპატრონეს უნდა აძლევდეს უპირატესობას, რომლებიც თვითონ ამუშავებენ თავიანთ მიწა-წყალს. ეს მეპატრონენი უფრო ნაკლებად ფლანგავენ ფულს, ვინემ ისინი, რომლებიც თავის მიწას აქირავებენ და თვითონ კი უსაქმურად ქალაქებში ცხოვრობენ. ბანკს მათი სახით უფრო მეტი გარანტია ექნება

ხვედრითი ფულის რიგიან გადახდაში. 3) რაც უფრო მტკიცედ და ფიცხლად შეიძლება ვალის გადახდა, მით უფრო ადვილად მოეწყობა ვალის გაცემა. ნ.ნიკოლაძე მტკიცედ იცავს აზრს იმის შესახებ, რომ ჩვეულებრივი ბანკის საქმეა ადგილ-მამულის დაკარგვისაგან ჩვენი საზოგადოების დაცვა. ჩვენი მიწა-წყალი ჩვენივე გლეხობას უნდა დარჩეს და აღიკვეთოს ყოველი შესაძლებლობა ამ მიწების გადასვლისა ვაჭრების, მევახშეებისა და სხვათა ხელში. ნ.ნიკოლაძე ღონისძიებათა მთელ სისტემას წარმოადგენს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ეს ძირითადი ამოცანა.

დასკვნა

ნ.ნიკოლაძის აზრით, უნდა დაარსდეს ისეთი საზოგადოებრივი ბანკი, რომ თავდებით თანხა დანდობა მოიპოვონ და გაჭირვებული ხალხი დაიხსნან ჩარჩებისაგან. იგი წინააღმდეგია ფიზიოკრატიების დებულების თავისუფალი სამეურნეო საქმიანობის შესახებ. ნ.ნიკოლაძე წერდა: „ამის წინააღმდეგია ის მიმართულება, რომელსაც ჰქვია „საზოგადოებრივი”, ამბობს: საზოგადოება შედგება ცალ-ცალკე პირებისგან და საკუთარი სარგებლობისათვის მთელი საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ არც ერთი მისი წევრი არ დაიჩაგროს, არ წახდეს, სწორედ ესე. როგორც კი თითოეულ თავის თითს ან სხეულის ნაწილს უფრთხილდება. ცხოვრება ბრძოლაა, რომელშიც დაიარაღებული კაცი იმარჯვებს დაუიარაღებელზე. საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ თუ ამ ბრძოლის მოშლა და ჰარმონიის გამართვა ჯერჯერობით არ შეძლება, ბრძოლა ისე მაინც მიდიოდეს, რომ ყოველი მეზობელი ერთნაირად იყოს დაიარაღებული. საზოგადო მეცნიერებამ გამოიგონა საზოგადოებრივი ბანკი, სწორედ იმისთვის, რომ დაარღვიოს აღებ-მიცემობის თავისუფლება იმ ვაჭბატონებისა, რომელნიც ხალხს ძარცვავენ და არა იმისთვის, რომ ამ ვაჭბატონებს ხელი გაუწყოს თავისუფალ გლეხობის ძარცვაში”.

მსჯელობათა ეს წყება არ არის მოკლებული თავისებურ უტოპიზმს, რამდენადაც ნ.ნიკოლაძე ბანკს, სოციალური ცხოვრების ორგანიზატორის როლს აკისრებდა.

60-იან წლებში ნ. ნიკოლაძე რადიკალიზმისა და დემოკრატიზმის იდეების მეზარახტრეა. ყველაზე მეტად ამ იდეების თეორეტიკულ გამოხატულებას წარმოადგენდა თავისებურად გადამუშავებული და შეთვისებული ჩერნიშევსკის სოციალური და ეკონომიკური შეხედულებანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ.ნიკოლაძე „თხზულებანი“ ტ.1, თბ., 1962
2. ხუნდაძე ს., ნიკო ნიკოლაძე თბ., 1996
3. გაფრინდაშვილი მ., ქართველი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, 1998

Niko Nikoladze's economic views on the release of peasants

*Nazi Gogoladze, PhD student
Georgian Technical University*

Summary

N. Nikoladze's views seem to be a logical continuation of the provisions defended by Chernyshevsky. N. Nikoladze assessed his teacher's work in reviving the Russian society as follows: In every convenient case he tried to meet in one way or another the needs he had for Russian journalism; This demand was: "To teach the society to be better than it is now, to instill in it the notions of goodness, and to eliminate in it the dubious, and sometimes the apathy, of the harmful events which it possesses."

N. Nikoladze was well aware that the tsarist government was forced to carry out reforms: he wrote that the abolition of the dictatorship by Alexander II was by no means his petty affair, his greed, his desire to make a name for himself, in a word, was not a whim of this or that state. This was nothing but a necessary need for the development of the Russian people ...

N. Nikoladze is well aware that the reform is carried out in the interests of the landlords. The king's government felt what danger the feudal lords would expect from the peasantry if it were liberated, n. Nikoladze also knows that the king's government is afraid of radical reform. N. Nikoladze A. Gertsen (Kolokol developed the idea that Georgia should link its development to Russia, saying that "it will achieve its best sooner rather than later when it has an ally or protector" (not to mention ownership).

The new generation, which came to the fore in the 60s and 70s, considered solving peasant issues as its main task. "Make it easy for people to free themselves from the labor of others, free them from the bondage of idle men, inherit the land, save them from beggars and vultures, or teach them how to save themselves. "Only in this way was it possible to establish unity as well as gain the trust of the people."

N. Nikoladze's agrarian program of the 70s and the banking policy of the same period are closely related. Moreover, he sees one of the possible ways to settle the agrarian issue in the organization of banks.

After the reform, the Georgian peasant became in a deplorable state, he remained dependent on the feudal lord, the process of social differentiation was rapid, the lands of the Georgian nobility passed into the hands of merchants and usurers. Nikoladze saw all this well. He was interested in keeping the land as a peasant and trying to make banking policy work here. According to N. Nikoladze, the next task of the reform is for the peasantry to take a step to regulate its life.

N. Nikoladze thinks that such a public bank should be established to raise money as a guarantee and save the needy people from the framework. He opposes the Physiocrats' provision on free economic activity. N. Nikoladze wrote: "The so-called 'public' is against this, he says: the society consists of separate persons and the whole society should try not to oppress any of its members, not to become just that. As soon as he takes care of each of his fingers or any part of his body. Life is a battle in which an armed man wins over an unarmed man.

Society must strive to ensure that if this struggle is not disrupted and harmony is not yet achieved, the struggle must at least proceed in such a way that every fighter is equally armed.

„ხორავას ქუჩის საქმის“ გაშუქება

ნინო ზარბიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მკითხველისთვის შეთავაზებული სტატია ჩვენს სადოქტორო ნაშრომის თემიდან გამომდინარეობს, რომლის სათაურიცაა „ახალი ამბების გაშუქების ძირითადი ტენდენციები თანამედროვე ქართულ ტელემედიაში („რუსთავი 2“, „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“; 2018-2019წწ.).

ქართულ სამაუწყებლო ბაზარზე საკმაოდ ბევრი არხი ფუნქციონირებს, მაგრამ ყოველ მათგანს ერთნაირი წონა, სახელი და რეიტინგი არ აქვს. „რუსთავი 2“ ოპოზიციური არხი გახლდათ, რომელიც ჩვენს საკვლევ პერიოდში (2018-2019წწ.) დიდი რეიტინგით სარგებლობდა. განთქმული იყო სკანდალური და სენსაციური სიუჟეტებით, რომელთა უმრავლესობაც მოქმედი ხელისუფლების დანაშაულებრივ საქმეებსა და საქმიანობრივ გადაცდენებს ამხელდა. ტელე „იმედი“ საკმაოდ ძველი არხია, იგი კრიტიკულობით არ გამოირჩევა. „იმედის“ ეთერში გასული სიუჟეტები ლოიალურია და ხშირად თან პოზიტიური ელფერიც ახლავს. რაც შეეხება „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ნაკლებად რეიტინგული, მაგრამ ყველაზე ძველი არხია, შესაბამისად, საკუთარი წონა გააჩნია და სამაუწყებლო ბაზარზე ადგილიც დამკვიდრებული აქვს. მის ეთერში გასული სიუჟეტები მეტ-ნაკლებად ობიექტური და ნეიტრალურია.

მოცემულ სტატიაში გახმაურებული საქმის გაშუქების შესახებ გაეცნობით ინფორმაციას. ეს არის 2017 წლის ბოლოს მომხდარი ტრაგიკული ამბავი, რომელმაც ორი 17 წლის მოზარდის სიცოცხლე შეიწირა. დაპირისპირება თანატოლებს შორის მოხდა, რაც სავალალოდ დასრულდა. რადგანაც მკვლელობის ადგილი ხორავას ქუჩა გახლდათ, მომხდარს „ხორავას ქუჩის საქმედ“ მოიხსენიებენ და ამ თემაზე გაკეთებულ სიუჟეტებს, მეტწილად, სწორედ ეს სათაური აქვს შერჩეული.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ამ საკითხის გაშუქებას სამი არხის „რუსთავი 2“-ის „იმედისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მაგალითზე დავაკვირდებით და განვიხილავთ. უფრო კონკრეტულად კი, ე.წ. ფრაიმ თაიმის დროს გასული, ახალი ამბების გამოშვებებსა და კვირის შემაჯამებელ გამოშვებებზე ვკონცენტრირდებით, რადგანაც, მოგეხსენებათ, მაყურებელს მომხდარს სიღრმისეულად სწორედ ამ დროს უჩვენებენ. ამ გახმაურებული თემის გაშუქების ანალიზი ჩვენ მიერ არჩეული მედიების პრიორიტეტებს, მიკერძოებულობასა თუ ობიექტურობას უფრო

ნათლად დაგანახებთ.

საკვანძო სიტყვები: ტელევიზია, გაშუქება, ხორავას ქუჩა, მკვლელობა, მედია.

შესავალი

მედიას საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალიან დიდი როლი აქვს. იმისათვის, რომ ადამიანები ინფორმაციულ ვაკუუმში არ იყვნენ, საჭიროა ტრადიციული თუ ახალი მედიის საშუალებით სიახლეებს გაეცნონ. მიუხედავად იმისა, რომ 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების ერად არის აღიარებული, სხვადასხვა კვლევები ცხადყოფს, რომ სანდოობის მაჩვენებლით ტელევიზია მაინც უპირობო ლიდერია.

როგორც აღვნიშნეთ, სტატიაში გახმაურებული მკვლელობის საქმის გაშუქებას განვიხილავთ. საკითხის სიღრმისეულად გასაცნობად ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევას-მედიამონიტორინგის შედეგებს გაგაცნობთ. დამონიტორინგების დროს შედარებისა და შეპირისპირების მეთოდებია გამოყენებული.

ძირითადი ნაწილი

როგორც აღვნიშნეთ, „ხორავას ქუჩის საქმის“ გაშუქებით აღნიშნული ტელევიზიები ძალიან დიდხანს ინტერესდებოდნენ. სტატიაში აღნიშნული საქმის საინტერესო დეტალებზე ვკონცენტრირდებით. ჩვენ მიერ არჩეული სამივე მაუწყებელი ცდილობდა მომხდართან დაკავშირებით 51-ე სკოლის დირექტორი ჩაეწერათ, მაგრამ იგი აცხადებდა, რომ ჩხუბი სკოლის ფარგლებს გარეთ მოხდა და ინფორმირებული არ იყო.

საქმის განხილვის დასაწყისიდანვე, მაუწყებლები პირველივე სხდომას თვალყურს ადევნებდნენ და მოსახლეობას მაქსიმალურ ინფორმაციას აწვდიდნენ. თუმცა, ბუნებრივია, გაშუქებისას აქცენტებს სხვადასხვა ფაქტებსა თუ გარემოებებზე აკეთებდნენ, რასაც ნაშრომში დეტალურად განვიხილავთ. საქმის დეტალები დიდი სიხშირით შუქდებოდა „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“, ხშირი იყო ჩართვები უშუალოდ სასამართლოს სხდომიდან. სადამოს გამოშვებაში კი ჟურნალისტები ამ თემის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს აჯამებდნენ. „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ორივე მხრის რესპონდენტები ჰყავდა ხოლმე ჩაწერილი. ისინი მოწმეთა ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების შესახებ საუბრობდნენ. ერთ-ერთი ინტერვიუს დროს „საზოგადოებრივ მაუწყებელთან

პროკურორმა ზვიად ფხაკაძემ განაცხადა, რომ თავდაპირველად გამოძიება არასწორ გზას დაადგა და ბევრი შეცდომაც იყო დაშვებული. ეს სინქრონი „რუსთავი 2“-ის მიერ მომზადებულ სიუჟეტშიც იყო ნაჩვენები. ხოლო, რაც შეეხება ტელე „იმედს“ პროკურორის ეს სიტყვები არხზე არ გაუქვებულა. „საზოგადოებრივ მაუწყებელსა“ და „რუსთავი 2“-ზე მოწმეების შეცვლილ ჩვენებებზე აქცენტი ყოველთვის კეთდებოდა. უნდა აღნიშნოს ის ფაქტი, რომ სიუჟეტებში ძირითადად მეტ ყურადღებას დავით სარალიძის მკვლელობას უთმობდნენ, რადგანაც ეს საქმე უფრო ბურუსით იყო მოცული.

2018 წლის 31 მაისს, საქალაქო სასამართლომ ე.წ. „ხორავას საქმის“ პირველადი განაჩენი გამოაცხადა. ერთი ბრალდებული ლევან დადუნაშვილის მკვლელობისთვის გაამტყუნეს, მეორეს კი დავით სარალიძის მკვლელობის მცდელობა მიუსაჯეს. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წამყვანმა თავადვე აღნიშნა, რომ დავით სარალიძის მკვლელის ვინაობა დაუდგენელი იყო.

2019 წლის 3 ივნისს, კი ხორავას ქუჩის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოცხადდა, რაც ჩვენ მიერ არჩეულმა სამივე მაუწყებელმა გააშუქა. ორიდან ერთ-ერთ ბრალდებულს ბრალი დაუმძიმდა და ის დავით სარალიძის განზრახ-ჯგუფურად მკვლელობაში დამნაშავედ სცნეს. „ქრონიკამ“ ამ ფაქტს საკმაოდ დიდი დრო დაუთმო, წამყვანი აქცენტს ზაზა სარალიძის კმაყოფილებაზე აკეთებდა. ასევე, თვალში საცემი იყო ის, რომ „ქრონიკაში“ წამყვანმა რამდენჯერმე ახსენა ზაზა სარალიძის მოწოდება, რომელიც პოლიტიკოსებს მისი ტრაგედიის თავის სასარგებლოს შემოტ-რიალებას არ ურჩევდა. ეს კონკრეტული ამბავი „რუსთავი 2“-სა და „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ გაშუქდა, მაგრამ მათ მთავარი აქცენტი სარალიძის კმაყოფილებაზე გაკეთებული არ ჰქონიათ.

სასამართლო განაჩენის გამოტანის მეორე დღეს, საქმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი, მიხეილ კალანდია დააკავეს. ეს ამბავი ჩვენს საკვლევე არხებზე სხვადასხვაგვარად გაშუქდა. „იმედმა“ და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უბრალოდ პროკურატურის ბრიფინგი აჩვენა პირდაპირ

ეთერში. „რუსთავი 2“-მა კი მომხდარი განავრცო. „კურიერში“ ბევრჯერ დასვეს კითხვა, თუ რატომ გაწირა პროკურატურამ ოქროს მოწმე მიხეილ კალანდია და რატომ დააკავეს ასე მოულოდნელად, რაც „ქრონიკასა“ და „მოამბეში“ არ გაუქვებიათ.

დასკვნა

„ხორავას საქმის“ გაშუქების კვლევა ძალიან საინტერესო იყო. როგორც ვვარაუდობდით, ყველაზე მიკერძოებულად საქმის დეტალებს მაყურებელს ტელე „იმედი“ მოუთხრობდა. აღნიშნულ მაუწყებელზე საქმის სირთულესა და მოწმეების პასიურობის შესახებ საუბრობდნენ. რაც შეეხება „საზოგადოებრივ მაუწყებელს“-მეტწილად, სიუჟეტები დაბალანსებული ჰქონდათ, მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნდევდა, რომ რიგ შემთხვევებში ჟურნალისტები სამთავრობო პოზიციისკენ იხრებოდნენ. წყაროები გარკვეული რიგითობით ჰქონდათ დალაგებული. ყოველთვის, ჯერ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების მოსაზრება იყო ნაჩვენები და ბოლოში დასკვნის სახით „ქართული ოცნების“ წევრიან პროკურატურის თანამშრომელი საუბრობდა, რომლებიც ბრალდებების გაბათილებას ცდილობდნენ.

ყველაზე მეტი ექსკლუზივით „რუსთავი 2“ გამოირჩეოდა. ამ არხზე გასული სიუჟეტები „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და „იმედის“ სიუჟეტებს არ ჰგავდა. „რუსთავი 2“ გაცილებით კრიტიკული იყო, მაგრამ ფარდას ხდიდა ისეთ თემებს, რომლებსაც აღნიშნულ ორ მაუწყებელზე უბრალოდ ვერ შეხვდებოდით. რაც შეეხება ჟურნალისტების ტონს, „იმედის“ წამყვანებიც და კორესპონდენტებიც ნეიტრალური ტონით საუბრობდნენ. ტონი მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ ხსენებისას ეცვლებოდათ. ასევე იყო „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტების შემთხვევაშიც. ყველაზე მკაცრი ტონით კი „რუსთავი 2“-ის წამყვანები და კორესპონდენტები გამოირჩეოდნენ.

საბოლოო ჯამში, „ხორავას საქმე“ ქართულ მაუწყებლებზე დიდი სიხშირით გაშუქდა. შესაბამისად, საზოგადოებამ ამ საკითხზე საკმაოდ ბევრი იცოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „იმედი“, „იმედის კვირა“; 2019წ.
2. <https://cutt.ly/hmEb1Ix>
3. „იმედი“, „ქრონიკა“; 3 ივნისი, 2019წ.
4. <https://cutt.ly/ameb3wE>
5. „რუსთავი 2“, „კურიერი“; 4 ივნისი, 2019წ.
6. <https://cutt.ly/YmEb7CO>
7. „რუსთავი 2“, „შაბათის კურიერი“; 6 ივნისი, 2018წ.
8. <https://cutt.ly/jmenqrE>
9. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“; „მოამბე 9 საათზე“, 22 იანვარი, 2018; 2.20-15.34წთ.
10. <https://cutt.ly/OmEbA4V>
11. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“; „მოამბე 9“ საათზე, 31 მაისი, 2018წ.
12. <https://cutt.ly/jmEbVHj>

Coverage of the "Khorava Street case"

*Nino Zaridze, Ph.D. student
Georgian Technical University*

Summary

The article offered to the readers is based on the topic of our doctoral dissertation, entitled "Main Trends in News Coverage in Modern Georgian TV Media ("Rustavi 2", "Imedi", "Public Broadcaster"; 2018-2019).

Many channels are operating in the Georgian broadcasting market, but each of them does not have the same weight, name, and rating. "Rustavi 2" was an opposition channel, which enjoyed a high rating in our research period (2018-2019). This channel was famous for its' scandalous and sensational stories, most of which exposed the criminal schemes and business misconduct of the current government. The stories aired by „Imedi“ are quite loyal and often have a positive appearance. As for the Public Broadcaster, it is the lowest rated, but the oldest channel, therefore, it has its weight and has a place in the broadcasting market. The stories transferred through it are more objective and neutral.

In this article, you will find information about the coverage of the high-profile case. This is a tragic story of late 2017 that claimed the lives of two 17-year-olds. A confrontation took place between the peers, which ended tragically. As the place of the murder was Khorava Street, the incident is referred to as the "Khorava Street case" and the stories made on this topic, for the most part, have been chosen with this very title.

As mentioned above, we will observe and discuss the coverage of this issue on the examples of the three channels – “Rustavi 2” “Imedi” and "Public Broadcaster". More specifically, we concentrate on the news releases during weekend summaries of the so-called prime time, because, as you know, the incident is shown in-depth to the viewer at this time. Analyzing the coverage of this high-profile topic will show you more clearly the priorities, inequity, or objectivity of the media we have chosen.

Keywords: television, coverage, Khorava Street, murder, media.

პოლიტიკური ლიდერის ფორმირების თანამშრომლობა გაერთიანებული კონტინენტის

(„ნამდვილი ქართული სახელმწიფო გადატრიალება“ გზითი „გარდიანი“-ს ფორცლებზე)

თეონა ყოჩიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია პოლიტიკური ლიდერის ფორმირების თავისებურებები, 2003 წლის 6 დეკემბერს ბრიტანულ გაზეთ „გარდიანი“-ში გამოქვეყნებული შარლოტა ქითლის პუბლიკაციის მიხედვით, სათაურით „ნამდვილი ქართული სახელმწიფო გადატრიალება“. საქართველო, როგორც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა, ახალი, პროდასავლური პოლიტიკური ლიდერით, ინგლისურენოვანი პრესის ყურადღების ცენტრში, განსაკუთრებით 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში მოექცა. უცხოელად იტორიასა და შუალეობა მიეცა გასცნობოდა ამერიკული ორიენტაციის, რეფორმატორ, ახალგაზრდა იურისტს, რომელმაც უსისხლო სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა. ქართველი პოლიტიკოსის სახე ნათლად იკვეთება ინგლისურენოვან ბეჭდურ მედიაში. კვლევის საგანს წარმოადგენს მ.საკაშვილის, როგორც პოლიტიკური ლიდერის სახის ჩვენება, ანალიზი ბრიტანულ პრესაში. ამრიგად, მნიშვნელოვანი ამოცანა დგას, უცხოელი ჟურნალისტების მიერ შექმნილი პორტრეტის წარმოჩენა. იგულისხმება კვლევა და გამოვლენა ლიდერის პორტრეტისთვის დამახასიათებელი ნიშნების, რაც საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს გარკვეული ტენდენციები, კანონზომიერებები, რამდენად ობიექტური/სუბიექტური იყო აღნიშნული პრესა მ. სააკაშვილის პიროვნების გაშუქებისას.

სტატიაში, პოლიტიკური ლიდერის ფორმირების თავისებურებების შესწავლის მიზნით, კვლევის მეთოდად გამოყენებულია კონტენტ ანალიზი, კომუნიკაციური ლინგვისტიკის (ლინგვოპრაგმატიკის), ლინგვოპერსონოლოგიისა და იმაგოლოგიის მეთოდი.

აღნიშნულ პუბლიკაციაში, საქართველოში 23 ნოემბერს განვითარებული პოლიტიკურ პროცესების განხილვით გამოიხატება ბრიტანელი ჟურნალისტის მიერ „ვარდების რევოლუციის“ შეფასება, რომელსაც იგი ნამდვილ სახელმწიფო გადატრიალებას უწოდებს. აჯანყებასთან დაკავშირებული საკითხის სიღრმისეული წვდომა ბრიტანელი აუდიტორიისთვის ამოხეხისა და მისი მთავარი შემსრულებლის ნამდვილი სურათის ჩვენებაა. სტატიის ანალიზისა და კვლევის შედეგად ვლინდება, რომ პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტების, რიტორიკული

კითხვა-კომენტარის მეშვეობით პოლიტიკური ლიდერის სახის ფორმირება, მისი სრულყოფილად ჩამოყალიბების, ანტიგრმირად წარმოჩენის, მთავარი სათქმელის, იდეისკენ ზესვლის ეფექტურ საშუალებად წარმოდგება, რომელიც გამიზნულია მკითხველზე ძლიერი ზემოქმედებისთვის, რაც ემოციურ მუხტს სძენს თხრობას, იპყრობს აუდიტორიის ყურადღებასა და იწვევს ინტერესს. პუბლიკაციაში ასევე მოშველიებულია საქართველოს ყოფილ პრეზიდენტებთან შედარებების, ანალიზების, დაპირისპირების, სიმბოლოების, დეტალების გამოყენების ხერხი, რომლითაც არის წარმოჩენილი პოლიტიკოსის სახე. ამრიგად, შ.ქითლი ასეთი გზით წარმოგვიდგენს ქართველი პოლიტიკური ლიდერის, მ.საკაშვილის პორტრეტს ბრიტანულ პრესაში.

საკვანძო სიტყვები: ინგლისურენოვანი ბეჭდური მედია, „ვარდების რევოლუცია“, მიხეილ სააკაშვილი, პოლიტიკური ლიდერის ფორმირების თავისებურებები, სახელმწიფო გადატრიალება.

შესავალი

პოლიტიკური ლიდერის პორტრეტის შექმნა ჟურნალისტების ოსტატობაზე, მათ უნარსა და ობიექტურობაზეა დამოკიდებული. პოლიტიკოსის სახე-წარდგენა გარკვეულწილად შემოქმედებაა. ჟურნალისტი ამ შემთხვევაში შემოქმედის, მხატვარის, იმიჯმეიკერის როლს ითავსებს, რომელიც ქმნის, ხატავს ლიდერის სახეს. ეს შემოქმედების პროცესი კი დაკავშირებულია ჟურნალისტის პროფესიონალიზმთან. რამდენად მაღალკვალიფიციურია, მოხერხებული მისი კალამი, იმდენად ნაყოფიერია შემოქმედის ნახატი, სურათი, რომლის შედეგსაც მკითხველი ხედავს, განიცდის, აღიქვამს. მაგალითად, პოლიტიკური ლიდერის პორტრეტის დიდოსტატი, თეთრი სახლის კორესპონდენტი, პიტერ ბეიკერი ამერიკის პრეზიდენტის, ბ.ობამას შესახებ ისე წერდა, რომ საზოგადოებას შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ის მთელი ცხოვრება იცნობდა მას. ამგვარად, პრესაში პოლიტიკოსის სურათი არის პოლიტიკური ობიექტის (პიროვნების) მიზანმიმართულად შექმნილი სახე, რომელიც მიმართულია მკითხველისთვის აღნიშნული პიროვნების დადებითად ან უარყოფითად წარმოჩენაზე.

2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ დროს, პროდასავლელი ქართველი პოლიტიკოსის, მ.სა-

აკაშვილის „პოლიტიკურ სარბილზე გამოჩენამ, ინგლისურენოვანი გარკვეული ბეჭდური მედია სივრცე მოიცვა. მან სათანადო ასახვა პოვა დასავლეთის სახელმწიფოების პრესის ფურცლებზე. აღნიშნული კვლევა შეისწავლის პრობლემას— თუ როგორ არის წარმოჩენილი მ. სააკაშვილი ბრიტანულ ბეჭდურ მედიაში, დავინახოთ პოლიტიკური ლიდერის ჩამოყალიბების პროცესი, დავადგინოთ მისი, როგორც რევოლუციის გამომწვევის ფორმირების თავისებურებები. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, წარმოვაჩინოთ ქართველი პოლიტიკოსის სახე, ვაჩვენოთ თუ რა კანონზომიერებები ვლინდება კონკრეტული მოვლენის გაშუქებისას; გავანალიზოთ, რამდენად ობიექტურად აისახა ფაქტი და იკვეთება თუ არა გარკვეული ტენდენციები; კვლევის მიზანია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: რა ჟურნალისტური ხერხებით იქმნება პოლიტიკური ლიდერის პორტრეტი. დავადგინოთ, როგორ წარმოჩინდება მ. სააკაშვილი ბრიტანულ პრესაში, გმირია თუ ანტიგმირი; რომელი საკითხებით ინტერესდებიან კორესპონდენტები, ლიდერის პიროვნული მხარეებით, თუ მის მიერ გატარებული პოლიტიკით.

მოცემულ პუბლიკაციაში გამოვიყენეთ კონტენანალიზის მეთოდი, რაც მოიცავს ჟურნალისტური მასალის კონტექსტურ ანალიზს, კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებით. კვლევის ერთ-ერთ შესაძლო გზად ლინგვოპერსონოლოგიური მიდგომა დავისახეთ, რომელიც განსაზღვრავს ავტორისეულ ენას, ტექსტის პერსონაჟების მეტყველებას (მეტყველების სტრუქტურას); მოვიშველიეთ იმაგოლოგიის მეთოდი, როგორც „სახისმეტყველება“ (ანუ იმიჯოლოგია); ასევე კომუნიკაციური ლინგვისტიკის, კერძოდ ლინგვოპრაგმატიკის, სამეტყველო აქტების თეორიის პრინციპები.

საქართველო დასავლეთისთვის საინტერესო ქვეყანაა. ამერიკა და ბრიტანეთი მოკავშირე სახელმწიფოებია, თუმცა მათი პოლიტიკური მიზნები და მისწრაფებები ჩვენი რესპუბლიკის მიმართ ერთმანეთთან თანხვედრაში არ მოდის. შ.ქითლის პიბლიკაციაში მთავარი თემა უკავია „ვარდების რევოლუციას“. მასში საუბარია საქართველოში განვითარებულ პროცესებზე „ძირითადი აქცენტი გამახვილებულია სიტყვა „აჯანყების“ კონოტაციაზე. „ნამდვილი“ სახელმწიფო გადატრიალება და „კარგად დაგეგმილი დრამა“—დამატებითი, თანმდევი მნიშვნელობაა ამ ენობრივი ერთეულის, რომელსაც ავტორი განგებ იყენებს, ამბავის იმპლიციტური კოდირებისას და რომლითაც იგი წარმოაჩენს ახალ ამბავს. სტატიიდან აშკარად იკვეთება ბრიტანული პრესის პოზიცია ჩვენი ქვეყნის მიმართ, რომ მისთვის მიუღებელია აღნიშნული ამერიკული პროექტი. ამგვარ დამოკიდებულებას მოჰყვება სემნატიკურ კავშირში მყოფი „გმირის“

გადაფასება. ხდება აღნიშნული კონცეფციის ტრანსფორმირება ორ განსხვავებულ, ბრიტანულ და ამერიკულ კონტექსტში. ტექსტის შინაარსიდან ცხადდება, რომ ლიდერი, რომელიც არის აჯანყების ხელმძღვანელი და სათავეში უდგას რევოლუციას, სინამდვილეში (სრულებით) არ არის გმირთან იდენფიცირებული პიროვნება. ამერიკის ბეჭდურ მედიაში მ. სააკაშვილის საგულდაგულოდ შექნილი პორტრეტი, რომელშიც ის გაიდიალიზებულია, ბრიტანულში— დეზავუირებულია. სწორედ აქ ემიჯნება ბრიტანული პრესა ამერიკულს, სადაც მ. სააკაშვილი უმეტესად შექმნილია, ამერიკელი მკითხველი აღიქვამს მის დადებით იმიჯს და არა პოლიტიკური ლიდერის ნამდვილს სახეს.

საინტერესოა სტატიის სტრუქტურა, რაც ავტორის მხრიდან პუბლიკაციის მთელი შინაარსის გადმოცემას ემსახურება. ფაქტიურად, ბრიტანელმა ჟურნალისტმა ძირითადად რიტორიკული ფიგურების გამოყენებით ააგო პუბლიცისტური წერილი და მასზე დაყრდნობით შემოგვთავაზა არგუმენტირებული დასაბუთება. მან ასეთი ხერხით ღრმა ანალიზი გაუკეთა საქართველოში მომხდარ ამბოხს. სამი შეკითხვის დასმით შ.ქითლიმ, (თუ ვინ ხელმძღვანელობდა რევოლუციას, ვის მიერ იყო ეს ყველაფერი დაგეგმილი და რატომ,) ანუ რიტორიკული კითხვა—კომენტარით, აშკარად გამოკვეთა მ. სააკაშვილის, პოლიტიკური ლიდერის მთავარი როლი სახელმწიფო გადატრიალებაში, რომლის ფონზეც აისახა მისი ნამდვილი, რეალური და არა ხელოვნურად შექმნილი პორტრეტი ბრიტანულ პრესაში.

ძირითადი ნაწილი

ბრიტანელი ჟურნალისტი, შ. ქითლი პუბლიკაციაში ფართოდ აშუქებს „ვარდების რევოლუციის“ თემას და მის მთავარ აქტორს, შემსრულებელს, მ. სააკაშვილს. მოცემული პუბლიცისტური წერილის შესწავლა—განალიზების საფუძველზე ვლინდება პოლიტიკური ლიდერის ფორმირების თავისებურებები.

სათაური მთლიანად შეესაბამება ტექსტში გაანალიზირებულ რევოლუციის თემას. საინტერესოა ის გარემოება, რომ ავტორი შევარდნამის ხელისუფლების დამხობას ნამდვილ სახელმწიფო გადატრიალებას უწოდებს. აქ სიტყვა „ნამდვილი“ ობიექტური სინამდვილის ამხსნელი დეტალია, რასაც ავტორი სიმძაფრით უსვამს ხაზს. მასში ჟურნალისტის შეფასებაც იგრძნობა. ამ ერთი დამახასიათებელი შტრიხით, დეტალი—სახით ხდება პოლიტიკური მოვლენის არსის მინიშნება, რომ ეს რეალურად სახელმწიფო პუტჩი იყო და არა რევოლუცია.

ბრიტანელი ჟურნალისტის მიზანია ამბოხების მთავარი გმირის, მ. სააკაშვილის პორტრე-

ტის ჩვენება. ამ მიზნის მისაღწევად, იგი რიტორიკული კითხვა-კომენტარის საშუალებით აგებს პოლიტიკური ლიდერის სახეს. პირველ კითხვაზე კომენტარის მეშვეობით ადასტურებს, რომ სააკაშვილი პროამერიკული პოლიტიკოსია. მეორის მიხედვით, ის წარმოგვიდგება როგორც ლიდერი, რომელიც გუნდთან ერთად მუშაობს. ხოლო მესამის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების სერიოზული კანდიდატია. რიტორიკული კითხვა-კომენტარის ხერხის გამოყენებით პოლიტიკური ლიდერის სახის შექმნა ავტორს, უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია. ის მკითხველის თვალსაზრისიდან გამომდინარე საინტერესო საკითხებს ეხება და აუდიტორიას ინფორმაციას ამომწურავად აწვდის. ჟურნალისტი მ. სააკაშვილის პოლიტიკური ლიდერის სახეს ზ. გამსახურდიასთან შედარების ხერხით ქმნის. პუბლიცისტს ტაქტიკური ხაზით მიჰყვას მკითხველი, რათა ნეგატიური კუთხით გამოავლინოს მისი სახე. ახალგაზრდა პოლიტიკოსის ორატორობა მიმგავსებულია ყოფილ პრეზიდენტთან, რამაც ზოგიერთი ადამიანის აღშფოთება გამოიწვია. ავტორი, ამხანაგების ნათქვამიდან გამომდინარე, მსჯელობს და მათ განცხადებას არგუმენტად იმოწმებს. „მეგობრებმა მითხრეს, რომ ისინი შემფოთებულები იყვნენ მისი რიტორიკით, რომელიც ახსენებდათ 1991 წელს არჩეულ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას [...]“ ისტორიული ანალოგიის გამოყენებით, შ. ქითლი, მთავარ პერსონაჟს ძველ ლიდერს ამსაგვსებს, თუმცა აღნიშნავს, რომ მიუხედავად მისდამი ნეგატიური დამოკიდებულებისა, მ. სააკაშვილს მრავალი მხარდამჭერი ჰყავს. ამ მონაკვეთში იკვეთება „ენობრივი პიროვნების“ სპეციფიკა. ლინგვო-პერსონოლოგიური კვლევის თვალსაზრისით, აქ ხაზგასმულია მთავარი პერსონაჟის რიტორიკა, მჭერმეტყველება, ენა. ამ შემთხვევაში მკითხველი მ. სააკაშვილს ხედავს როგორც „ენოვრივ-პიროვნებას“.

გმირის იდენტიფიკაცია ტექსტში ხდება მთავარი პერსონაჟის განსაზღვრული ფუნქციისა და როლის აღნიშვნით. პუბლიცისტურ წერილში, მხოლოდ ორ მონაკვეთში გვხვდება გმირობის ამსახველი კადრები, სადაც მ. სააკაშვილმა დაამარცხა შევარდნაძის უშედეგო მმართველობა. ჟურნალისტი განგებ უწოდებს ქვეყნის პირველ პირს „მოხუც დრაკონს“, რათა ე. შევარდნაძე ბოროტების სიმბოლოდ აქციოს, ხოლო ახალბედა ლიდერი ხალხის მხსნელ რაინდად წარმოაჩინოს. ავტორის ეს ნათქვამი ითვლება მ. სააკაშვილის გმირულ საქმეებად. მაშასადამე, პერსონაჟის საქციელი, მოქმედება, ანუ მისი ფუნქცია განსაზღვრავს, რომ ახალგაზრდა პოლიტიკოსი გმირია. განვიხილოთ ეს როგორც ამოსაცნობი მარკერი, რომელიც

დაკავშირებულია მის გმირობასთან. სტატიაში, შ. ქითლი მიმართავს პუბლიცისტური ტექსტის კომპოზიციური ელემენტების გამოყენების მეთოდს. „მოხუცი დრაკონი“ სიმბოლიზებული დეტალია, მეტაფორა, რომელშიც იკვეთება ავტორის პოზიცია. მასში გადმოცემული ქვეტექსტი მიმანიშნებელია სიტუაციის სიმამფრეზე და პოლიტიკურ შეფასებაზე. ამგვარად, მოცემულ ფრაგმენტში გამოყენებულია ორი ლიდერის შეპირისპირებითი ანალიზი. მხოლოდ ერთგან, ამბოხების ხელმძღვანელის ფუნქციის გახაზვითა და სახელმწიფო გადატრიალებაში მნიშვნელოვანი როლის შეტანის იდეით, სტატიაში ხდება გმირის იდენტიფიცირების მარკირება (მონიშვნა). აქვე უაროვითი განწყობაც იგრძნობა ახალგაზრდა პოლიტიკოსის მიმართ, რომელსაც ავტორი ამყარებს საკუთარი ციტატით: მან “შეაცდინა არა მარტო ხალხი, არამედ საერთაშორისო საზოგადოება იმაში დარწმუნებით, რომ ეს იყო სახალხო აჯანყება.“ აღნიშნული წინადადებიდან ვლინდება შ. ქითლის ობიექტური დამოკიდებულება მ. სააკაშვილის მიმართ. ამგვარი კრიტიკა, ყველას მოტყუების მცდელობა, სააკაშვილს გმირის რეალური სურათისგან ამორებს. პოლიტიკური ლიდერის სახე, რომლის შექმნაზეც მუშაობს ჟურნალისტი განიცდის დეფორმაციას. ეს განპირობებულია იმითაც, რომ კორესპონდენტი ცდილობს დაანგრიოს პოლიტიკოსის პოზიტიური სახე-წარდგენა მკითხველის თვალში და შექმნას უარყოფითი კონტრიმიჯი. აქ კონტექსტი განსაზღვრავს გმირის კონცეფციას და არა მისი როლი. მაშასადამე, მ. სააკაშვილი სტატიაში ანტიგმირად იდენტიფიცირდება, რომლის თვისობრივ მარკერად ტყუილი გვევლინება.

ავტორის მიზანს წარმოადგენს 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ თემის განხილვა, დეტალების სააშკარაოზე გამოტანა და ამბოხების მთავარი გმირის, მ. სააკაშვილის მხილება. „ვარგად დაგემილი დრამა“ ასე უწოდა ჟურნალისტმა საქართველოში მომხდარ აჯანყებას. შ. ქითლი ამ სიტყვებით ხაზს უსვამს ამბოხების ინსცენირების საკითხს. იგი გამორიცხავს 50000 –მდე მოქალაქის რევოლუციაში აქტიურ ჩართულობას. ავტორი, მილოშევიჩის ხელისუფლების დამხობის მაგალითზე შემუშავებული ტრენინგის გასაჯაროებით, ცდილობს მკითხველი საქმის კურსში ჩააყენოს. იგი სვამს პირველ რიტორიკულ კითხვას, თუ ვინ გადაწყვიტა ხელისუფლების შეცვლა საქართველოში და კომენტარის საშუალებით ცდილობს უჩვენოს ბრიტანელ მკითხველს, რომ ვარდების რევოლუცია საქართველოში ამერიკელების დადგმული სპექტაკლია, რომლის მთავარი პერსონაჟი მიხეილ სააკაშვილი გახლავთ. ჟურნალისტის ნათქვამის ილოკუციური მიზანი გულისხმობს ისეთ დირექტიულ აქტს, რომელიც მიმართულია

მკითხველის დარწმუნებაში 2003 წლის რევოლუციის რეალობის წარმოჩენაში.

ჟურნალისტის ყურადღება რევოლუციის მთავარი წინამძღოლის პროდასავლურ ორიენტაციაზე გამახვილებული. ავტორისეული მოსაზრება ლიდერის შესახებ, მისივე ციტირებით მყარდება “საკაპშვილი არის აშშ-ს გაწრთვნილი იურისტი”. პოლიტიკური ფიგურის პროამერიკული გეზის საჩვენებლად და აუდიტორიის დასარწმუნებლად შ.ქითლის საამკარაოზე გამოაქვს ქართველი ლიდერის კავშირი ამერიკის ხელისუფლებასთან. იგი საგანგებოდ აღნიშავს ფაქტს, რომ ახალგაზრდა პოლიტიკოსი ზურაბ ჭვანიასთან ერთად წინა რევოლუციურ ტრენინგს უძღვებოდა, სერბების ხელმძღვანელობით. ამერიკაში მათ ვიზიტს სწორედ ამ საკითხს უკავშირებს. უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის, ჟურნალისტი დაპირისპირების ხერხს ირჩევს. შვეარდნაძის ანტიდასავლური ურთიერთობების საპირისპიროდ, აშკარად გამოკვეთს ახალგაზრდა ლიდერის დასავლურ ორიენტაციას. გაკრიტიკებული ყოფილი პრეზიდენტი, ორმაგი თამაშის გამო, ავტორის მსჯელობიდან გამომდინარე, ამერიკის ინტერესში აღარ შედის. შ.ქითლის აზრით, ამერიკელების მყარ დასაყრდენს საქართველოში მ.საკაპშვილი წარმოადგენს. ავტორმა „ვარდების რევოლუციაში“ ქართველი ლიდერის აქტიური ჩართულობის სამხილებლად, ისეთი კითხვა დასვა, რომელზეც პასუხი გაცემულია. “[...]კარგად დაგეგმილი დრამა, სადაც სააკაპშვილი ამერიკული კასტინგიდან იყო მთავარი როლის შემსრულებელი?” მოცემული რიტორიკული კითხვით ჟურნალისტმა ექსპლიციტურად გადმოსცა პუბლიკაციის არსი. რადგან უფრო მეტია ნაგულისხმევი, ვიდრე თქმული, საკითხის პრაგმატული კუთხით შესწავლისას, გავითვალისწინებთ მის კონტექსტუალურ მნიშვნელობას. იქმნება მოსაზრება, რომ მ.საკაპშვილი იმ გავლენიანი პოლიტიკოსების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც შესწევთ ძალა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინონ ქვეყანაში. აღნიშნული წინადადება (არა მტკიცებითი ფორმით) საკმარისია მკითხველზე ზემოქმედებისათვის, დასაფიქრებლად. სათქმელის არაპირდაპირი გზით გამოხატვისას, ჟურნალისტი თითქოს თავს არიდებს კითხვაზე პასუხს. ამავდროულად, პუბლიცისტი წინ აყენებს მკითხველის ხატს და შემარბილებელი საშუალებით, რიტორიკული ფიგურებით ანუ ირიბი სამეტყველო აქტებით, არბილებს მისი სახის შელახვის საშიშროებას. თუმცა ავტორის თანამშრომლობითი პრინციპი ვალიდურია, ბრიტანელი აუდიტორია ცდილობს გამოიცილოს რატომ გააკეთა პუბლიცისტმა ეს და ახდენს მისი ნათქვამის დეკოდირებას, ინფორმაციის სწორად აღქმას.

ავტორი სათაურში გამოთქმულ მოსაზრებას პუბლიკაციის დასკვნით ნაწილში ამტკიცებს. შ.ქითლის, ლეიბორისტული პარტიის ლიდერის კომენტარი (რომლის სახელსაც იგი არ ასახელებს) არგუმენტად მოჰყავს: „ეს არ იყო სახალხო რევოლუცია. ეს იყო გადატრიალება შენიღბული ყველაზე დიდი ქუჩის პარტიით, რომელიც თბილისს ოდესმე უნახავს.“ სწორედ აღნიშნული წინადადება წარმოადგენს სტატიის იდეას. შ.ქითლი დასასრულს ამბობს ძირითად სათქმელს. აქ ბრიტანელი კორესპონდენტის შეფასებაც იკვეთება ცალსახად. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ავტორისეული დასკვნა და სათაური მხოლოდ ერთ მოსაზრებას ემსახურება. (სერლის მეტყველების აქტის თეორიის მიხედვით,) აღნიშნულ გამონათქვამში ავტორის მიერ გამოთქმული მეორე წინადადება ასრულებს ორ ილოკუციურ მოქმედებას. პირველადი აქტი „რომელიც უარყოფს პირველ წინადადებას „ეს არ იყო სახალხო რევოლუცია“ და მეორე-იმის მტკიცებით, რომ „ეს იყო გადატრიალება“. ეს უკანასკნელი კი ასრულებს მეორეხარისხოვან ილოკაციურ მოქმედებას „სახელმწიფო გადატრიალების შესახებ მტკიცებითი წინადადების წართქმისას, რომელსაც თავისი პირდაპირი მნიშვნელობით აქვს მტკიცების ჩვეულებრივი ძალა და აღნიშნავს ამ მოქმედებას როგორც პირდაპირ აქტს.

როგორც სტატიიდან ჩანს, ქართველი ლიდერი აშშ-ს ადმინისტრაციის პოლიტიკური დავალების იდეალური შემსრულებელი აღმოჩნდა. ავტორისეული პოზიცია იმპლიციტურად გამოიხატება სტატიაში. ჟურნალისტი იყენებს მიუკერძოებელ სტილს, როგორც ადრესანტი ადტესატს უტოვებს უფლებას გაანალიზოს მიწოდებული იფორმაცია. ეს არის უარყოფითი სახე ანუ უარყოფითი თავაზიანობა, სტრატეგია, რომელითაც ჟურნალისტი ახდენს დამოუკიდებლობის ხაზგასმას და გამოხატავს მკითხველის ანუ ადრესატის დამოუკიდებლობისადმი პატივისცემას.

დასკვნა

კვლევიდან ნათელი ხდება ბრიტანული საინფორმაციო საშუალებების როლი და ფუნქცია საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. სტატიაში, ჟურნალისტი ობიექტურად, დიად საუბრობს 2003 წლის „ვარდების რევოლუციაზე“ და მის მთავარ პერსონაჟზე. მთავარი იდეა მკითხველის ინფორმირება, საქართველოში მომხდარი აჯანყების თემისა და მასში მ.საკაპშვილის, აქტიური ჩართულობის შესახებ, ბრიტანელი აუდიტორიისათვის სიმართლის ჩვენების გზაა. ავტორმა მიზანი, პოლიტიკური ლიდერის პორტრეტის ფორმირების პროცესი სიღრმისეულად ასახა. ჟურნალისტმა ლოგიკური თანმიმდევრობით, შესაბამისი არგუმენტების მოშველიებით, სა-

კითხი ამომწურავად მიაწოდა მკითხველს. პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტების, რიტორიკული კითხვა-კომენტარის ფორმის საშუალებით, ასევე ანალოგიების, შედარებების, დაპირისპირებისა და სიმბოლოების გამოყენებით, ბრიტანელმა კორესპონდენტმა ააგო პოლიტიკური ლიდერის სახე.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ტექსტში გამოყენებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო ტექნიკა. სამეტყველო აქტები, კერძოდ, ირიბი მეტყველების, უაროფითი თავაზიანობის სტრატეგია, რომელიც მოიცავს რიტორიკულ შეკითხვებს, მეტაფორას (მოხუცი დრაკონი). კვლევამ აჩვენა, რომ შ.ქითლი იყენებს სამეტყველო აქტის რამდენიმე ტიპს: 1) ასერტივებს-ტექსტში ასეთი წინადადებები მრავლადაა, ისინი ჭეშმარიტების მაჩვენებლებია და გამოხატავენ ჟურნალისტის საკუთარ შეხედულებას რევოლუციის მოვლენისადმი; 2) ექსპრესივებს-„ნამდვილი ქართული სახელმწიფო გადატრიალება“, „კარგად დაგეგმილი დრამა“. ეს სიტყვები გადმოსცემენ ავტორის გრძნობებს, ემოციებს. ზოგიერთ შემთხვევაში

ჟურნალისტი ითვალისწინებს მკითხველის სახის შელახვის საშიშროებას და შემარბილებელი საშუალებებით, რიტორიკული ფიგურებით, გადმოსცემს ინფორმაციას.

ამგვარად, სტატიაში კითხვითი სამეტყველო სტრატეგიების გამოყენებით ცხადდება აღნიშნული პუბლიცისტური ტექსტის არსი და კომენტარებით დასტურდება, რომ რევლუციის მთავარი გმირი მ.სააკაშვილია, ხოლო დამკვეთი პირები-ამერიკელები, უშუალო ხელმძღვანელები-კი სერბები. პუბლიკაციაში, რიტორიკულ კითხვათა ჯაჭვი აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებისა და მისი თანაზიარად ქცევის საუკეთესო ხერხად მიაჩნია ავტორს. შ.ქითლი ამგვარ მეთოდს იყენებს მკითხველზე ეფექტის მოსახდენად და ასეთი გზით ნათელს ჰფენს რევოლუციაში, მ.სააკაშვილის, მთავარ აქტორად წარმოჩენის იდეას. რიტორიკული ფიგურები ტექსტში გვევლინება პოლიტიკური ლიდერის ფორმირების ძირითად ბირთვად, ელემენტებად, რომელთა საშუალებით იკვეთება სტატიის მთავარი აზრი, შინაარსი, ავტორისეული პოზიცია.

ლიტერატურა:

1. Keatley, Charlota “A very Georgioan coup”, The Guardian, 6 December, 2003
2. ტყეზურაძე დ. „პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტები (ფუნქციურ-ტიპოლოგიური ანალიზი)“. თბილისი 1997
3. Geis M.L. Speech acts and conversational interaction. Cambridge University Press, 1995

*Teona Kochiashvili, PhD student
Georgian Technical University*

Summary

The article discusses the peculiarities of the formation of a political leader, according to an article by Charlotte Keatley published in the British newspaper "Guardian" on December 6, 2003, entitled „A very Georgian coup”. Georgia, as a post-Soviet republic with a new, pro-Western political leader, came into the spotlight of the English-language press, especially during the 2003 Rose Revolution. The foreign audience was given the opportunity to get acquainted with an American-oriented, reformist, young lawyer who carried out a bloodless coup. The face of the Georgian politician is clearly visible in the English-language print media. The subject of the research is the analysis of M. Saakashvili as a political leader in the British press. Thus, the important task is to present the portrait of M. Saakashvili created by foreign journalists. It means researching and revealing the features of a portrait of a leader, which allows to identify certain tendencies, regularities, how objective / subjective the press was in covering the person of M. Saakashvili.

In the article, in order to study the peculiarities of the formation of a political leader, the method of research used is content analysis, the method of communicative linguistics (linguopragmatics), the method of linguistic personology and imagology.

In this publication, a review of the political processes in Georgia on November 23 reveals the British journalist's assessment of the "Rose Revolution", which he calls a real coup d'etat. In-depth access to the issue of the uprising is a real picture for the British audience of the rebellion and its main performer. The analysis and research of the article reveals that the formation of the face of a political leader through the content elements of the publicist text, rhetorical question-comment, is an effective means of its perfect formulation, anti-hero presentation, main message, idea, which is aimed at influencing the reader, which evokes emotional charge, attracts the attention of the audience and arouses interest. The publication also uses the way of comparing, confronting, analogies, symbols and details with the former presidents of Georgia, which shows the face of the politician. Therefore, a portrait of Georgian political leader M. Saakashvili is presented by C. Keatley in the British press in such a way.

Key words: English-language print media, "Rose Revolution", Mikheil Saakashvili, Peculiarities of forming a political leader, coup d'etat.

მედი-ბიზნისის ციფრული სტრატეგია მედიის მოხმარების შეცვლაში

თამარ ჭეჭია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ციფრულ ხანაში მედიის მოხმარების ცვლილებებსა და მედია ბიზნისის ახალი სტრატეგიული გადაწყვეტილებების წარმოქმნას შორის ურთიერთმომართების საკითხი მნიშვნელოვანია. ტექნოლოგიური ცვლილებები მედია გარემოში ახალი პროცესების მთავარი კატალიზატორია; ციფრული მედიის წარმატებული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ აუდიტორიის ქცევის საფუძვლიანი შესწავლით, ციფრული გარემოს სტრატეგიების უახლესი, მაგრამ უკვე აქტიურად გამოყენებული კლასიფიკაციის საფუძველზე. მედიაპროდუქტის მწარმოებლებისა და მომხმარებელთა ქცევა ოპერატიულ ფაქტორებსა და ბიზნეს-სტრატეგიებს შეეხება. ის მომხმარებლებისა და საკომუნიკაციო გარემოს პირობებს და ტენდენციებს განსაზღვრავს. ცვალებადი საკომუნიკაციო გარემო გავლენას ახდენს მედია-პლურალიზმზე; მედიაშინაარსის შესწავლა, როგორც რადიკალიზმი, ასევე თვისობრივი თვალსაზრისით, საშუალება იძლევა განისაზღვროს მედიის პლურალიზმი, მედიის სტრუქტურა და ეკონომიკა, ახალი შესაძლებლობების გავლენა, თუ რამდენად მოქმედებს ის მედიის შინაარსზე. მედიაბაზარზე განხორციელებული ცვლილებები, რეიტინგი, წარმოება, გაყიდვები, ძირითადი მიმართულებები და ეკონომიკური საფუძვლები მედიაბიზნისში მედია-სისტემის ეკონომიკურ ფაქტორებს წარმოადგენს. არსებული წყაროების ანალიზი აჩვენებს, რომ დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის თანამედროვე მედიასაწარმოების საქმიანობას მართვის, კონტროლის და მარკეტინგის ერთნაირი პრინციპები აქვს, რომელიც მედიაინდუსტრიის ევოლუციის პარალელურად იცვლება; თანამედროვე მედიაეკონომიკა გარკვეულწილად მედიამენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს; ის განიხილავს საწარმოს მართვის ეკონომიკას, როგორც ძირითად ნაწილს და მართავს მედიასაწარმოების ეკონომიკურ საქმიანობას. აქ ძირითადი პრიორიტეტებია: ორგანიზაციის სტრუქტურის დაგეგმვა, ხარჯთაღრიცხვა და კონტროლინგი, კადრების მართვა და მარკეტინგი.

საკვანძო სიტყვები: ციფრული სტრატეგიები, ციფრული ტრანსფორმაცია, მარკეტინგი, ონლაინ-მედია-ბიზნისი

შესავალი

მედია სისტემაში ინოვაციებმა, რომელიც დაკავშირებულია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან, მედიაბაზარზე ფართომასშტაბიანი ცვლილებების მექანიზმი შექმნა. დღესმასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პროცესები - კონვერგენცია, მულტიმედია და გლობალიზაცია მოითხოვს მედია-ეკონომიკის ბიზნეს-მოდელის ადაპტირებას ციფრულ რეალობასთან, ახალი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიერ და შეერყვას. ახალ პირობებში იზრდება აუდიტორიის, თანამედროვე მედიასისტემის ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობა. ახალი ტექნოლოგიები ცვლის მედიის მოხმარების ბევრ მახასიათებელს, მომხმარებელი აქტიური ხდება და ტრადიციული ბიზნეს-მოდელი აღარ აკმაყოფილებს ციფრული მედია-სივრცის ყველა მოთხოვნას. აღნიშნული ფაქტორები ციფრული ტრანსფორმაციის, ბიზნეს-სტრატეგიების ფორმირების მიმართულებებისა და ცვალებადი მედიის მოხმარების გაანალიზებას მოითხოვს. მედიის ეკონომიკური მოდელის ადაპტირება ციფრული რეალობის პირობებში მიმდინარეობს; „ციფრული ტრანსფორმაცია“, როგორც კონცეფცია ნიშნავს ბიზნისის განვითარების პროცესს და ტექნოლოგიურ ცვლილებებს დაწყებული გაყიდვამდე, რომელიც გავლენას ახდენს ღირებულებათა ჯაჭვის ყველა ეტაპზე. უახლესი მედია-ტექნოლოგიების და საზომი ინსტრუმენტების გამოყენება აქტიური აუდიტორიის ქცევის გასაგებად, ხელს უწყობს ბიზნეს-მოდელის შემუშავებას და ძირითადი მიმართულებების დადგენას. ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზნისის სკოლის პროფესორი კლეი კრისტენსენი, სტატიის ერთ-ერთი ავტორი **"ბიზნისის მოდელის განახლება"** განმარტავს ბიზნეს-მოდელის მუშაობას და გვთავაზობს მიდგომას, რომელიც ფოკუსირებულია მომხმარებელთა ღირებულებებზე. აქ პირველი ეტაპი **"სამომხმარებლო შეთავაზების"** შეფასება და საჭიროებების შესწავლაა, რომელიც საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ მოგების ფორმულის ის ელემენტები, რომელიც მოდელს უფრო კონკურენტუნარიანს გახდის - იქნება ეს ახალი პროდუქციის განაწილების სისტემა თუ წარმოებისადმი განსხვავებული მიდგომა. ციფრული ტექნოლოგიები ცვლის არა მხოლოდ მედიის მუშაობის პრინციპებს, არამედ

მომხმარებელთა წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმუშაოს მედიამ. დიגיტალიზაციის წყალობით, უახლესი ბიზნეს-მოდელების გამოყენების საშუალებით მედიას მოგების უამრავი შესაძლებლობა ეძლევა, მაგრამ რადიკალური ცვლილებები შეიძლება იყოს ძალიან ძვირი, რთული და სარისკო; შესაძლოა, ნაკლებად რევოლუციური, მაგრამ უფრო ღირებული შესაძლებლობები შეიქმნას მედიის ბიზნეს-მოდელების, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ძირითადი ნაწილი

დღეს მედიის მენეჯერები აქტიურად მუშაობენ ისეთი სააგენტოების მოსაზიდად, რომლებიც დაეხმარებიან მედია-კომპანიებს თავიდან აიცილონ გლობალური ციფრული ტრანსფორმაცია. კრეატიული სააგენტოები სპეციალიზირდებიან მომხმარებლებთან უფრო მჭიდრო კავშირში, ახალი ტექნოლოგიების, ბაზრის პირობების და სამომავლო პროგნოზების გათვალისწინებით, გაიგონ, თუ რა შეესაბამება ამ ცვლილებებს. - „განახორციელეთ ახალი პროექტები პროტოტიპებისა და სატესტო ვერსიების სახით, რათა მედიამ გააცნობიეროს სამომავლო ტენდენციები.“ - ამბობს ჰოვარდ კინგი. მედიის ამგვარი ეტაპობრივი "ევოლუციის" ალტერნატივა აუდიტორიასთან უშუალო და მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა. ამრიგად, აუცილებელი ხდება არა მხოლოდ მედიის მომხმარებელთა ქცევისა და გამოხმაურების გათვალისწინება, არამედ აუდიტორიისათვის მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების ეფექტური გზების მუდმივი ძიება, ეს უნდა იყოს სტანდარტული პრაქტიკა (Picard, 2011). ამიტომ, ციფრული მედიის მოხმარების პირობებში, მედია მენეჯერები მიმართავენ ახალი მედია-ბიზნესის სტრატეგიების შექმნას და განვითარებას, სადაც ციფრული სტრატეგია, როგორც ბიზნეს-მოდელის ნაწილი, არის ციფრული შესაძლებლობების იდენტიფიცირების, ფორმულირებისა და განხორციელების პროცესი, რამაც შეიძლება გაზარდოს კონკურენტული უპირატესობა. გასათვალისწინებელია ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები, როგორცამასმედიისაუდიტორიისსტრუქტურისა და ქცევის შეცვლა, საზოგადოების სტრუქტურა და კონტრსტრუქტურები, მედიაკომუნიკაციაში სოციალური მოთხოვნილების და ცვლილებების განსაზღვრა, საბოლოოდ კი ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აქტივიზმის კორელაცია. გლობალური ინტერნეტის გაჩენამ და საკომუნიკაციო, ვიზუალური ეფექტების შექმნამ განაპირობა მომხმარებელთა ქცევის შეცვლა, მედიის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩანაცვლება ინტერნეტ-კომუნიკაციის ან სხვა ვერსიით. დაშიფვრის ეფექტური პროტოკოლების წარმოქმნა, წვდომის

კონტროლი, ონლაინ შესყიდვების დისტანციური გადახდა და ა.შ.- ყველაფერი ეს უზრუნველყოფს ციფრული შინაარსის გაყიდვის შესაძლებლობას. ზემოთჩამოთვლილი ტექნოლოგიური და სოციალური გარემოებები კვლავაც გავლენას ახდენს ჟურნალისტის პროფესიის ფუნქციონირებაზე და საბოლოოდ ცვლის მის ბუნებას. უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიური განხვავებები ამ შემთხვევაში არ არის გლობალური, არამედ ის გულისხმობს ადგილობრივ დონეებს - საზოგადოების კონკრეტულ პოლიტიკურ კულტურას და მის გავლენებს, ვიდრე გლობალურ ტენდენციებს. მედიაში პროფესიონალური კომპეტენციების შესაძლებლობების და უნარ-ჩვევების მთელი რიცხოვნობა ორგანიზაციული ფორმის ცვლილებებს განაპირობებს.

ციფრული მედიის მოხმარების ძირითადი მახასიათებლები.

აუდიტორია ერთ – ერთი მთავარი მონაწილეა მედიაში. საინტერესოა **Premium**-მოდელი, რომლის ძირითადი შინაარსი მასობრივი აუდიტორიისთვის უფასოა. ბიზნეს-მოდელი პროგრამულ ინდუსტრიაში 1980-იანი წლებიდან გამოიყენეს. ის სწრაფად მზარდ ონლაინ-ბიზნესის მოდელს განეკუთვნება. რეკლამირების კომბინაციით ციფრული მედიის სივრცეში დამატებითი სერვისების ხელმოწერების გაყიდვა იწვევს **Freemium** მოდელს. ის ერთ-ერთი გავრცელებული ბიზნესმოდელია მსოფლიოში. მაღალი ხარისხის პროდუქციის და მომსახურების შეთავაზების კონცეფცია და ბრენდის მნიშვნელობა **Freemium** -ბიზნეს მოდელში მნიშვნელოვანი ფაქტორია. **Freemium**-ი სიტყვების "**უფასო**" და "**პრემია**" პორტანტია, სადაც ფასების სტრატეგია, რომლითაც პროდუქტი ან მომსახურება (ციფრული შეთავაზება პროგრამებზე, მედიაზე, თამაშებზე, ვებ-სერვისზე) უფასოდაა უზრუნველყოფილი. გთავაზობთ ციფრული ბიზნეს-მოდელების ნიმუშს;

- ◆ მედიის მოხმარების ინდიკატორები - რეკლამის გამოწერის შერეული მოდელი
- ◆ რეკლამების მოდელი (პროგრამები)
- ◆ მოდელი მოთხოვნით (Ivi.ru, BBC iPlayer)
- ◆ საბაზრო მოდელი (eBay, iTunes, App Store)
- ◆ რეკლამის მხარდაჭერის მოდელი (Itv.ru, Youtube)
- ◆ მოდელი (NTVPlus, Tricolor TV) Crowdfunding
- ◆ სოციალური მოდელი (ვიკიპედია)
- ◆ უფასო მოდელი (Yandex, Google)
- ◆ ციფრული გამოწერა (MediaTek, Apple Music)
- ◆ ჰიპერმარკეტის მოდელი (Amazon, Apple)
- ◆ წვდომის/ტექნიკური მოწყობილობის პირამიდის მოდელი (Microsoft, Dropbox)
- ◆ ეკოსისტემის მოდელი (Apple Inc.)
- ◆ მრავალსართულიანი მოდელი (Channel One, STS, NTV Plus, IVI)

- ◆ უნიკალური პერსონალიზაციის შინაარსი, რეკლამა (Facebook)
- ◆ უნიკალური გამოცდილების მოდელი (Snob, Amedia Premium)
- ◆ Freemium მოდელი.

დასკვნა

შემოთავაზებული ციფრული ბიზნესის სტრატეგიების კლასიფიკაცია სისტემის მხოლოდ ძალიან ზოგადი მონახაზია, მაგრამ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ციფრულ სივრცეში ახალი სტრატეგიული გადაწყვეტილებები პირდაპირ კავშირშია მედიის აქტიური მოხმარების ცვლილებასთან. მომხმარებლის ქცევა გავლენას ახდენს ტრადიციულ ბიზნესმოდელებზე. შედეგად, აუდიტორიას სთავაზობენ დეტალურ, პერსონალურ გამოწერას და ახალ სარეკლამო მოდელებს. მიუხედავად იმისა,

რომ ასეთი ცვლილებები ზოგჯერ ტესტის რეჟიმში ხორციელდება. ციფრული მედიის ინდუსტრიაში მოხმარების ფორმატის გავლენა უფრო შესამჩნევი ხდება. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ციფრულ სამყაროში რეალური ეკონომიკური ღირებულება ყალიბდება მედიის მენეჯერების მიერ, რომლებიც ირჩევენ, ორგანიზებას უწევენ და გვთავაზობენ იმას, რაც აუდიტორიის ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ამკარაა, რომ მედია-ბაზარზე ეკონომიკურ პროცესებში მომხმარებელთა როლი იზრდება, მედია - კომპანიები უფრო მეტად ითვალისწინებენ აუდიტორიის ქცევის მახასიათებლებს, სურვილებს და მოთხოვნებს. ეს გავლენას ახდენს ციფრული მედია- ბიზნესის სტრატეგიების შეცვლასა და განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ბიოტკერი - მედია მენეჯმენტი (პრაქტიკული სახელმძღვანელო) კონრად ადენაუერის ფონდი , 2011.
2. ე. ვარტანოვა. საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა. 2003 .
3. MediaScope. 2016.<http://www.mediascope.ru>
4. წყაროები: R. Picard– ის ნამუშევრები (2011), დ. მარსენი (2015), Khrysova (2013) და PriceWaterhouseCooper– ის ანგარიში.
5. MAPPING DIGITAL MEDIA: DIGITIZATION AND MEDIA BUSINESS MODELS. OPEN SOCIETY MEDIA PROGRAM , By Robert G. Picard. 2011 . REFERENCE SERIES NO. 5
6. Василий Гатов., Будущее Журналистики ., как новые медиа изменили Журналистику. <http://newmedia2016.digital-books.ru/kniga/budushhee-zhurnalistiki/>
7. <http://newmedia2016.digital-books.ru/>
8. https://en.wikipedia.org/wiki/Premium_business_model

*Tamar Chejia, PhD student
Georgian Technical University*

Summary

The issue of the relationship between changes in media consumption in the digital age and the emergence of new strategic solutions for the media business is important. Technological changes in the media environment are a major catalyst for new processes; Successful development of digital media is possible only through a thorough study of audience behavior, based on the latest but already actively used classification of digital environment strategies. The behavior of media product producers and consumers is related to operational factors and business strategies. It defines the conditions and trends of users and the communication environment. The changing communication environment affects media pluralism; The study of media content, both quantitatively and qualitatively, allows to determine media pluralism, media structure and economy, the impact of new opportunities on how it affects media content. Changes in the media market, ranking, production, sales, main directions and economic fundamentals are the economic factors of the media system in the media business. Analysis of existing sources shows that the activities of modern media companies in Western Europe and the United States have the same principles of management, control and marketing, which change in parallel with the evolution of the media industry; Modern media economics is to some extent an important part of media management; It considers the management economics of the enterprise as a key part and manages the economic activities of the media enterprises. The main priorities here are: organizational structure planning, cost accounting and controlling, personnel management and marketing.

The proposed classification of digital business strategies is only a very general outline of the system, but it is important to note that new strategic solutions in the digital space are directly related to the change in active media consumption. User behavior influences traditional business models. As a result, the audience is offered detailed, personalized subscriptions and new promotional models. Although such changes are sometimes made in test mode. The impact of consumption format in the digital media industry is becoming more noticeable.

Keywords: Digital Strategies, Digital Transformation, Marketing, Online Media Business

**საბუნებისმეტყველო
მეცნიერებანი**

SCIENCES

**ინფორმაციის დაცვა კიბუნთა კომბინაციით, მათემატიკური გამოთვლებისა
და ბასალების გამოყენების ბაზაზე**

*გულნაზა კოტრიკაძე, ასტციირებული პრფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ბექა დავითაშვილი, სტუდენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

კრიპტოგრაფია აღწერს ინფორმაციის დაშიფვრის პროცესს, ისე რომ მისი მნიშვნელობა იმალება იმ პირებისგან, ვინც არ იცის როგორ გაშიფროს ინფორმაცია. კრიპტოგრაფიის კონცეფცია დაახლოებით იმ პერიოდიდან დაიწყო, როდესაც ადამიანებმა ისწავლეს ენის საშუალებით კომუნიკაცია წერილობითი სიტყვის საშუალებით. დროთა განმავლობაში კრიპტოგრაფიაში ბევრი სხვადასხვა მიდგომა იქნა გამოყენებული, ანბანური ასოებით დაწყებული, გაგრძელებული მათემატიკური და ბოლოს რთული მექანიკური და ციფრული/ელექტრონული მეთოდებით დამთავრებული.

ინფორმაციის დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოება, სახელმწიფო უსაფრთხოება და ა.შ. ინფორმაციის დაცვა ხდება ყველა სფეროში, ეს იქნება საჯარო თუ კერძო სფერო. კრიპტოგრაფია კი პირველ რიგში იმისთვის შეიქმნა, რომ მომხდარიყო ინფორმაციის დაცვა მტრული სახელმწიფოებისგან თუ სხვა მესამე პირებისგან, რომელთაც არ უნდა ჰქონოდათ წვდომა ამა თუ იმ ინფორმაციაზე.

აღნიშნულ ნაშრომში ინფორმაციის დაშიფვრა ხდება, ფიგურა კვადრატის გამოყენებით, საიდანაც ვიღებთ სხვადასხვა კომბინაციებით 9 თანრიგის ათობით თვლით სისტემაში ჩანაწერს, რომელიც შეესაბამება ერთ სიმბოლოს ბაზიდან და ასევე გამოიყენება RGB ფერები რიცხვთა კომბინაციის მისაღებად. პირველ და მეორე პირს შორის არის საიდუმლო ბაზა, რომელშიც წარმოდგენილია ასოების შესაბამისი რიცხვები, თითოულს კი

შეესაბამება სამი სამ თანრიგის რიცხვი. რაც შეეხება ცხრილს: ცხრილს გააჩნია ცარიელი ნულოვანი უჯრა, ინფორმაციის დაშიფვისათვის უნდა ამოვწეროთ რიცხვები შემდეგნაირად. პირველი სამ თანრიგის რიცხვი ამოიწერება ვერტიკალური სვეტიდან, მესამე სამთანრიგის რიცხვი ჰორიზონტალური სვეტიდან, მეორე სამ თანრიგის რიცხვი კი დიაგონალურად ამოიწერება, მაგრამ რიცხვების ამოწერა ყოველთვის პირველი უჯრიდან არ იწყება. პირველ და მეორე პირს შეუძლიათ, ასევე საიდუმლოდ ჰქონდეთ ჩაფიქრებული, თუ როდის რომელი სვეტიდან დაიწყო დაშიფვრა/დეშიფრაცია. მაგალითად, რა რიცხვშიც იქნება გაგზავნილი ინფორმაცია, დაშიფვრას დავიწყებთ პირველი სვეტის შესაბამისი სტრიქონიდან.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაცია, კრიპტოგრაფია, დაშიფვრა/დეშიფრაცია, გატეხვა, საიმედოობა, ალბათობა.

შესავალი

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქაში საიდუმლო ალგორითმების მისაღებად იღვწოდნენ ცნობილი ადამიანები, მათ შორის ფილოსოფოსი ფრანსის ბეკონი, მათემატიკოსები ფრანსუა ვიეტი, ჯორდანო კარდანო, ჯონ ვალისი და სხვა. გაჩნდა დაშიფვრის უფრო რთული მეთოდებიც.

უახლოეს წარსულში, მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო დანიშნულებისთვის, დაშიფრული ინფორმაციის გადასაცემად ან დეშიფრაციისთვის ნაცისტური გერმანია და მისი მოწინააღმდეგეები

იყენებდნენ „ენიგმა“-ს როტორზე დაფუძნებულ შიფრი მანქანებს.

თანამედროვე მსოფლიოში დაშიფრული ინფორმაციის გადასაცემად მსგავს მოწყობილობებს აღარ იყენებენ, თანამედროვე მსოფლიოში ელექტრონულად ინტერნეტის საშუალებით ხდება სხვადასხვა დაშიფრული ინფორმაციის გადაცემა.

ძირითადი ნაწილი

წარმოდგენილ მეთოდში გამოყენებულია ორივე სისტემის სინთეზი, ანუ საიდუმლო არის მონაცემთა ბაზა (იხ.ცხრილი 1. მონაცემთა ბაზა) და გაცხადებულია სამთანრიგა რიცხვთა ცხრილი

(კვარდატი 10/10-ზე).

აღნიშნულ ნაშრომში ინფორმაციის დაშიფვრა ხდება, ფიგურა კვარდატის 10/10-ზე გამოყენებით (იხ.ცხრილი 2.), საიდანაც ვიღებთ სხვადასხვა კომბინაციებით 9 თანრიგა ათობით თვლით სისტემაში ჩანაწერს, რომელიც შეესაბამება ერთ სიმბოლოს ბაზიდან და ასევე გამოიყენება RGB ფერები რიცხვთა კომბინაციის მისაღებად.

პირველ და მეორე პირს შორის არის საიდუმლო ბაზა, რომელშიც წარმოდგენილია სიმბოლოების შესაბამისი რიცხვები, თითოულს კი შეესაბამება სამი სამ თანრიგაიანი რიცხვი.

ცხრილი 1. მონაცემთა ბაზა

| | R | G | B |
|-----|-----|-----|-----|
| A | 125 | 009 | 059 |
| B | 156 | 129 | 201 |
| C | 245 | 209 | 245 |
| D | 006 | 076 | 255 |
| E | 076 | 000 | 235 |
| F | 139 | 097 | 057 |
| G | 201 | 203 | 198 |
| H | 045 | 199 | 231 |
| I | 189 | 189 | 172 |
| J | 094 | 138 | 186 |
| K | 255 | 056 | 012 |
| L | 006 | 036 | 089 |
| ... | ... | ... | ... |

ცხრილი 2. კვარდატი 10/10, ინფორმაციის დაშიფვრა - დეშიფრაციისათვის

| | | | | | | | | | | |
|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|
| | 246 | 231 | 172 | 178 | 172 | 178 | 245 | 254 | 255 | 235 |
| 207 | 239 | 005 | 025 | 089 | 189 | 235 | 228 | 006 | 198 | 209 |
| 045 | 293 | 199 | 198 | 254 | 164 | 051 | 150 | 183 | 255 | 008 |
| 189 | 037 | 123 | 189 | 194 | 238 | 269 | 207 | 000 | 015 | 158 |
| 154 | 099 | 187 | 194 | 149 | 198 | 233 | 028 | 100 | 206 | 168 |
| 189 | 159 | 000 | 097 | 198 | 189 | 194 | 196 | 067 | 187 | 248 |
| 154 | 167 | 238 | 167 | 000 | 149 | 149 | 092 | 179 | 089 | 169 |
| 245 | 238 | 058 | 267 | 178 | 118 | 095 | 209 | 059 | 069 | 207 |
| 035 | 197 | 163 | 149 | 139 | 239 | 039 | 067 | 095 | 067 | 069 |
| 006 | 048 | 180 | 228 | 025 | 000 | 126 | 095 | 158 | 076 | 196 |
| 076 | 067 | 090 | 138 | 076 | 209 | 189 | 139 | 183 | 209 | 000 |

რაც შეეხება ცხრილი 2-ს - ცხრილს გააჩნია ცარიელი ნულოვანი უჯრა, ინფორმაციის დაშიფვისათვის უნდა ამოვწეროთ რიცხვები შემდეგნაირად. პირველი სამ თანრიგაიანი რიცხვი ამოიწერება ვერტიკალური სვეტიდან, მესამე სამთანრიგაიანი რიცხვი ჰორიზონტალური სვეტიდან, მეორე სამ თანრიგაიანი რიცხვი კი დიაგონალურად ამოიწერება, მაგრამ რიცხვების ამოწერა ყოველთვის პირველი უჯრიდან არ იწყება. ცხრილში ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება გააჩნია ნულოვან უჯრას. იგი შეიძლება შეფერილი იყოს წითელ, ლურჯ ან მწვანე ფერად.

ნულოვანი უჯრის მწვანე ფერი მიუთითებს, რომ ცხრილის დიაგონალზე მდებარეობს მეორე თანრიგის რიცხვები. თანმიმდევრობა იქნება - ვერტიკალური, დიაგონალური, ჰორიზონტალური.

ნულოვანი უჯრის წითელი ფერი მიუთითებს, რომ დიაგონალზე გადმონაცვლებულია ვერტიკალური სვეტის რიცხვები, თანმიმდევრობა იქნება - დიაგონალი, ვერტიკალური, ჰორიზონტალური.

ნულოვანი უჯრის ლურჯი ფერი მიუთითებს,

რომ დიაგონალზე გადმონაცვლებულია ჰორიზონტალური სვეტის რიცხვები, თანმიმდევრობა იქნება - ვერტიკალური, ჰორიზონტალური, დიაგონალი.

მაგალითად, დავწეროთ ტექსტი - THIS IS CODE (იხ. ცხრილი 3.), აღნიშნულის დაშიფვრა-დეშიფრაციისათვის, ამოვწეროთ მონაცემთა ბაზიდან შესაბამისი კოდები, შემდეგ კი შევადგინოთ ცხრილი 10/10-ზე. პირველი სვეტი იქნება ვარდისფერი ციფრები, დიაგონალზე იქნება მწვანე ცისფრები და ჰორიზონტალურად იქნება ცისფერი ფერი (იხ.ცხრილი 2).

ცხრილი 3. განხილული მაგალითი.

| | | | |
|-----|-----|-----|-----|
| T | 207 | 239 | 246 |
| H | 045 | 199 | 231 |
| I | 189 | 189 | 172 |
| S | 154 | 149 | 178 |
| ... | ... | ... | ... |

რაც შეეხება საიმედოობას, 10/10-ზე კვადრატის ყველა უჯრა მოიცავს სამთანრიგიან ჩანაწერს, სულ არის 100 რიცხვი. თითო სიმბოლოს შეესაბამება სამ უჯრაში ჩაწერილი სამთანრიგიანი ჩანაწერი. 100-დან ერთის ამორჩევის ალბათობა იქნება 1/100, დარჩენილიდან 1-ის ამორჩევის ალბათობა 1/99 და კიდევ დარჩენილიდან - 1/98.

დასკვნა

მიზანი იყო, მიმელო ახალი მეთოდი, რომელიც იქნებოდა მომხმარებლებისათვის მარტივი, სწრაფი, ხელმისაწვდომი და ამავდროულად მესამე პირისათვის, იმავე დროში, გატეხვა შეუძლებელი. ვფიქრობ, რომ მიზანს პასუხობს, წარმოდგენილი დაშიფვრის მეთოდით, სადაც არ გამოიყენება არანაირი მათემატიკური ოპერაციები და არანაირი გასაღები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ.კოტრიკაძე, ინფორმაციის დაცვა კომპიუტერულ სისტემებში, სადისერტაციო ნაშრომი, 2008წ;
2. გ.კოტრიკაძე, ინფორმაციის უსაფრთხოება, ელ.ვერსია, 2015წ;
3. Анин Б. Защита компьютерной информации. Москва. 2000;
4. Молдовян А. А., Молдовян Н. А., Гуц Н.Д., Изотов Б. В. Криптография, Скоростные шифры. Санкт-Петербург. 2002.
5. Б. Шнайер. „Прикладная криптография“. Издательство ТРИУМФ. 2003г. ;
6. Сمارт Н. Криптография, М, Технисфера, 2005г., 528с. ;

**Protecting information with a combination of numbers,
without the use of mathematical calculations and keys**

*Gulnara Kotrikadze, Associate Professor
Georgian Technical University*

*Beqa Davitashvili, student
Georgian Technical University*

Summary

Cryptography describes the process of encrypting information so that its meaning is hidden from individuals who do not know how to encrypt information. The concept of cryptography began around the time when humans learned to communicate through language through written word. Over time, many different approaches have been used in cryptography, starting with the letters of the alphabet, continuing with mathematical and finally complex mechanical and digital / electronic methods.

Information protection is as important as public safety, state security, and so on. Information protection takes place in all areas, be it public or private. Cryptography was created primarily to protect information from hostile states or other third parties who should not have access to this or that information.

In this paper, information is encrypted using a figure square, from which we obtain a record in a system of 9 decimal places with different combinations that corresponds to a single character base, and RGB colors are also used to obtain a combination of numbers. Between the first and second person there is a secret base, which presents the corresponding numbers of letters, and each corresponds to three three-digit numbers. As for the table: The table has an empty zero tray, to encrypt the information we need to write the numbers as follows. The first three-digit number is written from the vertical column, the third three-digit number is written from the horizontal column, and the second three-digit number is written diagonally, but writing numbers does not always start from the first box. The first and second person can also secretly think about when to start deciphering / deciphering from which column. For example, whatever number the information will be sent in, we will start the encryption from the corresponding row of the first column.

ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, ინფორმაციის გაცვლა, გადაცემა, ACSII სიმბოლოები და UNICODE სტანდარტი

*გულნაზა კოტრიკაძე, ასტორიის უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*იულია პარკივაძე, სტუდენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება განუყოფლად დაკავშირებულია ინფორმაციასთან. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს ცხოველმყოფელების, საქმიანობის, ფუნქციონირების ყველა სფეროში. ინფორმაციის ფენომენი, რომ მარტივ ახსნას არ ექვემდებარება, არც არის გასაკვირი.

ინფორმაციის გარეშე ვერ იარსებებს ვერცერთი ადამიანის მიერ შექმნილი სისტემა. გარე სამყაროდან ინფორმაციის მიღება, მისი ანალიზი და წარმოქმნა წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას, რომელიც განასხვავებს მას დანარჩენი ცოცხალი სამყაროსგან.

ინფორმაციის გადაცემის დროს საჭიროა ინფორმაციის შეკუმშვა. შეკუმშვის ალგორითმების მთავარი მიზანია მეხსიერების მოცულობის შემცირება, რომელიც საჭიროა მონაცემების შენახვისთვის ან ინფორმაციის გადაცემისთვის ქსელში.

ცნობილია რომ სამყარო წარმოადგენს გარკვეულ სისტემას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს უამრავ გალაქტიკას, ხოლო ადამიანი წარმოადგენს ამ სისტემის მცირე ნაწილს. შესაბამისად ადამიანისთვის მიუღწევადია აბსოლუტური ინფორმაცია. ჩვენ სინამდვილეში, მეცნიერების განვითარებასთან ერთად ხდება ადამიანის მიერ ცდისეული ცოდნისთვის ხელმისაწვდომი საზღვრების გაფართოება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ინფორმაცია, ფართო გაგებით, ადამიანის ნებისა და ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებობს სამყაროში.

ეს ინფორმაცია უნდა განვასხვავოთ ვიწრო გაგების ინფორმაციისგან. ინფორმაცია ვიწრო გაგებით, ადამიანის ცნობიერებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ანუ მატერიალური სამყაროს ობიექტისა და პროცესების შესახებ თავისთავადი ინფორმაციის აზრობრივი შინაარსი, რომელიც ფორმირებულია ადამიანის სუბიექტური ცნობიერებით. რეალური გარემოს აღქმის თვალსაზრისით, ფაქტია, რომ ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობანი შეზღუდულია და რეალობას იგი აღიქვამს სუბიექტურად, ანუ იმ შეზღუდული შესაძლებლობის ფარგლებში, რისი საშუალებაც მას მიაღწია ბუნებამ.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანი არის სწორედ ეს ვიწრო გაგებით „ადამიანური“ ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ლოგიკურ აზროვნებასთან და გამოიყენება საზოგადოებაში, ანუ ინფორმაცია გარემო სამყაროსა და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომელიც აღიქმება ადამიანის ან მასთან დაკავშირებული სპეციალური მოწყობილობის მიერ.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაცია, ინფორმაციის გაცვლა, ინფორმაციული გარემო, გადაცემის გზები, ACSII სიმბოლოები, UNICODE სტანდარტი.

შესავალი

ინფორმაცია შეიძლება იყოს ტექსტი, ნახატი, სქემა, სურათი, რადიოტალღები, ელექტრული და ნერვული იმპულსები, მაგნიტური ჩანაწერი, ჟესტები და მიმიკა, ბგერითი სიგნალები, ყნოსვის და გემოს შეგრძნება, ქრომოსომა, რომლის საშუალებით მემკვიდრეობით გადაიცემა ორგანიზმის ნიშან-თვისებები.

ინფორმაციული ფუნქცია დაკავშირებულია შემეცნებით და კომუნიკაციურ ფუნქციებთან და ხორციელდება შემდეგი ეტაპებით: ინფორმაციის შერჩევა, წარმოდგენა, შენახვა და აღქმა. შესაბამისად ინფორმაცია იყოფა შემდეგ ჯგუფებად: 1. აღქმის ხერხებით - ვიზუალური, ტაქტური, ყნოსვითი, გემოვნებითი. 2. წარმოდგენის ფორმებით - ტექსტური, რიცხვითი, გრაფიკული, ბგერითი ვიდეოინფორმაცია.

ძირითადი ნაწილი

ინფორმაციას აქვს შემდეგი ძირითადი თვისებები: აქტუალურობა, ანუ ინფორმაცია დროის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია; სიზუსტე განისაზღვრება ობიექტის, პროცესის ან მოვლენის რეალურ მდგომარეობასთან სიახლოვის ხარისხით; სისავსე, ანუ ინფორმაციის რაოდენობა საკმარისია სიტუაციის გაგებისთვის და გადაწყვეტილების მიღებისთვის; სარგებლობა, ანუ მიღებული ინფორმაცია ეხმარება მიმღებს გადაწყვეტილების მიღებაში; ობიექტურობა, ანუ ინფორმაცია არ არის დამოკიდებული ვიღაცის აზრზე; გაგება, ანუ ინფორმაცია გამოხატულია მიმღებისთვის გასაგებ ენაზე.

ცხრილი 1. ACSII სიმბოლოების ცხრილი.

| Hex | Value | Hex | Value | Hex | Value | Hex | Value | Hex | Value | Hex | Value | Hex | Value | Hex | Value |
|-----|-------|-----|-------|-----|-------|-----|-------|-----|-------|-----|-------|-----|-------|-----|-------|
| 00 | NUL | 10 | DLE | 20 | SP | 30 | 0 | 40 | @ | 50 | P | 60 | * | 70 | p |
| 01 | SOH | 11 | DC1 | 21 | ! | 31 | 1 | 41 | A | 51 | Q | 61 | a | 71 | q |
| 02 | STX | 12 | DC2 | 22 | " | 32 | 2 | 42 | B | 52 | R | 62 | b | 72 | r |
| 03 | ETX | 13 | DC3 | 23 | # | 33 | 3 | 43 | C | 53 | S | 63 | c | 73 | s |
| 04 | EOT | 14 | DC4 | 24 | \$ | 34 | 4 | 44 | D | 54 | T | 64 | d | 74 | t |
| 05 | ENQ | 15 | NAK | 25 | % | 35 | 5 | 45 | E | 55 | U | 65 | e | 75 | u |
| 06 | ACK | 16 | SYN | 26 | & | 36 | 6 | 46 | F | 56 | V | 66 | f | 76 | v |
| 07 | BEL | 17 | ETB | 27 | ' | 37 | 7 | 47 | G | 57 | W | 67 | g | 77 | w |
| 08 | BS | 18 | CAN | 28 | (| 38 | 8 | 48 | H | 58 | X | 68 | h | 78 | x |
| 09 | HT | 19 | EM | 29 |) | 39 | 9 | 49 | I | 59 | Y | 69 | i | 79 | y |
| 0A | LF | 1A | SUB | 2A | * | 3A | : | 4A | J | 5A | Z | 6A | j | 7A | z |
| 0B | VT | 1B | ESC | 2B | + | 3B | ; | 4B | K | 5B | [| 6B | k | 7B | { |
| 0C | FF | 1C | FS | 2C | , | 3C | < | 4C | L | 5C | \ | 6C | l | 7C | |
| 0D | CR | 1D | GS | 2D | - | 3D | = | 4D | M | 5D |] | 6D | m | 7D | } |
| 0E | SO | 1E | RS | 2E | . | 3E | > | 4E | N | 5E | ^ | 6E | n | 7E | ~ |
| 0F | SI | 1F | US | 2F | / | 3F | ? | 4F | O | 5F | _ | 6F | o | 7F | DEL |

ცხრილი 2. UNICODE სტანდარტი.

| 00 | 01 | 02 | 03 | 04 | 05 | 06 | 07 | 08 | 09 | 0A | 0B | 0C | 0D | 0E | 0F |
|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|
| 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 1A | 1B | 1C | 1D | 1E | 1F |
| 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 2A | 2B | 2C | 2D | 2E | 2F |
| 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 3A | 3B | 3C | 3D | 3E | 3F |
| 40 | 41 | 42 | 43 | 44 | 45 | 46 | 47 | 48 | 49 | 4A | 4B | 4C | 4D | 4E | 4F |
| 50 | 51 | 52 | 53 | 54 | 55 | 56 | 57 | 58 | 59 | 5A | 5B | 5C | 5D | 5E | 5F |
| 60 | 61 | 62 | 63 | 64 | 65 | 66 | 67 | 68 | 69 | 6A | 6B | 6C | 6D | 6E | 6F |
| 70 | 71 | 72 | 73 | 74 | 75 | 76 | 77 | 78 | 79 | 7A | 7B | 7C | 7D | 7E | 7F |
| 80 | 81 | 82 | 83 | 84 | 85 | 86 | 87 | 88 | 89 | 8A | 8B | 8C | 8D | 8E | 8F |
| 90 | 91 | 92 | 93 | 94 | 95 | 96 | 97 | 98 | 99 | 9A | 9B | 9C | 9D | 9E | 9F |
| A0 | A1 | A2 | A3 | A4 | A5 | A6 | A7 | A8 | A9 | AA | AB | AC | AD | AE | AF |
| B0 | B1 | B2 | B3 | B4 | B5 | B6 | B7 | B8 | B9 | BA | BB | BC | BD | BE | BF |
| C0 | C1 | C2 | C3 | C4 | C5 | C6 | C7 | C8 | C9 | CA | CB | CC | CD | CE | CF |
| D0 | D1 | D2 | D3 | D4 | D5 | D6 | D7 | D8 | D9 | DA | DB | DC | DD | DE | DF |
| E0 | E1 | E2 | E3 | E4 | E5 | E6 | E7 | E8 | E9 | EA | EB | EC | ED | EE | EF |
| F0 | F1 | F2 | F3 | F4 | F5 | F6 | F7 | F8 | F9 | FA | FB | FC | FD | FE | FF |

- ლათინური დამწერლობა
- არალათინური ევროპული დამწერლობა
- აფრიკული დამწერლობა
- შუა აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთი აზიის დამწერლობა
- სამხრეთი აზიის დამწერლობა
- აღმოსავლეთი აზიის დამწერლობა
- სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის დამწერლობა
- იეროგლიფები
- ინდონეზიის და ოკეანეთის დამწერლობა
- ამერიკული დამწერლობა
- სოტები
- ნიშნები
- კრძო გამოყენებისთვის გასკუთვნილი სივრცე
- UTF-16 წყვილები
- თავისუფალი პოზიციები

უნიკოდის ვერსია 13.0

არსებობს ინფორმაციის მიღების სამი ძირითადი შესაძლებლობა: გენეტიკური - მემკვიდრეობითი ფაქტორი; საზოგადოებრივი - ცხოვრების წესი, ტრადიციები, ერთი სიტყვით, ყოველივე, რაც შექმნა საზოგადოების ცივილიზაციამ; ინდივიდისა და გარემოს ურთიერთობის შედეგი - შემოქმედებითი ფაქტორი.

მოყვანილ ცხრილში (ცხრილი 1) ნათლად ჩანს, რომ 01-დან 20 ელემენტამდე ყველა ელემენტი მმართველია. ხოლო შემდეგ მოდის გამოსახული ელემენტები. მაგალითად, თუ გვინდა გავაგზავნოთ წინადადება: „Hello, world!“ ASCII ცხრილის მიხედვით დაშიფრულ წინადადებას ექნება შემდეგი სახე: 2248656C6C6F2C20776F726C6421 .

Unicode-ში სიმბოლოების კოდირებისთვის გამოყოფილია 32 ბიტი. პირველი 128 სიმბოლო (0-127 კოდები) ემთხვევა ASCII ცხრილს, ყველა თანამედროვე ანბანს ატევენ პირველ 65536 კოდში ($65536=2^{16}$), ხოლო მთლიანობაში Unicode სტანდარტში აღწერილია ყველა თანამედროვე ანბანი, იეროგლიფები, მათემატიკური და სამეცნიერო სიმბოლო. Unicode-ის პოტენციალური ინფორმაციული ტევადობა იმდენად დიდია, რომ დღეს

გამოიყენება მხოლოდ ერთი მეათასედი ნაწილი.

Unicode სტანდარტი (იხ. ცხრილი 2) განსაზღვრავს 128,000-ზე მეტი სიმბოლოს. მას აქვს კოდირების რამდენიმე ვარიანტი: UTF-8: მხოლოდ ერთი ბაიტის (8 ბიტი) იყენებს ინგლისურ სიმბოლოებს. UTF-16: იყენებს ორი ბაიტს (16 ბიტი) და ყველაზე ხშირად გამოყენებულ სიმბოლოებს. UTF-32: იყენებს 4 ბაიტს (32 ბიტი) სიმბოლოების დაწერას.

მონაცემების შეკუმშვის ალგორითმები გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: პროგრამა-არქივატორებში (WinRAR, WinZip); მონაცემების გადაცემის დროს; სარეზერვო პროგრამებში (Acronis True Image); მულტიმედიის ფაილებში (JPEG, GIF, MP3, AVI); უსაფრთხოების სისტემებში; ტელეკომუნიკაციის სისტემებში.

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილი მასალა ასახავს- რა არის ინფორმაცია; ინფორმაციის სახეები; რა გზებით შეიძლება მივიღოთ ინფორმაცია; ინფორმაცია ინფორმაციული გარემოს შესახებ; ინფორმაციის გაცვლის გზები; ინფორმაციის შეკუმშვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ.კოტრიკაძე, ინფორმაციის დაცვა კომპიუტერულ სისტემებში, სადისერტაციო ნაშრომი, 2008წ;
2. გ.კოტრიკაძე, ინფორმაციის უსაფრთხოება, ელ.ვერსია, 2015წ;
3. რ.თხილაიშვილი, კომუნიკაციური სისტემების ოპტიმიზაცია ინფორმაციის შეკუმშვა-გაფართოების დროს, 2013წ;
4. გ.კოტრიკაძე, კრიპტოგრაფიული მეთოდების მიმოხილვა, ელ.ვერსია, 2014წ;
5. Анин Б. Защита компьютерной информации. Москва. 2000;
6. Молдовян А. А., Молдовян Н. А., Гуц Н.Д., Изотов Б. В. Криптография, Скоростные шифры. Санкт-Петербург. 2002.

In an information environment, information exchange, transmission, ACSII characters and the UNICODE standard

*Gulnara Kotrikadze, Associate Professor
Georgian Technical University*

*Iulia Parikova, student
Georgian Technical University*

Summary

Human daily life is inextricably linked to information. Modern information technologies play an important role in all spheres of human life, society, state, activity, functioning. The phenomenon of information that is not subject to simple explanation is not surprising either.

Without information, no human-created system can exist. Receiving information from the outside world, its analysis and generation is one of the main functions of man, which distinguishes him from the rest of the living world.

Compression of information is required during the transmission of information. The main purpose of compression algorithms is to reduce the amount of memory needed to store data or transmit information over a network.

It is known that the universe is a certain system, which in turn includes many galaxies, and man is a small part of this system. Consequently absolute information is inaccessible to man. We are, in fact, expanding the boundaries available to man-made knowledge as science advances. Therefore, we can assume that information, in a broad sense, exists in the world independently of human will and consciousness.

This information must be distinguished from narrow-minded information. Information in the narrow sense is information related to human consciousness, ie the semantic content of the original information about the object and processes of the material world, which is formed by human subjective consciousness. In terms of the perception of the real environment, the fact is that the mental and physical abilities of man are limited, and he perceives reality subjectively, that is, within the limits of the ability that nature has given him.

This time our subject of interest is precisely this narrowly meaning "human" information related to human logical thinking and used in society, ie information about the environment and its processes, which is perceived by a person or a special device related to it.

სააბონენტო მოწყობილობის გავლენა ოპერატორის მოტივები კავშირის ქსელების ხარისხზე

გივი მურგვიანი, ასოცირებული პრეზენტორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მობილური კავშირის ქსელში ჩართული სააბონენტო მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლების მნიშვნელოვანი როლი ოპერატორის ქსელის ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასებაში. აღნიშნულია, რომ ოპერატორები უმეტეს შემთხვევაში არ უთმობენ სათანადო ყურადღებას მობილური ტელეფონების მახასიათებლების მდგომარეობას, რომლებსაც იყენებენ მათი აბონენტები, რადგან სააბონენტო ტერმინალებს აქვთ ყველაზე სერტიფიკატები და ითვლება, რომ ისინი აბსოლუტურად შეესაბამება სტანდარტს და მაქსიმალური ეფექტურობით ამუშავდებიან ნებისმიერი ოპერატორის ქსელში. მიზეზები, რომელთა გამოც შესაძლოა სააბონენტო მოწყობილობის დეფექტებმა უარყოფითად იმოქმედოს მისი მფლობელის კლიენტურ გამოცდილებაზე და საკუთარი ოპერატორის ქსელის ფუნქციონირების ხარისხის შეფასებაზე, მოიცავს მონაცემთა გადაცემის სიჩქარის შემცირებას, ტექნოლოგიებში უთანხმოებას და შიდატენოლოგიური გადასვლების ხარვეზებს, ტერმინალის საანტენო მოწყობილობის დაბალ მგრძობიარობას, მე-4 თაობის VoLTE და VoWiFi სერვისების ცუდ ქმედითუნარიანობას, რომელიც აბონენტებს არ აძლევს საშუალებას ისარგებლოს ამ სერვისებით და ამავე დროს ნეგატიურად აისახოს ოპერატორის ქსელის დატვირთულობაზე, იგი ვერ გამოისყიდის დანახარჯებს გაწეულს ამ სერვისების გაშლისათვის და განაპირობებს აბონენტების გადინებას კონკურენტებისაკენ. ნაშრომში გაანალიზებულია რეალურ სააბონენტო მოწყობილობებში არსებული დეფექტები, რომლებიც იწვევენ ზემოხსენებული მოვლენების გაჩენას, თითოეული მათგანით განპირობებულ გავლენებს ქსელის მახასიათებლების შეფასებაზე, სხვა აბონენტებისადმი სერვისების მიწოდების გაუარესებაზე. შეფასებულია ის დიდი ზიანი, რომელიც შესაძლოა მიადგეს ქსელს მასში ჩართული სააბონენტო ტერმინალების პარკის უხარისხობის გამო. ნაჩვენებია, რომ ქსელში თუნდაც 3დბ-ით დაბალი მგრძობიარობის მქონე სააბონენტო მოწყობილობების გამოყენებისას, ოპერატორმა დაახლოებით 50%-ით უნდა გაზარდოს საბაზო სადგურების რაოდენობა მომსახურების დაგეგმილი ხარისხის შენარჩუნებისათვის. დასახულია რეკომენდაციები რომელთა გამოყენების საფუძ-

ველზე შესაძლებელი იქნება ქსელში ზემოაღნიშნული პრობლემების აღმოფხვრა. მათ შორის მნიშვნელოვანია სააბონენტო ტერმინალების ტესტირება, მათ მიმართ საკუთარი მოთხოვნების ჩამოყალიბება და მიწოდება მწარმოებლებთან დეფექტების გამოსწორების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: მობილური კავშირი, საბაზო სადგური, ქსელის ხარისხი, სააბონენტო მოწყობილობა,

შესავალი

ძალზედ ხშირად ხდება ისე, რომ მობილური კავშირის ოპერატორების ძალისხმევები მიმართული ქსელის პარამეტრების ოპტიმიზაციაზე, აბონენტების მიმართების შემცირებაზე, NPS(Net Promoter Score)-ის, ანუ - მომხმარებელთა მხარდაჭერის განმსაზღვრელი ინდექსი გაზრდაზე, თუკი იძლევიან შედეგს, იგი ძალზედ შორს არის იმისაგან, რასაც ოპერატორი ელოდებოდა თავდაპირველად. მოვლენების ასეთ მდგომარეობას შეიძლება მიეცეს მრავალგვარი ახსნა, მაგრამ, სამწუხაროდ ძალიან ხშირად ოპერატორები საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას სააბონენტო მოწყობილობების (სმარტფონების, პლანშეტების, ლეპტოპების და ა.შ.) ხარისხს, რომლებსაც იყენებენ მათი აბონენტები.

ასეთი პოზიცია აიხსნება ძალზედ მარტივად. საერთო მოსაზრებით, რადგან მოწყობილობა სერთიფიცირებულია მწარმოებლის მიერ, მიღებული აქვს ყველა სხვა შესაძლო სერთიფიკაცი, იყიდება მთელ მსოფლიოში, რატომღაც ითვლება, რომ იგი აბსოლუტურად შეესაბამება სტანდარტს და ნებისმიერი ოპერატორის ქსელში ამუშავდება მაქსიმალური ეფექტურობით.

დღეისათვის საქმე კიდევ უფრო მძიმდება იმით, რომ ქსელები და მოწყობილობები წლიდან წლამდე და თვიდან თვემდე კი, ხდებიან უფრო რთული. არსებულ მობილურ ქსელებში მუდმივად გაიშვება ახალი სერვისები და მომსახურებები. ასე მაგალითად, 4G ქსელებში უკვე დამკვიდრდა VoLTE-ს (Voice Over LTE) და VoWiFi-ს (Voice Over WiFi) ტექნოლოგიების გამოყენება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი სერვისები მხარდაჭერილია ყველაზე უფრო დაბალი დიაპაზონის მქონე ფასების სმარტფონების მიერ.

ძირითადი ტექსტი

მიზეზები, რომელთა გამო სააბონენტო მოწყობილობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს როგორც კლიენტის გამოცდილებაზე, ასევე ოპერატორის ქსელის ხარისხის შეფასებაზე შეიძლება დაიყოს 2 დიდ ჯგუფად:

1. ოპერატორის იმიჯურ დანაკარგებად, განპირობებულს ვითომდა წარმოდგენილი მომსახურებების ცუდი ხარისხით. სამწუხაროდ, აბონენტი რომელიც აწყდება მიწოდებული სერვისის პრობლემებს პირველ რიგში მიმართავს ოპერატორს და პრაქტიკულად ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს იმას, რომ კავშირის ხარისხის ყველა არსებული შეზღუდვები გამოწვეული არის მხოლოდ მისი უსაყვარლესი სმარტფონის არასწორი მუშაობით;

2. ტექნიკურ პრობლემებად ოპერატორის ქსელში. ამაზე საჭიროა ვისაუბროთ ცალკე.

ტექნიკური პრობლემების სიმრავლეში, რომლებიც შეიძლება გაჩნდნენ მობილური კავშირის ოპერატორის ქსელში, გამოვყოთ ძირითადი, მათ შორის, ისინიც, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სააბონენტო მოწყობილობის არასაკმარისი ხარისხის გამო და განაპირობებენ კაპიტალური დანახარჯების გაზრდას, NPS-ის შემცირებას და როგორც შედეგი აბონენტების გადინებას, ქსელის რესურსების არარაციონალურ გამოყენებას, მიმართვების რაოდენობის გაზრდას და ა.შ. ესენია:

1. მონაცემთა გადაცემის დაბალი სიჩქარე.
2. ტექნოლოგიებში მორისი და შიდატექნოლოგიური გადასვლების განხორციელების უუნარობა.
3. სააბონენტო ტერმინალის საანტენო მოწყობილობის არასაკმარისი მგრძობიარობა.
4. VoLTE და VoWiFi სახის სერვისების არაქმდითუნარიანობა.

განვიხილოთ დეტალურად, რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს ოპერატორი თითოეულმა ზემოთ აღწერილმა პრობლემამ, თუ იგი გამოწვეულია ქსელში ჩართული სააბონენტო მოწყობილობის ცუდი ხარისხით.

მონაცემთა გადაცემის დაბალ სიჩქარეს შეიძლება ადგილი ჰქონდეს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა სააბონენტო მოწყობილობა არასწორად ზომავს საბაზო სადგურიდან მოსული სიგნალის დონეს. კერძოდ, მისი გაზომვის შედეგი უფრო დიდია, ვიდრე სიგნალის რეალური მნიშვნელობა. ამ დროს იგი ითხოვს საბაზო სადგურიდან დეფიციტურ რადიორესურს (საკუთარი გაზომვების საფუძველზე) და იღებს მას. მაგრამ, იმის გამო, რომ სინამდვილეში, სააბონენტო მოწყობილობა იმყოფება სიგნალის მნიშვნელოვნად უფრო დაბალი დონის პირობებში, მას არ შეუძლია

სრულად გამოიყენოს მისთვის გამოყოფილი რადიორესურსები. ამგვარად, ყალიბდება სიტუაცია, როდესაც პირველ რიგში, აბონენტი ხედავს, დაფუძვით სიგნალის დონის ინდიკაციის სრულ შკალას თავის სმარტფონზე, მაგრამ არ ღებულობს მონაცემთა გადაცემის სიჩქარის ხელმისაწვდომობას. რაც განაპირობებს აბონენტის ლოიალობის (NPS-ის) შემცირებას ბრენდის მიმართ, მიმართვებისა და გადინების გაზრდას. მეორეს მხრივ, ქსელი ასეთ აბონენტს გამოუყოფს რადიორესურსებს, რომელის გამოყენებაც მას არ შეუძლია. საბაზო სადგურზე რადიორესურსების სასრულობის გამო, ეს რესურსები აკლდება სხვა აბონენტებს, რომლებსაც მათი გამოყენებით შეეძლოთ, რომ ჰქონოდათ მონაცემთა გადაცემის უფრო მაღალი სიჩქარე. შედეგად ვღებულობთ, რომ აბონენტი უხარისხო სააბონენტო აღჭურვილობით ნეგატიურად იმოქმედებს იმ აბონენტების სერვისის ხარისხზე, რომელთაც აქვთ მაღალი ხარისხის, ძვირადღირებული მოწყობილობები და შესაბამისად, აქვთ უფრო მაღალი ARPU (Average revenue per user). ამას ემატება ის, რომ ოპერატორის ქსელის თვითონ რესურსები გამოიყენება არარაციონალურად.

განვიხილოთ CSFB (Circuit Switched Fallback) ალგორითმის რეალიზაციის მექანიზმი. როგორც ცნობილია ეს ალგორითმი მუშაობს შემდეგნაირად: თუ 4G ქსელის დაფარვის ზონაში აბონენტის ყოფნის დროს მასთან შემოდის, ან იგი თვითონ ახდენს ხმოვანი გამოძახების ინიცირებას, მაშინ სააბონენტო მოწყობილობა გადაირთვება 3G (ან 2G) ქსელში და ხორციელდება შეერთება. ხმოვანი გამოძახების დასრულების შემდეგ სმარტფონი ბრუნდება 4G ქსელში. დაფუძვით, რომ ასეთი მოვლენა განიცადა სააბონენტო მოწყობილობამ, რომელსაც აქვს პრობლემები გადასვლაზე 3G ტექნოლოგიიდან 4G-ზე. მაშინ ცხადია, რომ ხმოვანი გამოძახების დასრულების შემდეგ სმარტფონი არ დაბრუნდება 4G ქსელში მის გადატვირთვამდე, ოპერატორი მიიღებს ზედმეტად დატვირთულ 3G ქსელს, ხოლო აბონენტი მონაცემთა გადაცემის გაცილებით უფრო დაბალ სიჩქარეს, ვიდრე მას შეეძლო მიეღო.

ხშირ შემთხვევაში სააბონენტო მოწყობილობის ცუდი მგრძობიარობა დაკავშირებულია უხარისხო ანტენებთან, რომლებსაც იყენებენ მწარმოებლები (ყველას სურს ეკონომია გააკეთოს მაკომპლექტებელ ნაწილებზე). ასეთმა პრობლემამ შეიძლება გამოიწვიოს ფიჭის კიდებზე მყოფი აბონენტების ქსელიდან გამორთვა სიგნალების ისეთი დონის დროს, როდესაც სერვისი სტანდარტის მიხედვით ჯერ კიდევ უნდა იყოს. ოპერატორისათვის ასეთ შემთხვევაში სერვისის ნაანგარიშევი ხარისხის უზრუნველყოფისათვის საჭიროა აგებულ იქნას დამატებითი საბაზო სადგურები, რომლებიც სულ არ

იქნებოდა საჭირო კარგი ხარისხის მოწყობილობის შემთხვევაში. აბონენტი კი, ვერ მიიღებს აუცილებელ სერვისს იქ, სადაც მას უნდა ჰქონდეს იგი. რთული არ არის იმის დათვლა, რომ სააბონენტო ტერმინალების პარკის საშუალო მგრძობიარობის, მაგალითად, 3დბ-ით გაუარესებისას სტანდარტით გათვალისწინებულთან შედარებით, საჭირო ხარისხის უზრუნველყოფისათვის ოპერატორმა 50%-ით მეტი საბაზო სადგური უნდა ააგოს.

VoLTE ან VoWiFi სერვისების ცუდი ან დაბალი ქმედითუნარიანობა არა მარტო აბონენტს არ აძლევს საშუალებას ისარგებლოს ამ სერვისებით, რომლებსაც უზრუნველყოფს მისი მოწყობილობა, არამედ ნეგატიურად მოქმედებს ოპერატორის ქსელის დატვირთულობაზე და იგი ვერ გამოისყიდის დანახარჯებს გაწეულს ამ სერვისების გაშლისათვის, და რა თქმა უნდა, განაპირობებს აბონენტების გადინებას კონკურენტებისაკენ.

ცხადია, რომ ღია ბაზრის პირობებში, ოპერატორს ძალზედ გაუჭირდება გააკონტროლოს ყველა მოწყობილობის ხარისხი თავის ქსელში. მაგრამ მოწყობილობებისა და ჩიფსეტების მწარმოებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა, თუნდაც დაყოვნებულად, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქსელში

ჩართული მოწყობილობების ხარისხს. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის ძირითადი ღონისძიებების ხაზით შესაძლოა შეთავაზებულ იქნას:

1. ოპერატორის მიერ სააბონენტო ტერმინალებისადმი საკუთარი მოთხოვნების ჩამოყალიბება, მათი რეგულარული განახლება და დაგზავნა (არაუგვიანეს კვარტალში ერთხელ) მწარმოებლებთან;
ევროკავშირის ახალი გეოპოლიტიკური სტრატეგია, რომელიც 2003 წლიდან არ განახლებულა, დამყარებულია იმაზე, რომ, ევროკავშირს გაძლიერება სჭირდება, ვინაიდან კავშირი მომავალი საფრთხის ქვეშაა თავად ევროინტეგრაციული იდეის კრიზისის გამო. ევროკავშირი სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ცდილობს დემოკრატიული ინსტიტუტების გავრცელებას და თავისუფალი სივრცის არეალის გაფართოებას. ამ მხრივ იგი მიმართავს მრავალმხრივ ღონიშმიებებს, თუმცა ბოლო დროინდელი კრიზისის გამო ევროკავშირის პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილი წელს ვითარდება. ერთ-ერთი ასეთი კრიზისია ევროპის უსაფრთხოების სისტემისთვის (ტერორისტულ დაჯგუფებათა გაზრდილი აქტივობა, აზიისა და აფრიკის რეგიონთა – ევროპაში მიგრაციის დონორთა განვითარებაში არსებული ეკონომიკური დისპროპორციები) ბოლო ორ წლის განმავლობაში მსოფლიოში არსებული ახალი გამოწვევა – პანდემია. მიუხედავად ამისა, ევროპული ინტეგრაციის იდეაში ევზისტენციალური დონის პრობლემები მნიშვნელოვანწილად წარმოშობილია ბრექსიტით დიდ ბრიტანეთში, რომლის შედეგად ლონდონმა მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. ევროკავშირი დემოკრატიული ინსტიტუტები გავრცელებას ცდილობს ყველგან, სადაც ამის რეალური შესაძლებლობა ექნება, რადგან მას კარგად ესმის, რომ ზოგადად დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთში არ ომობენ და მათ კონკურენციისათვის სათანადო პირობები ექმნებათ. ამ გზაზე ევროკავშირი იყენებს რბილი ძალის ტაქტიკასაც. ეს ტაქტიკა ზოგჯერ წარმატებულია, ზოგჯერ კი წარმატებელი. ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს სტრატეგიული უსაფრთხოების საკითხებს და ხელმძღვანელობს საჯუთარი ინტერესებით. დღეისათვის ევროკავშირს არაერთი პრობლემა აქვს, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ არა მარტო არალეგალური მიგრაცია, არამედ ნარკოტიკი, იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაკადი, ენერგეტიკული პრობლემები, რაც იმავდროულად გადაჯაჭვულია რუსეთთან ურთიერთობების ახალ ფორმატზე, ყოველივე ეს ევროკავშირის თანამედროვე ელიტას უბიძგებს მაქსიმალურად გამოიყენოს თავიანთი დიპლომატიური ინსტრუმენტები, როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო

და ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში.

ყველაზე ეფექტური საშუალება კი თავისი საგარეოპოლიტიკური საქმიანობისათვის ევროკავშირის იდეოლოგიაა, რომელის საფუძველშიც მოცემულია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც სხვადასხვა კუთხეში ასევე აწყდება წინააღმდეგობებს.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ ევროდიპლომატიის პრაქტიკულმა მხარეებმა მრავალმხრივი შედეგი მოიტანა, რომელიც უშუალოდ ევროკავშირის დიპლომატიური მუშაობის ორივე – ეროვნულ და საერთოევროპულ – კონტურში ჩაბმული მოხელეების პრაქტიკიდან არის აღებული.

შესავალი

ევროკავშირის ახალი გეოპოლიტიკური სტრატეგია, რომელიც 2003 წლიდან არ განახლებულა, დამყარებულია იმაზე, რომ, ევროკავშირს გაძლიერება სჭირდება, ვინაიდან კავშირი მომავალი საფრთხის ქვეშაა თავად ევროინტეგრაციული იდეის კრიზისის გამო. მიღებული სტრატეგიის თავისისავე წინასიტყვაობაში ფ. მოგერინი განმარტავს გაძლიერების პარამეტრებს, როდესაც საუბრობს იმაზე, რომ „ძლიერი კავშირი – ეს ისეთი კავშირია, რომელიც სტრატეგიულად აზროვნებს, აქცს საერთო ხედვა და ერთობლივად მოქმედებს“. [1] სწორედ ამ მიზნით – მონაწილე ქვეყნების ერთობლივი საგარეოპოლიტიკური მოქმედების ინსტრუმენტთა გასამტკიცებლად – საჭიროა ის სტრატეგია, რომელზე მოთხოვნილებაც უკვე დიდხანს მწიფდებოდა და მხოლოდ აქტუალიზირებულ იქნა იმ კრიზისებით, რომელიც ევროკავშირს შეეხო.

ერთ-ერთი ასეთი კრიზისია ევროპის უსაფრთხოების სისტემისთვის (ტერორისტულ დაჯგუფებათა გაზრდილი აქტივობა, აზიისა და აფრიკის რეგიონთა – ევროპაში მიგრაციის დონორთა განვითარებაში არსებული ეკონომიკური დისპროპორციები) ბოლო ორ წლის განმავლობაში მსოფლიოში არსებული ახალი გამოწვევა – პანდემია. მიუხედავად ამისა, ევროპული ინტეგრაციის იდეაში ევზისტენციალური დონის პრობლემები მნიშვნელოვანწილად წარმოშობილია ბრექსიტით დიდ ბრიტანეთში, რომლის შედეგად ლონდონმა მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ამას პირდაპირ

აცხადებდა ევროკომისია, მიუთითებდა რა იმაზე, რომ დიდი ბრიტანეთის ბრექსიტმა აიძულა ფ. მოგერინი კარდინალურად შეეცვალა თავისი გამოსვლის დღის წესრიგი. [2] გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ რუსეთს ევროკავშირის უსაფრთხოებისთვის „სტრატეგიული გამოწვევა“ უწოდეს. მეორე, ევროკავშირი ფიქრობს შემდგომშიც გაატაროს რეგიონული კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირებისა და მოქალაქეთა დაცვის სტანდარტების უზრუნველყოფის პოლიტიკა, ათვითცნობიერებს რა, თუ რაოდენ გადახლართულია ცვალებად სამყაროში საშინაო და საგარეო პოლიტიკის ასპექტები. ამრიგად, უპრიანია ვივარაუდოთ, რომ ევროკავშირი საზღვარგარეთ მშვიდობისმყოფელ აქციებში მომდევნო მონაწილეობის შესაძლებლობაზე და სამხედრო დიპლომატიის მექანიზმების სულ უფრო აქტიურ ამოქმედებაზე გადავა, ვინაიდან ევროკავშირის გარე პერიმეტრზე კონფლიქტთა დარეგულირებისგან არის დამოკიდებული მისი შიდა უსაფრთხოება (homeland security). [3:8-9] ცალკე მომენტი, რომელიც უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს, არის მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლება, რაც პირდაპირ კავშირშია ევროპასა და მსოფლიოში მდგრადი განვითარების პროგრამების მიზნების რეალიზაციასთან, რომელზეც ევროპული დიპლომატია დაწყებული 1970-იანი წლებიდან იღწვოდა. მესამე, ევროკავშირი აცხადებს იმას, რომ საგარეო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ამოქმედებისას აპირებს ჰიბრიდული მიდგომით და როგორც ჩანს, მისთვის შესაბამისი, ახალი და ძველი დიპლომატიური ინსტრუმენტების ნომენკლატურით იხელმძღვანელოს. ასე მაგალითად, ცხადდება განწყობა ქმედებაზე ისეთი პრინციპების შესაბამისად, რომლებშიც ერთდროულად იქნება შეხამებული რეალიზმის სტრატეგიული კონიუნქტურის შეფასებაში და იდეალისტურ-მატრანსფორმირებელი დამოკიდებულება საერთაშორისო დღის წესრიგისადმი. [4:168] ამასთან, ფ. მოგერინის თქმით, უახლოეს წლებში საგარეო საქმიანობის ევროპული სამსახურის კურსი საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიასთან მიმართებაში „უკომპრომისო პრაგმატიზმით“, [5:60] „ერთხმად“ ევროკავშირის წარმოდგენით, საგარეო კავშირებისა და სხვა აქტორებთან თანამშრომლობის ინტენსიფიკაციით იქნება განსაზღვრული, რათა კავშირის ერთობლივ ავტორიტეტს საერთაშორისო ასპარეზზე ჰქონდეს ჰუმანიტარული პოლიტიკის, კოლექტიური უსაფრთხოებისა და ფასეულობათა ევროპული სისტემის გადაცემის სფეროებში ბრიუსელის მიზნების მიღწევის პოტენციალი.

ევროკავშირის საგარეოპოლიტიკური სამსახურის მეთაური ხაზს უსვამს იმას, რომ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ არც ერთ

სახელმწიფოს არ აქვს სათანადო მოცულობის რესურსები, სიმძლავრე და გავლენა, რათა მარტო გაუმკლავდეს ევროინტეგრაციისთვის არსებულ საფრთხეებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს განცხადება შესაძლოა ასევე ყოფილიყო ნაკარნახევი დიდი ბრიტანეთის ბრექსიტით [6] და, შესაბამისად, ინტეგრაციის ორი ლოკომოტივის – საფრანგეთისა და გერმანიის – ჟღერადობის გაძლიერებით, რომლებიც ამიერიდან ევროკავშირის ჰეგემონ სახელმწიფოს წარმოადგენენ. საგარეო საქმიანობის ევროპული სამსახურის გლობალური სტრატეგია თითქოსდა ფარს აყენებს ამ გზაზე იმის მითითებით, რომ ევროკავშირისა და პერიმეტრზე განლაგებული მეზობელი სახელმწიფოების კოლექტიური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის ინტერესებში ბრიუსელი შიდა ურთიერთდამოკიდებულებისა და საგარეო მოთამაშეებთან კოოპერაციის ზრდის პირობებში იმუშავებს. განსაკუთრებით ეს იმ ქვეყნებს ეხება, რომლებიც ევროკავშირისაგან სამხრეთით და აღმოსავლეთით არიან განლაგებული, რომელთა გაძლიერებას და ევროინტეგრაციასთან მიმართებაში თავისი პოლიტიკის დამოუკიდებელი განსაზღვრის უფლებას დაჟინებით მოითხოვს საგარეო საქმიანობის ევროპული სამსახურის სტრატეგია. როგორც ცხადდება, ასევე ევროკავშირის ინტერესებშია ცენტრალურ აზიაში, აფრიკაში, დასავლეთ ბალკანებში განლაგებულ სახელმწიფოებში და თურქეთში სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტების მდგრადობის ასევე ეკონომიკური სტაბილურობისა და მიგრაციული ნაკადების რეგულირების მხარდაჭერა. საგარეო საქმიანობის ევროპული სამსახური პრიორიტეტული ამოცანის სახით განიხილავს მდგრადობის უზრუნველყოფას ისეთ რეგიონებშიც კი, რომლებიც სამეზობლო პოლიტიკისგან შორს იმყოფებიან. [7:29]

თავისი საზღვრების უშუალო სიახლოვეს, ევროკავშირი, თავისი დიპლომატიური სამსახურის (საგარეო საქმიანობის ევროპული სამსახურის) მეშვეობით, გეგმავს შემდეგი როლების შესრულებას: იყოს პასუხისმგებელი და მიმზიდველი მეზობელი, შემდგომი განვითარებისთვის სასარგებლო პარტნიორი, ადამიანის უფლებათა დამცველი, გაეროს საბაზისო მიზნების პარტნიორი და გამტარებელი, დამხმარე ძალა კრიზისული სიტუაციების გადაჭრაში, მშვიდობიანი თანაარსებობის მხარდაჭერასა და ჰუმანიტარული დახმარების გაწევაში, სავაჭრო ბლოკი და, საბოლოოდ, გაფართოებადი პოლიტიკური კავშირი. ყველა ჩამოთვლილი მიმართულების შემუშავება საფუძვლად დაედო ევროკავშირის მთავრობათა დიპლომატიურ პრაქტიკას. და, როგორც ასკვნის ფ. მოგერინი, ამაჟამად როგორც არასდროს, ნათელია: ან ევროკავშირი

მოქმედებს როგორც ევროპელები, ან ევროკავშირის არც ერთ წევრ სახელმწიფოს არა აქვს არც პოლიტიკური მასშტაბები და არც ინსტრუმენტები, რათა ეფექტიანად იმოქმედოს გლობალური აქტორის სახით, ვინაიდან ზოგიერთი ინსტრუმენტი ქმედითი მხოლოდ საერთოევროპულ დონეზე ხდება.

გარდა აღნიშნულისა, ირიბად შეეხო რა აღმოსავლეთ პარტნიორთა გაძლიერების თემას, ევროდიპლომატიის მეთაურმა თქვა, რომ აღიარებს ბრიუსელისა და მოსკოვის ურთიერთდა-მოკიდებულებას, რაც უზიდავს ევროკავშირის „quite diplomacy“-ს გამოყენებისკენ, ხაზს უსვამს მოსკოვთან არსებული გეოპოლიტიკური წინააღმდეგობების განხილვისა და ურთიერთქმედების გამართვის აუცილებლობას მომდევნო განვითარების ინტერესებისა და ვექტორების თანხვედრისას. ახალი სტრატეგია განსაზღვრავს, რომ ასეთები (მომდევნო განვითარების ვექტორები) შეიძლება იყოს კლიმატის პოლიტიკა, არქტიკის ერთობლივი გამოყენების, საზღვაო უსაფრთხოების, საგანმანათლებლო მობილობისა და სამეცნიერო-ტექნიკური გაცვლის საკითხები, და ასევე სასაზღვრო თანამშრომლობის საკითხები.

ითვალისწინებს რა აზრთა სხვადასხვაობას ეროვნულ საგარეო საქმეთა სამინისტროებსა და ბრიუსელში არსებულ მონაწილე ქვეყნების დიპლომატიურ მუდმივ წარმომადგენლობებს შორის, ფ. მოგერინი, წინასწარ განსაზღვრავს, რომ რუსეთთან მიმართებაში მონაწილე ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ და შეინარჩუნონ მონოლითურობა ყირიმისა და აღმოსავლეთ-უკრაინულ საკითხებში მოსკოვის ქმედებათა დაგმობის და მიუღებლობის საქმეში.

გლობალური ამოცანების გადაჭრაზე პასუხისმგებლობის ხელახალი ფორმულირება საგარეო საქმიანობის ევროპული სამსახურს განხორციელებდა და ესახება მთელ მსოფლიოში გაფანტული, ევროკავშირის დიპლომატიური წარმომადგენლობების ფართო და მჭიდრო ქსელის საშუალებით, რომლებიც იზიარებენ ევროკავშირის ფუძემდებლურ განწყობებსა და ფასეულობებს. ცალკე არის ნახსენები, რომ გეგმაზომიერად იქნება გაძლიერებული თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან.

წმინდა ინსტრუმენტული თვალსაზრისით საგარეო საქმიანობის ევროპული სამსახურს არაფრით არ იჩენს თავის დიპლომატიურ ინსტრუმენტებზე უარის თქმის განზრახვას, იქნება ეს დემარშები, დეკლარაციები, ვიზიტები უმაღლეს დონეზე, ქმედებათა მხარდაჭერა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით, დიპლომატიური სანქციები დიპლომატიური აღიარება, პოლიტიკური დიალოგი, ევროკავშირში წევრობის შემოთავაზება, ზავის შემოთავაზება, მშვიდობიანი კონფერენციების დასპონსორება

და პრობლემურ წერტილებში სადამკვირვებლო მისიების გაგზავნა. [8:181] ახალი სტრატეგია გამიზნულია იმაზე, რომ საყოველთაო ევროპული კეთილდღეობის მიზნით ეფექტიანად იქნას გამოიყენებული ამ მომენტისთვის არსებული და სამომავლოდ შემუშავებული ყველა არსებული ინსტრუმენტი და, შესაბამისად, მაქსიმუმირებულ იქნას პერსპექტიული და ახალი საერთოევროპული ინსტრუმენტების გამოყენებისგან მიღებული უკუგება (მაგალითად, ისეთების, რომლებიც ენერგეტიკულ, კულტურულ და დიპლომატიის სფეროებს მიეკუთვნება).

ვინაიდან გლობალური სტრატეგიის მიმდინარე რედაქციაში ისინი პირდაპირ არ არის დასახელებული, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ საგარეო საქმიანობის ევროპული სამსახური შემდგომშიც გააგრძელებს EUEOM დამკვირვებელთა მისიის გამოყენებას ერთ-ერთი იმ საკვანძო ინსტრუმენტის სახით, რომლის მეშვეობითაც ბრიუსელი ზეგავლენას ახდენს დემოკრატიული ინსტიტუტების სატრანზიტო მდგომარეობის მქონე ქვეყნების დემოკრატიზაციაზე. EUEOM კი ჩვეულებრივ თან ახლავს ევროკავშირის სხვა საგარეოპოლიტიკური ინსტრუმენტის, კერძოდ კი – მშვიდობიანი მშენებლობის გამოყენებას. ასევე სავსებით მოსალოდნელია სტაბილურობასა და მშვიდობაში ინვესტირების ინსტრუმენტთა ფართო გამოყენება, [9] რომელთა საშუალებით ბრიუსელი ახორციელებს კრიზისების პრევენციასა და მართვას. და სრულიად ნათელია, რომ საგარეო საქმიანობის ევროპული სამსახური გააგრძელებს ჯერ კიდევ 2014 წელს მიღებული, პარტნიორობის პირველი საგარეოპოლიტიკური ინსტრუმენტის აქტიურ გამოყენებას, რომლის მეშვეობითაც ევროკავშირი ეხმარება მისთვის საინტერესო ქვეყნებს გლობალურ გამოწვევებზე ადეკვატურ რეაგირებაში, ასევე აპროექტებდა საერთაშორისო განზომილებას სტრატეგია „ევროპა 2020“-სთვის (478), აძლიერებდა სავაჭრო და საინვესტიციო შემადგენელს, ახალისებდა საჯარო დიპლომატიას და აკადემიურ ურთიერთქმედებას.

ამრიგად, საგარეო საქმიანობის ევროპული სამსახურის ახალი კონცეფციის თანახმად, რბილი ძალის ინსტრუმენტთა არსენალი, [10:257] რომელთა გამოყენებაში ბრიუსელმა მართლაც რომ წარმატებას მიაღწია, კვლავაც ძალაში დარჩება, რამაც, თუმცა, არ უნდა შეუშალოს ბრიუსელს ხელი ყურადღება სამოქალაქო და სამხედრო უსაფრთხოების, თავდაცვის მნიშვნელოვან ასპექტებზე გაამახვილოს, ვინაიდან რბილმა ძალამ უკრაინულ-რუსული კრიზისის ფონზე თავისი სუსტი ეფექტიანობა გვიჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ მის კაბინეტებში ჯერ კიდევ არ მომწიფდა მკაფიო გააზრება იმისა, თუ კონკრეტულად როგორ

უნდა განხორციელდეს ამგვარი ორიენტირების ცვლილება საგარეო საქმიანობის ევროპული სამსახურს უკვე აღარ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ევრო-კავშირის გაძლიერება სხვა ძლიერ რეგიონულ გაერთიანებებთან (ალბათ, აქ უფრო ნატო იგულისხმება) კოოპერაციის მეშვეობით უნდა ხდებოდეს.

თუმცა, თანამშრომლობის რა გეომეტრიაში და ინტეგრაციულ გაერთიანებებს შორის კონტაქტების რა გაფართოებულ სუბიექტთა შემადგენლობასთან და რა ფორმატებში მოხდება ეს, ამას „გლობალური სტრატეგია“ არ აკონკრეტებს.

მომდევნო ისტორიული ეტაპის ევროპული დიპლომატიის პრიორიტეტებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ის საკვანძო მიმართულებები, რომლებიც, წარმოდგენილი სტრატეგიის თანახმად, ყველაზე ოპერატიულ მუშაობას მოითხოვს. მათგან პირველია ევროკავშირის სტრატეგიული უსაფრთხოება, რომლის საკითხებს ამჟამად არა მხოლოდ კონვენციურად განსაზღვრული ომები, არამედ მათი სხვადასხვა ჰიბრიდული ფორმები, საერთაშორისო ორგანიზებული და ტერორის

საფრთხეები, ეკონომიკური დისბალანსები, კლიმატის ცვლილებები მიეკუთვნება. საფრთხეთა მოცემულ ნუსხაზე შესაფერისი რეაქციის მიზნით, ევროდიპლომატებს მოუწევთ მსოფლიო აუდიტორიამდე იმ აზრის მიტანა, რომ ევროკავშირს აქვს „სტრატეგიული ავტონომია“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის არ მოქმედებს ვისიმე ინტერესების ფორმატში, გარდა საკუთარი ინტერესებისა. ამიტომ ამიერიდან აქცენტი გაკეთდება მონაწილე ქვეყნების თავდაცვითი პოტენციალისა და მათი სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერებაზე, მათ შეგულიანებაზე შეასრულონ თავის თავზე ადრე აღებული სახელშეკრულებო ვალდებულებები ურთიერთმხარდაჭერასა და საერთო საფრთხეებთან ბრძოლასთან დაკავშირებით.

ამრიგად, ვფიქრობთ ევროდიპლომატიის პრაქტიკულმა მხარეებმა მრავალმხრივი გაშუქება ჰპოვეს, რომელიც უშუალოდ ევროკავშირის დიპლომატიური მუშაობის ორივე – ეროვნულ და საერთოევროპულ – კონტურში ჩაბმული მოხელეების პრაქტიკიდან არის აღებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Глобальная стратегия ЕС по внешней политике и политике безопасности. http://eeas.europa.eu/ru/news/29062016_ru.htm.
2. Крючков И., Зорилэ Д., Самойленко А. Россия как вызов для Европы. https://www.gazeta.ru/politics/2016/06/28_a_8340305.shtml.
3. Dalgaard-Nielsen A., Hamilton D. Transatlantic Homeland Security: Protecting Society in the Age of Catastrophic Terrorism. London: Routledge, 2006.
4. Бископ С., называл этот подход «мечтательным идеализмом вкупе с прагматизмом». Брюссель, 2014.
5. The Future of EU Defence Research. Brussels: Policy Department of Directorate-General for External Policies, 2016..
6. The Effect That Leaving the EU Will Have on UK Cyber Crime. <http://inhomelandsecurity.com/the-effect-that-leaving-the-eu-will-have-on-uk-cyber-crime>.
7. European Commission & High Representative, Review of the European Neighbourhood Policy. Joint Communication JOIN (2015) 50 Final. Brussels: EU Publishing, 2015.
8. Zielonka J., Paradoxes of European Foreign Policy. The Hague: Kluwer Law International, 1998.
9. Europe 2020. A European Strategy for Smart, Sustainable and Inclusive Growth. Brussels, 3.3.2010 COM(2010).
10. <http://www.buildup.eu/en/practices/publications/europe-2020-strategy-smart-sustainable-and-inclusive-growth-communication>
11. Tuomioja E., The Role of Soft Power in EU Common Foreign Policy. – Berlin: Bulletin of International Symposium on Cultural Diplomacy, 2009.

Prospects for the development of the EU Diplomatic Service

*Teimurz Peradze, PhD student
Georgian Technical University*

Summary

The EU's new geopolitical strategy, which has not been updated since 2003, is based on the fact that the EU needs strengthening, since because of the European integration idea itself the union is under danger. EU within the framework of the Neighborhood Policy seeks to spread democratic institutions and expand the area of free space. In this regard, it applies multilateral measures although due to the recent times crisis, a significant part of EU programs is developing slowly. One of those crisis is for the European security system (increased activity of terrorist grouping, migration of the Asian and African regions to the Europe Economic existing disproportions in donor development) during the last two years new existing challenge in the world –pandemic. Nevertheless, the existential level problems in the idea of European integration is largely originated with Brexit in the UK as a result London has made a decision to leave the European Union. The EU is trying to spread democratic institutions everywhere, where it will have a real opportunity to do so, because he understands it well that in general democratic states are not at war with each other and proper conditions are forming to them for competition. In this way, the EU uses soft power tactics too. This tactic is sometimes successful, sometimes even unsuccessful. The EU is paying close attention to issues of strategic security and is guided by its own interests. For today, the EU has a number of problems, among which we can single out not only illegal migration, but also drugs, the flow of internally displaced persons, energy problems, which meantime is intertwined on the new format of relations with Russia, all this pushes the modern EU elite to make the most of their diplomatic tools, as regional, as international and in the format of bilateral cooperation.

The most effective way for its foreign policy activities is the ideology of the European Union, in the basis of which is given free market economic relations, which also faces contradictions in different corner.

Which is directly taken from the both EU diplomatic work -national and pan-European- practice of the officers involved in the contour.

ეკონომიკა და ბიზნესი

ECONOMICS AND BUSINESS

ქვეშის ეთიკის მართვა სამართლებრივ ბიზნესში

*ნიკოლოზ გოთლაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქვეშის ეთიკის მართვა სხვადასხვა ქვეყნებში მოცემული მაქვს მომუშავეთა დამოკიდებულება კომპანიისადმი, კომპანიის დამოკიდებულება მომუშავეებისადმი და ქვეშის ეთიკის მართვა სხვადასხვა ქვეყნებში. ხაზს ვუსვამ სოციალური პასუხისმგებლობის სფეროებს; კომპანიათა შესაბამისობას სოციალური პასუხისმგებლობის დონის თანამედროვე მოთხოვნებისადმი; ასევე, სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებას ვუკავშირებ საერთაშორისო ბიზნესში სამართლებრივ რეგულირებას ნებისმიერი ორგანიზაციის მომავალი საქმიანობა პერსონალის მართვის სფეროში დიდადაა დამოკიდებული იმაზე თუ როგორი კადრები იქნა შერჩეული და როგორ ჩატარდება შერჩევის პროცესი. აქედან გამომდინარე, საჭიროა მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ პერსონალის მართვის ამ ეტაპს, რათა ადგილი არ ქონდეს დამატებით გართულებებს ფირმის საქმიანობაში.

საკუთარი თავის დასაცავად ასეთი საფრთხი-საგან მრავალ კომპანიაში ტარდება პოლიტიკა, რომელიც მომმარაგებელს უკრძალავს საჩუქარი მიიღოს მიმწოდებლისაგან, ზოგიერთი ამირეკული გაზეთების რედაქციაში და ასევე მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში ჟურნალისტებს ეკრძალებათ რესტორნებში სადილობა ვინმე სხვის ანგარიშზე, ვინაიდან უფასო სადილმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ჟურნალისტის თვალსაზრისზე და დაარღვიოს ამა, თუ იმ პრობლემის მისეული ხედვის ობიექტურობა. იმავდროულად სხვა ქვეყნებში საჩუქრების გაცვლა კომპანიის თანამშრომლებსა და მის კლიენტებს, ან მიმწოდებლებს შორის სავსებით მისაღებია. იაპონიაში, მაგალითად საჩუქრების ასეთი გაცვლა

ფართოდ გავრცელებული მოვლენაა.

საკვანძო სიტყვები: ეთიკური პრობლემები საერთაშორისო ბიზნესში, ეთიკური განსხვავებები, ეთიკური ქვეშის მართვა საერთაშორისო ბიზნესში.

შესავალი

არსებობს მოსაზრება „ჩვენ დამოკიდებულები ვართ ადამიანების სწორ საქმიან გადაწყვეტილებაზე ბიზნესში.“ ეს ადამიანები კი, როგორც წესი განათლებული, ინტელექტუალები არიან, მაგრამ მათ ხშირად უწევთ ყოფნა ისეთ სიტუაციებში, როცა აუცილებელია სიტყვისა და საქმის დაცემა. ასეთ შემთხვევაში კი ძნელია სიკეთისა და ბოროტების გამოჯენა. მაგრამ ზოგჯერ ისეთი მეწარმეები, რომლებიც ძალიან კარგად იცავენ ეთიკის კანონებს და მოთხოვნებს, ვარდებიან კანონსაწინააღმდეგო სიტუაციაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება დიდ მოგებას. ამ დროს ეთიკის კოდექსი და პრინციპი იგნორირებულია. ეთიკური ნორმატივები წარმოადგენენ ზოგად ფასეულობათა სისტემას და ეთიკის წესებს, რომლებიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის აზრით უნდა დაიცვან მისმა მუშაკებმა.

ძირითადი ტექსტი

ეთიკური ნორმატივები მუშავდება ორგანიზაციის მიზნების აღწერის, ნორმალური ეთიკური ატმოსფეროს შექმნისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ეთიკური რეკომენდაციების განსაზღვრისათვის. ქვეშის ვარიანტებს, რომლებიც ჩვეულებრივად იკრძალება ეთიკური ნორმატივებით, მიეკუთვნება: ქრთამი, გამოძალვა, საჩუქრები, კანონების დარღვევა, ფირმის საიდუმლოებათა გაცემა და სხვა. ბიზნესთან მიმართებაში მრავალეროვნულ ორგანიზაციაში

(ტრანსეროვნულ კორპორაციაში) კომპანიანიციატორმა უნდა გაითვალისწინოს მიღებული დამოკიდებულება სხვა კულტურებში ქრთამისა და საჩუქრებისადმი.

ადამიანთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ საზოგადოება დარღვევებს უკვე შეეჩვია, მეორე ჯგუფი კი მიიჩნევს, რომ ეთიკის დამრღვევები მკაცრად უნდა დაისაჯონ. მესამე ჯგუფი ამტკიცებს, რომ გამოსავალი უნდა ვეძებოთ კომპანიების პერსონალის ზნეობრივი აღზრდით და ამიტომაცაა აუცილებელი დიდ კორპორაციებში საკუთარი კოდექსის, ე.წ. ეთიკური სტანდარტების შემუშავება. ბოლო პერიოდში ხშირად ვისმენთ საუბრებს ბიზნესის ეთიკის შესახებ. კლასიკური მაგალითი: Wall street-ის წამყვანი ბანკების მეთაურებმა შუა კრიზისის პერიოდში საკუთარ თავს მრავალმილიონიანი ბონუსები გადაუხადეს. ეთიკურად მოიქცნენ ისინი? ამ კითხვას, რომ ვუპასუხოთ, ცუდი არ იქნება, გავერკვეთ, რა არის ეთიკა და არის თუ არა შესაბამისობაში ბიზნესთან.

ის, რაც გუშინ ეთიკური იყო, ხვალ შესაძლოა უკვე აღარ იყოს ეთიკური. ნორმებზე დაფუძნებული ეთიკის შექმნის მცდელობები ახლაც მიმდინარეობს, მაგრამ კაცობრიობის მთელი გამოცდილება ადასტურებს, რომ ასეთი რაციონალური კონსტრუქცია ამუხრუჭებს საზოგადოების განვითარებას და ხელს უშლის ახლის დაბადებას.

ორგანიზაციები ქმნიან ეთიკის თვალსაზრისით მუდმივ მოქმედ კომიტეტებს (კომისიებს) ყოველდღიური პრაქტიკის შეფასებისათვის. ასეთი კომიტეტების თითქმის ყველა წევრი უმაღლესი დონის მენეჯერია. ზოგიერთი ორგანიზაცია არ ქმნის ასეთ კომიტეტს, მაგრამ ქირაობს ბიზნესის ეთიკის სპეციალისტს, რომელსაც ეწოდება ეთიკის ადვოკატი. ეთიკის ადვოკატის ფუნქციაა ეთიკურ საკითხებზე დასკვნის შემუშავება, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციის მოქმედებებთან, აგრეთვე ორგანიზაციის „სოციალური სინდისის“ ფუნქციის შესრულება.

მრავალრიცხოვანი ეთიკური პრობლემები დაკავშირებულია იმასთანაც, თუ მუშები და მომსახურეები რა დამოკიდებულებაში არიან თავიანთ ქვეყნებთან. მთავარ ეთიკურ პრობლემათა რიცხვს, რომელიც შეეხება ურთიერთ-დამოკიდებულებას მომუშავეთა და კომპანიას შორის, მიეკუთვნება ინტერესთა კონფლიქტი, საიდუმლოება და კონფიდენციალურობა, ასევე მომუშავეთა პატიოსნება. ინტერესთა კონფლიქტს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ გადაწყვეტილებამ შეიძლება სარგებლობა მოუტანოს მომუშავეს, რომელიც ამ გადაწყვეტილებას ღებულობს, იმავდროულად ზარალი მოუტანოს კომპანიას. ყოველი კულტურული გარემოსთვის

დამახასიათებელია მომუშავეს ეთიკური საკუთარი სპეციფიკური აღქმა, იმ შემთხვევაში როდესაც ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს. მაგალითის სახით შეგვიძლია განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც მომწოდებელი კომპანიის მომსახურეს საჩუქარს თავაზობს, ზოგჯერ კომპანიაში არსებობს მტკიცე დარწმუნება, იმაში რომ ასეთმა საჩუქარმა შეიძლება ინტერესთა კონფლიქტის პროვოცირება გამოიწვიოს. ასეთ კომპანიათა ხელმძღვანელობას იმის შიში გააჩნია, რომ კომპანიის თანამშრომელი რომელიც მიწოდებთა ორგანიზებაზეა პასუხისმგებელი, უპირატესობას მისცემს იმ მომწოდებელს, რომელთაგანაც საჩუქარს იღებს და არა იმ პროდუქციას, რომელიც უფრო ხარისხიანია. ნებისმიერი კომერციული კომპანია თავისი არსებობისთვის ვალშია ძირითადი ამოცანის წინაშე, რომელიც დასმულია მის წინაშე ფასეულობის შექმნაზე (როგორც წესი მოგების ფორმით) მისი მფლობელებისათვის. მეორე მხრივ, საზოგადოების თითოეული შრომისუნარიანი წევრის შრომითი საქმიანობა პრაქტიკულად მიმართულია იმაზე, რომ გამოიმუშაოს თავისი საკუთარი ცხოვრების და ოჯახის შენახვის სახსრები. მაშასადამე, კომპანიის ყოველი პირის ან ადამიანის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების ამოცანა შემოსავლების დონის ამაღლებაში და ამ კომპანიის ან ამ ადამიანის ხარჯების შემცირებაში მდგომარეობს.

ფირმის საიდუმლოებათა გაცხადება არაეთიკურად ითვლება მრავალ ქვეყანაში, მაგრამ არა ყველაში. მომსახურეები, რომლებიც მუშაობენ მაღალკონკურენტულ დარგებში და ბიზნესს წარმართავენ, შეიძლება წასძლიოს ცდუნებამ და გაყიდოს ინფორმაცია კომპანიის გეგმებისა და მისი კონკურენტების შესახებ. ასეთი სიტუაციის მაგალითი შეიძლება იყოს დამამძიმებელი მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა კომპანია durawool-ი, წვრილი ბურბუშელის ამერიკელი მწარმოებელი. ამ კომპანიის ხელმძღვანელობა იმით შემფოთდა, რომ ჩინურმა კანონმდებლობამ პრაქტიკულად არ დაიცვა კომპანიის ინტერესები, როდესაც ერთ-ერთი ადგილობრივი მოსამსახურე გათავისუფლდა კომპანიის შვილობილ კომპანიაში, რომელმაც გამოიყენა durawool-ის ტექნოლოგია.

საერთაშორისო მენეჯერთა ნაციონალურობის თვალსაზრისით ფირმას შეუძლია დაიქირაოს მენეჯერები პირთა სამი ჯგუფისგან: მშობლიური ქვეყნის, მიმღები და მესამე ქვეყნების წარმომადგენლებისგან. საერთაშორისო ფირმის კადრების განყოფილებამ მენეჯერებს უნდა შესთავაზოს ასევე სწავლება და განვითარება რათა დაეხმაროს მათ უფრო ეფექტიან მუშაობაში. სწავლება - ეწოდება მომზადებას, რომელიც მიმართულია კონკრეტული სამუშაო ჩვევების და

უნარების განვითარებაზე. მაგალითად, სასწავლო პროგრამები შეიძლება მიმართული იყოს მომუშავეთა დასახმარებლად უცხო ენის ათვისებაში, ახალი მოწყობილობის გამოყენებაში, ახალი საწარმოო პროცესების დანერგვაში. საზღვარგარეთულ ხანგრძლივ მივლინებებში წამსვლელი მომუშავეებისთვის მნიშვნელოვანია სპეციალური სწავლება, რომელიც მიმართულია ახალი კულტურისადმი ადაპტირების გამარტივებაში. განვითარება - ეწოდება საერთო განათლებას, რაც დაკავშირებულია მენეჯერთა მომზადებაზე ახალი დანიშვნისთვის ან უფრო მაღალ თანამდებობაზე გადაადგილებისთვის. როგორც წესი, განვითარების პროგრამა შეიძლება გამიზნულია მენეჯერებზე დახმარებაზე გადაწყვეტილების მიღების ან ხელქვეითთა მოტივირების უნარის გაუმჯობესებაზე.

ინგლისურ ბიზნესში მოქმედებს ურთიერთობის განსაზღვრული რიტუალი, რომელსაც ყველგან იცავენ: პირადი და სატელეფონო საუბრის დროს, საქმიანი სადილების მოწყობის, სიმპოზიუმების, კონგრესების, სემინარების გამოფენებისა და სხვათა ჩატარებისას. ინგლისელებს ძალიან განვითარებული აქვთ სამართლიანობის გრძნობა. ამიტომ მოლაპარაკების პროცესში წესიერი თამაშის მომხრენი არიან და ცბიერებას და მზაკვრობას ვერ ითმენენ. მოლაპარაკების დროს ინგლისელთა პოზიცია, როგორც წესი მკაცრია. მათთან საქმიანი საუბარი მრავალრიცხოვანი ფაქტობრივი, საცნობარო და სტატისტიკური მასალების გამოყენებით მიმდინარეობს. ყურადღებით განიხილავენ

ყოველ პოზიციას, კონტრაქტის ყოველ პარამეტრს, მკაცრად აფიქსირებენ ყოველ დეტალს. ინგლისელ ბიზნესმენებთან მოლაპარაკება გულმოდგინე მომზადების გარეშე სასურველი არ არის. ინგლისელები გადაწყვეტილებას აუქჩარებლად იღებენ, მათ პატიოსან სიტყვას შეიძლება ვენდოთ. ისინი პირად პრობლემებს ერთმანეთს არ უზიარებენ. უხეშ სიტყვებს არ იყენებენ და ურთიერთობის ფორმა დახვეწილი აქვთ. მათი რჩევა - ინსტრუქცია თავაზიანი ბრძანებაა.

დასკვნა

ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეთიკური ასპექტი კროს-კულტურულ და საერთაშორისო კონტექსტში ესაა კომპანიის დამოკიდებულება თავისი პერსონალისადმი. ნებისმიერ ორგანიზაციას მუდმივად აქვს მოთხოვნილება პერსონალზე. პერსონალის მოზიდვას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობისთვის. რამდენადაც ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობა უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია, მისი პერსონალის მუშაობის ეფექტიანობით. ამიტომ, ნებისმიერი ორგანიზაციის მომავალი საქმიანობა პერსონალის მართვის სფეროში დიდადაა დამოკიდებული იმაზე თუ როგორი კადრები იქნა შერჩეული და როგორ ჩატარდება შერჩევის პროცესი. აქედან გამომდინარე, საჭიროა მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ პერსონალის მართვის ამ ეტაპს, რათა ადგილი არ ქონდეს დამატებით გართულებებს ფირმის საქმიანობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Man Mohan Joshi, Human Resource Management. Bookboon 2013
2. პაიჭაძე ნუგზარი „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“, თბილისი გამომცემლობა: „თსუ“ 2011 წელი.
3. http://gfsis.org/media/download/cbgl_training/staff_development_ge.pdf

Managing Behavioral Ethics in International Business

*Nikoloz Gogoladze, Associate Professor of
the Georgian State Teaching University of Physical Education and Sports*

Summary

The article discusses Behavioral Ethics Management in Different Countries I have given employee attitudes towards the company, company attitudes towards employees and behavior ethics management in different countries. I emphasize the areas of social responsibility; The compliance of companies with modern requirements of the level of social responsibility; Also, I link social responsibility assessment to legal regulation in international business.

Revealing a firm's secrets is considered unethical in many countries, but not in all. Service providers who work in highly competitive industries and run businesses can resist temptation and sell information about a company's plans and its competitors. An example of such a situation could be the aggravating situation in which the company durawool, an American manufacturer of thin burrs, found itself. The management of this company was concerned that the Chinese legislation practically did not protect the interests of the company when one of the local employees was fired in the subsidiary of the company who used durawool technology.

To protect themselves from such a threat, many companies have policies that prohibit suppliers from accepting gifts from suppliers, and in some American newspapers and other media outlets, journalists are barred from dining at someone else's account, as free lunch may affect Objectivity of his vision of the problem. At the same time exchanging gifts in other countries between the company's employees and its customers, or suppliers is perfectly acceptable. In Japan, for example, such an exchange of gifts is a widespread occurrence.

One of the most important ethical aspects of behavior in a cross-cultural and international context is the company's attitude towards its staff. Any organization is constantly in need of staff. Attracting staff is of great importance for the successful operation of the organization. The effectiveness of the organization's activities is primarily due to the efficiency of its staff. Therefore, the future activities of any organization in the field of personnel management will largely depend on what kind of staff has been selected and how the selection process will take place. Therefore, we need to take this stage of personnel management very seriously so that there are no additional complications in the firm's operations.

Keywords: Ethical problems in international business, ethical differences, management of ethical behavior in international business.

ელექტრონული მმართველობის სისტემის მდგრადი განვითარების მოდელის უზრუნველყოფის კონცეფციური დოკუმენტი

ნატალია კანდელაკი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე ეპოქაში, თითოეული სახელმწიფოს დღის წესრიგის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა ელექტრონული მმართველობის სისტემის მდგრადი განვითარების საკითხი. ამ მხრივ, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს.

ელექტრონული მმართველობის სისტემა წარმოადგენს რთულ სისტემას, რომლის დინამიკა დაკავშირებულია შიგა და გარე ფაქტორების ურთიერთქმედებასთან. ფაქტორების ზეგავლენის მიუხედავად, ელექტრონული მმართველობის სისტემამ ყოველთვის უნდა შეინარჩუნოს საკუთარი თვისობრივი მახასიათებლები, როგორც სახელმწიფოს მდგრადი განვითარების ინსტრუმენტმა.

ელექტრონული მმართველობის სისტემის, როგორც ძნელად ფორმალიზებადი სისტემების კვლევის თავისებურება მდგომარეობს იმაში, ეს არის რთული ინტელექტუალური პროცესი. აღნიშნული პროცესის მხარდასაჭერად აუცილებელია ფორმალური მოდელების შემუშავების ახალი მიდგომები და პრობლემების გადაჭრის მეთოდები. სწორედ, კოგნიტური მიდგომა მოდელირებისადმი და ძნელად ფორმალიზებადი სისტემების მართვისადმი მიმართულია ფორმალური მოდელების და მეთოდების შემუშავებისაკენ, რომელიც ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების ინტელექტუალურ პროცესს.

სტატიაში შემოთავაზებულია ელექტრონული მმართველობის, როგორც ძნელად ფორმალიზებადი სისტემის კვლევის/შესწავლის კოგნიტური მიდგომა. გაანალიზებულია კოგნიტური მოდელირების არსი, ასევე განხილულია კოგნიტური რუკის მნიშვნელობა ძნელად ფორმალიზებადი სისტემების მოდელირების თვალსაზრისით. სტატიაში წარმოდგენილი მიდგომა ელექტრონული მმართველობის სისტემის კვლევის ასპექტში წარმოადგენს სიახლეს და ხაზს უსვამს საკუთარ პერსპექტიულობას.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული მმართველობა, მდგრადი განვითარება, ძნელად ფორმალიზებადი სისტემები, კოგნიტური მოდელირება, კოგნიტური რუკა.

შესავალი

ელექტრონული მმართველობის სისტემა წარმოადგენს რთულ სისტემას. რთული სისტემები თავისი ორგანიზაციული სტრუქტურით განეკუთვნებიან განაწილებულ სისტემებს, რომლებსაც ასევე „ქსელურ სისტემებს“ უწოდებენ [5]. თუ ქსელის ან სისტემის სტრუქტურისათვის დამახასიათებელია არა ერთი, არამედ მრავალი კვანძის არსებობა, მაშინ სახეზეა რთული მოცემულობა. შესაბამისად, რთული, ძნელად ფორმალიზებადი სისტემების შესასწავლად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას კოგნიტური მოდელირება და შემუშავდეს კოგნიტური რუკა.

ძირითადი ნაწილი

ძნელად ფორმალიზებადი სისტემებისათვის დამახასიათებელია ისეთი პრობლემები, რომელთა გამოყოფა რთულია საკვლევ მმართველობით სიტუაციაში, შესაბამისად, ასეთი სისტემების მართვის ამოცანები ზღუდავს ტრადიციული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას მოიძებნოს ოპტიმალური (ან დამაკმაყოფილებელი) გადაწყვეტილება.

ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ინფორმაციის ნაკლებობა ძნელად ფორმალიზებადი სისტემების მდგომარეობის შესახებ ნაკლებად კონტროლირებადი და ცვალებადი გარემოს პირობებში. სისტემის არასაკმარისი ცოდნა, რომელზეც მიიღება გადაწყვეტილება, არ წარმოადგენს ერთადერთ ბუნდოვან მხარეს, რომელიც განპირობებულია სუბიექტური მიზეზებით. შესაძლებელია, აგრეთვე გამოვყოთ ძნელად ფორმალიზებადი სისტემების განვითარების მიზნების დაუდგენლობა და მმართველობითი გადაწყვეტილების არჩევის კრიტერიუმები[4]. როგორც წესი, სისტემის მიმდინარე მდგომარეობის არადამაკმაყოფილებლობა აღიქმება მართვის სუბიექტის მიერ, მაგრამ მისი წარმოდგენები ძნელად ფორმალიზებადი სისტემებში სიტუაციის შეცვლის მიზეზებზე და შესაძლო საშუალებებზე ბუნდოვანია, უზუსტო და წინააღმდეგობრივი. არაუზუსტი შეხედულებების/წარმოდგენების ფორმალიზაცია - ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომელიც უნდა განისაზღვროს გადაწყვეტილების მიღების მოდელების და მეთოდების შემუშავებისას ძნელად ფორმალიზებადი სისტემებში[2].

მეორე სირთულე მდგომარეობს, იმაში, რომ მართვის სუბიექტს უწევს ხარისხობრივი ინფორმაციითმანიპულირება-ჰიპოთეზების, ინტუიციური ცნებების და გონებრივი გამოსახულებების სახით. მრავალრიცხოვანი გადაწყვეტილებების მიღების კვლევის პროცესები ადასტურებს, რომ მართვის სუბიექტს არ ახასიათებს გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების სახით. ის, უპირველეს ყოვლისა, აზროვნებს ხარისხობრივად და მისთვის გადაწყვეტილების ძიება - არის ჩანაფიქრის ძიება, სადაც რაოდენობრივი შეფასებები დამხმარე როლში გვევლინება[2]. ამიტომ ცოდნის სტრუქტურები მართვის სუბიექტის აზროვნებაში არის სიტუაციის უმთავრესი ელემენტი და განუყოფელია გადაწყვეტილების მიღების მოდელისაგან.

ამრიგად, გადაწყვეტილებების მიღება ძნელად ფორმალიზებადი სისტემების მართვის კუთხით, უნდა განვიხილოთ როგორც პრობლემების მოგვარების რთული ინტელექტუალური პროცესი, რომელსაც მივყავართ რაციონალურ არჩევანამდე. აღნიშნული პროცესის მხარდასაჭერად აუცილებელია ფორმალური მოდელების შემუშავების ახალი მიდგომები და პრობლემების გადაჭრის მეთოდები, ასევე ძნელად ფორმალიზებადი სისტემების განვითარების მიზნების ფორმულირება, განსაკუთრებით მმართველობითი გადაწყვეტილებების მომზადების საწყის ეტაპზე. გადაწყვეტილების მიღების მეთოდების გამოყენების პირველი ეტაპი[3] არის - „პრობლემის წინასწარი ანალიზი და მისი სტრუქტურისაგან“, რაც წარმოადგენს რთულ და ძნელად ფორმალიზებად ეტაპს.

კოგნიტური მიდგომა მოდელირებისადმი და ძნელად ფორმალიზებადი სისტემების მართვისადმი მიმართულია ფორმალური მოდელების და მეთოდების შემუშავებისაკენ. კოგნიტური სტრუქტურისაგანის შედეგად ხორციელდება საკვლევი ობიექტის შესახებ არაფორმალური ცოდნის დამუშავება, რომელიც შესაძლებელია გამოვსახოთ სქემის, გრაფის, მატრიცის, ასევე ცხრილის სახით. ჩვენ შევჩერდებით გრაფზე (კოგნიტური რუკა).

კოგნიტური სქემით ხორციელდება რთული, ძნელად ფორმალიზებადი სისტემების მოდელირება. კოგნიტური სქემა არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამდგენი ინსტრუმენტი, რომლითაც ხდება გადაწყვეტილების მიმღები პირის (პირების) შეხედულებების, აზრის ინტერპრეტირება.

ფორმალურად, კოგნიტური სქემა არის ორიენტირებული გრაფი, რომელიც გამოისახება შემდეგნაირად:

$$G = \langle V, E \rangle \text{ სადაც}$$

V - არის წვეროების სიმრავლე (მაგ: ობიექტების, კონცეპტების)

$V_i \forall i, I = 1, 2, \dots, k$ წარმოადგენს შესასწავლი სისტემის ელემენტებს,

E - არის დამაკავშირებელი რკალის (რკალების, წიბოების) სიმრავლე

$e_{ij}, \forall E, i, j = 1, 2, \dots, N$ ასახავს V_i და V_j წვეროებს შორის ურთიერთკავშირს, ასევე ზეგავლენას V_i -ის V_j -ზე და შესასწავლ სიტუაციაში შესაძლებელია იყოს დადებითი - როცა ერთი ფაქტორის გაზრდა (შემცირება) იწვევს მეორე ფაქტორის ზრდას (შემცირებას) ან უარყოფითი - როცა ერთი ფაქტორის ზრდა (შემცირება) იწვევს მეორე ფაქტორის შემცირებას (ზრდას) ან შესაძლებელია რომ საერთოდ არ იკვეთებოდეს (0) სიტუაციის შესწავლის მომენტში.

კოგნიტური სქემის ურთიერთკავშირის მატრიცა A_G - ეს არის კვადრატული მატრიცა, რომლის სტრიქონები და სვეტები აღნიშნულია გრაფის წვეროებით „G“, სტრიქონების - i და სვეტების - j გადაკვეთაზე გამოსახულია (ან არ არის გამოსახული) ერთეული, თუ არსებობს (ან არ არსებობს) კავშირი V_i და V_j ელემენტებს შორის, ანუ:

$$A_G = [a_{ij}] \text{ სადა } a_{ij} = \begin{cases} 1, & \text{თუ } V_i \text{ დაკავშირებულია } V_j \text{-თან;} \\ 0, & \text{წინააღმდეგ შემთხვევაში} \end{cases}$$

a_{ij} შესაძლოა მიიღოს მნიშვნელობა „+1“ ან „-1“.

ცვლადებს შორის დამოკიდებულება (ფაქტორების ურთიერთქმედება) - ეს არის ერთი ცვლადის მეორეზე შეცვლით მიღებული ცვლილებების ასახვა რაოდენობრივი ან ხარისხობრივი სახით.

კოგნიტური მოდელის დონეზე, კოგნიტური სქემის ყოველი კავშირი ფაქტორებს შორის იხსნება გარკვეულ დონემდე და შესაძლოა შეიცავდეს როგორც რაოდენობრივ ისე ხარისხობრივ ცვლადებს. რაოდენობრივი ცვლადები გამოისახება რიცხობრივად, ხოლო ხარისხობრივი ცვლადებისათვის გამოიყენება შეფასება: „ძლიერი“, „საშუალო“, „სუსტი“ და სხვა, ასევე რიცხვითი მონაცემების სკალა (0,1). პროცესებზე დაგროვილი ცოდნის შესაბამისად, შესაძლებელი ხდება უფრო დეტალურად დადგინდეს ფაქტორებს შორის კავშირი („data mining“). ყოველივე აღნიშნული ქმნის კოგნიტური მოდელის განსხვავებულ ტიპებს.

კოგნიტური მოდელების ძირითადი ტიპებია:

ვექტორული ფუნქციონალური გრაფი

პარამეტრული ვექტორული გრაფი

მოდულირებული გრაფი

ვექტორული ფუნქციონალური გრაფი -

გამოისახება: $F = \langle G, X, F \rangle$ სადაც

1. $G = \langle V, E \rangle$ - ორიენტირებული გრაფი;

2. X - წვეროების პარამეტრების სიმრავლე V , $X = \{X^{(vi)}\}$, $i = 1, 2, \dots, k$, $X^{(vi)} = \{X^{(ig)}\}$, $g = 1, 2, \dots, n_i$; ანუ თითოეულ წვეროს მიესადაგება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პარამეტრების ვექტორი $X^{(vi)}$, (ან ერთი პარამეტრი $X^{(ig)} = x_i$, თუ $g=1$); $X: V \rightarrow R$, R - ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე;

3. $F = F(X, E) = F(x_i, x_j, e_{ij})$ - წიბოების გარდაქმნის

ფუნქციონალი, რომლის საფუძველზე თითოეულ წიბოს უკეთდება აღნიშვნა („+“, „-“, „) ან წონის კოეფიციენტი w_{ij} , ან ფუნქცია $f(x_i, x_j, e_{ij})=f_{ij}$.

$F(X,E)$ -ის გათვალისწინებით, გრაფი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოისახება: ნიშნაანი ორგრაფი (კოგნიტური სქემა) - ეს არის F გრაფი, სადაც

$$F = F(X, E) = F(x_i, x_j, e_{ij}) = \begin{cases} +1, \text{თუ } x_i\text{-ის ზრდას (შემცირებას) მოყვება } x_j \text{ ზრდა (შემცირება);} \\ -1, \text{თუ } x_i\text{-ის ზრდას (შემცირებას) მოყვება } x_j \text{ შემცირება (ზრდა);} \end{cases}$$

$I_j = 1, 2, \dots, k$ წონადი ნიშნაანი ორგრაფი - ეს არის F გრაფი, სადაც

$$F = F(X, E) = F(x_i, x_j, e_{ij}) = \begin{cases} +w_{ij}, \text{თუ } x_i\text{-ის ზრდას (შემცირებას) მოყვება } x_j \text{ ზრდა (შემცირება);} \\ -w_{ij}, \text{თუ } x_i\text{-ის ზრდას (შემცირებას) მოყვება } x_j \text{ შემცირება (ზრდა);} \end{cases}$$

სადაც W_{ij} - წონის კოეფიციენტი, $W_{ij} \in \mathbb{R}$, W - ყველა წიბოს სიმრავლე,

$W: E' \times X \otimes R$ - ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე. W_{ij} - შესაძლებელია განისაზღვროს ერთი რიცხვით ან იყოს ინტერვალური.

მოდულიზირებული გრაფი - სისტემაში მომხდარი ყველა შესაძლო ცვლილების დინამიკაში აღსანიშნავად, მოდელში შემოაქვთ დროის აღნიშვნა.

უწყვეტი დროის განზომილება T - არის სივრცე, სადაც ხორციელდება დინამიკური პროცესები. დროის მომენტების თანმიმდევრობა $\{t_n\}$ - ეს არის გარკვეული წესების შესაბამისად T სივრცეში გამოყოფილი მომენტები, რომელთათვისაც განსაზღვრულია გავლენა სისტემაზე და სისტემის მდგომარეობის შეცვლის წესები. განვიხილოთ უწყვეტი და დისკრეტული მომენტის დადგომის შემთხვევა T_n .

რთული პროცესების ურთიერთქმედების მოდელირებისას აუცილებელია განისაზღვროს ფაქტორების ზეგავლენის სქემა და აგებულ იქნას “შეშფოთების” რეაქციის და მისი გადაცემის მექანიზმები. განვსაზღვროთ შემდეგი ცნება: „ელემენტარული შეშფოთება“ (ელემენტარული იმპულსი) - არის შემოსული შეშფოთება, გენერირებადი შეშფოთება, რომელიც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შემდგომში შემოვიტანოთ მოდიფიცირებული გრაფის განსაზღვრება, რომელიც ასახავს სისტემაში პროცესების დინამიკას.

იმპულსი (Imp) (შეშფოთება) $P_v(t)$ წვეროებში $v \in V$ დროის მომენტში $t \in T$ - ეს არის პარამეტრის ცვლილება წვეროებში (წერტილებში) დროის t მომენტში:

$$P_v(t) = Xv(t_+) - Xv(t_-)$$

გარე იმპულსი t მომენტში - ეს არის $Q(t) = \{Q_v(t), v \in V\}$ ერთობლიობა.

ნაშრომში ვიხილავთ სამი ტიპის იმპულს ელემენტარულს, შემოსულს და გენერირებადს

შეშფოთებების სახით.

ელემენტარული შეშფოთება - ეს არის იმპულსი, რომელიც ერთი წვეროს (წერტილის) მეორე წვეროზე ზეგავლენის შესახებ ინფორმაციის მატარებელია. ელემენტარული იმპულსებია: შიგა და გარე.

შემოსული შეშფოთება (P_x) - ეს არის ელემენტარული იმპულსების ერთობლიობა, რომელიც გავლენას ახდენს წვეროებზე დროის ერთსა და იმავე მომენტში.

გენერირებადი შეშფოთება (P_{out}) - არის შეშფოთება, რომელიც ფორმირდება წვეროზე რათა გავლენა მოახდინოს სხვა წვეროზე წიბოს მეშვეობით.

მოდულიზირებული გრაფი - ეს არის: $M = \langle G, (X, D_p, P_{xv}, P_{uv}, m, n, D_u, P_e), (h, W, D_b), e \rangle$, სადაც $G = \langle V, E \rangle$ - ორიენტირებული გრაფია (კოგნიტური სქემა), $(X, D_p, P_{xv}, P_{uv}, m, n, D_u, P_e)$ - წვეროების პარამეტრული მახასიათებლები და შეშფოთების გარდაქმნის მექანიზმები [1].

დასკვნა

სტატიაში შემოთავაზებულია კოგნიტური მიდგომა როგორც ელექტრონული მმართველობის სისტემის მდგრადი განვითარების მოდელის შემუშავების ინსტრუმენტი. ამ მიდგომის უპირატესობა მდგომარეობს: შესასწავლი ობიექტის სისტემური წარმოდგენის შესაძლებლობაში, მმართველობით სისტემებში პირდაპირი და უკუკავშირების ფაქტორების დადგენაში, იმპულსური პროცესების რეალიზაციით ევოლუციური დინამიკის წარმოდგენაში, იმიტაციური მოდელირების განხორციელებით სისტემის მდგრადობის შესწავლაში და მმართველი პარამეტრების და მათი მგრძობიარობის დადგენაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ПРАНГИШВИЛИ А.И. ПРОКОПЬЕВ С.В. КОНФЛИКТОЛОГИЯ-Компьютерные модели поддержки принятия решений, Грузинский технический университет – ГТУ, 2007, 221 с.
2. ПРАНГИШВИЛИ И.В. Системный подход и общесистемные закономерности. – М.: СИНТЕГ, 2000, 528 с.
3. ROBERTS F. Applications of Combinatorics and Graph Theory to the Biological and Social Sciences, 1989, 345p.
4. ТРАХТЕНГЕРТС Е.А. Subjectivity in computer decision support, 2001, 256 p.
5. ЦВЕТКОВ В.Я. Сложные технические системы // Образовательные ресурсы и технологии. - 2017'3 (20). - С. 87.

Cognitive Approach to Developing a Model for Sustainable Development of an Electronic Governance System

*Natalia Kandelaki, PhD student
Georgian Technical University*

Summary

In the modern era, the issue of sustainable development of the e-governance system has become a priority on the agenda of every state. Georgia is no exception in this regard.

Electronic governance system - is a complex system, the dynamics of which is associated with the interaction of internal and external factors. Despite the influence of factors, the e-governance system should always retain its qualitative characteristics as a tool for sustainable development of the state.

The peculiarity of the study of an electronic governance system as a difficult formalized system is that it is a complex intellectual process leading to a rational choice. To support this process, new approaches to the development of formal models and methods of problem solving are needed. It is a cognitive approach to modeling and managing difficult-to-formalize systems that focuses on developing formal models and methods that facilitate intelligent decision-making.

As a result of cognitive structuring, informal knowledge about the object of research is processed, which can be expressed in the form of a directed graph. Formally, a cognitive map is a directed graph used to model complex systems.

The article proposes a cognitive approach to the study of electronic governance as a difficult to formalized system. The essence of cognitive modeling is analyzed, as well as the importance of the cognitive map from the point of view of modeling difficult to formalize systems. The approach presented in the article in the research aspect of the electronic governance system is a novelty and emphasizes its own perspective. The advantages of this approach are: systematic presentation of the object under study, determination of direct and inverse factors in control systems, presentation of evolutionary dynamics through the implementation of impulse processes, study of system stability by simulation, determination of control parameters and their sensitivity.

Key words: Electronic governance, Sustainable development, difficult to formalize systems, Cognitive modeling, Cognitive map.

აკატნიკობის ახალი მოდელები და ინტეგრაციონალიზაცია უმჯობესი განათლების სექტორში

მაგდა მაღრაძე, დოქტორანტი
ოვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

უმჯობესი განათლების ინტეგრაციონალიზაცია საქართველოს სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტადაა გამოცხადებული.

2012 წლიდან საქართველოს მთავრობის ახალმა გუნდმა საგანმანათლებლო რეფორმების ახალი ტალღა დაიწყო. აღიარებულ იქნა, რომ განათლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართულ საქართველოს ძალისხმევას მთავარ დაბრკოლებას უქმნიდა ადამიანური კაპიტალის განვითარება და უმჯობესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა უნარების მიწოდებასა და დამსაქმებელთა მოთხოვნას შორის არსებული უზარმაზარი სხვაობა და შეუსაბამობა, რაც აფერხებდა ეკონომიკურ ზრდას, სიღარიბის აღმოფხვრასა და ქვეყნის განვითარებას.

2012 წელს, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება აშშ-ის მთავრობის დახმარებით მნიშვნელოვანი ინვესტირება განხორციელებინა აშშ-ის უნივერსიტეტის კამპუსის საქართველოში გასახსნელად. საქართველოს მთავრობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა უმჯობესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში აშშ-ის უნივერსიტეტის შემოყვანის გზით, რომელიც სტუდენტებს STEM (საბუნებისმეტყველო-საინჟინრო და ტექნიკურ) დარგებში თავის აკრედიტებულ პროგრამებს შესთავაზებდა. საქართველოს მთავრობა მოქმედებდა იმ მოტივით, რომ აშშ-ის უნივერსიტეტები დაინტერესდებოდნენ თავიანთი არეალის გლობალური გაფართოებით და საქართველო მათთვის მიმზიდველი ადგილი გახდებოდა. ეს ამოცანათანხვედრაში იყო მთავრობის მიზანთან საქართველო ინდუსტრიალიზებულ და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე ქვეყნად ექცია.

სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა უმჯობესი განათლების სექტორში ჩამოყალიბებული მთავარი ტენდენცია, კერძოდ, საერთაშორისო ფილიალი-კამპუსების გახსნა და ამ გზით უმჯობესი განათლების ექსპორტირება, როგორც უმჯობესი განათლების განვითარების მთავარი გზა.

უმჯობესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა კომისია (CIHE) საერთაშორისო ფილიალი-კამპუსების პოლიტიკაზე ორიენტირებულ დეფინიციას გვთავაზობს: „ფილიალი-კამპუსი გეოგრაფიულად მოწყვეტილია მთავარ კამპუსს, ახორციელებს სასწავლო პროგრამის 50%-ს ან უფრო მეტს, გასცემს

დიპლომს, სერტიფიკატს ან ოფიციალურად აღიარებულ სხვა მოწმობას, პერმანენტულია თავისი ხასიათით, ჰყავს თავისი პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაცია, და აქვს საკუთარი საბიუჯეტო ან დასაქმების უფლებამოსილება“.

ადამიანური კაპიტალის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ხარისხიანი და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი განათლების გზით. გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობრივ უნივერსიტეტებს ამჟამად არ შეუძლიათ მაღალხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება, პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა საერთაშორისო ფილიალი-კამპუსების ან აშშ-ისა და ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების პროგრამების იმპორტირებაში უნდა ვეძიოთ.

2013 წელს, აშშ-ისა და საქართველოს მთავრობებმა ხელი მოაწერეს 140 მილიონი დოლარის ღირებულების საგრანტო ხელშეკრულებას (ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტს), რომლის მიზანი იყო საქართველოს დაეხმაროს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში. კომპაქტის ფარგლებში 30 მილიონი დოლარით დაფინანსებული ერთ-ერთი პროექტის მიზანს წარმოადგენდა აშშ-ის უნივერსიტეტის საქართველოში ჩამოყვანა და ადგილობრივ უნივერსიტეტებთან პარტნიორობის დამყარება თბილისში (საქართველოს დედაქალაქი) STEM დარგებში საბაკალავრო პროგრამების განხორციელების მიზნით. აღნიშნულის შედეგად, 2014 წლიდან, საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო აშშ-ის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა აშშ-ის მთავრობისა (ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის 34 მილიონი დოლარის გრანტი) და საქართველოს მთავრობის (დაახლოებით 15 მილიონი დოლარი) მიერ 2014-2023 წლებში გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (სდსუ) დახმარებით, 2014 წლიდან, დაინერგა პარტნიორობის უნიკალური მოდელი, რომლის ფარგლებშიც სდსუ სტუდენტებს თავის ბაკალავრიატის პროგრამებს სთავაზობდა, კურსდამთავრებულები კი მიიღებდნენ ამერიკულ დიპლომს. პარალელურად, სდსუ პარტნიორ ქართულ უნივერსიტეტებს შესაძლებლობათა განვითარებაში ეხმარებოდა, რათა პარტნიორ უნივერსიტეტებს STEM-ის დარგებში იმავე ხარისხის აკადემიური პროგრამების განხორციელება შესძლებოდათ, საერთაშორისო სტანდარტებისთვის მიეღწიათ და

საერთაშორისო აკრედიტაცია მოეპოვებინათ.

პარტნიორობის ეს პროექტი წარმატებით ხორციელდება. სდსუ-საქართველოს პარტნიორობა ტრანსფორაციულ ზემოქმედებას იქონიებს საქართველოს უმაღლეს განათლებაზე, საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისა და STEM-ის დარგებში კვალიფიციური სამუშაო ძალის უზრუნველყოფის გზით.

შესავალი

საქართველო ახლად შექმნილი დემოკრატიული სახელმწიფოა. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ხელისუფლება და მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად დაარწმუნა იმაში, რომ განათლება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მთავარი გასაღებია. ქართველებისთვის განათლება ყოველთვის პრიორიტეტს წარმოადგენდა: ოჯახის შემოსავლის საშუალოდ 60%-ზე მეტი განათლებაზე იხარჯება. 2017 წელს, საქართველოს მთავრობამ პრემიერ მინისტრი მამუკა ბახტაძის ხელმძღვანელობით განათლება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა. განათლების ახალი სტრატეგიის მიხედვით, მთავრობა გეგმავს მთლიანი შიდა პროდუქტის 6 პროცენტი, სახელმწიფო დანახარჯის სახით, განათლების სექტორს მოახმაროს.

საქართველო 2012 წლიდან ცდილობს აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნების უნივერსიტეტების დაინტერესებას, რათა მათ საქართველოში თავიანთი კამპუსები გახსნან, ან საქართველოს საერთაშორისოდ აკრედიტებული პროგრამები შესთავაზონ, იმ მოსაზრებითა და მოტივით, რომ მაღალი ხარისხის განათლების იმპორტი ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას საერთაშორისოდ კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მოზადების გზით. თუმცა, ინიციატივებს ყოველთვის თან ახლავს გამოწვევები, ხოლო მიღებული გაკვეთილები ახალ პერსპექტივებს ქმნის უმაღლესი განათლების სექტორში პარტნიორობების ჩამოსაყალიბებლად.

1991 წლიდან, საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ რთული პერიოდი გამოიარა. დღეს საქართველო მიზანდასახული და სწრაფად განვითარებადი დემოკრატიული ქვეყანაა, რომლის საბაზრო ეკონომიკა უამრავი გამოწვევისა და ზრდის შემაფრთხილებელი შეზღუდვის წინაშე დგას.

საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა ძალიან რთული პროცესი აღმოჩნდა. ვინაიდან საქართველო საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის მერე ორ რეგიონში განვითარებული და ასევე ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ძალებს შორის მიმდინარე კონფლიქტების მოგვარებით იყო დაკავებული, სახელმწიფოს მშენებლობისთვის ძალისხმევა და საკმარისი დრო

ვერ იხარჯებოდა. შესაბამისად, საბჭოთა პერიოდში არსებული ყველა სახელმწიფო სტრუქტურა დაიშალა, რამაც სისტემების, მათ შორის, განათლების სისტემის ჩამოშლა განაპირობა.

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ორგანიზაციების პრივატიზების პროცესის დაწყება. რადგან განათლება ყოველთვის იყო საქართველოს მოსახლეობისთვის მიმზიდველი, უმაღლესი განათლების სექტორის პრივატიზებას შედეგად მოჰყვა ახალი უნივერსიტეტების აღმოცენება. ეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ყოველგვარი რეგულაციების, აკრედიტაციის, ან ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გარეშე იხსნებოდა და იწყებდა სტუდენტების მიღებას. განათლება შემოსავლიან ბიზნესად იქცა, ვინაიდან საქართველოში მცხოვრები ოჯახების უმრავლესობა განათლებაში ფულს კვლავ იხდიდა, მიუხედავად ეკონომიკური სიდუხჭირისა. შედეგად, ქვეყანაში 200-ზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ) ფუნქციონირებდა, რაც 4.5 მილიონი მოსახლეობის ქვეყნისთვის ძალიან ბევრია. შედარებისთვის, ახალ ზელანდიაში, სადაც მოსახლეობა არის 4.8 მილიონი სულ 55 უნივერსიტეტია, ირლანდიაში, სადაც მოსახლეობა არის 4.9 მილიონი ჯამში 66 უნივერსიტეტია, ხოლო პანამაში, სადაც საქართველოს მსგავსად მოსახლეობაა 4.3 მილიონი სულ 29 უნივერსიტეტია (წყარო: webometrics¹).

1990-იან წლებში, საქართველოში საერთოდ არ არსებობდა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები იქმნებოდა ყოველგვარი რეგულაციების გარეშე და სოკოებივით მრავლდებოდა. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ან რეგულაციების არარსებობის გამო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა ხარისხიან განათლებას ვერ უზრუნველყოფდა.

გარდა ამისა, საქართველოს საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით კორუფციული მართვის პრაქტიკა ერგო. უმაღლესი განათლების სექტორში კორუფციას მყარად ჰქონდა ფეხი მოკიდებული. კორუფცია ედო საფუძვლად უნივერსიტეტების მიერ ჩატარებულ მისაღებ გამოცდებსაც.

მრავლად იყო შემთხვევები, როცა ამ პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა დიპლომები იყიდებოდა. თითქმის შეუძლებელი იყო პოპულარულ უნივერსიტეტებში მოხვედრა ქრთამის გადახდის ან გავლენიან პირებთან კავშირების გარეშე. იყო შემთხვევები, როდესაც უნივერსიტეტში ჩასარიცხად გადახდილი ქრთამის ოდენობა 20-30,000 აშშ დოლარს უტოლდებოდა

¹ https://www.webometrics.info/en/distribution_by_country

ქვეყანაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე ერთობლივი შიდა პროდუქტის ოდენობა 2003 წელს მხოლოდ 8,838 შეადგენდა. (მსოფლიო ბანკი).¹

ყოველივე ამან გამანადგურებელი ზემოქმედება იქონია განათლების ხარისხსა და, შესაბამისად, შრომით რესურსზეც, რაც მე-20 საუკუნის დასაწყისშივე გახდა თვალშისაცემი და დღემდე ამ დამანგრეველი პერიოდის შედეგებს იმკის საქართველო.

2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუცია, კერძოდ, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისგან ახალი მთავრობისთვის ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემა საქართველოს ისტორიაში ახალი ერის დასაწყისად არის მიჩნეული.

ვარდების რევოლუციის შემდეგომ სათავეში მოსული მთავრობის მინისტრთა კაბინეტის წევრთა უმრავლესობას განათლება აშშ-ში ან ევროპის ქვეყნებში ჰქონდა მიღებული (ძირითადად, აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებულ პროგრამებში (Muskie, Fulbright, სხვა) მონაწილეობის გზით). ამ პერიოდში განათლების სიღრმისეული რეფორმა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტად გამოცხადდა.

საქართველოს უახლესი ისტორიის პერიოდში, ყველაზე უფრო მასშტაბური განათლების რეფორმა 2002 წელს დაიწყო. საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა რეფორმების პაკეტი - „საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარება“. განათლების სექტორში კორუფციის აღმოფხვრის მიზნით, 2004 წლიდან დაწყებული, უნივერსიტეტებში ჩარიცხვისა და აკრედიტაციის პროცედურებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ეს ცვლილებები უმაღლესი განათლების სისტემის მაღალჩინოსნებმა და მოსახლეობის ნაწილმა ძალზე ნეგატიურად აღიქვეს, რადგან ადამიანების დიდი ნაწილი ქრთამებით მიღებული შემოსავლების დაკარგვას უფრთხოდა. თუმცა, ძლიერი პოლიტიკური ნების წყალობით, რეფორმების უმეტესობა ამ პერიოდში წარმატებით განხორციელდა.

ამ პერიოდში დაინერგა ერთიანი ეროვნული გამოცდები, ვინაიდან უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები საქართველოში კორუფციის მთავარ წყაროს წარმოადგენდა, რაზეც არაერთი ანგარიში და კვლევა გამოიცა. შედეგად, საქართველოში უსდ-ში ჩასაბარებლად მისაღები გამოცდები ტარდება წელიწადში ერთხელ, ცენტრალიზებულ დონეზე, სახელმწიფო სააგენტოს - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) მიერ, რომელიც წარმოადგენს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ბაზაზე მოქმედ ნახევრად-ავტონომიურ დაწესებულებას. (www.naec.ge).

2004 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „უმაღლესი

განათლების შესახებ“, რომლის მიერ დანერგულმა ახალმა სააკრედიტაციო პროცედურებმა კორუფციის კიდევ ერთი წყარო აღმოფხვრა.

2010 წელს მიღებულ იქნა კანონი „უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“, რომლის საფუძველზეც განათლების პროვაიდერთათვის შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. იმავე წელს შეიქმნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE).

შედეგად, ახალი დანერგილი რეგულაციების საფუძველზე, 200 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) რაოდენობა შემცირდა 30 უსდ-მდე, რაც უდავოდ დიდი წინგადადგმული ნაბიჯი გახლდათ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გზაზე.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია საქართველოს სახელმწიფო განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტადაა გამოცხადებული.

2012 წლიდან საქართველოს მთავრობის ახალმა გუნდმა (პარტია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდგომ) საგანმანათლებლო რეფორმების ახალი ტალღა დაიწყო. აღიარებულ იქნა, რომ განათლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართულ საქართველოს ძალისხმევას მთავარ დაბრკოლებას უქმნიდა ადამიანური კაპიტალის განვითარება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა უნარების მიწოდებასა და დამსაქმებელთა მოთხოვნას შორის არსებული უზარმაზარი სხვაობა და შეუსაბამობა, რაც აფერხებდა ეკონომიკურ ზრდას, სიღარიბის აღმოფხვრასა და ქვეყნის განვითარებას.

ქვემოთ მოცემულია ამ კვლევების რამდენიმე მაგალითი. მაგალითად ეკონომიკური ზრდის შეზღუდვების ანალიზი საქართველოს მთავრობამ 2012 წელს ჩაატარა. ანალიზი ეფუძნებოდა ზრდის დიაგნოსტიკის მეთოდოლოგიას, რომელიც ჯონ კენედის სახელობის ჰარვარდის უნივერსიტეტის მმართველობის სკოლის პროფესორებმა: როდრიკმა, ჰაუსმანმა და ველასკომ შეიმუშავეს.

კვლევა აანალიზებდა აფერხებს თუ არა დაბალი სოციალური სარგებელი საქართველოში ეკონომიკურ ზრდას, რომელიც ფოკუსირებულია ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალზე, ადამიანურ კაპიტალზე, ინფრასტრუქტურის ხარისხსა და ინოვაციების დონეზე. კვლევაში წარმოდგენილი იყო ქვეყნის ზოგადი მიმოხილვა, ეკონომიკური მაჩვენებლების ჩათვლით, და აქცენტი კეთდებოდა ტურიზმსა და სოფლის მეურნეობაზე, რომლებიც საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სექტორებია. კვლევა ასევე აანალიზებდა საგარეო სექტორს, სოციალურ და ჯანდაცვის სექტორებს და ზრდის დიაგნოსტიკის მოდელის მიხედვით განიხილავდა სხვადასხვა ფაქტორებსა და ასპექტებს.

კვლევის მიხედვით, ეკონომიკური ზრდის ერთ-

¹ <https://wenr.wes.org/2017/12/how-georgia-fought-academic-corruption>

ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს დაბალხარისხიანი ადამიანური კაპიტალი. ეს ძირითადად გამოწვეულია უმაღლესი განათლების არასაკმარისი დონით, უმუშევრობის მაღალი დონის ფონზე, რაც შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობით აიხსნება.

კვლევებში გამოთქმულია დასკვნა, რომ „პრობლემის გადაწყვეტა საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში მდგომარეობს“.

ჩატარდა სხვა კვლევებიც იმ მოდელების შესწავლის მიზნით, რომლებიც საქართველოს დაეხმარებოდა STEM სფეროებში უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით სწრაფი შედეგების მიღწევაში.

2010 წლის აპრილში საკონსულტაციო ფირმას Art & Science Group-ს პროგრამის - World Learning's FORECAST/ Georgia ფარგლებში დაევალა საქართველოს მთავრობისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის დახმარების გაწევა იმ აუცილებელი ნაბიჯების, სიკეთებისა და გამოწვევების შესწავლაში, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უმსხვილესი უნივერსიტეტის საქართველოში შემოყვანასა და მისი ფილიალი-კამპუსის გახსნასთან იყო დაკავშირებული.

კვლევაში განხილულია აშშ-ის წამყვანი უნივერსიტეტის საერთაშორისო ფილიალი-კამპუსის განვითარების საკითხები. საქართველოში აშშ-ის უნივერსიტეტის საერთაშორისო ფილიალი-კამპუსის დაფუძნება სრულ შესაბამისობაშია მთავრობის ფართო ინტერესთან საქართველო აქციოს „კარიბჭედ“ შემდგომი რეგიონული და საერთაშორისო ინვესტიციების მოსაზიდად.¹

2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ტეხასის საერთაშორისო განათლების კონსორციუმს (TIEC) დაუკვეთა ათასწლეულის უნივერსიტეტზე (ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც სასწავლო პროგრამებს ახორციელებენ და დიპლომებს გასცემენ აშშ-ის აკრედიტებული უნივერსიტეტები) მოთხოვნის კვლევის ჩატარება.

კვლევა ორ ძირითად საკითხზე იყო ფოკუსირებული:

- ◆ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის შრომის ბაზრის პოტენციური ზრდა რეგიონში, სამუშაო ძალის საჭიროებათა და დასაქმების შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

¹ “კვლევა და რეკომენდაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის აშშ-ის უნივერსიტეტის ფილიალი-კამპუსის დაფუძნებასთან დაკავშირებით“, ავტორები: ბენჟამინ ედვარდსი, რექტორი ლარი ნილსენი, კონსულტანტი თამარა ოქსლი, რომელიც მუშაობდა ქართველ კონსულტანტთა ჯგუფთან, 2010 წლის 29 ივნისი.

- ◆ რა მასშტაბის წარმატების შანსი აქვს რეგიონულ ბაზარზე ახალ უნივერსიტეტს, რომელიც საქართველოში აშშ-ის სასწავლო პროგრამებს ახორციელებს.

კვლევის თანახმად, “იმ ფონზე, რომ საქართველოში არსებობს კარგად განსწავლულ, მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე და ფინანსურად შეძლებულ სტუდენტთა ჯგუფი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა ფოკუსირებულია სამართალზე, ბიზნესზე, საერთაშორისო ურთიერთობებსა და სოციალურ მეცნიერებაზე, და მხოლოდ რამდენიმე მათგანი ამჟღავნებს მკაფიო ინტერესს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართ“.²

აშშ-ის უნივერსიტეტი საქართველოს უმაღლესი განათლების სარბიელზე 2012 წელს, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება აშშ-ის მთავრობის დახმარებით მნიშვნელოვანი ინვესტირება განეხორციელებინა აშშ-ის უნივერსიტეტის კამპუსის საქართველოში გასახსნელად. საქართველოს მთავრობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში აშშ-ის უნივერსიტეტის შემოყვანის გზით, რომელიც სტუდენტებს STEM დარგებში თავის აკრედიტებულ პროგრამებს შესთავაზებდა. საქართველოს მთავრობა მოქმედებდა იმ მოტივით, რომ აშშ-ის უნივერსიტეტები დაინტერესდებოდნენ თავიანთი არეალის გლობალური გაფართოებით და საქართველო მათთვის მიმზიდველი ადგილი გახდებოდა. ესამოცანათანხვედრაში იყო მთავრობის მიზანთან საქართველო ინდუსტრიალიზებულ და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე ქვეყნად ექცია.

სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა უმაღლესი განათლების სექტორში ჩამოყალიბებული მთავარი ტენდენცია, კერძოდ, საერთაშორისო ფილიალი-კამპუსების გახსნა და ამ გზით უმაღლესი განათლების ექსპორტირება, როგორც უმაღლესი განათლების განვითარების მთავარი გზა.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა კომისია (CIHE) საერთაშორისო ფილიალი-კამპუსების პოლიტიკაზე ორიენტირებულ დეფინიციას გთავაზობს: „ფილიალი-კამპუსი გეოგრაფიულად მოწყვეტილია მთავარ კამპუსს, ახორციელებს სასწავლო პროგრამის 50%-ს ან უფრო მეტს, გასცემს დიპლომს, სერტიფიკატს ან ოფიციალურად აღიარებულ სხვა მოწმობას, პერმანენტულია თავისი ხასიათით, ჰყავს თავისი პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაცია, და აქვს საკუთარი საბიუჯეტო

² “ათასწლეულის უნივერსიტეტის განვითარებაზე არსებული მოთხოვნის კვლევა“ ჩატარდა ტეხასის საერთაშორისო განათლების კონსორციუმის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის, 2011 წლის 2 მაისს გამოქვეყნებული ანგარიში

ან დასაქმების უფლებამოსილება“.

ოლბანში ნიუ-იორკის შტატის უნივერსიტეტის (SUNY Albany) ტრანსსასაზღვრო განათლების კვლევის ჯგუფის (C-BERT) მიხედვით, 2015 წლის აგვისტოს მდგომარეობით, მსოფლიოში 229 საერთაშორისო ფილიალი-კამპუსი ფუნქციონირებდა, დამატებით 22 კი ჩამოყალიბების პროცესში იყო. საერთაშორისო ფილიალი-კამპუსების ყველაზე მსხვილ „ექსპორტიორებს“ წარმოადგენენ აშშ და გაერთიანებული სამეფო, რომლებზეც 50 და 27 კამპუსი მოდის. ხოლო რუსეთმა, რომელსაც 13 კამპუსი აქვს გახსნილი ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ბელარუსი, ალბანეთი და აზერბაიჯანი, უკვე გაასწრო 11 საერთაშორისო საუნივერსიტეტო კამპუსიან ავსტრალიას.¹

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ „თუ გავითვალისწინებთ უმაღლეს განათლებაზე მზარდ მოთხოვნას, კერძოდ იმას, რომ 1980 წლიდან მოყოლებული უმაღლეს სასწავლებლებში გლობალური ჩარიცხვის მაჩვენებელი გაოთხმაგდა, კერძოდ 50-დან 198-მდე გაიზარდა, საერთაშორისო კამპუსების რაოდენობა კვლავ მოიმატებს“ (წყარო).²

მსოფლიოში ამჟამად არსებულ ტენდენციას არც საქართველო ჩამორჩება. საქართველოს მთავრობას, ასევე აკადემიურ წრეებს მიაჩნიათ, რომ ადამიანური კაპიტალის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ხარისხიანი და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი განათლების გზით. გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობრივ უნივერსიტეტებს ამჟამად არ შეუძლიათ მაღალ-ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება, პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა საერთაშორისო ფილიალ-კამპუსების ან აშშ-ისა და ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების პროგრამების იმპორტირებაში უნდა ვეძიოთ.

აშშ-ისა და დასავლეთის უნივერსიტეტების ფილიალების საქართველოში გახსნის საკითხი საქართველოს მთავრობამ 2010-2012 წლებში შეისწავლა. უნივერსიტეტებმა უამრავი ერთობლივი პროგრამის განხორციელება დაიწყეს, ძირითადად ასპირანტურის დონეზე. უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთად ისინი სტუდენტებს სხვადასხვა პროგრამას სთავაზობდნენ, თუმცა საერთაშორისო აკრედიტაცია ვერც ერთმა ამ პროგრამამ არ მოიპოვა.

საქართველოსა და საერთაშორისო უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის კარგი მაგალითებია: კავკასიის ბიზნესის სკოლა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპაიერის უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამა, საუნივერსიტეტო პარტნიორობა თსუ-სა და ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზისა და გადაჭრის ინსტიტუტს (GMU ICAR), ასევე დენვერის უნივერსიტეტს შორის, პარტნიორობა ემორის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის, და სხვა.

2013 წელს, აშშ-ისა და საქართველოს მთავრობებმა ხელი მოაწერეს 140 მილიონი დოლარის ღირებულების საგრანტო ხელშეკრულებას (ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტს), რომლის მიზანი იყო საქართველოს დაეხმაროს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში. კომპაქტის ფარგლებში 30 მილიონი დოლარით დაფინანსებული ერთ-ერთი პროექტის მიზანს წარმოადგენდა აშშ-ის უნივერსიტეტის საქართველოში ჩამოყვანა და ადგილობრივ უნივერსიტეტებთან პარტნიორობის დამყარება თბილისში (საქართველოს დედაქალაქი) STEM დარგებში საბაკალავრო პროგრამების განხორციელების მიზნით. აღნიშნულის შედეგად, 2014 წლიდან, საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო აშშ-ის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა აშშ-ის მთავრობისა (ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის 34 მილიონი დოლარის გრანტი) და საქართველოს მთავრობის (დაახლოებით 15 მილიონი დოლარი) მიერ 2014-2023 წლებში გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში.

აშშ-ის უნივერსიტეტის საერთაშორისო ფილიალ-კამპუსის ფინანსური მოდელების ანალიზის შედეგად, გადაწყდა, რომ საქართველოში საერთაშორისო ფილიალ-კამპუსის გასახსნელად საჭირო დაფინანსება აჭარბებდა იმ სარგებელს, რომლის მოტანაც აღნიშნულ პროექტს შეეძლო. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აშშ-დან საქართველოში შემოეყვანათ ის უნივერსიტეტები, რომლებიც საქართველოს უნივერსიტეტებთან პარტნიორობით განახორციელებდნენ STEM პროგრამებს და შემდეგ ამ პროგრამების განხორციელებას გადასცემდნენ საქართველოს პარტნიორ უნივერსიტეტებს.

2013 წელს, საქართველოს მთავრობის სახელით, ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა- საქართველომ საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა. ტენდერის პრეზენტაციაზე მიწვეულ იქნა 90-ზე მეტი ამერიკული უნივერსიტეტი. ტენდერში მონაწილეობის ინტერესი გამოხატა რვა უნივერსიტეტმა, კერძოდ:

1. ოზურნის უნივერსიტეტი
2. ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი
3. მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. ნიუ-იორკის ტექნოლოგიური ინსტიტუტი
5. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

¹ <https://theconversation.com/universities-that-set-up-branch-campuses-in-other-countries-are-not-colonisers-46289>

² <https://theconversation.com/universities-that-set-up-branch-campuses-in-other-countries-are-not-colonisers-46289>

6. ტეხასის საერთაშორისო განათლების კონსორციუმი
7. მისურის უნივერსიტეტი
8. რაიტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს მთავრობამ (ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო), ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან თანამშრომლობით, 2013 წლის 7 თებერვალს სატენდერო წინადადებების წარდგენის მოთხოვნით იმ საერთაშორისო უნივერსიტეტებს მიმართა, რომლებსაც ინდივიდუალურად ან კონსორციუმის ფარგლებში, საქართველოს უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, STEM-ის დარგებში მაღალხარისხიანი და აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამები უნდა განხორციელებინათ. სატენდერო წინადადებების წარდგენის მოთხოვნა ითვალისწინებდა სამი ფინანსისტის შერჩევას, მათ მიერ წარმოდგენილ წინადადებებში აღწერილი პროგრამების შემდგომი დამუშავების მიზნით - „პროგრამის დამუშავების ფაზა“. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, პროგრამის დამუშავების ფაზაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ იქნენ (წყარო: ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო, www.mcageorgia.ge):

9. მიჩიგანის შტატის უნივერსიტეტი და მისურის უნივერსიტეტი
10. სან დიეგოს უნივერსიტეტი
11. ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტი და ობურნის უნივერსიტეტი

საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, STEM-ის დარგებში მაღალხარისხიანი და აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამების განსახორციელებლად, ტექნიკური შეფასების დამოუკიდებელმა კომისიამ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი შეარჩია.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დახმარებით, 2014 წლიდან, დაინერგა პარტნიორობის უნიკალური მოდელი, რომლის ფარგლებშიც სდსუ სტუდენტებს თავის ბაკალავრიატის პროგრამებს სთავაზობდა, კურსდამთავრებულები კი მიიღებდნენ ამერიკულ დიპლომს. პარალელურად, სდსუ პარტნიორ ქართულ უნივერსიტეტებს შესაძლებლობათა განვითარებაში ეხმარებოდა, რათა პარტნიორ უნივერსიტეტებს STEM-ის დარგებში იმავე ხარისხის აკადემიური პროგრამების განხორციელება შესაძლებლობდათ, საერთაშორისო სტანდარტებისთვის მიეღწიათ და საერთაშორისი აკრედიტაცია მოეპოვებინათ.

პარტნიორობის ეს პროექტი წარმატებით ხორციელდება. სდსუ-საქართველოს პარტნიორობა ტრანსფორმაციულ ზემოქმედებას იქონიებს საქართველოს უმაღლეს განათლებაზე, საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისა და STEM-ის დარგებში კვალიფიციური სამუშაო ძალის უზრუნველყოფის გზით.

დასკვნები

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული და სხვადასხვა სახის ძალისხმევა აშშ-ისა და საერთაშორისო უნივერსიტეტების საქართველოში მოსაზიდად, მათ მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე ფილიალ-კამპუსების გახსნის მიზნით. თუმცა, გაწეულმა ძალისხმევამ ცხადი გახადა, რომ აშშ-ისა და ევროპის უნივერსიტეტები ნაკლებად, ან საერთოდ არ არიან დაინტერესებულნი ფილიალი-კამპუსების გახსნით ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, სადაც უმაღლესი განათლების ბაზარი ჯერ კიდევ არ არის განვითარებული და ადგილობრივ სტუდენტთა რაოდენობა დაბალია (საქართველოს ყოველწლიურად 38,000-მდე სტუდენტი ყავს, რომლებიც გადანაწილებულები არიან საქართველოში მოქმედ 60-ზე მეტ უმაღლეს სასწავლებელში¹).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სან დიეგოს უნივერსიტეტის მოდელმა, რომელიც გულისხმობს საქართველოს სამ წამყვან უნივერსიტეტთან, როგორც პარტნიორთან თანამშრომლობას, მაღალი შეფასება მიიღო როგორც აშშ-ის უნივერსიტეტის, ისე საქართველოს პარტნიორების მხრიდან. ამ მოდელის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ სდსუ-ს არ გაუხსნია თავისი ფილიალი-კამპუსი საქართველოში, არამედ წარმომადგენლობა, და ახორციელებს STEM-ის დარგებში საბაკალავრო პროგრამებს, აქცენტს აკეთებს ადგილობრივი პარტნიორი უნივერსიტეტების შესაძლებლობათა გაძლიერებაზე, ცოდნისა და პროგრამების გადაცემაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ამ პროგრამებმა აღნიშნულ უნივერსიტეტებში საერთაშორისო აკრედიტაცია მიიღოს. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სდსუ-საქართველოს პარტნიორობის შექმნით, ნაპოვნია მაღალხარისხიანი ამერიკული უმაღლესი განათლების ექსპორტირების მოდელი.

ადამიანური კაპიტალის განვითარება განვითარებადი და ახლად აღმოცენებული დემოკრატიული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა. ადამიანური კაპიტალის განვითარება შეიძლება მიღწეულ იქნას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების უზრუნველყოფის გზით შრომის ბაზარზე მოთხოვნად სფეროებში. საქართველოში ამგვარ სფეროებად განისაზღვრა STEM-ის დარგები, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი.

საერთაშორისოდ აკრედიტებული და ინდუსტრიასთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება უზრუნველყოფს ისეთი სამუშაო ძალის ფორმირებას, რომელიც ხელს უწყობს

¹ <https://eqe.ge/ka/page/static/89/umaghlesi-saganmanatleblob-datsesebulebebi>

ადამიანური კაპიტალის განვითარებას. ამ უკანასკნელის მიღწევის უმოკლეს და ყველაზე ეფექტიან გზას წარმოადგენს უკვე აღიარებული დასავლური უნივერსიტეტის ფილიალ-კამპუსების ან პროგრამების დანერგვა განვითარებად ქვეყანაში, სადაც უმაღლესი განათლების ხარისხი საჭიროებს გაუმჯობესებას.

როგორც საქართველოს მაგალითმა დაადასტურა, ახლად ჩამოყალიბებული დემოკრატიებისა და განვითარებადი ქვეყნების უმაღლესი განათლების ბაზრები ვერ უზრუნველყოფს დამოუკიდებლად მოქმედი საერთაშორისო ფილიალ-კამპუსების ფუნქციონირებას.

ადგილსამყოფელი ქვეყნების უმაღლესი განათლების ბაზარი და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ფილიალ-კამპუსების მიერ მოგების მიღება და/ან ხანგრძლივი ფინანსური სტაბილურობა.

უნივერსიტეტები, ისევე როგორც ბიზნესორგანიზაციები, ერთი და იგივე სოციალ-ეკონომიკური გარემოს ნაწილია: ბაზრის გაჯერებულობა, ძლიერი კონკურენცია, რესურსებზე მზარდი ფასები,

საუკეთესო პრაქტიკის გლობალურ დონეზე დანერგვა, გლობალური ბრენდების ზეგავლენა, დაინტერესებულ მხარეთა მზარდი მოლოდინები - ეს ის ახალი რეალობაა, რომლის წინაშეც დგანან უნივერსიტეტები (ამარალი და სხვები, 2003წ). აღნიშნულის ფონზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მოქმედებენ როგორც ბიზნესორგანიზაციები - საერთაშორისო ორიენტაცია მათი კონკურენტუნარიანობის დასაყრდენი ხდება.¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყველაზე ეფექტიან და მდგრად მოდელად გვესახება საუნივერსიტეტო პარტნიორობები, რომლებიც, ცოდნის გადაცემის გზით, ადგილობრივ შესაძლებლობათა განვითარებაზეა ორიენტირებული. ამ თვალსაზრისით, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს (სდსუ-საქართველოს) მოდელი და მისი პარტნიორობა ადგილობრივ უნივერსიტეტებთან, წარმოადგენს შესანიშნავ მაგალითს. სდსუ-საქართველოს პარტნიორობის მოდელი ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება განვითარებად ქვეყანაში მაღალხარისხიანი საერთაშორისო განათლების შეტანა და წარმატებით განხორციელება საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით.

ლიტერატურა:

1. Altbach, Philip. Why Branch Campuses May Be Unsustainable. "International Higher Education". №58 (2010). DOI: 10.6017/ihe.2010.58.8467
2. Borgos, Jill. Addressing Sustainable International Branch Campus Development Through an Organizational Structure Lens: A Comparative Analysis of China, Qatar, and the United Arab Emirates. "Chinese Education & Society". Vol.49, Issue 4-5 (2016): 271-287. DOI: 10.1080/10611932.2016.1237849
3. Healey, Nigel. Universities that set up branch campuses in other countries are not colonisers. The Conversation, October 19, 2015. <https://theconversation.com/universities-that-set-up-branch-campuses-in-other-countries-are-not-colonisers-46289>
4. Hou, Angela Yung-Chi, Christopher Hill, Karen Hui Jung Chen, Sandy Tsai. A comparative study of international branch campuses in Malaysia, Singapore, China, and South Korea: regulation, governance, and quality assurance. "Asia Pacific Education Review". Vol.19, Issue 4 (2018): 543-555. DOI: <http://scigraph.springernature.com/pub.10.1007/s12564-018-9550-9>
5. Jason E. Lane and Kevin Kinser. Multinational Colleges and Universities: Leading, Governing, and Managing International Branch Campuses: New Directions for Higher Education, Number, 155. Wiley, 2011.
6. Stanfield, David A. International Branch Campuses: Motivation, Strategy, and Structure. Dissertation in Higher Education. Boston College, Lynch School of Education, 2014. <https://dlib.bc.edu/islandora/object/bc-ir:103560>
7. Tavartkiladze, Beka. Georgia: A Post-Soviet Model for Fighting Academic Corruption. World Education News+Reviews, December 8, 2017. <https://wenr.wes.org/2017/12/how-georgia-fought-academic-corruption>
8. Wilkins, Stephen and Jeroen Huisman. The international branch campus as transnational strategy in higher education. "Higher Education". Vol.64, Issue 5 (2012): 627-645. DOI: 10.1007/s10734-012-9516-5

¹ 2013 წლის საერთაშორისო ფილიალ-კამპუსში ბიზნესის, მართვისა და განათლების მიმდინარე საკითხები: ჩარჩო და სტრატეგია. ვილნიუსის გედიმინასის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტი, Sauletkio al. 11, LT-10223, ვილნიუსი, ლიეტუვა.

New Partnership Models for Internationalization of Higher Education

Magda Magradze, PhD Student,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business

Summary

Internationalization of higher education is one of the top priorities of the Government of Georgia. Starting from 2012 a new wave of education reform was launched by Georgia's new government, and it was recognized that one of the major constraints to economic growth, poverty reduction and development of the country is low quality of education, and mismatch between supply of tertiary education graduates and demand of labor market. Several studies were carried out during 2010-2013 to lay grounds for a new reform agenda.

It was decided that the Government of Georgia would invest major funds into bringing a U.S. university campus to Georgia with the support of its major strategic partner – the United States of America. The main aim of the initiative was to improve higher education quality by bringing a U.S. university with its accredited STEM degree programs in Georgia with the notion that U.S. universities would be interested to expand globally, and Georgia would be an attractive venue for them. The objective would meet the Government's aim to turn Georgia into an industrialized nation with knowledge-based economy.

This time coincides with the major trend in tertiary education - emergence of international branch campuses and thus import of high-quality education as major means of tertiary education sector development for many emerging and developing economies and countries. The Commission on Institutions of Higher Education (CIHE) provides a policy-oriented definition: "a branch campus is geographically removed from the main campus, offers 50% or more of an academic program leading to a degree, certificate or other recognized credential, is permanent in nature, has its own faculty and administration, and has its own budgetary and hiring authority".

Georgia is not an exception to this world trend. The Government of Georgia as well as academic circles, recognize that human capital development can be reached only through offering high quality education that can meet the labor market demands. Since local universities cannot currently offer high quality academic programs, the solution to the problem is seen in importing IBCs or programs offered by leading U.S. and European universities.

As a result of the efforts, in 2013, U.S. and Georgian governments signed a \$140 million grant (Millennium Challenge Compact) to help Georgia with its efforts to build human capital. One of the projects funded through the Compact with \$30 mln was to bring a U.S. university to Georgia and partner with local universities to start offering U.S. university STEM undergraduate programs in Tbilisi (capital city of Georgia). As a result, since 2014, the U.S. San Diego State University (SDSU) started to operate in Georgia with funding from the Governments of the U.S. (through the Millennium Challenge Corporation grant of over \$34 mln) and Georgia (approximately \$15 million).

A unique model of partnership was thus launched, where SDSU started offering its U.S. accredited STEM degree programs, helped develop capacity of its three Georgian partner universities with the goal of transferring knowledge to allow these partner universities to offer the same quality STEM degree programs and help achieve international standard and ultimately international accreditation. This sustainable model of partnership was studied and the article presents major findings.

SDSU-Georgia partnership will have a transformative effect on Georgia's higher education by leading to internationalization of higher education in Georgia and through provision of highly skilled STEM workforce in the face of SDSU-Georgia graduates. The article studies how a new and unique partnership model between SDSU and Georgia can have a transformative effect on emerging democracy and market economy countries, such as Georgia. The unique model presented in the article can become a good example for countries aiming at improvement of higher education quality through internationalization.

მოგზავრებაზე კვალიშვლის რილი სსსტუმრო მოგზავრების ხარისხის განსაზღვრისათვის

ნინო ხმადამეილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო სასტუმრო ინდუსტრიაა. სასტუმრო ინდუსტრია სპეციალიზირებულია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი (ტრანსპორტთან ერთად) ტურისტული მომსახურებით - განსახლების მომსახურებით. ზოგიერთ შემთხვევაში, კვების ობიექტების მომსახურება ასევე შედის სასტუმრო ინდუსტრიაში. ამრიგად, თანამედროვე სასტუმრო მომსახურება ტურისტული სერვისების ინტეგრირებული პაკეტის სახით ჩნდება.

სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიის კონცეფცია მეტად მრავალფეროვანია და, შესაბამისად, რთულია განვსაზღვროთ, როგორც, მხოლოდ სტუმართმოყვარეობის კონცეფცია. სტუმართმოყვარეობის, დასვენებისა და ტურიზმის ინდუსტრიის თანამედროვე მოდელები ნათლად აჩვენებს სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიის შინაარსისა და საზღვრების კონცეპტუალური განსაზღვრების ორგანიზაციას, ასევე მისი კორელაციის სირთულეს ტურიზმისა და დასვენების ინდუსტრიასთან.

სასტუმრო მომსახურება და კმაყოფილი მომხმარებელი ტურისტული პროდუქტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. ამხრივ დიდი ყურადღება ეთმობა სასტუმროს მომსახურების ხარისხსა და შემდგომ მოდერნიზაციას. ხარისხის შეფასება, ისევე როგორც მომხმარებელთა კმაყოფილება, უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია მოლოდინისა და აღქმის თანაფარდობასთან, შესაბამისად, ამ კატეგორიების ასეთ გადაკვეთას მივყავართ იმ ფაქტთან, რომ პრაქტიკაში პროდუქტის / მომსახურების ხარისხისა და მათი კმაყოფილების სინონიმად გამოიყენება.

ნებისმიერი სასტუმროს წარმატება და მოგება მჭიდრო კავშირშია მისი მომხმარებლების კმაყოფილებასთან. მათი კმაყოფილება შეიძლება განისაზღვროს, როგორც რეიტინგი, რომელიც დაფუძნებულია მომხმარებელთა გამოცდილების შედარებასა და მათ თავდაპირველ მოლოდინებზე. მომხმარებელთა კმაყოფილება სასტუმროს სექტორის წარმატების ერთ-ერთ წამყვან ინდიკატორად ითვლება და მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც კომპანიის მომავალი შემოსავლის, ასევე სასტუმროს მომსახურების მოთხოვნის ზრდის მაჩვენებელზე, რაც დადებითად აისახება მომგებიანობასა და ხარჯზეც.

საკვანძო სიტყვები: ხარისხი, მართვა, კონკუ-

რენტუნარიანობა, სასტუმრო, ბიზნესი, მომხმარებელთა კმაყოფილება.

შესავალი

კომპანიების უმეტესობა ხარისხის მართვის ძირითადი პრინციპით, გარდა მენეჯმენტის სხვადასხვა სტანდარტებისა, სტრატეგიულ ყურადღებას ამახვილებს მომხმარებელზე. ასეთი ორიენტაციის მთავარი ამოცანაა მომხმარებლის კმაყოფილების მიღწევა და, შესაბამისად, მისი შენარჩუნება.

ამრიგად, ხარისხის მენეჯმენტის საშუალებით, სასტუმროები ინარჩუნებენ თავიანთი მომხმარებლების ლოიალობას და ხშირად ამ პროცესს თავიანთი ბიზნესის წინა პლანზე აყენებენ. ამდენად ნებისმიერმა სასტუმრომ უნდა გამოხატოს მუდმივი მზაობა განსაზღვროს მომხმარებელთა და მთლიანად ბაზრის მოთხოვნები. ეს პროცესი წარმოადგენს სასტუმრო კომპანიის მენეჯმენტის გამოყენებული მიდგომების გაუმჯობესებას. კომპანიები მთლიანად დამოკიდებულნი არიან თავიანთ მომხმარებლებზე, მიუხედავად საქმიანობის ტიპისა. მათ ნათლად უნდა ესმოდეთ მომხმარებელთა, როგორც ამჟამინდელი, ასევე სამომავლო საჭიროებების შესახებ და ისწრაფვოდნენ გადააჭარბონ მათ მოლოდინებს.

კმაყოფილების შემთხვევაში, მომხმარებელმა უნდა გააკეთოს საკუთარი დასკვნა, ხოლო მომსახურების ხარისხის შეფასებისას, ეს არ არის საჭირო, რადგან შესაძლებელია დაეყრდნოს მისთვის საინტერესო სოციალური ჯგუფების აზრს.

ზოგიერთი მომხმარებელი კმაყოფილებას უკავშირებს კომპანიასთან ურთიერთობის სპეციფიკურ გამოცდილებას, ხოლო შეფასებები ხარისხის შესახებ არის მთელი ნაკრების შედეგი.

მომხმარებელთა კმაყოფილების განსაზღვრა

სასტუმროს ატრიბუტები შეიძლება დაიყოს ქვეკატეგორიებად, რომ მოიცავდეს მომსახურების ყველა ასპექტს ან მომხმარებლის ყურადღებას.

ამრიგად, ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა შემდეგი კითხვები:

1. რომელი ფაქტორები იწვევს სასტუმროების მომხმარებელთა კმაყოფილებას და უკმაყოფილებას?

2. რა არის სტრუქტურის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სასტუმროს მომხმარებელთა აღქმაზე?

3. შეიძლება თუ არა მომხმარებელთა მიმოხილვების გამოყენება კმაყოფილებისა და უკმაყო-

ვილების ასახსნელად?

ყველაზე ზოგადი ფორმით კმაყოფილება განიმარტება, როგორც ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნება მას შემდეგ, რაც მიხვდება, რომ მან მიაღწია სასურველ მიზანს. კმაყოფილების გაზომვის უკან დგას რწმენა, რომ მაღალი კმაყოფილება ხელს უწყობს მომხმარებელთა ერთგულებას. კმაყოფილი მომხმარებელი აკეთებს განმეორებით შესყიდვებს, ურჩევს სხვა მომხმარებლებსაც. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ არის. მისი მაღალი დონის კმაყოფილება არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მომხმარებლები განმეორებით დაბრუნდებიან სასტუმროში, და პირიქით, კმაყოფილების დაბალი დონის შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია დარჩეს ერთგული. მაღალი კმაყოფილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპანიასა და მომხმარებელს შორის თანამშრომლობის პირველ ეტაპებზე. თუ მომხმარებელი არ არის კმაყოფილი, მაშინ ურთიერთობა, სავარაუდოდ, ხანმოკლე იქნება.

სასტუმროს ურთიერთობა მომხმარებელთან მოიცავს სამ ეტაპს, რომლის დროსაც სასტუმრო მომავალ მომხმარებელთან გადადის მდგრადი ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე:

- 1) მომხმარებლის მოზიდვა
- 2) შეკავება, შენარჩუნება
- 3) პარტნიორობის განვითარება

სასტუმრო მომსახურების ხარისხის განსაზღვრისთვის არსებობს სამი ძირითადი მიდგომა. პირველ რიგში, ხარისხი გულისხმობს მომხმარებლის საჭიროებების ზუსტ განსაზღვრას მათი შემდგომი შესრულებისთვის.

სასტუმროს მომსახურების ყველაზე მნიშვნელოვანი წესი მომხმარებელთა ყველა საჭირო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა. გარკვეული სერვისების შეთავაზება და მათ ხარისხზე მუდმივი მუშაობა საშუალებას იძლევა სასტუმრომ მიიღოს კონკურენტული უპირატესობები მომსახურების ბაზარზე.

მეორეც, ხარისხი არ არის მხოლოდ მომსახურების მიწოდება და მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არამედ მათი სწორი უზრუნველყოფაა. მაგალითად, თუ მომსახურება უხალისოდ და არაკეთილსინდისიერად სრულდება, მაშინ კლიენტი, სავარაუდოდ, არ მიიღებს კმაყოფილებას ასეთი მომსახურებისაგან.

მესამე, ხარისხი უნდა იყოს თანმიმდევრული. იგივე ტიპის მომსახურება უნდა განხორციელდეს განმეორებით და მუდმივი ხარისხით. კლიენტი, რომელიც მუდმივად სტუმრობს ერთსა და იმავე

სასტუმროს, არ უნდა დაინახოს მნიშვნელოვანი განსხვავება (განსაკუთრებით მომსახურების გაუარესების მიმართულებით) პირველად გაწეულ მომსახურებებსა და სასტუმროს მონახულების ყველა შემდეგ ფაქტს შორის.

დღეს, მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასება გახდა ჩვეულებრივი პრაქტიკა სასტუმროების უმეტესობისთვის. სწორედ ამ მიზნით საქართველოს ყველა რეგიონში და თვით დედაქალაქის სასტუმროებში ჩავატარეთ კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა მომსახურების ხარისხის დადგენას, რათა მოგვეხდინა ანალიზი იმ მნიშვნელოვანი და აუცილებელი ელემენტებისა, რომელთა გაუმართავემა მუშაობამაც სწორედ რომ შესაძლოა მომხმარებელთა უკმაყოფილებამდე მიგვიყვანოს და შესაბამისად - სასტუმროების უარყოფით იმიჯამდე და ზოგადად, სასტუმრო ბიზნესში არსებულ ხარვეზებამდე მომსახურების მიმართულებით. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მომხმარებელთა საერთო კმაყოფილება სასტუმროში ვიზიტით შემდეგნაირია: მომხმარებელთა 80.9% თვლის, რომ საშუალოა, 49.8%-სთვის კარგია და 12.0%-სთვის ძალიან კარგი. აქვე უნდა აღინიშნოს რომ გამოკითხული მომხმარებლებიდან უარყოფითად აღნიშნული მაჩვენებელი არავის შეუფასებია. აღნიშნული მაჩვენებელი სასტუმროს ტიპების მიხედვით კი ასე გამოიყურება: საოჯახო სასტუმროების მომხმარებელთა 28.7% თვლის რომ საშუალოდ კმაყოფილია, 50% - კარგად აფასებს, ხოლო 53.8%- ძალიან კარგად. მცირე სასტუმროებში ვიზიტით მომხმარებელთა 53.8% საშუალოდ კმაყოფილია, 24.1% -კარგად აფასებს და მომხმარებელთა მხოლოდ 3.8% თლის რომ სასტუმროში ვიზიტით ძალიან კმაყოფილია. დიდ სასტუმროებში სასტუმროში ვიზიტით კმაყოფილებას საშუალოდ აფასებს მომხმარებელთა 17.5%, კარგად - 25.9% და ძალიან კარგად - 42.3%.

როგორია თქვენი საერთო კმაყოფილება სასტუმროში ვიზიტით

| | რაოდენობა | პროცენტული მაჩვენებელი(%) | სულ |
|--------------|-----------|---------------------------|-------|
| საშუალო | 80 | 36.9 | 37.4 |
| კარგი | 108 | 49.8 | 50.5 |
| ძალიან კარგი | 26 | 12.0 | 12.1 |
| სულ | 214 | 98.6 | 100.0 |

როგორია თქვენი საერთო კმაყოფილება სასტუმროში ვიზიტით სასტუმროს ტიპების მიხედვით

| როგორია თქვენი საერთო კმაყოფილება სასტუმროში ვიზიტით | სასტუმროს ტიპი | | | სულ |
|--|----------------|-------------|------------|--------|
| | საოჯახო ტიპის | მცირე ზომის | დიდი ზომის | |
| საშუალო | 28.7% | 53.8% | 17.5% | 100.0% |
| კარგი | 50.0% | 24.1% | 25.9% | 100.0% |
| ძალიან კარგი | 53.8% | 3.8% | 42.3% | 100.0% |
| სულ | 42.5% | 32.7% | 24.8% | 100.0% |

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომხმარებელთა კმაყოფილება სასტუმრო ბიზნესის გამოწვევაა.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, პრობლემა გამოიკვეთა მომხმარებელთა რაოდენობაში(მხოლოდ 12%) , რომელიც თვლის რომ ძალიან კმაყოფილი დარჩა სასტუმროს მომსახურებით, რაც უდავოდ არ არის გამოკითხულ მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი და ასევე პრობლემებია საოჯახო და მცირე ზომის სასტუმროებში, რაც უშუალო კავშირშია მომხმარებელთა უკმაყოფილებასთან და სასტუმროებში არსებულ ხარვეზებთან. ხარისხის მაღალისტანდარტი დამომხმარებლის კმაყოფილება ორივე არის მსოფლიოში სასტუმრო ინდუსტრიის წარმატების მოდელი, რომელიც აშკარად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ბიზნესისათვის და მათ შორის, სასტუმრო ბიზნესისათვის. ეს ორი ტერმინიც ასევე დაკავშირებულია ერთმანეთთან. ხარისხი მიდრეკილია მომსახურების წარმოების პროცესის პროდუქტზე ორიენტირებულობის შეხედულებისამებრ, ხოლო მომხმარებელთა კმაყოფილება ფოკუსირდება მოთხოვნილების მხარეზე და იმაზე, თუ როგორ აღიქვამს მომხმარებელი მომსახურებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „International Cases in Tourism Management“ ,Susan Horner and John Swarbrooke, First published 2004, Copyright © 2004, Elsevier Ltd. All rights reserved
2. Назаретян А.Г. “Клиентоориентированность и качество гостиничных услуг”,
3. Сборник статей XIII межвузовской научно-практической конференции
4. студентов и аспирантов «Молодёжь, наука, творчество - 2015».
5. О. К. Ррончева. “Клиентоориентированные технологии в гостиничном сервисе”, Учебное пособие, Омск, ОГИС 2015
6. Торгово-экономический журнал, 2016, Том 3, Выпуск 1, “ Современные подходы к управлению качеством проектов с помощью оценки потребительской удовлетворенности и лояльности”
7. М.А. Ктет, Е.Б. Кметь Известия ДВФУ. Экономика и управление. 2. 2019. 58–71, Дальневосточный федеральный университет, г. Владивосток, Россия, 21.07.2019
8. https://studme.org/1157071821495/marketing/udovletvorennost_klienta_glavnoe_uslovie_uderzhaniya_formirovaniya_loyalnosti_metody_otsenki
9. https://studme.org/1212012421499/marketing/zaklyuchenie_klienty_privlechenie_uderzhanie_otsenka

The role of customer satisfaction in determining the quality of hotel service

*Nino Khmiadashvili, PhD student
Georgian Technical University*

Summary

One of the most important areas of the tourism industry is the hotel industry. The hotel industry specializes in one of the most important (along with transport) tourism services - accommodation services. In some cases, catering services are also included in the hotel industry. Thus, modern hotel services emerge as an integrated package of tourism services.

The concept of "hospitality industry" is very diverse and, therefore, it is difficult to define it as just the concept of "hospitality". Modern models of the hospitality, leisure and tourism industry clearly show the ambiguity of the conceptual definition of the content and boundaries of the hospitality industry, as well as the complexity of its correlation with the tourism industry and the leisure industry.

Hotel service and satisfied customers are the most important elements of a tourism product. In this regard, great attention is paid to the quality of hotel services and further modernization. Quality assessment, like customer satisfaction, is in most cases related to the ratio of expectations and perceptions, therefore, such a crossing of these categories leads to the fact that in practice it is used as a synonym for the quality of the product / service and their satisfaction.

The success and profit of any hotel is closely related to the satisfaction of its guests. Guest satisfaction can be defined as a rating based on a comparison of customer experiences and their initial expectations. Guest satisfaction is considered to be one of the leading indicators of the success of the hotel sector and plays an important role in both the future income of the company and the growth of demand for hotel services, which has a positive impact on profitability.

Customer satisfaction is a very subjective indicator, which mainly depends on the client's subjective personal perception. Satisfaction is a customer's emotional perception based on appropriate ratings of functional qualities.

წინასწარი ალკოტეზის საბიუჯეტო ორგანიზაციაში

*მანუჩარ ჯავახიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშების მომზადების და წარდგენის წესებს და პირობებს.

გაკეთებულია დასკვნა, რომ აღნიშნული ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების და წესების დაცვით უზრუნველყოფს სახელმწიფო სახსრების სწორ და გამჭვირვალე აღრიცხვა-ანგარიშებას.

აღნიშნება, რომ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნაა, რომ ყველა საჯარო დაწესებულებამ შეიმუშავოს სტანდარტებზე დაფუძნებული შიდა აღრიცხვის პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საბიუჯეტო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის, ფინანსური ანგარიშების მომზადების და ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების სრულყოფას, რაც ასევე უზრუნველყოფს ყველა დონის მომხმარებლის ინფორმირებას საჯარო დაწესებულებაში არსებული აქტივების, კაპიტალისა და ვალდებულებების შესახებ.

ამდენად, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ ინსტრუქცია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის საფუძველზე განსაზღვრავს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშების მომზადების და წარდგენის წესებს და პირობებს. აღნიშნული ინსტრუქცია უზრუნველყოფს სახელმწიფო სახსრების სწორ და გამჭვირვალე აღრიცხვა-ანგარიშებას, საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების და წესების დაცვით.

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნაა, რომ ყველა საჯარო დაწესებულებამ შეიმუშავოს სტანდარტებზე დაფუძნებული შიდა აღრიცხვის

პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საბიუჯეტო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის, ფინანსური ანგარიშების მომზადების და ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების სრულყოფას.

განხილული ცხადყოფს, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ შიდა აღრიცხვის დოკუმენტის დამტკიცების შემდგომ კიდევ უფრო დაიხვეწება და გამჭვირვალე გახდება საჯარო დაწესებულებაში ფინანსური აღრიცხვა და უზრუნველყოფილი იქნება ყველა დონის მომხმარებლის ინფორმირება საჯარო დაწესებულებაში არსებული აქტივების, კაპიტალისა და ვალდებულებების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ბიუჯეტი, ბუღალტრული აღრიცხვა, საჯარო სექტორი, ფინანსური ანგარიშგება.

შესავალი

საჯარო ფინანსების მართვისა და ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფინანსური ანგარიშების დახვეწა, რაც გულისხმობს საჯარო ფინანსების სწორ და გამჭვირვალე აღრიცხვა-ანგარიშებას. ფინანსური ანგარიშგება არის ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. ფინანსური ანგარიშგების მიზანია ერთეულის ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების ისეთი ინფორმაციის წარმოდგენა, რომელსაც გამოიყენებენ მომხმარებელთა ფართო წრეები რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად და შესაფასებლად, რაც ასევე ფინანსური მენეჯმენტისათვისაც მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს.

ამ მიზნით ქვეყანაში ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების და წესების დაცვით, წლების განმავლობაში იწერება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (სსბას). საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის #108 ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად 2020 წლიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციები, ხოლო 2021 წლიდან საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი

ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციები საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე აწარმოებენ ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებას, რაც ასევე უზრუნველყოფს ყველა დონის მომხმარებელის კიდევ უფრო მეტად ინფორმირებას საჯარო დაწესებულებაში არსებული აქტივების, კაპიტალისა და ვალდებულებების შესახებ.

ძირითადი ნაწილი

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ ინსტრუქცია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის საფუძველზე განსაზღვრავს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის წესებს და პირობებს. ინსტრუქციის მიზანია სახელმწიფო სახსრების სწორი და გამჭვირვალე აღრიცხვა-ანგარიშგების უზრუნველსაყოფად, საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების და წესების განსაზღვრა. ერთეულები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებენ ინსტრუქციით თანდართული დარიცხვის მეთოდის შესაბამისი, შემდეგი სსბასს-ების 2018 წლის ვერსიის საფუძველზე:

1. სსბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა;
2. სსბასს 2 – ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება;
3. სსბასს 3 – სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები;
4. სსბასს 4 – უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები;
5. სსბასს 5 – ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები;
6. სსბასს 9 – შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან;
7. სსბასს 12 – მატერიალური მარაგები;
8. სსბასს 13 – იჯარა;
9. სსბასს 14 – ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები;
10. სსბასს 16 – საინვესტიციო ქონება;
11. სსბასს 17 – ძირითადი აქტივები;
12. სსბასს 19 – ანაღრიცხვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები;
13. სსბასს 20 – დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები;
14. სსბასს 21 – ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება;

15. სსბასს 23 – შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები);
16. სსბასს 24 – ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში;
17. სსბასს 26 – ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება;
18. სსბასს 31 – არამატერიალური აქტივები;
19. სსბასს 32 – შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი;
20. სსბასს 34 – ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება;
21. სსბასს 35 – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;
22. სსბასს 36 – ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში;
23. სსბასს 37 – ერთობლივი შეთანხმებები;
24. სსბასს 39 – დაქირავებულთა სარგებელი.

ინსტრუქციის თანახმად ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს მის მიერ განხორციელებული ყველა ეკონომიკური მოვლენის ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვის სისრულე და შიდა კონტროლი. ორგანიზაცია მისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით:

- ◆ განსაზღვრავს სააღრიცხვო პოლიტიკას;
- ◆ შეიმუშავებს სამუშაო ანგარიშთა გეგმას;
- ◆ შეიმუშავებს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების გაფორმების, შესაბამისი აღრიცხვის წარმოებისა და კონტროლის მექანიზმსა და პროცედურებს;
- ◆ განსაზღვრავს სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ვადებსა და ტექნოლოგიას;
- ◆ განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცედურებს;
- ◆ შეიმუშავებს შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ერთეულის საქმიანობის ეფექტიანობას, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობასთან მათ შესაბამისობას.

აღნიშნული მოთხოვნები ხელს შეუწყობს საჯარო ერთეულში/ორგანიზაციაში არსებული აქტივებისა და ვალდებულებების სწორ და ზუსტ აღრიცხვას, რაც ფინანსური მენეჯ-მენტის სრულყოფისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.


საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის #24 ბრძანებით - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის

შესაბამისად 2020 წლიდან ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციები, ხოლო 2021 წლიდან საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციები.

ბრძანებით დამტკიცებული ფორმით, ფინანს-

სური ანგარიშგება კონტროლირებულმა ერთეულებმა მაკონტროლებელ ერთეულებს უნდა წარუდგინონ მათ მიერ დადგენილ ვადებში, ხოლო მხარჯავმა დაწესებულებებმა წლიური ფინანსური ანგარიშგება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს, საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე (იხ. ნახაზი).



ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური ყოველი წლის პირველ აპრილამდე იღებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების - მუნიციპალიტეტების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებებს (ბუღალტრულ ბალანსებს) და შემდგომ ადგენს ერთიან სახელმწიფო ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებას. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც ბუღალტრული ფორმებისა და ანგარიშების ნაშთების გარდა მოიცავს განმარტებით შენიშვნებს, რათა დოკუმენტში არსებული ინფორმაცია აღქმადი იყოს, უზრუნველყოფს ყველა დონის მომხმარებლის (მათ შორის სახელმწიფოს მმართველობის, ინვესტორის, მოქალაქის და სხვა.) ინფორმირებას სახელმწიფოში არსებული ფინანსური და არაფინანსური აქტივების, კაპიტალისა და ვალდებულებების შესახებ, რაც ასევე ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის აუცილებელი პირობაა.

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნაა, რომ ყველა საჯარო დაწესებულებამ შეიმუშავოს სტანდარტებზე დაფუძნებული შიდა აღრიცხვის პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საბიუჯეტო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის, ფინანსური ანგარიშგების მომზადების და ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების სრულყოფას. შიდა აღრიცხვის დოკუმენტი კიდევ უფრო დახვეწავს და გამჭვირვალეს გახდის საჯარო დაწესებულებაში ფინანსურ აღრიცხვას, რაც ხელს შეუწყობს ყველა დონის მომხმარებლის

ინფორმირებას საჯარო დაწესებულებაში არსებული აქტივების, კაპიტალისა და ვალდებულებების შესახებ.

დასკვნა

ამდენად, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ ინსტრუქცია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის საფუძველზე განსაზღვრავს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის წესებს და პირობებს. აღნიშნული ინსტრუქცია უზრუნველყოფს სახელმწიფო სახსრების სწორ და გამჭვირვალე აღრიცხვა-ანგარიშგებას, საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების და წესების დაცვით.

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნაა, რომ ყველა საჯარო დაწესებულებამ შეიმუშავოს სტანდარტებზე დაფუძნებული შიდა აღრიცხვის პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საბიუჯეტო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის, ფინანსური ანგარიშგების მომზადების და ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების სრულყოფას.

განხილული ცხადყოფს, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ შიდა აღრიცხვის დოკუმენტის

დამტკიცების შემდგომ კიდევ უფრო დაიხვეწება იქნება ყველა დონის მომხმარებელის ინფორმირება და გამჭვირვალე გახდება საჯარო დაწესებულებაში საჯარო დაწესებულებაში არსებული აქტივების, ფინანსური აღრიცხვა და უზრუნველყოფილი კაპიტალისა და ვალდებულებების შესახებ.

Financial accounting in budget organizations

*Manuchar Jagodnishvili, PhD student
Georgian Technical University*

Summary

The article discusses the guidelines for financial accounting by public organizations on the basis of international standards of public sector accounting, which sets out the rules for budgeting, preparation and submission of financial statements by budgetary organizations based on international standards of public sector accounting.

It has been concluded that the mentioned instruction ensures correct and transparent accounting of state funds for budget organizations in compliance with uniform methodological principles and rules.

It is noted that the requirement of International Public Sector Accounting Standards requires that all public institutions develop standards-based internal accounting policies that ensure the organization of the organization's budgetary and financial activities, preparation of financial statements and accounting, which also ensures public On existing assets, capital and liabilities.

Thus, the Instruction on Financial Accounting on the Basis of International Public Sector Accounting Standards by Budget Organizations on the basis of the Budget Code of Georgia defines the rules of accounting, financial reporting and preparation of financial reporting by international organizations on the basis of International Public Sector Accounting Standards. This instruction ensures accurate and transparent accounting of state funds, adhering to uniform methodological principles and rules for budget organizations.

International Public Sector Accounting Standards require that all public institutions develop standards-based internal accounting policies that ensure the organization's budget and financial activities, preparation of financial statements, and accounting.

The review shows that after the approval of the internal accounting document by the budget organizations, the financial accounting of the public institution will be further refined and transparent, and the users of all levels will be informed about the assets, capital and liabilities of the public institution.

Keywords: Budget, Accounting, Public Sector, Financial Reporting.

სოციალური მეცნიერებები

SOCIAL SCIENCES

მოსახლეობის გამკაცრების კონტაქტური და სოფლის მეურნეობის მეცნიერული მკვლევარ თუ – ეპიდემიოლოგი, აზროვნებები, თემატიკა და ეკოლოგიური კატასტროფები

*ბობა გაფრინდაშვილი, ასტრონომიული პლანეტარული
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

„დემოგრაფიული აფეთქება“ თანამედროვეობის ერთ-ერთ მტკივნეულ გამოწვევად - ითვლება; იგი „ჭარბ მოსახლეობასთან“ დაკავშირებულ პრობლემებს და **თომას მალთუსის** სახელს უკავშირდება (1766-1834).

თომას მალთუსის ცნობილმა თეორიამ და მისმა შრომამ - „ტრაქტატი მოსახლეობაზე“, სადაც ავტორი დემოგრაფიული აფეთქების მიზეზებზე და მის დამლუპველ შედეგებზე აფრთხილებდა კაცობრიობას, თავის დროზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

კერძოდ, მალთუსი ამტკიცებდა, რომ „კაცობრიობა გეომეტრიული პროგრესით იზრდება,

საარსებო საშუალებები - არითმეტიკული პროგრესით. ამიტომ, პერიოდულად, კაცობრიობის მოთხოვნილებებსა და მისი დაკმაყოფილების საშუალებებს შორის დისბალანსი წარმოიშობა - მწვავედ ადამიანებსა და ქვეყნებს შორის კონკურენცია, აგრესიები, ინტერესთა ურთიერთშეუსაბამობა, კონფლიქტები, ეპიდემიები, ომები, კლიმატური პრობლემები და ბუნებრივი კატაკლიზმები, რასაც თან ახლავს მოსახლეობის საგრძნობი შემცირება და შესაბამისად, ხალხთა შორის დროებითი სიმშვიდე ისადგურებს!

„ეპიდემიის“ ხსენებაზე მეთერთმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებში გავრცელებული ეპიდემია - **კეთრი** გვახსენდება, რომელმაც სამ მილიონამდე ადამიანი შეიწირა! მისი ადგილი კი ახლად აღმოჩენილ ვენერიულ დაავადებებს - ათაშანგს, შემოლილოზებს და ა. შ. დაუკავებია; დასნებოვნებას ხელს უწყობდა მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე, არასაკმარისი კვება და ცუდი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რის გამოც ეპიდემიები მეოცე საუკუნემდე შემორჩენია კაცობრიობას. (1990 წელს, საქართველოში, 21 მოქალაქე ყოფი-

ლა კეთრით დაავადებული); 1991 წლიდან, საქართველოში, კეთრი აღარ დაფიქსირებულაო, წერენ სპეციალისტები. დღეს კეთრით დაავადების რისკი დაბალია, ვინაიდან 95 პროცენტზე მეტ ადამიანს, მსოფლიოში, „უკვე აქვს ბუნებრივი იმუნიტეტი“; ზოგიერთ ქვეყანაში კი, 2011-2015 წლებში მსოფლიოში, კეთრის 1000 ახალი შემთხვევა აღრიცხულა (ისეთ ქვეყნებში, როგორცაა აფრიკაში - კონგო, ეთიოპია, მადაგასკარი, მოზამბიკი, ნიგერია, ტანზანია. აზიაში - ბანგლადეში, ინდოეთი, ინდონეზია, ნეპალი, ფილიპინები, შრი-ლანკა. სამხრეთ ამერიკაში - ბრაზილია).

ეპიდემიების ახალმა სახეობებმაც „თავზარი დასცეს დედამიწის მოსახლეობას და ჯერაც პრობლემებს უქმნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით განებივრებულ და გათამამებულ კაცობრიობასო“, წერენ სპეციალისტები! 2000 წლის მონაცემების მიხედვით, მათ, „ჯამში მილიარდამდე ადამიანი ემსხვერპლა“.

დემოგრაფიის აზრით, ყოველივე ამის ერთ-ერთი **მთავარი მიზეზი - ჭარბი მოსახლეობაა** (ამიტომ დამდგარა ჯერ კიდევ საუკუნეების წინ მოსახლეობის გამრავლების ტემპის შემცირების/მართვის საჭიროება).

როგორც დემოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვეცნობით, კაცობრიობა გამრავლების „ვერც მუდმივ ზრდას შეურიგდება და ვერც მის მუდმივ შემცირებას! მისთვის ორივე დამლუპველია!“ (**...რაკი სამყაროული წესრიგის გარანტი - წონასწორობაა! რ.გ.!**).

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფიული აფეთქება; ჭარბი მოსახლეობა; ეპიდემიები; კეთრი, ათაშანგი, შემოლილოზები, ტიფი; ემბოლა; შიდსი; ცოფი; გრიპი; ქოლერა; ჭირი; ყვავილი; ტუბერკულოზი; მალარია! დღეს კი, 2020-დან - **კორონა!**

შესავალი

„ეპიდემიის“ ხსენებაზე მეთერთმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებში გავრცელებული ეპიდემია - **კეთრი** გვახსენდება, რომელიც „აზანზარება და მსოფლიოს და რომელმაც სამ მილიონამდე ადამიანი შეიწირა!“, მისი ადგილი კი ახლად აღმოჩენილ ვენერიულ დაავადებებს - ათამანგს, შშლილობებს და ა. შ. დაუკავებია; დასნებოვნებას ხელს უწყობდა მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე, არასაკმარისი კვება და ცუდი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რის გამოც ეპიდემიები მეოცე საუკუნემდე შემორჩენია კაცობრიობას. (1990 წელს, საქართველოში, 21 მოქალაქე ყოფილა კეთრით დაავადებული; ისინი მკურნალობას ბაქოში და ასრახანში გადიოდნენ); 1991 წლიდან, საქართველოში, კეთრი აღარ დაფიქსირებულაო, წერენ სპეციალისტები. დღეს კეთრით დაავადების რისკი დაბალია, ვინაიდან 95 პროცენტზე მეტ ადამიანს, მსოფლიოში, „უკვე აქვს ბუნებრივი იმუნიტეტი“; ზოგიერთ ქვეყანაში კი, 2011-2015 წლებში მსოფლიოში, კეთრის 1000 ახალი შემთხვევა აღრიცხულა (ისეთ ქვეყნებში, როგორცაა აფრიკაში - კონგო, ეთიოპია, მადაგასკარი, მოზამბიკი, ნიგერია, ტანზანია. აზიაში - ბანგლადეში, ინდოეთი, ინდონეზია, ნეპალი, ფილიპინები, შრი-ლანკა. სამხრეთ ამერიკაში - ბრაზილია).

ძირითადი ნაწილი

სპეციალისტები წერენ, რომ 2020 წლის მონაცემებით „საშიშმა ვირუსულ-ბაქტერიულმა დაავადებებმა, საერთო ჯამში მილიარდამდე ადამიანი იმსხვერპლა“.

ესენია:

ტიფი – პირველი მსოფლიო ომის დროს, მან დაახლოებით 20-30 მილიონი ადამიანი შეიწირა;

ემბოლა ის 1976 წელს, აფრიკაში, სუდანსა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გავრცელებულა და ასზე მეტი ადამიანი შეუწირავს.

შიდსი – პირველად 1981 წელს დაფიქსირებულა; ეს დაავადება, სქესობრივი გზით გადადის და იმუნურ სისტემას აავადებს. დღეს, შიდსით 75 მილიონამდე ადამიანი ყოფილა დაავადებული.

ცოფი – ცხოველის ნაკბენით ან ნაკაწრით ვრცელდება. ამ დაავადებით ყოველწლიურად, 55 ათასი ადამიანი კვდება აზიისა და აფრიკის ქვეყნებში.

გრიპი – ჰაერ-წვეთოვანი გზით გადადის; „მისი 200 ქვეტიპი არსებობს; უმეტესობა ერთ კვირაში იკურნება, უექიმოდ; თუმცა, მისი მიზეზით წელიწადში ნახევარი მილიონი ადამიანი მაინც იღუპება“. 1918 წელს ყველაზე დიდი პანდემია დაწყებულა, რასაც „ესპანური გრიპის“ სახელით იყო ცნობილი 50 დან 100 მილიონამდე ადამიანი ემსხვერპლა.

ქოლერა: მას ჭარბი მოსახლეობის რეგიონებში წყლის ფეკალური დაბინძურება იწვევს; მისი

საწინააღმდეგო ვაქცინის ეფექტურობა დაახლოებით 85 პროცენტს უდრის. ქოლერით ყოველწლიურად 4-მილიონამდე ადამიანი ავადდება, რომელთაგან 140 ათასზე მეტი იღუპება.

ჭირი: მისი ბაცილა, ადამიანის ორგანიზმში, რწყილის ნაკბენით ხვდება; მეექვსე საუკუნეში, მას 100 მილიონი ადამიანი შეუწირავს. მეთოთხმეტე საუკუნეში კი შავი ჭირით, ევროპის მოსახლეობის 30-დან 60 პროცენტამდე ადამიანი დაღუპულა!

ყვავილი: მისი პირველი გამოჩენა, ეგვიპტურ მუმებში, ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნით თარიღდება 30 პროცენტის სიკვდილიანობა; მეთვრამეტე საუკუნეში, ყვავილით, წელიწადში 400 ათასი ადამიანი იღუპებოდა, მათი მესამედი - ბრმავდებოდა. მან, სულ, 300 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მისი უკანასკნელი შემთხვევა 1977 წელს დაფიქსირებულა.

ტუბერკულოზის ბაცილა, ანუ „კობის ჩხირები“, ჩვენს წელთ აღრიცხვამდე ხუთი ათასი წლის წინ ადამიანის ჩონჩხში აღმოუჩენიათ. 2018 წელს, ტუბერკულოზით 10 მილიონი ადამიანი ყოფილა დაინფიცირებული, მათგან 1.5 მილიონი კი გარდაცვლილა.

მალარია – ადამიანის ორგანიზმში კოლოს ნაკბენით ხვდება. გავრცელებული ყოფილა სუბტროპიკულ რეგიონებში; 2018 წელს 228 მილიონი შემთხვევა აღრიცხა. მათგან 400 ათასზე მეტი – სიკვლით დამთავრებულა, უმეტესად მცირეწლოვანი ბავშვები.

ეპიდემიების მიზეზების კვლევის შედეგად დემოგრაფები დაასკვნიან, რომ მისი ერთ-ერთი **მთავარი მიზეზი ჭარბი მოსახლეობაა** (ამიტომ დამდგარა ჯერ კიდევ საუკუნეების წინ მოსახლეობის გამრავლების ტემპის შემცირების/მართვის საჭიროება).

- ♦ როგორც დემოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვეცნობით, კაცობრიობა გამრავლების „ვერც მუდმივ ზრდას შეურიგდება და ვერც მის მუდმივ შემცირებას! მისთვის ორივე დამღუპველია!“ (...**რაკი სამყაროული წესრიგის გარანტი - წონასწორობაა! რ.გ.!**).

მალთუსი ამტკიცებდა, რომ „კაცობრიობა გეომეტრიული პროგრესით იზრდება, საარსებო საშუალებები - არითმეტიკული პროგრესით. ამიტომ, პერიოდულად, კაცობრიობის მოთხოვნილებებსა და მისი დაკმაყოფილების საშუალებებს შორის დისბალანსი წარმოიშობა - მწვავედა ადამიანებსა და ქვეყნებს შორის კონკურენცია, აგრესიები, ინტერესთა ურთიერთშეუსაბამობა, კონფლიქტები, ეპიდემიები, ომები, კლიმატური პრობლემები და ბუნებრივი კატაკლიზმები, რასაც თან ახლავს მოსახლეობის საგრძნობი შემცირება და შესაბამისად, ხალხთა შორის დროებითი სიმშვიდე ისადგურებს!

ეპიდემიების ახალმა სახეობებმა „თავზარი დასცეს დედამიწის მოსახლეობას და ჯერაც პრობლემებს უქმნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით განებივრებულ და გათამამებულ კაცობრიობასო“, წერენ სპეციალისტები! 2000 წლის მონაცემების მიხედვით, მათ, „ჯამში მილიარდამდე ადამიანი ემსხვერპლა“.

დემოგრაფიულ სემეციურ ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ 50 ათასი წლის წინ, დედამიწა მხოლოდ 500 ათას ინდივიდს ითვლიდა. ჩვენი ერის დასაწყისისთვის - 50-300 მილიონს მიაღწია; 1825 წლისათვის - 1 მილიარდი გახდა; ბოლო 200 წლის განმავლობაში - 6 მილიარდი! 2050 წლისათვის - 9.7 მილიარდი გახდება, ხოლო თუ მოსახლეობის გამრავლების ტემპი ასე გაგრძელდა - მაშინ, 7 საუკუნის შემდეგ, თითოეული ადამიანისთვის, დედამიწაზე საცხოვრებლად და საარსებოდ, მხოლოდ 1 კვ.მ. ფართობი დარჩება! (რასაც, ალბათ „ცხოვრებაც“ აღარ ერქმევა!).

რა პერსპექტივებს ხედავენ მეცნიერები „მუდმივად მზარდი მოსახლეობის“ სურსათით უზრუნველყოფის მიზნით?

თომას მალთუსი, კაცობრიობის გამრავლების კონტროლის ბუნებრივ საშუალებად მიიჩნევდა: ეპიდემიებს, ომებს, ავადმყოფობებს, შიმშილს, ძალადობას; ხოლო მოსახლეობის ზრდის ტემპების შესაჩერებლად – სექსუალური ცხოვრებისაგან თავშეკავებას, გვიან ქორწინებას ზნეობრივ შეზღუდვებს და ა. შ.

დღეს, როგორც დემოგრაფი-მეცნიერები ვარაუდობენ, ამ მხრივ მსოფლიო დიდი გამოწვევების წინაშე დგას!

ამიტომ ამ პრობლემაზე მრავალი მეცნიერი და სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს. ისინი „სოფლის მეურნეობის ახალი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფაზე“, „წარმოებული პროდუქტის უსაფრთხოებაზე“, „უვნებელი სურსათის მიწოდებაზე“ და „მოსახლეობის ზრდის ტემპების დარეგულირების მეთოდებზე“ ზრუნავენ.

ჯერ კიდევ 1967 წელს, გაეროს ინიციატივით მოსახლეობის ფონდი შექმნილა, რომელიც „განვითარებადი ქვეყნების მთავრობებს შობადობაზე კონტროლის განხორციელების საქმეში დახმარებას დაპირდა“ - ვკითხულობთ გიორგი გოგასაძის წიგნში „მოსახლეობის გეოგრაფია“, თავი - დემოგრაფიული პოლიტიკა, 2019 წ.

... განვითარებულ ქვეყნებში კი (ევროპა, ამერიკა, რუსეთი და ალბათ საქართველოც - რ.გ.), პირიქითაა! დემოგრაფების ვარაუდით, „არსებული დემოგრაფიული ტენდენციების შენარჩუნებით, 130-180 წლის შემდეგ მკვიდრი მოსახლეობიდან, აქ აღარავინ დარჩება... ამ ქვეყნებში სახელმწიფო თავის თავზე იღებს ბავშვთა ჯანდაცვის, განათლებისა და

სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯებს“).

დემოგრაფიულ პრობლემებზე ზრუნვა ჯერ კიდევ 1778 წელს დაწყებულია (იხ. გიორგი კიკაძის სტატია - „კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობის საფრთხე“, Google. Ge), სადაც საუბარია სურსათზე გაზრდილი მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად საჭირო წარმოების გაფართოებაზე და მწარმოებელთა მოტივაციის ამაღლებაზე, სოფლის მეურნეობის ახალი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფაზე, წარმოებული პროდუქტის უსაფრთხოებაზე, ტექნოლოგიების სიმძლავრეების გაზრდაზე და ა. შ.

მეცნიერები გარემოსთვის ყველაზე დიდი ზიანის მომტანად ქვანახშირის წვას მიიჩნევენ, რის გამოც 2018 წელი ქვანახშირის მომპოვებელი ორგანიზაციების გაუქმების ბოლო ვადად ყოფილა დასახელებული. მისი შეცვლა კი შესაძლებელი ყოფილა „მიწის ელემენტების რადიოაქტიური ელემენტების გახლეჩით“, ქარის ტურბინებით, მზის პანელებით და ა. შ. ამ სფეროებში დასაქმებას კი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ (დიდ ინვესტიციებს ჰპირდებიან) და განვითარებად ქვეყნებს ამ აქტივობისთვის მზაობას ურჩევენ!

დასკვნა

როგორც ვხედავთ, ამ პრობლემებზე მრავალი მეცნიერი და სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს; თუმცა, ვფიქრობ, რომ ამ იმედით მოსახლეობის „ზომიერად გამრავლება“ ილუზია უფროა, ვიდრე რეალურად მოსალოდნელი შედეგი; ანუ, რაკი/სანამ დედამიწაზე ადამიანთა დიდი უმრავლესობისთვის მხოლოდ სხეულებრივი სიამოვნება ხელმისაწვდომი (მეტწილად აქ იგულისხმება როგორც სმა-ჭამის, ისე გამრავლების პროცესის სიამოვნებები), ხოლო სულიერი სიამოვნებანი (მშვენიერების, უმაღლესი სიკეთისა და ჭეშმარიტების სიყვარულები) მათთვის უცხო ან ხელმიუწვდომელია. **მოსახლეობის გამრავლების ტემპების შემცირების ჰუმანურ მეთოდებში, განათლებისა და აღზრდის სისტემების ამოცანებიც უნდა იქნას განსაზღვრული და გათვალისწინებული! და არა - მოზარდებში, ნაადრევად, სექსუალური ურთიერთობებისაკენ ლტოლვა!**

ანუ, რაკი ეპიდემიებმა, მეცნიერებას - შობადობის კონტროლზე, ეკოლოგიაზე, შიმშილობის მაჩვენებლის შემცირებაზე და სურსათზე (მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საშუალებებზე) ზრუნვა უკარნახა, **თანამედროვე ეთიკამ და ფსიქოლოგიამ, საზოგადოებას, სოციალური შეგნებულობის გაზრდისა და სექსუალური ურთიერთობებისადმი „პოზიტიური თავშეკავების აუცილებლობისაკენ“ უნდა მოუწოდოს!**

ლიტერატურა:

1. კორნაძე ლორენცი, ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომკვდინებელი ცოდვა, „შესავალი აზროვნებაში“ ტ. 4; „ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2007.
2. თომას მალთუსი, „ტრაქტატი მოსახლეობაზე“, Google.ge
3. გაფრინდაშვილი რ., თომას მალთუსი და ერთნაირ სქესიანთა ქორწინების დემოგრაფიული ეფექტი; სტუ-ს სამეცნიერო-საერთაშორისო ჟურნალი „მსოფლიო და კავკასია“, N 33, 2016.
4. gtuc.ge/klimatis cvlileba da globaluri datbobis/ . . .
5. SOCIUM.ge “protosocteria” maltusis Tesisebi Socium.ge
6. მიშელ ფუკო, „შემოღობა ხომალდიები“;
7. გოგასძე გ., „დემოგრაფიული პოლიტიკა“ წგნიდან - „მოსახლეობის გეოგრაფია“, „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2019.

**Population control and scientific management of agriculture -
epidemics, aggression, wars and ecological disasters**

*Roza Gaprindashvili, Associate Professor
Georgian Technical University*

Summary

"Demographic explosion" is considered to be one of the most painful challenges of modernity; It is associated with the problems of the "overpopulation" and the name of Thomas Malthus (1766-1834).

The famous theory of Thomas Malthus and his work - "Treatise on Population", where the author warned humanity about the causes of the demographic explosion and its devastating consequences, found a great response in his time.

In particular, Malthus argued that "humanity grows by geometric progression, subsistence - by arithmetic progression. Therefore, periodically, an imbalance arises between the needs of mankind and the means of satisfying it - intensifying competition between peoples and countries, aggression, conflict of interest, conflicts, epidemics, wars, climate problems and natural cataclysms, accompanied by a significant decline in population and Calm stations!

The mention of the "epidemic" in the eleventh and fifteenth centuries we are reminded leprosy, which killed up to three million people! Its place was taken by the newly discovered venereal diseases - atashang, madness, etc Infection was promoted by high population density, insufficient nutrition and poor sanitation, which is why epidemics persisted in mankind until the twentieth century. (In 1990, in Georgia, 21 citizens were infected with leprosy); Since 1991, leprosy has not been observed in Georgia, specialists write. Today, the risk of leprosy is low, with more than 95 percent of the world's people "already having natural immunity"; In some countries, there were 1,000 new cases of leprosy worldwide in 2011-2015 (in countries such as Africa - Congo, Ethiopia, Madagascar, Mozambique, Nigeria, Tanzania, Asia - Bangladesh, India, Indonesia, Nepal, Philippines, Sri Lanka. In South America - Brazil).

New species of epidemics "have shaken the earth's population and still cause problems for humanity embraced and emboldened by scientific and technological progress," write experts! According to 2000 data, they "killed a total of one billion people."

According to demographers, one of the main reasons for all this is the overpopulation (hence the need to reduce / manage the rate of population growth centuries ago).

As we know in the demographic scientific literature, mankind "can neither reconcile with its constant increase nor its constant decrease! Both are disastrous for him! "(... Because the guarantor of world order is balance! RG!).

Keywords: demographic explosion; Surplus population; Epidemics; Leprosy, leprosy, madness, typhus; Embolism; AIDS; Rash; Flu; Cholera; Plague; flower; Tuberculosis; Malaria, Corona!

**ნორმა-სტაბილურობის გაცანტი,
პოზიტიური დევიაცია – პროგრესის საფუძველი**

*ნატო მახათაძე
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი*

რეზიუმე

სტაბილურობის სახელწოდებით „ნორმა-სტაბილურობის გარანტი, პოზიტიური დევიაცია – პროგრესის საფუძველი“ წარმოდგენილია დღევანდელი საზოგადოების აქტუალური პრობლემები, რომლებიც ადამიანის ქცევასთან და სტერეოტიპებთან არის დაკავშირებული. მოცემულია რეფლექსიები და მოსაზრებების მიმოხილვა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ხაზგასმულია ფენომენის გამომწვევი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. განხილულია მონაცემები, რომლებიც განაპირობებს ნორმის და დევიაციის დამკვიდრებას. წარმოდგენილი მოსაზრება, რომ ნორმა ისწავლება ბავშვობიდან კონკრეტულ კულტურაში გაზრდის პროცესში, წარმოადგენს სტაბილურობის ფაქტორს. აქვე აღნიშნულია, რომ ნორმების სწავლა რთულია თუ ინდივიდი განსხვავებულ სოციალურ გარემოს ეკუთვნის. განხილულია დევიანტური ქმედებაც. აღნიშნულია, რომ დევიაცია თავისთავად სოციალური ნორმის დარღვევის აქტია და ჩვეულებრივ, ადამიანებისთვის ბევრად უფრო ადვილია ნორმების დარღვევის ამოცნობა, ვიდრე თავად ნორმების დადგენა. დევიაციას აქვს კონსტრუქციული და დესტრუქციული მხარე. ნეგატიური დევიაცია საზოგადოების მიერ არ მიიღება და მეტიც სახელმწიფოს და საზოგადოებების მიერ დადგენილი კანონებით და პროცესებით უარყოფილია. პოზიტიური დევიაცია, რომელიც ყველა სფეროში შეიძლება გამოვლინდეს პროგრესის ძრავაა. მაშინ როდესაც ნორმა სტაბილურობის საფუძველია. ზემოხსენებულის საფუძველზე დაყრდნობით და კონკრეტული ასპექტების გათვალისწინებით წარმოდგენილია კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბოლო წლების განმავლობაში დევიაციის აქტორების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ამ ფაქტს საფუძვლად უდევს სამეცნიერო-ტექნოლოგიური სფეროს პროგრესი და ინდივიდუალიზმი, რომელიც 21-ე საუკუნის საზოგადოებას ახასიათებს. ეს ინდივიდუალიზმი კი გამოიხატება ყველაფერში: მოდა, საუბარი, გარეგნობა, კომუნიკაცია, ჩვევები... აქედან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ წარმატებასაც და თვითაქტუალიზაციასაც თავიანთ პროფესიულ სფეროში უფრო მეტად პოზიტიური დევიანტები ახერხებენ.

საკვანძო ტერმინები: ნორმა-სტაბილურობის გარანტი, პოზიტიური დევიაცია - პროგრესის

საფუძველი, დევიაცია და ნორმა, სტაბილურობა და პროგრესი, დელიქვენტურობა, საზოგადოება და კულტურა განაპირობებს ნორმის დაწესებას.

შესავალი

რა არის ნორმა და რა არ არის ნორმა - ამის შესახებ არაერთ მეცნიერს და მოაზროვნეს აქვს მოსაზრება წარმოდგენილი. მრავალი მათგანი (დომინანტურ ასპექტებში) ემთხვევა. არსებობს განსხვავებული რეფლექსიებიც, რომელიც საზოგადოებიდან და კულტურიდან გამომდინარეობს. ზოგჯერ ნორმა ხდება დევიაცია, ხოლო დევიაცია ნორმას ადგილს იკავებს; თუ მე-20 საუკუნის 50 წლებში თამბაქოს მოხმარება ნორმა იყო აშშ-ში და ნებისმიერი მოაზროვნე მამაკაცს სიგარეტის მოწევა ახასიათებდა, იმავე საუკუნის 70-იან წლებიდან ჯანდაცვის ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი კვლევების თანახმად, (რომლის მიხედვითაც თამბაქო ბევრ დაავადებებს იწვევს) ეს ფაქტი აღარ აღიქმება ნორმად. კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ბოლო დროს დამკვიდრდა - მისალმებისას ან დამშვიდობებისას ხელის ჩამორთმევის ნორმის ცვლილებას აქვს ადგილი. ნორმა ეს არის დაკანონებული დადგენილება, რაიმე წესის, წესწყობილების სავალდებულოდ ცნობა. ნორმის საპირისპირო მდგომარეობად ითვლება დევიაცია; ეს არის ისეთი ქცევის აღნიშვნა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ და ოფიციალურად დადგენილ ნორმებს. დევიანტური ქმედება კი არის პრობლემა, რომელიც სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, წარმოქმნის მომენტიდანვე ყურადღების ცენტრშია. ემილ დიურკჰეიმს და რობერტ კინგ მერტონს დიდი წვლილი მიუძღვით თანამედროვე დევიანტოლოგიის დაფუძნებაში. დევიაციური ქცევის მრავალ კლასიფიკაციას გვთავაზობენ სოციოლოგები, რომლებიც განსხვავდებიან სირთულის და შინაარსის მიხედვით. ფაქტია, რომ დევიაციას შეიძლება ქონდეს როგორც კონსტრუქციული, ასევე დესტრუქციული ხასიათი, რაც გამოიხატება მის დადებით და უარყოფით მხარეებში. ნეგატიური მხარეა: სისხლის სამართლის დანაშაული, თვითმკვლელობა, ალკოჰოლიზმი, ინცესტი, ნარკომანია, ტერორიზმი, აზარტული თამაშები (ლუდომანია), ექსტრემიზმი, ვანდალიზმი და ა.შ. ასეთი დევიანტური ქცევა იწვევს საზოგადოების მხრიდან გარკვეული ფორმალური და არაფორმალური

სანქციების დაწესებას და გამოყენებას. ეს დაკავშირებულია სწორედ იმ ნორმებთან, რომელსაც ქმნის საზოგადოება, სახელმწიფო და რომლებიც სტაბილურობის გარანტს წარმოადგენენ. სოციოლოგები დადებით დევიაციაზე ძალიან საინტერესო, მნიშვნელოვან რეფლექსიებს და კვლევებს გვთავაზობენ. პოზიტიური დევიაციაა: გმირობა, თავგანწირვა, გადაჭარბებული შრომა, ზედმეტი კეთილშობილება, შესაძლებლობები, ნიჭიერება, გენიალურობა და ა.შ. მაშასადამე, დევიაცია ეს არის მონეტა, რომელსაც აქვს ორი მხარე; ეს არის ნორმიდან გადახრა, რომელსაც უარყოფით პარამეტრებთან ერთად დადებითი მონაცემები ახასიათებს. დადებითი დევიაცია ქმნის პროგრესს. პროგრესი კი საზოგადოების და კულტურის განვითარების აუცილებელი საფუძველია. ეს არის საზოგადოებაში და სახელმწიფოში სტაგნაციის თავის არიდების გზა. გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობა მოაქვს პოზიტიურ დევიაციას საზოგადოებისთვის.

ძირითადი ნაწილი

პოზიტიური დევიაცია და დევიანტები პროგრესის ძრავას წარმოადგენენ. ბოლო 50 წლის განმავლობაში დევიაციის აქტორების რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება. ეს მონაცემები განსაკუთრებით სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროებთან არის დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით პირველ დევიანტად შეიძლება ჩავთვალოთ ნიკოლოზ კოპერნიკი, გალილეო გალილეი. ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო დევიანტად აინშტაინი სახელდება. ჩვენს თანამედროვე დევიანტად ილონ მასკს ვასახელებთ თავისი იდეებით და პროექტებით; დევიანტურ ორგანიზაციად NASA-ს და მის ინჟინრებს აღვიქვავთ. ამ ინდივიდების განსხვავებულმა ხედვამ მნიშვნელოვანი ისტორიული ძვრები გამოიწვია კაცობრიობის განვითარებში. გენიალური მეცნიერების პოზიციები, ჰიპოთეზები, ქმედებები საზოგადოებისთვის პირველ ეტაპზე შესაძლებელია ძალიან უცნაურად ჟღერდეს, მეტიც ნორმიდან გადახრას წარმოადგენდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი მოსაზრებები მიღებული იქნა საზოგადოებების (სამეცნიერო საზოგადოება და ა.შ) მიერ და უნიკალურ ეროვნულ ფორმულადაც გამოუცხადებია კონკრეტულ სახელმწიფოს და საერთაშორისო არეალზე დამატებით ქულად ჩაუწერიათ ფენომენი, კაცობრიობის წინაშე მიღწევისთვის. აღსანიშნავია, რომ მრავალი პოზიტიური დევიანტი გენიოსად დასახელდა, დიდი რაოდენობა კი მხოლოდ დევიანტად დარჩა. რატომ ხდება ასე? კონკრეტული ქმედება და იდეა ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებამ განსხვავებულად შეიძლება აღიქვას. ერთისთვის შეიძლება მიუღებელი იყოს კონკრეტული აზრი, მეორესთვის აღფრთო-

ვანების ღირსი აღმოჩნდეს. ერთი საზოგადოება სწავლობდეს, მეორე კი არც ითვალისწინებდეს. ამ პროცესის მიღება ერთ საზოგადოებაში უფრო მალე ხდებოდეს, მეორეს კი ფაქტის აღიარებისთვის და ნორმად გამოცხადებისთვის ათწლეულები დასჭირდეს. რა განაპირობებს ასეთ განსხვავებულ დამოკიდებულებას? კულტურა, რომელიც ზოგადად განათლების ხარისხს და საზოგადოების ღიაობის მარჯას ასახავს. სწორედ რომ კონკრეტული საზოგადოების წარმოდგენებით და დამოკიდებულებით განისაზღვრება ის, თუ ე.წ. ზარის მრუდის რომელ მხარეს დაფიქსირდება ქმედება. კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია გასათვალისწინებელი - დევიაციური ქმედება თუ ოვერტონის ფანჯრის ჭრილში განიხილება დადებითად ანუ გაივლის მასში, მაშინ ეს ქმედება მისაღებია. საპირისპირო შემთხვევაში ის დელიქვენტურია ან კრიმინალური. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლად უნდა ვიცოდეთ თუ რა იწვევს დევიაციური ქმედების განსაზღვრას? - ნორმა. პირველ რიგში საუბარია იმ ნორმებზე, რომელსაც სოციალურს ვუწოდებთ. ასევე აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ ნორმები, რომელიც სამართლებრივია, დაუწერელია, საზოგადოებების, კაცობრიობის მიერ არის შექმნილი. ნორმა იმდენია, რამდენიც საზოგადოება. მთავარი, დიდი სოციალური ნორმები შესაძლოა მხოლოდ რამდენიმე ათეული იყოს. პატარა, დროში ცვალებადი და კონკრეტული სიტუაციისთვის მახასიათებელი ნორმები ასეულობითაა. როგორ განიხილავენ საზოგადოებრივი და სოციალური მეცნიერებების ასპექტში და საერთოდ, ზოგადად ნორმას? პირველ შემთხვევაში, ძირითადი მოსაზრება და პოზიცია ასეთია - ნორმა ეს არის საყოველთაოდ აღიარებული წესები, ქცევის მაგალითები, ქმედების და მოღვაწეობის სტანდარტები, რომელთა მიზანია ე.წ. მოწესრიგებულობის უზრუნველყოფა, ინდივიდების და სოციალური ჯგუფების, სოციალური ურთიერთქმედების სტაბილურობის და მდგრადობის შექმნა. საერთოდ ანუ ზოგადად კი, ეს არის ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებაში მოქმედებს, შეადგენს ერთ მთლიან სისტემას, რომელთა ელემენტები ურთიერთდამოკიდებულებია, ურთიერთგანპირობებულება. სოციოლოგიაში გამოყოფენ სამი ტიპის ნორმას: ჯგუფური ჩვევები - მცირე ჯგუფების ნორმები, რომელიც პატარა ჯგუფებში ჩნდება და არსებობს (ოჯახი). ზოგადი წესები - დიდი ჯგუფების ნორმებია (მთლიანი საზოგადოების ნორმებია); იგულისხმება ქცევის, ტრადიციების და ეტიკეტის მანერები. ამ წესებში შეიძლება დასახელდეს მოხუცებულთა ქცევის მანერებიც, ეროვნული ადათები და ა.შ. და ბოლოს, სოციალური ქცევის ნორმატიულობა,

უნდა აღვნიშნოთ, პირდაპირ კავშირშია ადამიანის როლურ ფუნქციებთან საზოგადოებაში და სოციალურ ჯგუფში. სოციალური ნორმა, რომელიც შეიქმნა ან რომელიც დაუდგინეს, მიუსადაგეს ადამიანს, ჯგუფს და საზოგადოებას, კარნახობს მოსალოდნელ ქცევასაც. შედეგად ყალიბდება სტერეოტიპები, ადამიანის ხედვა სათანადო ქცევის შესახებ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნეოინსტიტუციონალისტების მოსაზრება, რომელიც აქტუალურია დღეს: სოციალურ ინსტიტუტებს ყოფენ კონვენციებად (ან სტრატეგიებად), ნორმებად და წესებად. სოციალური კონვენციები აღწერს ჩვეულებრივ და ყოველდღიურ ქცევას, რაც არ გულისხმობს სანქციების ან აკრძალვების გამოყენებას. ნორმა არის სოციალური ინსტიტუტის სახეობა, რომელიც სავალდებულოა და გამოხატავს აკრძალვას, მოთხოვნას ან ნებართვას. წესი კი მოიცავს არა მხოლოდ სავალდებულო მოთხოვნას ან აკრძალვას, არამედ სანქციას შეუსრულებლობისთვის. საზოგადოებაში წესების შესაბამისობის სისტემის დამკვიდრება ითვალისწინებს დასჯას მათთვის, ვინც არ ასრულებს მათ. ნეოინსტიტუციონალისტების თანახმად, ნორმა არის "შუალედური" სოციალური ინსტიტუტი, გარდამავალი სოციალური ფორმა წესებიდან კონვენციებზე, რაც გულისხმობს სოციალური იძულების ეტაპობრივ უარყოფას. სოციალური ნორმები ასრულებენ საკუთარ ფუნქციებს, იმის მიხედვით, თურახარისხით იჩენენ თავს: ეს შეიძლება იყოს ქცევის სტანდარტები (წესები, მოთხოვნები, მოვალეობები) და შეიძლება იყოს ქცევის მოლოდინი (სტერეოტიპები, სხვა ადამიანების რეაქციები). მაშასადამე, სოციალურ ნორმებს აქვთ ფუნქციებიც, რომლებიც გულისხმობენ: ინდივიდების ჯგუფებში და ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრირებას,

სოციალიზაციის ზოგადი კურსის რეგულირებას, მოდელების, ქცევის სტანდარტების ფორმირებას და დევიანტური ქცევის კონტროლს; ნორმები არის სტაბილურობის საფუძველი, რომელიც აკონტროლებს დევიანტურ ქცევასაც. თუმცა დევიანტური ქცევა თუ მას პოზიტიურ კონტექსტში აღვიქვათ, პროგრესის საფუძველს წარმოადგენს. პოზიტიური დევიაცია ხშირად გენიალურობასთან ასოცირდება. საუკეთესო წარმომადგენლები გარდა უკვე ჩამოთვლილი მეცნიერებისა, არიან ფრანსუა ბუშე, ნიკოლოზ კოპერნიკი და ა.შ. პოზიტიური დევიანტები მხოლოდ მეცნიერულ სფეროში არ გვხვდებიან, მაგალისთვის კულტურის და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები შეიძლება დავასახელოთ დაწყებული სალვადორ დალით, ქორეოგრაფ ჯორჯ ბალანჩინით, კლასიკოს მოცეკვავე ვახტანგ ჭაბუკიანით და დამთავრებული მსოფლიო რანგის ცნობილი მხატვრებით, კომპოზიტორებით, დიზაინერებით (დემნა გვასალია) და როკ-ჯგუფებითაც კი.

დასკვნა

მონეტას ორი მხარე აქვს; ამიტომაც არის, რომ დევიაცია ძალიან რთული და ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა სოციოლოგიაში, რომელსაც მესამე ასწლეულია შეისწავლიან მეცნიერები. მათი ამოცანაა განსაზღვრონ, გლობალურად, კონკრეტულ საზოგადოებაში, ან დროის ასპექტში, როგორი დევიაცია წარმოადგენს საშიშროებას საზოგადოებისთვის, და როგორია პროგრესის მომტანი. დასკვნის გამოტანა საზოგადოებაზე დაკვირვებით ხდება, რადგან სწორედ საზოგადოება ნორმალური განაწილების გზით (გაუსის მრუდე) ან მიიღებს დევიანტურ კონკრეტულ ქმედებას და მას აქცევს ნორმად ან უარყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იაგო კაჭკაჭიშვილი დევიაცია, როგორც სამართლებრივი ცნობიერების დეფიციტი / ი. კაჭკაჭიშვილი // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. - თბილისი, 1999. - N1-2. - გვ.11-19.
2. იაშა კუტუბიძე „გლობალიზაციის ფსიქო-სოციალური ასპექტები“. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2017
3. ნანა ნოზაძე . ეთიკური და საკანონმდებლო ნორმები. გამომცემლობა „თბილისი“2019
4. Барбашин М.Ю. Институты и идентичность: методологические возможности теории институционального распада в современных социальных исследованиях // Журнал социологии и социальной антропологии. — 2014. — Т. XVII, № 4(75). — С. 178—188.
5. Roffee, James A (2013). "The Synthetic Necessary Truth Behind New Labour's Criminalisation of Incest". *Social & Legal Studies*. 23: 113–130. doi:10.1177/0964663913502068. S2CID 145292798.
6. Bicchieri, Cristina. 2006. *The Grammar of Society: The Nature and Dynamics of Social Norms*, New York: Cambridge University Press, Ch. 1
7. Ostrom E. and Crawford S.E.S. *A Grammar of Institutions // Understanding Institutional Diversity*, ed. E. Ostrom. Princeton, NJ: Princeton University Press. — 2005. — С. 137—174.

Guarantee of norm-stability, positive deviation - the basis of progress

*Nato Makhatadze
Academic Doctor of Social Sciences*

Summary

In the article entitled "Norm - Guarantee of the stability, positive deviation - the basis of progress" -is presented the relevant, actual problems of today's society associated with human behavior and stereotypes. Dominant reflections and opinions are given on these questions, based on the objective and subjective factors, that cause a phenomenon of the deviation. The work defines the data, that cause the creation of norms and deviations. the autor believes, that the norm is taught in the process of cultural education since childhood, that is the Fabula of an article. It is also noted, that it is difficult to receive, accept the norms for a person who belongs to another social group or environment. Discussions are also about the meaning of the deviation. It is noted that the deviation is an act of violation of social norms, and, as a rule, it is easier for people to recognize the violation of the norms than to determine the norm itself. The Deviation has a constructive and destructive side. A negative deviation will not be accepted by the society, and, plus, the Governement , the state rejects it by the laws and processes established by himself and the communities. what about Positive deviation, this phenomen can be revealed in all areas of progress. Although we have to remember that the norm is the basis for stability. Considering the above-mentioned data, one more opinion is presented on the base of concrete facts and aspects, according to which: the number of subjects of deviation has increased significantly in recent years. The last fact is presented cause of the progress of the scientific and technological sphere and Second important Cause is an individualism, which characterizes the 21st centurie's society. This individualism is expressed in everything: Fashion, conversation, appearance, communication, habits ... Therefore, it should be noted that success and self-actualization are further forthe positive deviants in their professional sphere.

Deviation is very complex and one of the basic concepts in sociology that has been studied by scientists throughout the third century. Their task is to determine globally, in a particular society and in terms of time, what deviation poses a threat to society and what progress it is making. The conclusion is made by observing society, because it is society through the normal distribution (Gauss curve) that either takes a deviating concrete action and makes it the norm, or rejects it.

სოციალური სამართლიანობა: იდეის თანამედროვე ოსტოკია

ია ალანია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

რეზიუმე: სტატია ეძღვნება თანამედროვე ეპოქის დასავლეთის პოლიტიკურ ფილოსოფიაში სამართლიანობის იდეის ანალიზს. ნაშრომში განხილულია სამართლიანობის კონცეფციის ისტორია "დიდ იდეოლოგიებში" (ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი) და ასევე საკმარისად დეტალურად შეისწავლის თანამედროვე პოლიტიკურ თეორიაში სამართლიანობის გაგების ძირითად მიდგომებს. სტატიის ამოცანაა არა მხოლოდ გარკვეული პოზიციების ანალიზი სამართლიანობის პრობლემასთან დაკავშირებით, არამედ მისი ყველაზე დამაკმაყოფილებელი კონცეფციის ძიება. უპირველეს ყოვლისა.

ძირითადი ლოგიკა კონსერვატიული აზროვნების თავისუფლებასთან და სამართლიანობასთან დაკავშირებით გამოვლინდა ცნობილი გერმანელი სოციოლოგის კ. მანჰეიმის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში "კონსერვატიული აზროვნება". იგი წერს ურთიერთშემავსებლობის კონცეფციას თავისუფლებისა და თანასწორობის ცნებების პოლიტიკურ დოქტრინას. თავისუფლება ამ დოქტრინაში ნიშნავს შესაძლებლობას, რომ ინდივიდმა იმოქმედოს საკუთარი ნების შესაბამისად და ისარგებლოს ადამიანის უფლებებით.

სამართლიანობის შესახებ თანამედროვე დისკუსიების დასაწყისი ტრადიციულად ასოცირდება ამერიკელი ფილოსოფოსის ჯ. როულსის ცნობილი წიგნის "სამართლიანობის თეორია" გამოცემასთან (Rawls, 1995; Rawls, 2010). როგორც როულსის თეორიის მრავალრიცხოვან ნაშრომშია ნათქვამი, იგი ძირითადად მიმართული იყო პოზიტივიზმისა და უტილიტარიზმის წინააღმდეგ, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ბატონობდა ანგლო-ამერიკულ სოციალურ აზროვნებაზე.

როგორც ჯ. როულსმა აჩვენა თავის „სამართლიანობის თეორიაში“, მოცემული განაწილებაში შეიძლება შეადაროს არათანაბარ (და ასევე შემთხვევითი) გადანაწილებას კლასობრივ საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, გამოსავალი არ არის სოციალური დონის გადანაწილებაში სოციალურ პოზიციებთან ან რესურსებთან მიმართებაში, არამედ საზოგადოების მიერ ისეთი ბუნებრივი საჩუქრების გამოყენება, რითაც ყველაზე ნაკლები წარმატებითიღებს სარგებელს.

როულსის თეორია გააკრიტიკეს როგორც მარცხნიდან, ასევე მარჯვნივ - კარგი ეთიკის

წარმომადგენლებისგან (პირველ რიგში კომუნიტარელები) და კანონის ეთიკის (ლიბერტარიანელები) წარმომადგენლები. განსაკუთრებით დამაბული, მაგრამ ასევე თეორიულად ნაყოფიერი იყო როლსისა და მისი მიმდევრების დისკუსიები კომუნიტარული აზროვნების წარმომადგენლებთან. ამასთან, როლსის თეორიის ზოგადი პოპულარობით სარგებლობის აკადემიურ გარემოში, რომელიც დღემდე გრძელდება.

საკვანძო სიტყვები: სოციალური სამართალი; "დიდი იდეოლოგიები"; ლიბერალიზმი; კონსერვატიზმი; დეონტოლოგიური ლიბერალიზმი; მერიტოკრატია; ლიბერტარიანობა; სოციალ-დემოკრატია; ფუნქციონალური კონცეფცია

შესავალი

სამართლიანობა არის სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფიისა და ეთიკის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. პოლიტიკაში და სოციალურ ფილოსოფიაში სამართლიანობა არის თავისუფლებისა და კეთილდღეობის, თავისუფლებისა და თანასწორობის ძირითადი პოლიტიკური ღირებულებების სწორი შეფარდება. სამართლიანობის შესახებ დისკუსიებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ძველი მოაზროვნების - პლატონისა და არისტოტელეს შემოქმედებაში. ზოგადად სამართლიანობის გაგების უძველესი შუასაუკუნეების ტრადიცია ასოცირდებოდა სიკეთის ცნებასთან. ამის წინააღმდეგი, ახალი ევროპული კონცეფცია სამართლიანობას აღარ უკავშირდება სიკეთეს, არამედ სამართალს, რომელიც ემყარება ფუნდამენტურ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ გარდაქმნებს, "სიკეთის ეთიკიდან" ინდივიდუალისტურ "სამართლის ეთიკაზე" გადასვლას (შტრაუსი, 2000:278). თანამედროვე პოლიტიკურ ფილოსოფიაში წარმოდგენილია ფილოსოფიური იდეების მთელი სპექტრი სამართლიანობის შესახებ - როგორც იურიდიული, ასევე ტელეოლოგიური. სამართლიანობის თანამედროვე დისკუსიის ამოსავალი წერტილი არის ამერიკელი ფილოსოფოსის ჯონ როულსის წიგნის "სამართლიანობის თეორია" გამოცემა (Rawls, 1971). მრავალი ცნება, რომლებიც გაჩნდა დასავლეთის პოლიტიკურ ფილოსოფიაში 1970-იან, 1980-იან და 1990-იან წლებში - მეტწილად როულსის შემოქმედებაზე ამა თუ იმ რეაქციის შედეგია.

ძირითადი ნაწილი

ლიბერალური იდეოლოგიის მნიშვნელოვანი ალტერნატივები, რომლებიც კანონის პრინციპების ნაცვლად ქმნიან სიკეთის იდეას (ამა თუ იმ ფორმით), ყალიბდება განმანათლებლობის დასრულებისთანავე - დასაწყისში და XIX საუკუნის განმავლობაში. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, კონსერვატიზმი და მარქსიზმი, რომელთა ჩარჩოებში ყალიბდება საკუთარი იდეები სამართლიანობის შესახებ. იმავე ლიბერალურ პოლიტიკურ ფილოსოფიაში XIX საუკუნეში. უტილიტარიზმი გახდა გავლენიანი ტენდენცი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ინგლისელმა ფილოსოფოსებმა ი. ბენტამმა და ჯ. მილემ.

ძირითადი ლოგიკა კონსერვატიული აზროვნების თავისუფლებასთან და სამართლიანობასთან დაკავშირებით გამოვლინდა ცნობილი გერმანელი სოციოლოგის კ. მანჰაიმის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში "კონსერვატიული აზროვნება". იგი წერს ურთიერთშემავსებლობის კონცეფციას თავისუფლებისა და თანასწორობის ცნებების პოლიტიკურ დოქტრინას. თავისუფლება ამ დოქტრინაში ნიშნავს შესაძლებლობას, რომ ინდივიდმა იმოქმედოს საკუთარი ნების შესაბამისად და ისარგებლოს ადამიანის უფლებებით. თავისუფლება ამ შემთხვევაში შემოიფარგლება მხოლოდ სხვა ადამიანების თავისუფლებით. ამრიგად, თანასწორობა აღმოჩნდება თავისუფლების განმანათლებლური გაგების ბუნებრივი შედეგად. ამასთან, როგორც მანჰაიმი აღნიშნავს, კონსერვატიული აზრის სიახლე და ორიგინალურობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის – განმანათლებლობის იდეოლოგიის საწინააღმდეგო იდეოლოგიაა – რამაც თავისუფლების საკუთარი კონცეფცია გამოიმუშავა, კონცენტრირება მოახდინა არა თავისუფლების შინაარსის განმარტებაზე, არამედ უფრო ღრმა თანასწორობის კონცეფცია შექმნა. „ინდივიდი შეზღუდულია და მხოლოდ ფართო საზღვრებში შეიძლება იყოს სასარგებლო“. მხოლოდ ამ ფართო საზოგადოების საზღვრებში შეიძლება იყოს სასარგებლო.

კონსერვატიული აზრი, რომლის ძირითადი იდეა პირველად ჩამოყალიბდა ინგლისელი ე. ბერკისა და ფრანკო-იტალიელი ჯ. დე მესტრის (ბერკი, 1993; მესტრი დე, 1997) ნაშრომებში, XIX საუკუნის დასაწყისიდან არსებობს. გახდა ევროპული პოლიტიკური ფილოსოფიის გავლენიანი მიმართულება და თავად კონსერვატიზმი განიხილება, როგორც თანამედროვეობის სამი უდიდესი იდეოლოგიიდან ერთ-ერთი. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე პირობებში შეუძლებელია ვისაუბროს პრივილეგიებულ ცალკეულ ტერიტორიაზე, ასევე შეუძლებელია ტოტალური ზემოქმედება გარკვეულ ერზე, მითუმეტეს არათუ იმ ფორმით კონსერვატიული იდეით

თავისუფლების განმარტებით, თანასწორობა და სამართლიანობა აგრძელებს არსებობას და ზეგავლენას ახდენს თანამედროვე პოლიტიკური დისკუსის მიმართულებაზე.

სამართლიანობის შესახებ თანამედროვე დისკუსიების დასაწყისი ტრადიციულად ასოცირდება ამერიკელი ფილოსოფოსის ჯ. როულსის ცნობილი წიგნის "სამართლიანობის თეორია" გამოცემასთან (Rawls, 1995; Rawls, 2010). როგორც როულსის თეორიის მრავალრიცხოვან ნაშრომშია ნათქვამი, იგი ძირითადად მიმართული იყო პოზიტივიზმისა და უტილიტარიზმის წინააღმდეგ, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ბატონობდა ანგლო-ამერიკულ სოციალურ აზროვნებაზე. როულსის პოზიტივიზმს დაუპირისპირდა ნორმატიული პოლიტიკური თეორია, უტილიტარიზმი - კონცეფცია, რომელიც ეფუძნებოდა სამართლის პრიორიტეტს, და არა კეთილდღეობას. როგორც ნორმატიული თეორია, როულსი უარყოფს უტილიტარიზმს შემდეგი საფუძვლებით: პირველი, უტილიტარიზმი, თავისი შინაარსით არ ითვალისწინებს საზოგადოების კეთილდღეობას, თუ როგორ უნდა განაწილდეს მოგება და წაგება (სიკეთე და ბოროტება, სარგებლიანობა და უსარგებლობა) საზოგადოებაში. ამ მხრივ ზოგადი სარგებლობის მაქსიმალურად გაზრდის პრინციპმა შეიძლება გაამართლოს მონური საზოგადოება, მეორეც, უტილიტარიზმი საკმარისად არ განასხვავებს ინდივიდებს. უტილიტარული ფილოსოფოსების აზრით, ამა თუ იმ სასარგებლო სარგებლობის ზომის არჩევა უნდა განხორციელდეს მიუკერძოებელი კანონმდებლის მიერ, მაგრამ ამან შეიძლება გამოიწვიოს ის ფაქტი, რომ სიკეთის გარკვეული ასპექტები არ იქნება გათვალისწინებული (ან უპირატესობა მიენიჭება სხვა ასპექტებზე) რაციონალური არჩევანის პროცესში. მესამე, უტილიტარიზმი არ ითვალისწინებს განაწილებული საქონლის ხარისხობრივ ხასიათს. ამ მხრივ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ არჩევანი შეიძლება გაკეთდეს ანტი-სოციალური "საქონლის" სასარგებლოდ (მაგალითად, სადისტიტო ტკობა), ნაცვლად იმისა, რომ გაიზარდოს (მაქსიმალურად გაიზარდოს) საქონელი, სინამდვილეში სასარგებლოა საზოგადოებისთვის. როულსი აყალიბებს სამართლიანობის სამ პრინციპს (მაქსიმალურად თანაბარი თავისუფლებების პრინციპი, შესაძლებლობების თანასწორობის პრინციპი და დიფერენცირების პრინციპი). რომელთაგან მთავარი არის მაქსიმალურად თანაბარი თავისუფლებების პრინციპი, მთავარია ზუსტად თანაბარი მაქსიმალური თავისუფლებების პრინციპი, რომელიც ხაზს უსვამს საზოგადოებრივ სამართლიანობას.

მნიშვნელოვანი ტექსტი, რომლითაც პოლემიზირებს როულსი, არის ამერიკელი სოციოლოგის

As a result, the demographic situation in the Caucasus has changed significantly since the emigration of the Muhajirs. Muhajirism affected the Circassians the most. 80% of Ingush left their homeland. 80% of Abkhazians became Muhajirs, 50% of Georgian Muslims emigrated from their homeland.

Thus, events in the Caucasus region in the second half of the 19th century facilitated the deportation of locals to the Ottoman Empire. Separately, the intolerable conditions created by the Russian rule and separately, the Ottoman propaganda forced the local Muslim population to leave their homes and find a way out in a far, unfamiliar place.

Keywords: Muhajir, Tsarist Russia, exile, Caucasus, demographic situation, indigenous population.

სწავლათა და დედასა

ლალი კახანაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

როზა გაფრინდაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

აზარტული თამაშები გართობის ერთერთი სახეა და მას ადამიანები დროის გასატარებლად მიმართავენ, თუმცა ხშირად მოთამაშის როლიდან ვეღარ გამოდიან, ამ დროს თამაში პათოლოგიური და დევიაციური ხდება. გასართობ თამაშებში ჩართული ადამიანები ყველა არ არის მასზე პათოლოგიურად დამოკიდებული. დევიაციასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც, თამაში ფულის შოვნის წყარო ხდება და ავადმყოფური დამოკიდებულება - მიდრეკილება ყალიბდება.

ინტერესის გამო გასართობად კაზინოში ან მსგავს დაწესებულებებში შესული ადამიანები იწყებენ თამაშს, მოგების შემთხვევაში იქმნება შეხედულება რომ კვლავ გაუდომებს ბედი და კვლავ მოიგებს. კონცენტრაციას აკეთებს მხოლოდ მოგებულ თანხაზე და უგულვებლყოფს წაგებულ თანხას, რომელიც გაცილებით მეტია მოგებულზე.

ადამიანების თამაშებში ჩართვა სხვადასხვა მიზეზით ხდება: განიცადოს მწვავე შეგრძნებები, მიიღოს მატერიალური სარგებელი, იმედი რომ კიდევ მოიგებს, მოიხსნას დამაბულობა და მიიღოს რელაქსაცია.

ადიქცია-დამოკიდებულება ყალიბდება ემოციურად გაუწონასწორებელ ადამიანებში და აზარტომანია-ლუდომანია განიხილება როგორც ობსესიური-კომპულსიური აშლილობა.

აზარტომანია ახალი ტიპის ფსიქიკური დაავადებაა და ამერიკის ფსიქიატრიის „DSM“-ის და ფსიქიატრიის მსოფლიო ასოციაციის „ICD“-ის მიერ ფსიქიკური დაავადებების ჩამონათვალშია შეტანილი.

აზარტომანიის მკურნალობა შესაძლებელია როგორც ამბულატორიულად ასევე სტაციონალურად ფსიქოთერაპიული და მედიკამენტოზური მეთოდების კომბინაციით. მაგრამ მკვლევარები აღნიშნავენ რომ ყველაზე უკეთ თერაპიულ ეფექტს აღწევენ ჯგუფური ფსიქოთერაპიული მეთოდებით.

აზარტომანებთან ყველაზე ხშირად გვხვდება ფსიქოპატიური ნივთიერებების გამოყენების შედეგად გამოწვეული აშლილობები, შემდეგ - ავტური აშლილობები და შფოთვითი-დეპრესიული დარღვევები. აზარტულთამაშების პათოლოგიური დამოკიდებულების თავიდან აცილება ისეთივე ძნელია როგორც ალკოჰოლის, ნარკოტიკების,

ტოქსიკური და ფსიქოთერაპიული მედიკამენტების დამოკიდებულების შემთხვევაში.

სამკურნალო მედიკამენტების და ფსიქოთერაპიული მეთოდების გარდა მნიშვნელოვანია პროფილაქტიკური ღონისძიებებიც, ამისთვის კი აუცილებელია შეიზღუდოს სათამაშო დაწესებულებების გახსნა და ფუნციონირება. სათამაშო დაწესებულების ხელმძღვანელებს და მფლობელებს უნდა ჰქონდეთ ინსტრუქცია და გაითვალისწინონ, რომ მოთამაშემ დროზე შეწყვიტოს თამაში და დატოვოს დაწესებულება. კაზინოებში და სათამაშო დარბაზის ოთახებში აუცილებელია იყოს ფანჯრები, რათა მოთამაშემ კარგად განსაზღვროს დრო, რაც თამაშის დროზე შეწყვეტის წინაპირობაა. აზარტულ სათამაშო დაწესებულებაში შესულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ დაიცვას ზომიერება, რადგან არ დაემართოს აზარტომანია, რომელიც არის მეტად მძიმე და საშიში დაავადება, არანაკლები ნარკომანიასა და ქრონიკულ ალკოჰოლიზმზე.

საკვანძო სიტყვები: აზარტული თამაშები, აზარტომანია, ლუდომანია, გემბლინგი, დევიაცია, ადიქცია, ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა.

შესავალი

აზარტული თამაშები გართობის ერთ-ერთი საშუალებაა და მისი წარმოშობის ისტორია ისეთივე ძველია როგორც კაცობრიობის ისტორია. თამაშებს და გართობას ადამიანები ჩვილობიდან იწყებენ, რომლებიც განვითარების და შემეცნებისთვის აუცილებელია. მოზრდილ ასაკში კი გართობის ფორმად აზარტული თამაშები შემოდის, როგორცაა: კამათელი, კოჭი, ბანქო და ა.შ.

აზარტულ თამაშებს ადამიანები ძირითადად გართობის და თავისუფალი დროის გასატარებლად მიმართავენ. ცხადია, ამ ადამიანებისგან ყველა არ არის პათოლოგიური დამოკიდებულების მქონე აზარტული თამაშებისადმი. გასართობი თამაშები ფულის შოვნის წყაროდ გადაიქცევა და დაავადებად - აზარტომანიად ჩამოყალიბდება, რომელიც დევიაციურ ქცევად არის მიჩნეული.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება დღეს მეტად გავრცელებული პრობლემაა და ამავე დროს ძნელად გადასაჭრელიც, რამაც ბოლო წლებში განსაკუთრებით ძლიერ იჩინა თავი. საზოგადოება და თვითონ აზარტომანებიც კი აზარტულ

თამაშებზე დამოკიდებულებას მავნე ჩვევად მიიჩნევენ.

აზარტომანია იგივე ლუდომანია (Ludo ლათინურად ნიშნავს თამაშს) ახალი ტიპის ფსიქიკურ დაავადებად არის მიჩნეული. პიროვნებები, რომლებიც აზარტულ თამაშებში არიან ჩართულნი და პათოლოგიური მიდრეკილებები აქვთ ჩამოყალიბებული, დევიანტად აღიქმებიან.

აზარტომანია როგორც დაავადება ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ პირველად იქნა შეტანილი ფსიქიკური დაავადებების ნომენკლატურისა და კლასიფიკაციის მესამე გადასინჯვაში „DSM – 3“-ის, როგორც ქცევის პათოლოგიის ერთ-ერთი გამოვლინება. შემდეგ კი მომდევნო გადასინჯვებში მითითებული იქნა მისი „ქრონიკული და პროგრესირებადი ხასიათი“, შეუძლებლობა - წინააღმდეგობა გაუწიოს პიროვნებამ თამაშისადმი ლტოლვის იმპულსურ ქცევას. ამ ტიპის ფსიქიკური დაავადება, ფსიქიატრიის მსოფლიო ასოციაციის „ICD – 10“-ის გადასინჯვაში ობსესიურ-კომპულსიურ აშლილობად არის გათვალისწინებული.

ძირითადი ნაწილი

აზარტულ თამაშებში ჩართვა ხდება შემთხვევით, როდესაც პიროვნებები გასართობად კაზინოში, ტოტალიზატორში და სხვა მსგავს ადგილებში შედიან. ინტერესის გამო იწყებენ თამაშს, პირველ ცდას ხშირად მოჰყვება მოგება და იქმნება აზრი, რომ იღბლიანია. ჩნდება იმედი, რომ განმეორებითი თამაშის შემთხვევაში ისევ გაუღიმებს ბედი და მოიგებს. ამ იმედით კვლავ მრავალჯერ ბრუნდება სათამაშოდ და უმუშავდება თამაშისადმი დამოკიდებულება - მიჯაჭვულობა, რომელიც აიძულებს ხშირად იაროს ასეთ ადგილებში. რაც დრო გადის მით მეტად ემალება სურვილი თამაშის და მოგების, ამიტომ მზად არის გადაიხადოს უკანასკნელი საარსებო თანხაც კი. ასე ყალიბდება პათოლოგიური დამოკიდებულება აზარტული თამაშებისადმი. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს აქვთ იმედი რომ წაგებას მალე მოჰყვება მოგება და იმეორებს თამაშს განუწყვეტლივ, მოგების იმედით, მათ ახსოვთ ყოველი მცირე მოგება. კონცენტრაციას აკეთებენ მხოლოდ მოგებულ თანხაზე და ივიწყებენ წაგებულ დიდ თანხას. ამგვარად ყალიბდება დევიაციური ქცევა, რომელსაც აზარტომანიას უწოდებენ. აზარტით შეპყრობილი ადამიანი ყოველგვარი მეთოდით ცდილობს იმოვნოს თამაშისათვის აუცილებელი თანხა.

აზარტულ თამაშებში ჩაერთვა, უმეტესად შემდეგი მიზეზით ხდება:

1. განიცადოს მწვავე შეგრძნებები თამაშის დროს.

2. მატერიალური სარგებელის მიღების სურვილი.

3. იმედი რომ კიდევ მოიგებს, ფორტუნა კვლავ გაუღიმებს

4. სურვილი რომ შეუერთდეს მისთვის ავტორიტეტულ სოციალური წრის

წარმომადგენლებს.

5. მოიხსნას დამაბულობა და მიიღოს რელაქსაცია.

აზარტომანიის მსხვერპლი ადამიანები ეკონომიკურ გადატაკებაში ბრალს სდებენ არა საკუთარ თავს არამედ ფორტუნას, რომელიც ამჯერად არ სწყალობს და აქვს იმედი, რომ კიდევ გაუმართლებს და მოიგებს სოლიდურ თანხას. მათ ხშირად კონფლიქტი აქვთ ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან. ამის მიუხედავად, თამაშისადმი პათოლოგიური დამოკიდებულების მქონეს, კვლავ არ ძალუძს თავისი ნებით დაანებოს თამაშს თავი. ისინი თვლიან, რომ მას ვერ უგებენ. ოჯახს კი ექმნებათ ეკონომიკური პრობლემები და თანდათან მიდიან სრულ გადატაკებამდე, რასაც აზარტომანიის მხრიდან ხშირად მოჰყვება კრიმინალური ქმედებები და სუიციდური მცდელობები, ხოლო ზოგი **სუიციდითაც** ამთავრებს სიცოცხლეს.

გასართობად დაწყებული თამაშები ხშირად პიროვნებებში იწვევს დამოკიდებულებას - **ადიქციას** (Addiction), თავდავიწყებულ დამოკიდებულებას. ძნელი დასადგენია - თამაში თუ რა მომენტიდან იღებს ადიქციურ (მიჩვევა, მასზე დამოკიდებული პროცესი) სახეს, ვინაიდან ადიქცია ვითარდება არა უცერად, არამედ თანდათანობით.

ადიქციები ყალიბდება ემოციურად გაუწონასწორებელ ადამიანებში და განიხილება **ობსესიურ-კომპულსიურ** დაავადებებს შორის. გარდა აზარტომანიისა ამ აშლილობებში შედის ისეთი ადიქციები, როგორებიცაა: გაუთავებელი ქეიფები, დროის და ფულის ფლანგვა, ლიტერატურაში მიუთითებენ ასევე ე.წ. სიყვარულის ადიქციაზე და სხვადასხვა სექსუალურ იმპულსიებზე. ადიქციურ აშლილობად მიიჩნევენ ასევე ე.წ. შრომობოლიზმს - როდესაც პიროვნებას უჩნდება შრომისადმი აკვიატებული დამოკიდებულება, სპორტული ვარჯიშების აკვიატებული სურვილი და მოქმედება, ასევე შოპოპოლიზმს - როდესაც ყიდვის და შეძენის დაუოკებელი აკვიატებული სურვილები აქვთ და ყიდულობენ როგორც საჭირო, ისე არასაჭირო ნივთებს.

კომპულსიური შოპოპოლიის მანიფესტირების წინა და მომდევნო გარემოებების შესწავლით Miltenberger R.G., Redlin J., Crosby J. et al (1998) დაადგინეს, რომ ნეგატიური ემოციები - დეპრესია, აგზნება, თვითკრიტიკა და ა. შ. წინ უსწრებს კომპულსიურ მომენტებს.

ადიქციური ქცევის საფუძველს პათოლოგიური

გემზინგი (აზარტომანიაში) წარმოადგენს - მძაფრი შერქმელების დაუძლეველი წყურვილი, რისკიანი თამაში რომელსაც შეუძლია ადამიანს ერთ წუთში დააკარგვინოს ყველაფერი რაც გააჩნია, ან პირიქით - მოაგებინოს. მსგავსი შედეგი შესაძლებელია ბანქოს თამაშის, ტოტალიზატორის, ლატარიის და სხვა სათამაშო სახეობების თამაშის დროს. თამაშები ყოველთვის არ არის დაკავშირებული ფულის მოგებასთან. ადიქციურ ელემენტს ასევე შეიცავს სპორტული თამაშები, კროსვორდების შევსებით დროის ფლანგვა და ა. შ. მაგრამ უფულო ან მცირე თანხით თამაშები გემზინგებში (აზარტულ მოთამაშეებში) არ არის მიმზიდველი, რადგან ასეთი თამაშები არ მოითხოვს რისკს. მხოლოდ სოლიდური თანხის დადების დროს რისკავს მოთამაშე, რა დროსაც აზარტი უფრო მეტია. როდესაც აზარტული თამაშები გადაიზრდება ზედირებულოვან გატაცებაში თანდათან იზრდება მასზე დამოკიდებულება. ამ დროს წამყვანია ლტოლვა, ძლიერი ვნება, რომელიც მთლიანად იპყრობს ადამიანის გონებას და განაპირობებს პიროვნებისგონებისემოციურ, ნებითკომპონენტებს, იგი მთლიანად წარმართავს პიროვნების ქცევას. თამაშის მოთხოვნილება იმდენად ძლიერია, რომ დანარჩენი სასიცოცხლო მოთხოვნილებები: ჭამა, სექსი, ძილი, ოჯახი, ახლობლები, მეორე პლანზე გადადის. აზარტომანები ორიენტირებულები არიან გააგრძელონ თამაში და დაიბრუნონ წაგებული თანხა. განმეორებითი წაგებების შემთხვევაში, ისინი კვლავ მისიწრაფიან კაზინოში და მორიგი წაგებებიც ვერ აბრუნებენ მათ რეალობაში.

გენეტიკური ფაქტორი - აზარტომანიაში და საერთოდ, ქიმიურ და არაქიმიურ ადიქტოლოგიაში უმნიშვნელოვანეს როლს მემკვიდრეობითი ფაქტორი თამაშობს. ნებისმიერი ენდოგენური დაავადებების წარმოშობა-განვითარებაში აღინიშნება ნათესაური და გენეტიკური კვალი.

ალკოჰოლურ სასმელებს ამა თუ იმ რაოდენობით ყველა სვამს, მაგრამ ყველა არ ხდება მასზე პათოლოგიურად დამოკიდებული. აღმოჩნდა, რომ ძირითადად სასმელზე დამოკიდებულება და დაღვივებასკენ მიდრეკილება ძირითადად უვითარდებათ მათ, ვინც გენეტიკური მემკვიდრეობით არიან ამ მხრივ დატვირთულნი.

ფსიქოლოგიური ფაქტორი - ადიქციის ფორმირება ასევე დამოკიდებულია ფსიქოლოგიურ-პიროვნულ ფაქტორზეც. აზარტული თამაშებით გამოწვეული სიამოვნება, აზარტომანში ფსიქოლოგიური კომფორტის განცდას იწვევს, რაც უბიძგებს კვლავ გააგრძელოს თამაში ამ სიამოვნების მისაღებად. ამ პროცესში, როგორც წესი, უმეტესად წაგება მოდევს და ეწყებათ საკუთარი სურვილების დაუკმაყოფილებლობის განცდა. ასევე ეწყებათ საკუთარი თვითშეფასების შერქმელების დაქვეითება

და ხშირად სირცხვილის განცდა ეუფლებათ. თვითონ ადიქტი ყოველთვის ცდილობს მოძებნოს ლოგიკური არგუმენტი რათა გაამართლოს თავისი ქცევა ახლობელ ადამიანებთან.

აზარტული თამაშებისადმი პათოლოგიური დამოკიდებულების მქონე პიროვნებები ქმნიან ილუზიურ წარმოდგენებს და პიროვნული კეთილდღეობის ილუზიურ ყოფას. წარმოდგენენ და ოცნებობენ უზრუნველ, ნათელ ცხოვრებაზე, რომელიც კვლავ აძლევს მოტივაციას და უბიძგებს თამაშისაკენ.

სოციალური ფაქტორები - ცნობილია, რომ სათამაშო დაწესებულებების ლეგალიზაციასთან ერთად მატულობს მოთამაშეთა რიცხვიც, ასევე მატულობს აზარტულ თამაშებზე პათოლოგიურად დამოკიდებული ადამიანების რაოდენობაც. დიდი მნიშვნელობა აქვს აზარტომანად ჩამოყალიბებაში სოციალურ გარემოს და ეკონომიკურ მდგომარეობას. ოჯახური მდგომარეობა მნიშვნელოვანია აზარტომანად ჩამოყალიბებაში, ოჯახში არსებული ფული და ძვირფასეულობა ხშირად თამაშის დაწყების საბაზი ხდება. ზოგჯერ კი პირიქით, მძიმე მატერიალური მდგომარეობა არის საბაზი აზარტულ თამაშებში ჩართვის.

მკურნალობა - არაქიმიური პათოლოგიური დამოკიდებულების გამომწვევი, აზარტომანიის ნაირსახეობების მკურნალობა, ასევე ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის და ტოქსიკომანიის, შესაძლებელია როგორც ამბულატორიულად, ასევე სტაციონალურად ფსიქოთერაპიული და მედიკამენტური მეთოდების კომბინაციით.

აზარტომანიის სამკურნალოდ რეკომენდირებულია, მედიკამენტებთან ერთად, შემეცნებითი ქცევითი ფსიქოთერაპია კომბინაციაში. მთელი რიგი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ყველაზე უკეთ თერაპიულ ეფექტს აღწევენ ჯგუფური ფსიქოთერაპიით.

ამ დიაგნოზით დაავადებული ადამიანები საკუთარი ინიციატივით იშვიათად მიმართავენ ექიმს. ისინი ძირითადად მშობლების ან ახლობლების ძალისხმევით ხვდებიან სამკურნალო დაწესებულებებში. აზარტომანები იძულებით თანხმდებიან მკურნალობას, რაც არაიშვიათ შემთხვევებში დაგვიანებულია და ძნელად ექვემდებარება მკურნალობას.

ექიმს მიმართავენ მას შემდეგ რაც წაგებული თანხა იმდენად დიდია, რომ გამოუვალ მდგომარეობაში არიან. ამ დროს ვარდებიან დეპრესიაში, იპყრობთ დანაშაულის განცდა და სუიციდური აზრები. ზოგ შემთხვევაში სათამაშო ფულის მოსაპოვებლად მზად არიან წავიდნენ ყოველგვარ რისკზე და კრიმინალურ ქმედებებსაც ჩადიან (თაღლითობა, სიყალბე, ქურდობა, ყაჩაღობა და ა. შ.). ამ მდგომარეობას სპეციალისტები ადარებენ

ალკოჰოლურ და ნარკოტიკულ აბსტინენციას.

ამ და სხვა ფაქტორებით გამოწვეულ ავადმყოფურ მდგომარეობას აქვს საერთო ნიშანი. ალკოჰოლიკს, ნარკომანს და აზარტომანს არ ყოფნის ნებისყოფა უარი თქვას ამ მავნე ჩვევაზე, თავს ავადმყოფად არ მიიჩნევს და არც მკურნალობისთვის გააჩნია მოტივაცია.

ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან მრავალი დაპირების მიუხედავად, რომ აზარტული თამაშებით გართობას დაანებებენ თავს, ისინი მაინც განაგრძობენ თამაშს და სჯერათ, რომ როცა საჭიროდ ჩათვლიან მაშინ დაანებებენ თავს.

აზარტულ თამაშებში ჩართვას და მათზე პათოლოგიურ დამოკიდებულებას განაპირობებს შემდეგი ხელისშემყოფი ფაქტორები:

1. მარტობის განცდა - რა დროსაც ხდება აზარტული თამაშებით ჩანაცვლება მარტობის დასაძლევად;

2. დაუკმაყოფილებლობის განცდა - თამაშები კი აძლევს საშუალებას გამოავლინოს საკუთარი თავი და მიიღოს წარმატება;

3. ადვილად მოგებით განცდილი ადრენალინის მოზღვავება და სიამოვნების განცდა უბიძგებს კიდევ გაიმეოროს მომავალში და მიიღოს სიამოვნება;

4. სხვადასხვა სახის დამოკიდებულებების (ალკოჰოლის, ნარკოტიკის და ა.შ.) ადვილად დამორჩილება;

5. სხვადასხვა ტიპის ფსიქიკური აშლილობანი და ხასიათის ანომალიები.

აზარტომანებთან ყველაზე ხშირად გვხვდება ფსიქოპაქტიური ნივთიერებების გამოყენების შედეგად, გამოწვეული აშლილობები, შემდეგ **აფექტური აშლილობები** და **შფოთვითი-დეპრესიული დარღვევები**.

სხვადასხვა სახის **შფოთვა** და **იმპულსური** აშლილობები: ყურადღების დეფიციტის სინდრომი, შფოთვითი აშლილობები, **დეპრესიული** აშლილობები, აზარტული აშლილობები ასევე შერწყმულია ხშირად ფსიქოპაქტიური ნივთიერებების და ალკოჰოლის, გამოყენებით განპირობებულ აშლილობებთან, შფოთვით, ფობიურ და სტრესთან დაკავშირებულ, ასევე პიროვნულ აშლილობებთან. აზარტომანია (გემბლინგი) და ნარკომანია დევიაციური ქცევის სახეებია, რასაც ადიქციური ქცევის სახედ განიხილავენ.

ნარკომანია და ალკოჰოლიზმი ვითარდება ქიმიური ნივთიერებების ბოროტად გამოყენებით, ხოლო აზარტომანია ზედირებულოვანი ემოციური განცდების შედეგად, რომლებიც აზარტული თამაშების პროცესში აღმოცენდებიან ფულადი მოგების შედეგად. ცხადია რომ სხვადასხვა სათამაშო ინდუსტრია მოთამაშის მოსაგებად არ არის შექმნილი.

აზარტულ მოთამაშებს ხშირად უვითარდებათ:

პანიკური შეტევები, სხვადასხვა სახის **შიშები**, **დეპრესიული გუნება-განწყობა**, **სუიციდური ტენდენციები** და სხვა. ადიქტოლოგიურ კლინიკებში მომუშავე სპეციალისტები მიუთითებენ აფექტურ აშლილობაზე, კერძოდ აზარტომანებს უფრო ხშირად აღენიშნებათ **მშფოთვარე-დეპრესიული აშლილობა**, შემდეგ მოსდევს **ასთენო-დეპრესიული** და **დეპრესიულ-აპათიური აშლილობა**. ისინი ავლენენ განდგომას ყოველდღიურ საზრუნავიდან და მთლიანად იძირებიან აზარტული თამაშებით გამოწვეულ განცდებში. ისინი ტოვებენ შეხედულებას თითქოს არიან ჩადირულნი ჰიპნოზურ მდგომარეობაში ან ე.წ. **ტრანსში**, ანუ ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობაში. აზარტომანიას უმეტეს შემთხვევაში აქვთ ობსესიურ-კომპულსური აშლილობები.

სათამაშო ეპიზოდები რამოდენიმე დღე გრძელდება და გამოირჩევა თამაშის სურვილის უკიდურესი შეპყრობით. თამაშებისადმი ლტოლვა კომპულსური ხასიათისაა და თან ახლავს გადაულახავი სურვილი დაიწყოს თამაში რომელიც უტოლდება შიმშილის და წყურვილის განცდას. ამ დროს პიროვნების ცნობიერება შევიწროვებულია ისე რომ არ შეუძლია აკონტროლოს ქცევა. ეს მდგომარეობა გავს ალკოჰოლიზმის დროს განვითარებულ დიფსომანიურ (წყურვილი, მისწრაფება, ვნება) შეტევას.

ფსიქოპათოლოგიურ აშლილობებს ახასიათებთ უეცრად აღმოცენებული და გადაულახავი სურვილი მოახდინონ მოქმედება გააზრების და მიზანშეწონილობის გარეშე. ამგვარი აშლოლობა უფრო ემართებათ ფსიქიკურად გაუწონასწორებელ პიროვნებებს. მათ გააჩნიათ სუსტი შემაკავებელი მექანიზმი და ახასიათებთ იმპულსურობა, რომელიც ფეთქებად ხასიათს იღებს. კომპულსური ქმედების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს აზარტული თამაშებისადმი პათოლოგიური დამოკიდებულება.

აკვიატებული აზროვნება დამახასიათებელია აზარტული მოთამაშისთვის. იგი არ ეწინააღმდეგება თამაშისადმი ლტოლვას. მოთამაშისათვის ლტოლვა აკვიატებული ხასიათისაა. იგი აუცილებლად უნდა შეფასდეს როგორც ავადმყოფური, ანუ პათოლოგიური ქცევა.

ობსესიურ-კომპულსური სპექტრის აშლილობებს იკვლევდნენ F. Fare და G. Perugy (2004) და მიუთითებდნენ, რომ ეს დაავადება არაიშვიათად არის კომორბიდულ ურთიერთობაში აკვიატებულ აშლილობებთან, დეპერსონალიზაციურ აშლილობებთან, ანორექსიასთან, ბულემიასთან, აზატომანიასთან და ა.შ. ამრიგად, ობსესიურ-კომპულსიური სპექტრის შემადგენლობაში გაერთიანებული დაავადებები წარმოადგენენ პოლისიმპტომატურ ფსიქოპათოლოგიის მქონე ავადმყოფურ აშლილობებს.

„ობსესიურ-კომპულსიური სპექტრის დაავადებების“ კონცეფცია ემყარება კლინიკურ რეალობას. ფსიქოლოგიური თავისებურებების მიხედვით ისინი მოიაზრებიან ნევროზული და ფსიქოზური რეგისტრის აშლილობების საზღვარზე და განიხილებიან მოსაზღვრე ფსიქიკურ აშლილობებად.

ობსესიურ-კომპულსიური აშლილობების სპექტრის შემადგენლობაში გაერთიანებული დაავადებები წარმოადგენენ პოლისიმპტომატურ ფსიქოპათოლოგიის მქონე ავადმყოფურ აშლილობებს, რომელშიც მოიაზრება როგორც ნევროზული, ისე ზოგიერთი ფსიქოზური რეგისტრის სიმპტომატოლოგია.

იმპულსური მოქმედება არის ძლიერი ლტოლვა, რომ განახორციელოს ამა თუ იმ ხასიათის ქცევა, რომელიც აღიმგრება უეცრად და მთლიანად იპყრობს პაციენტის გონებას. ამავდროულად, პიროვნების ყველა დანარჩენი სურვილი, წარმოდგენები და მისწრაფებები ითრგუნება, რომელიც კრიტიკულ გააზრებას არ ექვემდებარება. ასეთი მოქმედების მიზეზი ფსიქიკაში ხანმოკლე, სწრაფი და ინტენსიური ფსიქიკური გადახრებია. ასეთი ქცევის დროს, პიროვნებას არ ესმის ბოლომდე რას აკეთებს ან რისთვის სჩადის ამ ქცევას.

პროფილაქტიკური ღონისძიებები -სამკურნალო მედიკამენტების და ფსიქოთერაპიული მეთოდების გარდა მნიშვნელოვანია პროფილაქტიკური ღონისძიებები აზარტომანიის შემთხვევაში.

აზარტული თამაშების მავნე ზემოქმედების შესახებ ინფორმირებას დიდი მნიშვნელობა აქვს. გამაფრთხილებელი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა მიწოდებული იქნას გადაცემების, ინტერნეტის და პრესის საშუალებით, დაავადების თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.

ინტენსიური, მიზანმიმართული მკურნალობა, ასევე ფსიქოთერაპიული მეთოდები, არის დამლევის საუკეთესო გზა მხელად გადასალახავი სურვილების და აზარტული თამაშების ნეტარების დასაძლევად.

აზარტომანის ახლობლების და ოჯახის წევრების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა იყოს კატეგორიული, არავითარი მატერიალური დახმარების გაწევა - ფულის მიცემა, რომელსაც აზარტომანები ითხოვენ, რათა კიდევ ითამაშონ და მიიღონ სიამოვნება. ეს პირიქით გაახანგრძლივებს

და დაავადებებს მკურნალობის შედეგს.

აზარტულმა მოთამაშემ აუცილებელია, რომ თვითონ შეიგნოს და აღიაროს რომ არის თავისებური ავადმყოფი და პათოლოგიური დამოკიდებულება აქვს აზარტულ თამაშებზე. ეს პირველი ნაბიჯია და აუცილებელია მკურნალობის დაწყებისთვის. მკურნალობის დაწყება შეიძლება პაციენტის სურვილის შემთხვევაში და არა დამალვით, რადგან საკუთარ თავში უნდა მოიძებნოს ძალა, რომ დამლეული იქნას დამოკიდებულება.

დასკვნა

აზარტული თამაშების პათოლოგიური დამოკიდებულების თავიდან აცილება ისეთივე ძნელია როგორც ალკოჰოლის, ნარკოტიკების, ტოქსიკური და ფსიქოტროპული მედიკამენტების დამოკიდებულების შემთხვევაში.

ქიმიური და არაქიმიური ფაქტორებით გამოწვეული დამოკიდებულების მკურნალობა, როგორც ფსიქოთერაპიული ზემოქმედების, ასევე ფარმაცოთერაპიული საშუალებების გამოყენებით, ზოგჯერ, რადიკალურ ზემოქმედებას ვერ ახდენს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება აზარტომანიის პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა ტარდებოდეს ჯანმრთელობის დაცვის, ადმინისტრაციული ორგანოებისა და სოციალური დახმარების სახელმწიფო ორგანოების ურთიერთთანამშრომლობით. რა დროსაც საჭიროა შემდეგი სახის ღონისძიებების გატარება:

1. აუცილებელია შეიზღუდოს სათამაშო დაწესებულებების გახსნა და ფუნციონირება.
2. სათამაშო დაწესებულების ხელმძღვანელებს და მფლობელებს უნდა ჰქონდეთ ინსტრუქცია და გაითვალისწინონ, რომ მოთამაშემ დროზე შეწყვიტოს თამაში და დატოვოს დაწესებულება.
3. კაზინოებში და სათამაშო დარბაზის ოთახებში აუცილებელია იყოს ფანჯრები, რათა მოთამაშემ კარგად განსაზღვროს დრო, რაც თამაშის დროზე შეწყვეტის წინაპირობაა.
4. აზარტულ სათამაშო დაწესებულებაში შესულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ დაიცვას ზომიერება, რადგან არ დაემართოს აზარტომანია, რომელიც არის მეტად მიმე და საშიში დაავადება, არანაკლები ნარკომანიასა და ქრონიკულ ალკოჰოლიზმზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე ა., გორგობიანი ი., გამყრელიძე შ., აზარტომანია 21-ე საუკუნის ნარკომანია, თბილისი, 2011
2. გამყრელიძე შ., დეპერსონალიზაციური აშლილობა და მისი მკურნალობის საკითხები, თბილისი, 2006, გვ. 130
3. გამყრელიძე შ., აკვიატებული აშლილობანი და მათი მკურნალობის საკითხები, თბილისი, 2007, გვ. 567
4. Анохина И.П., Основные биологические механизмы алкогольной и наркотической зависимостью (руководство наркологов, 2002)
5. Короленко Ц.П., Аддиктивные поведения. Общая характеристика и закономерности развития (ж. Обзорение психологий, N1; стр. 8-15)

Gambling Addiction and deviation

*Lali Kapanadze, PhD student
Georgian Technical University*

*Roza Gaprindashvili, associate professor
Georgian Technical University*

Summary

Gambling is one of the forms of entertainment that people use to spend time, but often they can't get out of the role of a player, at which time the game becomes abnormal and deviant. People involved in entertaining games are not all pathologically dependent on it. We are dealing with deviation when the game becomes a source of money and a sick attitude - a tendency is formed.

people who go to casinos or similar establishments for fun start playing, and if they win, there is a belief that luck will smile again and they will win again. They concentrate only on the amount won and ignore the amount lost, which is much more than the won amount.

Involvement of people in games occurs for a variety of reasons: to experience intense a

Addiction develops in emotionally unbalanced people and gambling-ludomania is considered an obsessive-compulsive disorder.

Gambling is a new type of mental illness and is included in the list of mental illnesses by the American Psychiatric Association (DSM) and the World Psychiatric Association (ICD).

Gambling Addiction can be treated both on an outpatient and inpatient basis with a combination of psychotherapeutic and medication methods. But researchers note that the best therapeutic effect is achieved through group psychotherapeutic methods.

Disorders caused by the use of psychoactive substances are the most common among gambling addicts, followed by aphthous disorders and anxiety-depressive disorders. Avoiding abnormal gambling addiction is as difficult as avoiding alcohol, drug, toxic and psychotherapeutic drug addiction.

In addition to medications and psychotherapeutic methods, prophylactic measures are also important, for which it is necessary to limit the opening and operation of gambling establishments. Gambling facility managers and owners should be instructed to ensure that the player stops playing in time and leaves the facility. There should be windows in casinos and gaming rooms so that the player can determine the time well, which is a prerequisite for stopping the game on time. A person entering a gambling establishment should know how to follow moderation, so as not to suffer from gambling, which is a very serious and dangerous disease, no less than drug addiction and chronic alcoholism.

Keywords: Gambling, Ludomania, Deviation, Addiction, Obsessive-Compulsive Disorder.

შოპოგოლიზმის, ბოგოტკ ალიქციუპკო ქცევის ფსიქოლოგია

*ეკა კობახიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატია ეძღვნება შოპოგოლიზმს, როგორც ადიქციური ქცევის პრობლემას. სტატიაში მოცემულია სხვადასხვა მეცნიერის მიერ ჩამოყალიბებული განმარტებები ადიქციისა და ადიქციური ქცევის ფენომენის შესახებ და ნაჩვენებია, რომ ჩვენს ყოველდღიურობაში მრავალი სახის დამოკიდებულება არსებობს, რომელსაც ადამიანი და საზოგადოება სხვადასხვანაირად იღებს. სტატიაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთი ტიპის დამოკიდებულება საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად მისაღებია, ზოგიერთი მიუღებელია, საფრთხის შემცველია და დამღუპველია. სტატიაში გამოყენებულია შოპინგზე დამოკიდებულების აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინოლოგია. ეს ტერმინებია: შოპოგოლიზმი, შოპომანია, ონიომანია. სტატიაში წარმოდგენილია ცნობილი გერმანელი ფსიქიატრის ემილ კრეპელინისა და შვეიცარიელი ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის ეიგენ ბლეიერის მიერ ჩამოყალიბებული განმარტებები შოპინგზე დამოკიდებულების აღსანიშნავად. სტატიაში ნაჩვენებია შოპოგოლიზმის, როგორც ადიქციური ქცევის ფსიქოლოგიური საფუძვლები, მისი ჩამოყალიბების მექანიზმები, გამომწვევი ფაქტორები, ადრეულ ბავშვობაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების როლი შოპოგოლიზმის ჩამოყალიბებაში. სტატიაში აქცენტია გაკეთებული იმაზე, რომ ყველა სახის ადიქციას აქვს მსგავსი მახასიათებლები, როგორცაა, გამომწვევი ფაქტორების არსებობა, ჩამოყალიბების ეტაპურობა, ქცევის ციკლურობა, რომ შოპოგოლიზმი, როგორც ყველა ტიპის ადიქცია წარმოიქმნება გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობების თანმიმდევრული მონაცვლეობით, ემოციური აღზევებითა და დეპრესიით და საბოლოოდ ადამიანის დეგრადაციას იწვევს. სტატიაში ნაჩვენებია შინაგანი მოტივაციის, როგორც დომინანტის მნიშვნელოვანი როლი ონიომანიის ჩამოყალიბებაში. სტატიაში აღნიშნულია, რომ ტრადიციულად ოთხი ტიპის ონიომანი არსებობს და მოცემულია ოთხივე ტიპის განმარტება. სტატიაში ხაზგასმულია, რომ შოპინგომანია „არასუბტანციური“, არაქიმიური ქცევითი დამოკიდებულებაა და როგორც ყველა ამ ტიპის დამოკიდებულება ხასიათდება მრავალფეროვნებით, ფართო გავრცელებითა და გავრცელების სწრაფი ტემპით, რაც ონიომანიას

მასშტაბური ხასიათს სძენს და მეგაპოლისებისათვის დამახასიათებელ მტკივნეულ მოვლენად აქცევს.

საკვანძო სიტყვები: ადიქცია, ადიქციური ქცევა, შოპოგოლიზმი, ონიომანია

რეზიუმე

სტატია ეძღვნება შოპოგოლიზმს, როგორც ადიქციური ქცევის პრობლემას. სტატიაში მოცემულია სხვადასხვა მეცნიერის მიერ ჩამოყალიბებული განმარტებები ადიქციისა და ადიქციური ქცევის ფენომენის შესახებ და ნაჩვენებია, რომ ჩვენს ყოველდღიურობაში მრავალი სახის დამოკიდებულება არსებობს, რომელსაც ადამიანი და საზოგადოება სხვადასხვანაირად იღებს. სტატიაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთი ტიპის დამოკიდებულება საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად მისაღებია, ზოგიერთი მიუღებელია, საფრთხის შემცველია და დამღუპველია. სტატიაში გამოყენებულია შოპინგზე დამოკიდებულების აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინოლოგია. ეს ტერმინებია: შოპოგოლიზმი, შოპომანია, ონიომანია. სტატიაში წარმოდგენილია ცნობილი გერმანელი ფსიქიატრის ემილ კრეპელინისა და შვეიცარიელი ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის ეიგენ ბლეიერის მიერ ჩამოყალიბებული განმარტებები შოპინგზე დამოკიდებულების აღსანიშნავად. სტატიაში ნაჩვენებია შოპოგოლიზმის, როგორც ადიქციური ქცევის ფსიქოლოგიური საფუძვლები, მისი ჩამოყალიბების მექანიზმები, გამომწვევი ფაქტორები, ადრეულ ბავშვობაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების როლი შოპოგოლიზმის ჩამოყალიბებაში. სტატიაში აქცენტია გაკეთებული იმაზე, რომ ყველა სახის ადიქციას აქვს მსგავსი მახასიათებლები, როგორცაა, გამომწვევი ფაქტორების არსებობა, ჩამოყალიბების ეტაპურობა, ქცევის ციკლურობა, რომ შოპოგოლიზმი, როგორც ყველა ტიპის ადიქცია წარმოიქმნება გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობების თანმიმდევრული მონაცვლეობით, ემოციური აღზევებითა და დეპრესიით და საბოლოოდ ადამიანის დეგრადაციას იწვევს. სტატიაში ნაჩვენებია შინაგანი მოტივაციის, როგორც დომინანტის მნიშვნელოვანი როლი ონიომანიის ჩამოყალიბებაში. სტატიაში აღნიშნულია, რომ ტრადიციულად ოთხი ტიპის ონიომანი არსებობს და მოცემულია ოთხივე ტიპის განმარტება. სტატიაში ხაზგასმულია, რომ შოპინ-

გომანია „არასუბსტანციური“, არაქიმიური ქვევითი დამოკიდებულებაა და როგორც ყველა ამ ტიპის დამოკიდებულება ხასიათდება მრავალფეროვნებით, ფართო გავრცელებითა და გავრცელების სწრაფი ტემპით, რაც ონიომანიას მასშტაბური ხასიათს სძენს და მეგაპოლისებისათვის დამახასიათებელ მტკივნეულ მოვლენად აქცევს.

საკვანძო სიტყვები: ადიქცია, ადიქციური ქვევა, შოპოგოლიზმი, ონიომანია

შესავალი

საკუთარ თავს გვერდიდან თუ შევხედავთ და შევაფასებთ ყველაფერს რაც მოგვწონს, რისკენაც მივიღტვით და რაზეც მიჯაჭვული ვართ, მიუხედავად ჩვენი პროფესიული საქმიანობისა, შეგვიძლია ნათლად ვთქვათ, რაზე ან ვისზე ვართ დამოკიდებული ყოველდღიურ ცხოვრებაში, სამსახურში, ოჯახში, სასწავლებელში, საზოგადოებაში, რა გვანიჭებს ე.წ. შინაგან, ემოციურ კომფორტს, კმაყოფილებას, მოდუნების საშუალებას. დამოკიდებულება შეიძლება ატარებდეს არა მხოლოდ ავადყოფურ ხასიათს (ნარკოტიკული საშუალებები, აზარტული თამაშები და სხვა). ადამიანი შეიძლება დამოკიდებული იყოს მაგალითად სხვის აზრზე, კომპლიმენტზე, გარემოცვაში ე.წ. „საჭირო“ ადამიანების არსებობაზე, სხვების მხრიდან ყურადღებაზე, სხვების ბედნიერებაზე, სხვების გაბედნიერების მოთხოვნილებაზე და ა.შ. დამოკიდებულების ზოგიერთი ტიპი ჩვენთვის მისაღებია, ვცდილობთ განვავითაროთ და მხარი დავუჭიროთ მათ, ზოგიერთის არსებობას გარკვეულწილად ვითმენთ და ვეგუებით, ვერ ვეწინააღმდეგებით მაშინაც კი, როცა ვათვითცნობიერებთ რომ ის დამღუპველია ჩვენთვის. ზოგიერთი ტიპის დამოკიდებულებას კი საერთოდ ვერ ვამჩნევთ, რადგან აღიქმება როგორც ბუნებრივი, სიცოცხლისათვის აუცილებელი, ან ჩვენი ცხოვრების წესი ხდება და გავლენას ახდენს მასიურ სოციალურ პრაქტიკაზე, სოციალურ ინსტიტუტებთან დამოკიდებულებაზე, სოციალურ თვითშეფასებაზე, ჩვენს მიერ იდენტიფიკაციის სტრატეგიების არჩევაზე. დამოკიდებულების ფენომენი არ შეიძლება გაიგვიდეს გატაცებასთან, ჰობისთან, ადამიანის ისეთ საქმიანობასთან რომლითაც ის რეგულარულადაა დაკავებული დასვენების დროს, რითაც სულიერ და შემოქმედებით მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს.

დღევანდელ დღეს სოციალურ გარემოში აქტუალურია მრავალი დამოკიდებულება, რომელიც ადამიანისთვის საფრთხის შემცველია.

ადიქციისა და ადიქციური ქვევის ფენომენი თითქმის ხუთი საუკუნეა რაც მეცნიერების ყურადღებას იპყრობს. პირველად, ადიქციის განმარტება გვხვდება 1529 წელს, ლათინური

ენის სახელმძღვანელოში. 1935 წელს, ამერიკელმა ფსიქოლოგმა, გორდონ ოლპორტმა ადიქციის ამომწურავი განმარტება მოგვცა, რომლის მიხედვითაც, „ადიქცია არის მზაობის ფსიქიკური და ნერვული მდგომარეობა, რომელიც გამოცდილებით ორგანიზდება და უშუალო და დინამიურ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ რეაგირებს ინდივიდი ობიექტებსა და სიტუაციებზე“. დღევანდელ დღეს აღნიშნული ტერმინი გამოიყენება რამეზე დამოკიდებულების აღსანიშნავად, მისი სინონიმია „დამოკიდებულება“. XXI საუკუნის ერთერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა სხვადასხვა სახის, როგორც „სუბსტანციური“ ისე „არასუბსტანციური“ დამოკიდებულებების გავრცელება, ამასთან „არასუბსტანციური“ (არაქიმიური, ქვევითი) დამოკიდებულება ხასიათდება მრავალფეროვნებით, ფართო გავრცელებითა და გავრცელების სწრაფი ტემპით. თანამედროვე საზოგადოებაში სხვადასხვა სახის „არასუბსტანციურ“ დამოკიდებულებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია შოპოგოლიზმს.

შოპომანიას, როგორც მეგაპოლისებისათვის დამახასიათებელ მტკივნეულ მოვლენას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, მას შემდეგ რაც მან მიიღო წარმოუდგენელი მასშტაბი. მდგომარეობა, რომელსაც თან ახლავს ნივთების, ხშირ შემთხვევაში კი არასაჭიროსი, შეძენის უკონტროლო სურვილი, ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე, ფსიქოლოგიაში აღინიშნება ტერმინით „შოპოგოლიზმი“, „შოპომანია“, (ინგლისური სიტყვიდან „to shop“-ყიდვა), „ონიომანია“ (ბერძნული სიტყვიდან „onios“- „გაყიდვისთვის“, „mania“-„სიგიჟე“).

ფსიქოლოგები შოპინგზე დამოკიდებულებას, ყიდვის უკონტროლო სურვილს, რომელიც აიძულებს არასაჭირო ნივთების შეძენას, ადამიანის ფსიქიკის დამანგრეველ საშიშ დაავადებად თვლიან. პირველად გერმანელმა ფსიქიატრმა ემილ კრეპელინმა 1909 წელს მოგვაწოდა ტერმინი „ონიომანია“, ხოლო შვეიცარიელმა ფსიქიატრმა და ფსიქოლოგმა ეიგენ ბლეიერმა კლასიფიკაციაში „კრეპელინის იმპულსური ფსიქოზები“, პირომანებთან, კლუპტომანებთან და ალკოჰოლიკებთან ერთად გააერთიანა ე.წ. „ყიდვის მანიაკები“. კრეპელინის კვლევების მიხედვით, შოპოგოლიზმი არაქიმიური ადიქციური ქვევის ფორმაა, რომელსაც თან ახლავს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ახალი ნივთების შეძენის მანიაკალური სურვილი. ც.პ.კოროლენკო აღნიშნავს რომ ყველა ადიქცია წარმოიქმნება გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობების თანმიმდევრული მონაცვლეობით, როცა ძლიერი უარყოფითი განცდა (მაგ. ემოცი-

ური ტკივილი, მარტოობა) იცვლება საპირისპირო პოზიტიური განცდით და ადიქტი იმახსოვრებს პროცესს, რომელიც ამ პოზიტიური მდგომარეობის მიღების საშუალებაა. ადიქციური ქცევა ყალიბდება, როგორც სუბიექტური ფიქსაცია იმაზე რასაც ადამიანი თავისთვის უსაფრთხოდ და დამამშვიდებლად მიიჩნევს. მტანჯველი ცხოვრებისეული მოვლენები იმ ადამიანის ცხოვრებაში, რომელსაც არა აქვს ამ სირთულეების დაძლევის არც ძალა და არც უნარი წარმოშობს ამ სირთულეების დაუყოვნებელი დაძლევის, ანუ ბედნიერების დაუყოვნებელი განცდის სურვილს. შოპოგოლიზმის განვითარებაზე გავლენას ახდენს ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპები. გრძნობები, რომელიც ბავშვობაშია განცდილი საჩუქრის მიღებისას, მაღაზიაში ნივთის ყიდვისას, კარგადაა დამახსოვრებული და ქმნის ძლიერ ემოციურ ფიქსაციას, როგორც ე.წ. „სანუკვარი პრიზის“ მიღება მაღაზიაში, რამაც შეიძლება შოპოგოლიზმის ჩამოყალიბება გამოიწვიოს.

მიუხედავად მრავალფეროვანი გამოვლინებისა და სხვადასხვა მიმართულებისა, ყველა სახის ადიქციას აქვს მსგავსი მახასიათებლები, როგორცაა, ადიქციის გამომწვევი ფაქტორების არსებობა, ადიქციის ჩამოყალიბების ეტაპურობა, და ადიქციური ქცევის ციკლურობა.

შოპოგოლიზმი (ონიომანია) ისეთი დამოკიდებულებაა, სადაც ადიქციის ობიექტის როლს ასრულებს ყიდვის პროცესი. ონიომანია ობსესურ-კომპულსური ქცევაა და როგორც ყველა დამოკიდებულება, მაშინვე კი არ გამოვლინდება, არამედ ეტაპობრივად. თავდაპირველად, ყიდვის პროცესი ჯერ კიდევ არ არის დამოკიდებულება, მაგრამ მას მყიდველისთვის ისეთი კმაყოფილების განცდა მოაქვს, რომელის მსგავსი ადრე არ განუცდია. თანდათან ადიქციური ქცევის ეპიზოდები ხშირდება და დგება ეტაპი, როცა ადიქციური ქცევა ხდება ცხოვრებისეულ სირთულეებზე რეაგირების ერთადერთი საშუალება. თანდათან დამოკიდებულება ადიქტის ცხოვრების ფიზიკურ ასპექტს ეხება, ადიქციის ობიექტი მის ცხოვრებაში ცენტრალურ ადგილს იკავებს, რითაც გამოდევნის სოციალურ ურთიერთობებს, ცხოვრებისეულ მისწრაფებებს, ამასთან, ის ემოციური აღზევება, რომელიც ადრე თან ახლდა ყიდვის პროცესს, თანდათან სუსტდება და რემისიის პერიოდში ძლიერდება დეპრესია. ყველა სახის ადიქციის საბოლოო ეტაპი პიროვნების დეგრადაციაა.

შოპოგოლიზმისთვის დამახასიათებელია ახლობლებთან ურთიერთობის გაუარესება ან ურთიერთობის სრული გაწყვეტა, ფინანსური სირთულეები, რომელიც ზოგჯერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის სტიმულია, ჯან-

მრთელობის პრობლემები: არითმია, დეპრესია, ნევროზები, ძილის დარღვევები, იმუნიტეტის დაქვეითება.

რა უბიძგებს ადამიანს არასაჭირო ნივთების შეძენისკენ? პირველ რიგში ეს არის შინაგანი მოტივაცია, რომელიც დომინირებს ონიომანის ქმედებაში. ყველა დამოკიდებულების ძირითადი მიზანია დადებითი ემოციის მიღება და იმ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელიც სხვა გზით ვერ ხორციელდება. ცხოვრებისეულ სირთულეებთან შეჯახებისას, პიროვნებათაშორისი კონფლიქტებისას, მარტოობის განცდისას, სხვების მხრიდან ყურადღების დეფიციტისას, პიროვნება ცდილობს მიიღოს დადებითი ემოცია, თავი დააღწიოს თავს დამტყდარ უამრავ პრობლემას უახლოეს მაღაზიაში საყიდლებზე წასვლით. ამასთან, პიროვნების ემოციური მდგომარეობა არასტაბილურია და ემოციური აღზევება იცვლება დეპრესიით და ხშირად იმის გათვითნობიერებებით, რომ შეძენილი ნივთი არაა საჭირო მისთვის. დეპრესიულ და დათრგუნულ მდგომარეობაში მყოფი ონიომანი გამოსავალს კვლავ თავის დამოკიდებულებაში ეძებს რათა რაღაც დროით მაინც გაიუმჯობესოს გუნებ-განწყობილება.

ტრადიციულად 4 ტიპის ონიომანებს გამოყოფენ:

1. ემოციური, რომელიც მაღაზიაში შედის, რაიმე კონკრეტული ნივთის საყიდლად, მაგრამ მაღაზიიდან გამოდის სულ სხვა შენაძენით. ამ ტიპის ონიომანის ყველა შენაძენი ხორციელდება სპონტანურად, იმპულსურად და განწყობაზე დამოკიდებული.
2. ფანატური ონიომანი, დილიდან საღამომდე, როგორც ჭეშმარიტი შოპოგოლიკი, დადის მაღაზიებში. მას აქვს სეზონის ყველა მოდური სიახლე, ატარებს მხოლოდ ბრენდულ სამოსს და მასზე საათობით შეუძლია საუბარი.
3. მომჭირნე ონიომანი, არ უშვებს ხელიდან არცერთი ტიპის აქციასა და ხელსაყრელ შემოთავაზებას, მაგალითად, „ორი ერთის ფასად“. თანდათან ასეთი ტიპის შოპოგოლიკისთვის მთავარია არა ნივთის ხარისხი, არამედ ნაყიდი ნივთების რაოდენობა.
4. გულგრილი ონიომანი შესაძლოა საათობით, რაიმე მიზნის გარეშე დადიოდეს მაღაზიებში, ტკბებოდეს ლამაზად გაფორმებული, კაშკაშა ვიტრინების ცქერით. მისთვის მთავარია შოპინგზე სიარულის პროცესი და არა თავად შენაძენი.

დასკვნა

ამრიგად, ბოლო ათწლეულია, შოპინგზე დამოკიდებულებამ მასიური ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით, განვითარებულ ქვეყნებში.

მრავალი მეცნიერის აზრით, ონიომანია ყველაზე ხშირად გვხვდება საშუალო ფენის მოსახლეობაში. ონიომანიის სინდრომის უნივერსალური მექანიზმი საკმაოდ რთულია. მეცნიერები აღიარებენ, რომ შოპინგომანია და ნარკომანია მოქმედებენ ერთი და

იგივე კანონებით: ეიფორიის გამომწვევი დოზები სჭიროებენ თანდათან გაზრდას, სიამოვნება სულ უფრო ხანმოკლეა, დროთა განმავლობაში დამოკიდებული ადამიანი სრულიად კარგავს კონტროლს საკუთარ თავზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Короленко Ц.П., Дмитриева Н.В., Шпикс Т. Психодинамические механизмы аддикций в постсовременной культуре. Saarbrücken, Germany: LAP LAMBERT Academic Publishing GmbH&Co., 2011. С. 188.
2. Змановская Е.В. Девиантология:(Психология отклоняющегося поведения): Учеб. Пособие для студ. высш. учеб. зав / Е.В. Змановская .- 2-е изд., испр. - М.: Академия, 2004.- 288с.
3. Дмитриева Н.В. Проблемы возникновения и развития шопоголизма / Н.В. Дмитриева, Ц.П. Короленко // Психология поведения.- 2012. – 213 с.
4. . Faber R.J., O’Guinn T.C. A clinical screener for compulsive buying // J. Consumer Res. 1992. V. 19. P. 459–469
5. Slater P. Wealth Addiction. E.P. Dutton. New York: NY, 1980.

Psychology of Shopogolism as an Addictive Behavior

*Eka Kordzadze, PhD student
Georgian Technical University*

Summary

The article is devoted to shopogolism as a problem of addictive behavior. The article provides explanations of the phenomenon of addiction and the phenomenon of addictive behavior by various scientists and shows that there are many types of attitudes in our daily lives that are perceived differently by people and society. The article notes that some types of attitudes are more or less acceptable to the public, some are unacceptable, dangerous and destructive. The article uses different terminology to describe shopping addiction. These terms are: Shopogolism, Shopomania, Oniomania. The article presents the explanations formulated by the famous German psychiatrist Emil Kraepelin and the Swiss psychiatrist and psychologist Eigen Blair to address shopping addiction. The article shows the psychological basis of shopogolism as an addictive behavior, the mechanisms of its formation, the causal factors, the role of stereotypes formed in early childhood in the formation of shopogolism. The article emphasizes that all types of addictions have similar characteristics, such as the presence of causative factors, the stage of formation, the cycle of behavior, that shopogolism , as all types of addictions arise in successive alternations of certain psychological states, leading to emotional upheaval and depression. The article shows the important role of intrinsic motivation as dominant in the formation of oniomania. The article mentions that there are traditionally four types of oniomania and defines all four types. The article emphasizes that shopping mania is a "non-substantial", non-chemical behavioral addiction, and as with all these types of addictions is characterized by diversity, widespread and rapid rate of spread, which makes oniomania large-scale and painful for big cities.

Keywords: addiction, addictive behavior, shopogolism, oniomania

აკასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებების მკაცრობითი პოლიტიკური ფაქტორები

*კობა (იამა) კუტუბიძე, პოლიტიკოლოგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*სოფიო მამესწარბაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

აკასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებები ჩვენი რეალობის დიდი და ძალიან სერიოზული გამოწვევაა. ანტისოციალური ქცევის პრევენციაზე ზრუნვა, კი საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენს. მოზარდობა და ადრეული მოწიფულობა (12-დან 18/21-წლამდე), ქცევითი პრობლემების გამოვლენის თვალსაზრისით, პიროვნების განვითარებაში ერთ-ერთი ყველაზე სენზიტიური ეტაპია. გამომდინარე იქედან, რომ თავად ასაკი წარმოადგენს პრობლემური ქცევის რისკ-ფაქტორს, სირთულეს წარმოადგენს მოზარდობის ტიპური პრობლემური და კანონსაწინააღმდეგო ქცევის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. პრობლემური ქცევა სოციალურად განისაზღვრება, როგორც პრობლემური, და თავის თავში საზოგადოებრივი ან/და ლეგალური ნორმებისაგან გადახვევას გულისხმობს (Jessor, 1989).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკმაოდ მნიშვნელოვანია მოზარდობაში ანტისოციალური ქცევის მიზეზების შესწავლა და შემდგომი ეფექტური, მიზნობრივი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება.

საკითხის ღირებულებაზე მიუთითებს ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში დეფიციტურია აკასრულწლოვანთა დელიკვენტურ ქცევასთან დაკავშირებული მეცნიერული კვლევები, რომლებიც ძირითადად, შემოიფარგლება კონკრეტული ინსტიტუტისა თუ ორგანიზაციის სასწავლო და კვლევითი მიზნებით და შესაბამისად, არ იძლევა გენერალიზაციის საშუალებას. რაც შეეხება დანაშაულის პრევენციის არსებულ მექანიზმებს, მუდმივად მზარდი გამოწვევების ფონზე, საჭიროა მათი გაძლიერება და სრულყოფა. ამის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა, პრევენციულ ღონისძიებათა მორგება სამიზნე ჯგუფის ფსიქო-სოციალურ მახასიათებლებზე.

რაც შეეხება დანაშაულის პრევენციის არსებულ მექანიზმებს, მუდმივად მზარდი გამოწვევების ფონზე, საჭიროა მათი გაძლიერება და სრულყოფა. ამის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა, პრევენციულ ღონისძიებათა მორგება სამიზნე ჯგუფის ფსიქო-სოციალურ მახასიათებლებზე.

აკასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევა ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ძირითადად განიხილება როგორც დამოუკიდებელი პრობლემა და არა როგორც ზოგადად დანაშაულებრივი ქცევის ერთ-ერთი რიგითი თემა. სწორედ ამ ასაკში ნორმის განსხვავებული ტიპოლოგიური ვარიანტები („ხასიათის აქცენტუაციები“) განსაკუთრებული სიმკვეთრით იჩენს თავს, რადგანაც ხასიათის თავისებურებები ჯერ კიდევ არ არის გაწონსწორებული ცხოვრებისეული გამოცდილებით. აქცენტუაციის ტიპი მიუთითებს „სუსტ ადგილებს“ ხასიათის სტრუქტურაში და შესაბამისად, საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას ქცევის დეზადაპტაციის განმაპირობებელი ფაქტორები, და ჩატარდეს შესაბამისი საპროფილაქტიკო ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: ანტისოციალური ქცევა, პრობლემური ქცევა, თვითკონტროლი, დელიკვენტური ქცევა.

შესავალი

მოზარდობა ბავშვობასა და მოწიფულობას შორის გარდამავალი პერიოდია, რომელიც გრძელდება დაახლოებით 12 წლიდან 18-21 წლამდე.

ვინაიდან, თავად ასაკი წარმოადგენს პრობლემური ქცევის რისკ-ფაქტორს, რთულია მოზარდობის ტიპური პრობლემური და დელიკვენტური ქცევის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, თუმცა ამისათვის გამოიყენება ისეთი ობიექტური განზომილებები, როგორც არის ქცევის ხანგრძლივობა, სიხშირე და ინტენსივობა. მოცემული ნაშრომის მიზანს, თვითკონტროლის მნიშვნელოვნების გაგება და მისი როლის განსაზღვრა წარმოადგენს, აკასრულწლოვანთა დანაშაულებრივ ქმედებაში.

ძირითადი ნაწილი

აკასრულწლოვნები და მათში გავრცელებული დანაშაულებრივი ქცევა საკმაოდ აქტუალური საკითხია. არაერთი მონაცემი ცხადყოფს, რომ აკასრულწლოვნებში მართლსაწინააღმდეგო ქცევებმა საკმაოდ იმატა.

მოზარდთა პრობლემურ ქცევასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა უნდა დავიწყოთ

ცნების განმარტებით. კერძოდ, რა არის ქცევითი პრობლემა ამასთან დაკავშირებით კონკრეტული განსაზღვრების პოვნა რთულია, რაც ლოგიკურია, რადგან ქცევის პრობლემურობას განსაზღვრავს სოციალური და კულტურული კონტექსტი, რომელიც, თავის მხრივ, არ არის უნივერსალური. გავრცელებული განმარტების მიხედვით, რომელიც კოლორადოს უნივერსიტეტის ქცევითი მეცნიერებების ინსტიტუტის პროფესორს, რიჩარდ ჯესორს ეკუთვნის, „პრობლემური ქცევა არის ქცევა, რომელიც სოციალურად განსაზღვრულია, როგორც პრობლემური, რადგან შემაწუხებელია სხვებისათვის ან კონვენციური საზოგადოების სოციალური ან/და ლეგალური ნორმებისაგან გადახვევას გულისხმობს. ეს არის ქცევა, რომელსაც ყოველთვის მოჰყვება სოციალური კონტროლით გათვალისწინებული რაიმე ტიპის პასუხი, იქნება ეს სხვების მხრიდან იგნორირება, არმოწონება, გაკიცხვა, ადმინისტრაციული სასჯელი თუ, უკიდურეს შემთხვევაში, დაპატიმრება“ [Jessor, 1989]. ქცევის პრობლემურობის განმსაზღვრელი ზოგადი მახასიათებელია მისი არაადაპტურობა. პრობლემური ქცევა ხელს უშლის ამ ქცევის განმახორციელებელ ინდივიდს ან/და სხვა ადამიანებს ნორმალურ სოციალურ ფუნქციონირებაში. პრობლემური ქცევა ზოგადი მნიშვნელობის ტერმინია და მოიცავს დევიაციურ აქტივობათა ფართო სპექტრს, საზოგადოებრივი ნორმების უგულვებელყოფიდან დაწყებული (ანტისოციალური ქცევა), დელიკვენტობით დამთავრებული (კანონთან კონფლიქტური ქცევა).

დელიკვენტობა განისაზღვრება, როგორც კანონსაწინააღმდეგო მოქმედება ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ჯერ არ მიუღწევია სრულწლოვნობის ასაკს. დელიკვენტური ქცევის მქონე მოზარდის სამართლებრივად ეკვივალენტურ ცნებას წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი დიაპაზონი განისაზღვრება 14-დან 18 წლამდე.

ანტისოციალური ქცევა ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს, კერძოდ, სოციალური ნორმების მრავალჯერ დარღვევას, სხვისი უფლებების უგულვებელყოფას, ტყუილს, თაღლითობასა და ქურდობას. ღია ანტისოციალური ქცევაა სხვისი საკუთრების დაზიანება, ვანდალიზმი, ქურდობა, ცეცხლის გაჩენა. ფარულია ანტისოციალური ქცევა, რომელიც, ძირითადად, ვლინდება ვერბალური აგრესიის ფორმით სიბღინგების, თანატოლების, მასწავლებლების, მშობლების მიმართ. ფარული ანტისოციალური ქცევის მაგალითია მოზარდებს შორის გავრცელებული სიტყვიერი ან საურთი-

ერთობო ბულინგი - ერთი და რამდენიმე მოზარდის მხრიდან სუსტი ან განმარტოებული და ამდენად უფრო მოწყვლადი მსხვერპლის მიმართ მრავალჯერ განხორციელებული აგრესიული ქმედება. ანტისოციალური ქცევა ადრეულ ბავშვობაში, სამი წლის ასაკიდანაც კი შეიძლება გამოვლინდეს, დაუმორჩილებლობის, ტანტრუმის ან სხვისისაკუთრების ფარულად დაზიანების სახით. ადრეულ ასაკში ამგვარი ქცევითი გამოვლინებებისათვის არასათანადო ყურადღების დათმობა ხელს უწყობს უკვე მოზარდობაში ქცევითი დარღვევების განვითარებას, რაც მოზარდობაში, შეიძლება, გადაიზარდოს კრიმინალურ მოქმედებაში (Еникеев, М. 2005). ანტისოციალური ქცევა შეიძლება იყოს მოზარდის ნორმალური განვითარების თანმხმლები მოვლენა ან კრიმინალური ქცევის მდგრადი პატერნის ჩამოყალიბების დასაწყისი. მოზარდის ქცევა, რომელიც არაკონფორმულია აღიარებულ სოციალურ ღირებულებებთან და ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, არის ზრდისა და მომწიფების პროცესის ნაწილი. უმრავლეს შემთხვევაში, ამგვარ ქცევები სპონტანურად ქრება მოწიფულობის დადგომასთან ერთად (The United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency, The Riyadh Guidelines). სამეცნიერო საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სამართალდარღვევათა რაოდენობის მიხედვით, არასრულწლოვნები საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია. 15-დან 19 - წლამდე პირები უფრო ხშირად ხვდებიან სამართალდამცავ სისტემებში, ვიდრე პოპულაციის სხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები (Richards, K., 2011; Moffitt, 1993). გარდა ამისა, რაც უფრო ადრეულ ასაკში ვლინდება დელიკვენტური ქცევა, მით უფრო იზრდება შანსი იმისა, რომ იგი შენარჩუნდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (offitt, 1993). არასრულწლოვანთა დელიკვენტობასთან მიმართებით ყველაზე საინტერესო და ფართოდ გავრცელებული დისკუსია ეხება იმ რისკ-ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც ქმნის საფუძველს პრობლემური ქცევის განხორციელებისათვის. ამ მიმართულებით არსებობს არა ერთი თეორია, რომლებიც განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რისკ-ფაქტორების გამოყოფისათვის განვითარების რომელ სფეროს ანიჭებენ უპირატესობას.

განვიხილავთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თეორიას დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც ეკუთვნით გოთფრედსონს და ჰირჩს (Beyond Gottfredson and Per-Olof H (1990)).[1] კონცეფცია ეფუძნება თეორიულ ჩარჩოს, რომელშიც ასახულია სიტუაციური თეორია, დაკავშირებული დანაშაულებრივ ქმედებასთან. ვთვლით, რომ თვითკონტროლი არის საუკეთესო

საშუალება გავაანალიზოთ ჩვენი არჩევანი გარკვეულ სიტუაციაში, ვიდრე ინდივიდუალური, დამახასიათებელი ნიშანი. გარემოს უკავია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ინდივიდის თვითკონტროლის ამოქმედებაში. თვითკონტროლის მექანიზმი მუშაობს შესაბამისად იმ დროს, როდესაც ინდივიდი გადაწყვეტს რომ არ ჩაერიოს ამა თუ იმ კრიმინალურ აქტში. ჩვენი მტკიცებით, ხშირ შემთხვევაში ყველა ადამიანს შეუძლია გაიაქტიუროს თვითკონტროლის მექანიზმი, თუ ეს მის მორალურ საკითხს არ ეწინააღმდეგება. ამ ნაშრომის მიზანია, გავერკვეთ „ადმარულებელი უნარების“, „თვითკონტროლის“ და „დანაშაულის“ ცნებებში და მათ ურთიერთკავშირში თვითონ დანაშაულებრივი ქმედების განმარტებასთან.

თეორია ძირითადად ამტკიცებს იმას, რომ თვითკონტროლი უკავშირდება ადამიანის პირველად მახასიათებლებს, რომლებიც იწვევენ სისხლის სამართლებრივ ქმედებას.[2]

დაბალი თვითკონტროლი განიხილება, როგორც თვისება, შტრიხი, ან თვისებათა შემაჯა-

მეხელი მექანიზმი, რომელშიც შედის იმპულსურობა, დაბალი გრძნობადობა, რისკიანობა, შორსმჭვრეტელობა და მრავალი სხვა თვისება. [3] თეორია განმარტავს ინდივიდუალურ განსხვავებებს დანაშაულში ჩართულობის დროს. ინდივიდები დაბალი თვითკონტროლით არიან უფრო მოწყვლადნი რთულ სიტუაციებში. ეს რა თქმა უნდა უქმნის ასეთ პირებს უფრო დიდ საფრთხეს. ისინი ვერ აკონტროლებენ საკუთარ ემოციებს და უჭირთ სამომავლო შედეგების წარმოდგენა. ასე რომ, ასეთი ინდივიდებისგან დანაშაულებრივ აქტში ჩართულობის უფრო დიდი ალბათობაა.

დასკვნა

თვითკონტროლი და ემოციათა მართვა განსაკუთრებით რთულია. დავუშვით ჰიპოთეზა, რომ თვითკონტროლის უნარი რომელიც არის შინაგანი ფაქტორი და შეკავება, რომელიც არის გარე წარმოშობის, ძირითად ინჰიბიტორებს წარმოადგენს კონკრეტულ მოტივაციის პროცესში. ჩვენ ვივარაუდებთ, რომ ეს ორი პროცესი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგიჩაიშვილი, თ. (2005) განვითარების ფსიქოლოგია (სასკოლო ასაკი), უნივერსალი,
2. შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013 წელი,
3. Andrea J. Sedlak and Carol Bruce, 2010, Youth's Characteristics and Backgrounds,
4. Berk L.E. (2006), Child Development, Pearson Education Inc,
5. Beyond Gottfredson and Per-Olof H. Wikström and Kyle Treiber; 2007, European Journal of Criminology - The Role of Self-Control in Crime Causation,
6. Hirschi T.,Hindelang M. 1977, Intelligence and Delinquency Arevisionist Revie // American Sociological Rewiav.

Determinative factors of juvenile delinquency

*Sopio Mamestasarashvili, PhD student
Georgian Technical University*

Summary

Juvenile delinquency is a major challenge to our reality. Taking care of the prevention of antisocial behavior is one of the main priorities of the society. Adolescence and early adulthood (12 to 18/21 years) are one of the most sensitive stages in a person's development in terms of identifying behavioral problems. Because age itself is a risk factor for problem behaviors, it is difficult for a teenager to distinguish between typical problem behaviors and illegal behaviors. Problematic behavior is socially defined as problematic, and involves deviating from societal and/or legal norms (Jessor, 1989).

Therefore, it is very important to study the causes of antisocial behavior in adolescence and to plan/implement further effective preventive measures.

The value of the issue also indicates that scientific studies related to the delicate behavior of juveniles are deficient in our country, which are mainly limited to the training and research purposes of a particular institution or organization and therefore do not provide allow generalization. As for the existing mechanisms of crime prevention, against the background of ever-increasing challenges, it is necessary to strengthen and improve them. One of the most effective ways to do this is to adjust preventive measures to the psychoso-social characteristics of the target group.

As for the existing mechanisms of crime prevention, against the background of ever-increasing challenges, it is necessary to strengthen and improve them. One of the most effective ways to do this is to adjust preventive measures to the psychoso-social characteristics of the target group.

Juvenile delinquency is mainly considered in the psychological literature as an independent problem and not as one of the common themes of delinquent behavior in general. It is at this age that the different typological variants of the norm ("character accents") shows up with particular sharpness, as character traits are not yet balanced by life experience. The type of accentuation indicates "weaknesses" in the structure of the character and, consequently, allows to take into account the factors that cause behavioral maladaptation, and to carry out appropriate preventive measures.

key words: antisocial behaviour, problematic behaviour, self-control, delinquent behavior.

წაკმატების ფორმულა

იზინა ცერცვაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საზოგადოებრივი ურთიერთობების, ეფექტური კომუნიკაციის, საკუთარი თავის წარმოჩენის/თვითრეალიზაციისა და იმიჯის შექმნის ყველა ის მნიშვნელოვანი ასპექტი და მიმართულება, რაც პიროვნების/ორგანიზაციის წარმატებას განაპირობებს.

ჩვენი მიზანია, მკითხველს მივაწოდოთ პრაქტიკული რეკომენდაციები თანამედროვე პიარ-ტექნოლოგიების, ბრენდის ფორმირების ზოგადი მექანიზმებისა და ამ მექანიზმების ღირებულებათა ერთობლიობის შესახებ.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფერო (PR – public relations- საზოგადოებრივი ურთიერთობები) ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში უაღრესად რთული და მრავალგანზომილებიანია. პიარი ორგანიზაციის მართვის ფუნქციაა, რომელმაც უნდა შეისწავლოს საზოგადოებრივი აზრი და მოახდინოს ამ აზრის შესაბამისი იდენტიფიკაცია ორგანიზაციის/პიროვნების საქმიანობასთან მიმართებაში. შექმნას მარტივი პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოების ფართო მასებისაკენ ურთიერთგაგებისა და აღქმის მისაღწევად.

საზოგადოებასთან ურთიერთობას შესწევს უნარი შეცვალოს ადამიანის გარეგნობა, ქცევის მანერა, რადგან ინდივიდის იმ ფარული შესაძლებლობების აქტუალიზაციას ახდენს, რომლებიც ასე აუცილებელია შესაბამისი იმიჯისთვის. პიარი ხელს უწყობს შესაფერისი იმიჯის შერჩევასა და ჩამოყალიბებას როგორც სცენაზე, ასევე ცხოვრებაში. ის ასწავლის პიროვნებას როგორ მოახდინოს საკუთარი თავის წარდგენა, პრეზენტაცია, შთაბეჭდილების შექმნა საზოგადოების წინაშე.

პიარ სტრატეგიის შემუშავება, მიზნობრივი სეგმენტის განსაზღვრა, ეფექტური კომუნიკაციის წარმართვა უზრუნველყოფს ორგანიზაციის იმიჯის გრძელვადიან პერსპექტივას.

ჩვენი საქმიანობის წარმართვის პროცესში, საინტერესოა პიარსა და რეკლამას შორის არსებული კონკრეტული განმასხვავებელი მახასიათებლების, ბიზნესის ინსტრუმენტების შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება, რაც წარმატებას განაპირობებს.

პიარი ეს არის გრძელვადიანი, მიზანმიმართული, დროში გაწერილი ქმედება, რომელიც მოითხოვს ჩვენი საქმიანობის შესახებ სწორად შეფუთულ, საინტერესო პრესრელიზის შედგენას. ამ შემთხვევაში, რეკლამისგან განსხვავებით,

ინფორმაცია ანაზღაურების გარეშე შესაძლებელია განთავსდეს მედია სივრცეში.

პიარსა და რეკლამას შორის ოთხი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია: **კონტროლი** - რეკლამის განთავსების შემთხვევაში, ინფორმაციის ფორმატს, შინაარსს, დიზაინს, ტექსტს მართვს დამკვეთი. პიარის შემთხვევაში - მასმედიას აქვს შესაძლებლობა საკუთარი თვალთახედვითა და შეხედულებით მოახდინოს ჩვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციის გავრცელება. **გამეორება** - რეკლამის შემთხვევაში, განსაზღვრულია არა მხოლოდ სივრცე, არამედ სარეკლამო რგოლის რაოდენობა. საჯარო ინფორმაცია

ხშირ შემთხვევაში, შუქდება ერთხელ. **სანდობა** - ინფორმაცია, ღონისძიება რომელიც გამოხატავს სწორად მართულ ემოციასა და კეთილგანწყობას იმსახურებს საზოგადოების ნდობას. **მიმზიდველობა** - სწორად გამოყენებული პიარ ინსტრუმენტი, მესიჯი, ემოცია.. განაპირობებს ჩვენი საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმირებულობას.

პიარი შემოქმედებითი პროცესია, რომლის წარმატებით წარმართვა სწორად დაგეგმილი და შემუშავებული სტრატეგიით, კონცეფციით, რაოდენობრივი და თვისობრივი ინდიკატორების განსაზღვრით, პროექტებისა და ღონისძიებების მდგრადობითა და ხარისხის მაჩვენებლებით არის განპირობებული.

პიარი არის იმიჯი, რომელიც განაპირობებს კეთილგანწყობის შექმნას, დადებით ემოციებს ჩვენი პიროვნების, საქმიანობისა და ორგანიზაციის მიმართ.

ჰეგელის თანახმად: „ადამიანისა და საზოგადოების არსებობას განსაზღვრავს სულიერება, ადამიანის თავისუფლება უპირისპირდება ბუნებრივ გარდუვალობას. თავისუფლების ზრდის ხარისხი აბსოლუტურისკენ სწრაფვამია. სული ამ მიზნის მისაღწევად იძენს სამ ფორმას: სუბიექტურს - პიროვნულს, ობიექტურს - საზოგადოება, აბსოლუტურს- კულტურა„

საკვანძო სიტყვები: პიარი, ურთიერთობები, ღირებულებები, კომუნიკაცია, ბრენდი.

შესავალი

საზოგადოებასთან აქტიური და ეფექტური კომუნიკაცია, ემოციური, ფუნქციური და მორალური ღირებულებების დაცვა განსაზღვრავს ნებისმიერი სფეროს წარმატებას, პიროვნების იმიჯს,

საკუთარი მოღვაწეობის/შემოქმედების ღირსეულ წარდგენასა და რეზონანსულობას.

საზოგადოებრივ სტრუქტურას თვითიდენტიფიკაციის წარმოების თავისი მექანიზმი გააჩნია და ინდივიდები თავიანთ ადგილს იმ სოციალური კონტროლის სისტემის ჩარჩოებში პოულობენ, რომლებიც მათ თვითიდენტიფიკაციას შეესატყვისება.

საზოგადოებასთან ურთიერთობა უძველესია, როგორც ცივილიზაცია. ანტიკური პერიოდიდან მოდის საზოგადოებრივ აზრზე მუშაობა. პიარი არა მხოლოდ ხალხის, საზოგადოების დარწმუნებაა, არამედ მათ საქციელზე ზემოქმედებაც არის. არსებობდა კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებები: ანტიკური რიტორიკა, რელიგიური კომუნიკაციები, სასამართლო, სპარლამენტო სიტყვა, მასობრივი კომუნიკაციები, სარეკლამო კომუნიკაციები... უძველესი მსოფლიოს მონუმენტური ხელოვნების ძეგლები (პირამიდები, სტატუები, ტაძრები, ფერწერა...) წარმოადგენენ საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის პირველ მცდელობას. ხშირად მიმართავდნენ რიტორიკას (ორატორული ხელოვნება) როგორც დარწმუნების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას. ანტიკურობის გამოჩენილი წარმომადგენელი, ბრწყინვალე ორატორი ციცერონი (106-43 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) თავის ნაშრომებში რიტორიკის შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელობას ანიჭებდა ფსიქოლოგიას, მსმენელთა ინტერესებს და გემოვნებას. მისი აზრით, ორატორის ამოცანაა, ზეგავლენა მოახდინოს ხალხის მოქცევაზე და ნებისყოფაზე. ძველ საბერძნეთში, საზოგადო მოაზროვნეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივ აზრს.

ანტიკური პერიოდის გამოჩენილი მოზროვნე - არისტოტელეს (384-322 წ.წ ჩვ.წ. აღ) მიაჩნია, რომ აუდიტორიის დარწმუნება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მიღწეულია კეთილგანწყობა ან სიმპათია ორატორის მიმართ. ორატორული ხელოვნების პირველ სამეცნიერო ნაშრომში „რიტორიკა“, შემოტანილია სიტყვა ეთოსი, რომელიც ნიშნავს საზოგადოების, მსმენელის დამოკიდებულებას ორატორის მიმართ.

როგორც ისტორიული ანალიზი მოწმობს, ზეგავლენის მოსახდენად, საზოგადოებრივმა მეცნიერებამ - პიარმა განვითარების ეტაპზე დარწმუნების სხვადასხვა ტექნიკა გამოიყენა. რიტორიკის გარდა იყენებდნენ სიმბოლიკას, როგორც ლოზუნგის სახეს. IV – III საუკუნეებში ჩვენს წ.აღ - მდე გამოიყენებოდა გავლენის სახე, როგორც არის სკულპტურა, მონეტები...

ძველ საბერძნეთში ყველაზე მეტად ფასდებოდა ურთიერთობის უნარი, თანამოსაუბრის დარწმუნება, საუკეთესო ორატორები. უფრო მეტი აღიარებისთვის საბერძნეთის პოლიტიკური

მოღვაწეები მიმართავდნენ სოფისტებს, ადამიანებს რომლებიც ასწავლიდნენ სიბრძნესა და მჭერმეტყველებას.

ძირითადი ნაწილი

PR - ადამიანთა ურთიერთობის, სამეწარმეო და სახელმწიფოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი და განვითარებული კულტურის გამოვლენაა. პიარმა დროთა განმავლობაში განიცადა ფორმირება და განსაზღვრა თანამედროვე ტენდენციები. ედუარდ ბერნეიში, პიარის ერთ-ერთი პირველი პროფესიონალის განმარტებით: „PR არის ექსპერტი, რომელიც აწარმოებს კონსულტაციებს საზოგადოებასთან. იგი ცდილობს განსაზღვროს ადმინისტრაციის სოციალური მნიშვნელოვანი მახასიათებლები, კვლევების საფუძველზე გამოავლინოს სუბიექტსა და მასთან დაკავშირებულ საზოგადოებას შორის მოქმედების შესაბამისობა...შეცვალოს მოქმედების მოდელი საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად, რათა მიაღწიოს დასახულ მიზანს. როდესაც იცვლება სუბიექტის ქცევა, შესაბამისად იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება, ამიტომ მნიშვნელოვანია საზოგადოების დარწმუნება მოქმედების სისწორეში“.

ედუარდ ბერნეისს თუ დავესხებით, პიარი „ხელოვნებაა მეცნიერებაში“, რომლის მთავრი მიზანი საზოგადოების აზრის შექმნა და მისი მუდმივი კონტროლია.

პიარის ერთი და უნივერსალური განმარტება არ არსებობს. ვილფრედ შარფი ამტკიცებს, რომ პიარის 2000 - მდე მეტ განმარტებას იცნობს. PR კომპლექსური მეცნიერებაა, სხვადასხვა დარგთან (პაბლიცისტი, რეკლამა, ბრენდინგი...) აქვს შეხების ადგილები, რაც მისი განმარტების მრავალფეროვნებას იწვევს. შიდაორგანიზაციული პიარი და საზოგადოებასთან ურთიერთობა ზოგიერთი ავტორების მიერ სინონიმთაგ კი არის მოხსენიებული.

საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება შეუძლებელი მხოლოდ დაპირებებით. საჭიროა კონკრეტული ღონისძიებების ჩატარება, რაც საზოგადოების მხრიდან განაპირობებს ნდობის მოპოვებას.

პიარი მარკეტინგული კომუნიკაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. რეკლამისაგან განსხვავებით პიარი მთლიანად პიროვნების, ბრენდის, პროდუქტის, ორგანიზაციის/ფირმის იმიჯს, მომხმარებლის ლოიალური დამოკიდებულების ფორმირებასა და შენარჩუნებას ემსახურება. მომხმარებლის ლოიალური განწყობის შესანარჩუნებლად, ბრენდს, პროდუქტსა თუ ფირმასა და მომხმარებელს შორის კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია. მარკეტინგული კომუნიკაციებიდან, პიარი, რეკლამისგან განსხვავებით, ხშირად არაკომერციული ხასიათისაა.

პიარ სტრატეგიის სწორად დაგეგმვა, რომელიც მოიცავს სამოქმედო გეგმის ეტაპების განსაზღვრას, შედეგების ანალიზსა და გაზომვას განაპირობებს ორგანიზაციის/საქმიანობის წარმატებას. PR სტრატეგი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ◆ პიარ-სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიზნის ჩამოყალიბება;
- ◆ საზოგადოების აზრის ანალიზი და გადასაჭრელი ამოცანების ფორმულირება;
- ◆ სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ◆ ფორმის წარმატებული საქმიანობისთვის იმ ადამიანებთან ან ადამიანის ჯგუფებთან მართებული კომუნიკაციის აწყობა, რომლებზეც ეს წარმატებაა დამოკიდებული. სამოქმედო გეგმის განხორციელების კონტროლი.

ეფექტური კომუნიკაციის წარმართვა განსაზღვრავს საქმიანობის წარმატებას. **კომუნიკაცია** ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და გვჭირდება იმისთვის, რომ გავიაზროთ სხვა ადამიანების იდეები და მოსაზრებები; მივაწოდოთ სხვა ადამიანებს უკუკავშირი; მივიღოთ სხვებისგან ინფორმაცია და გვქონდეს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. კომუნიკაციის პროცესის, შემადგენელი აუცილებელი ფსიქოლოგიური ცნებებია: აღქმა და გაგება. განასხვავებენ კომუნიკაციის შემდეგ სახეებს: ტრადიციულ-ლოკალურ, ფუნქციონალურ და მასობრივ კომუნიკაციებს.

იმიჯის ჩამოყალიბების პროცესში, მნიშვნელოვანია კომუნიკაციის ეფექტური წარმართვა პარტნიორულ ორგანიზაციებთან, მიზანმიმართულ სეგმენტთან. საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე სამსახურის პრაქტიკისა და თეორიის ფუძემდებელი სემ ბლეკის განმარტებით, კომუნიკაციის ჰარმონიულობის მისაღწევად მნიშვნელოვანია: ინფორმაციულობა (მარტივი ენით საუბარი); სამართლებრივი საფუძველი (იურიდიულად დასაბუთება) და გამჭვირვალობა. ამ სამი კომპონენტის ერთობლიობა ქმნის საზოგადოებაში კეთილგანწყობას, რომელიც იწვევს საზოგადოების ნდობას და შემდეგ სასურველ იმიჯს.

გერმანელი სოციოლოგის ნიკლა ლუმანის შეხედულებით: „...მხოლოდ კომუნიკაციის ცნების დახმარებით შეგვიძლია აღვიქვათ რეალური სამყარო, გავიაროთ სოციალური სისტემა. კომუნიკაცია ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სამი ასპექტის (ინფორმაციის, მაუწყებლობის - შეტყობინება, მესიჯი/გაგება) სინთეზირება შესაძლებელი ხდება“.

PR/პიარის საზოგადოებასთან ურთიერთობა ეს არის იმიჯი, რომელიც ყალიბდება კეთილგანწყობის და ნდობის შედეგად. წარმატებული ბრენდი თავის თავში მოიცავს შესაბამის იმიჯს. მართებულად შექმნილი იმიჯი დადებითად

მოქმედებს ადამიანების განწყობაზე, დამოკიდებულებაზე, დარწმუნებასა და ქცევაზე. ადამიანები ურთიერთობენ ერთმანეთთან და საზოგადოებას წარუდგენენ თავს საკუთარი იმიჯით.

იმიჯის ცნება წარმოიშვა ლათინური სიტყვი-ბიდან იმაგო (ხატი, შთაბეჭდილება, წარმოსახვა...) რომელიც იქმნება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთა შეხედულებებით და ფორმირდება საზოგადოებრივ ან ინდივიდუალურ ცნობიერებაში, გარკვეული ემოციური დამოკიდებულებებით, იმის საფუძველზე, თუ რას ამბობს და აკეთებს პიროვნება. იმიჯი პიროვნების, მისი საქმიანობის ფსიქოლოგიურ-აზრობრივი ხატია, რომელიც ყალიბდება საზოგადოებაში სოციალური გარემოს, პიროვნების უნარ-ჩვევებისა და ქცევის საფუძველზე. მნიშვნელოვანია სტრუქტურული განსხვავებულობა წარმატების სამ ძირითად კომპონენტს შორის: იმიჯი, ბრენდი, რეპუტაცია. ადამიანს აქვს შესაძლებლობა შეიქმნას შესაბამისი იმიჯი, ხოლო რეპუტაცია შექმნილი იმიჯის რეზულტატია.

- ◆ იმიჯი - სასურველი სახე;
- ◆ ბრენდი - პირობა;
- ◆ რეპუტაცია - შესრულებული პირობა

იმიჯი ყოველთვის სოციალურად განპირობებულია. მას აქვს აქტიური გავლენა საზოგადოებრივ აზრზე და ბიზნეს საქმიანობაზე.

იმიჯი ეს არის პიროვნების/ორგანიზაციის სასურველი სახე; ბრენდი პირობაა; რეპუტაცია - შესრულებული პირობა. **პიროვნების/ორგანიზაციის იმიჯი მოიცავს სამი კომპონენტის ერთობლიობას: ნდობა, რეპუტაცია, სოლიდურობა.**

პიარ საქმიანობის ტიპური მოდელი, შესაძლებელია განვსაზღვროთ შემდეგი ასპექტებით: საზოგადოებაში კეთილგანწყობის მოპოვება, რეპუტაციის შენარჩუნება, და შიდაორგანიზაციული ურთიერთკავშირი (სწორად დაგეგმილი პიარის მეთოდების გამოყენებით, შესაძლებელია ორგანიზაციაში ნდობის კლიმატის შექმნა).

საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი დანიშნულება რეპუტაციაზე ზრუნვა და სამიზნე ჯგუფებთან/დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი დიალოგის წარმოებაა.

იმიჯისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქმიანობის წარმართვის პროცესში, თვითდარწმუნების მექანიზმი. საზოგადოებასთან ურთიერთობის ცნობილი ამერიკელი სპეციალისტის ლ.ბრაუნის აზრით: „მთავარია თქვენ გრძნობდეთ თავს კომფორტულად, იყოთ დარწმუნებული საკუთარ თავში და ეს სიტუაცია გადასცეთ აუდიტორიას“ იმიჯი ცალკეულ სფეროებში სხვადასხვა ნიუანსით ვლინდება. ხშირად ადარებენ ერთმანეთს პოლიტიკოსის, მომღერლის ან მსახიობის იმიჯს. აიზენ შპისი, რომელიც გახლავთ ვლად სტამევის იმიჯმეიკერი - ამბობს, რომ პოლიტიკოსი, ისევე

როგორც მსახიობი ზემოქმედების ერთნაირი ხერხებით მოქმედებს მასაზე.

წარმატებას განაპირობებს ასევე, ნებისმიერი პროდუქტის ბრენდად ფორმირება. **წარმატებულია ბრენდი**, რომელიც არის მოქნილი, მუდმივად ცვალებადი და ადვილად ადაპტირებადი გარემოსთან. ბრენდი არის დაპირება, ღირებულებების სისტემა, კულტურა, ტრადიცია, რომელიც ყოველთვის უნდა შესრულდეს. წარმატებული ბრენდი არის გამორჩეული პროდუქტი, სერვისი, პერსონა ან ადგილი. ის ისეთ ემოციურ და კომერციულ შეთავაზებს უკეთებს მომხმარებელს, რომელიც არის რელევანტური და გამორჩეული სხვებისგან. ბრენდი მომხმარებელთან ემოციურ დონეზე უნდა იყოს დაკავშირებული. ის მუდმივად აწარმოებს კომუნიკაციას და კავშირშია მომხმარებელთან. ესაუბრება, ემეგობრება მას. ბრენდი შენდება და იმართება მომხმარებლის გონებაში. ბრენდის ჩამოყალიბების პროცესში, მნიშვნელოვანია, **პოზიციონირების** სწორად განსაზღვრა.

იმიჯის შექმნის პოზიციონირება ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობასა და იმიჯოლოგიაში მარკეტინგიდან შემოვიდა.

პოზიციონირება ეს არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია, მოიძებნოს უნიკალური იდეა და არგუმენტაცია იმ მიზნით, რომ ჩაიბეჭდოს ის (იდეა ან კონცეფცია) მომხმარებლის ცნობიერებაში. მას აქვს თავისი განზომილებები (სოციალური, მენტალური...) ეს არის მართვის მესიჯი განსხვავებული, გამორჩეული ნიშან-თვისებებით და წინასწარ დაგეგმილი სტრატეგიით თუ როგორ გვინდა რომ წარვსდგეთ საზოგადოების წინაშე.

პოზიციონირება ნიშნავს მწარმოებლის ენაზე მომხმარებლის ამეტყველებას. ბრენდან ბირუსი, ცნობილი ამერიკელი მარკეტოლოგი პოზიციონირებაში ორ ფაქტორს გულისხმობს: 1. ობიექტს, ე. ი მას, ვისთვისაც სრულდება ესა თუ ის მოქმედება ანუ მას ვისთვისაც იქმნება იმიჯი. ობიექტად შეიძლება მოგვევლინოს ნებისმიერი ორგანიზაცია, პოლიტიკური გაერთიანება ან პიროვნება; 2. ობიექტის ფუნქციურ და ფსიქიკურ შესაძლებლობას. ფუნქციური შესაძლებლობები

მიუთითებენ, რა სახისაა ეს ობიექტი და რა ფუნქციები აქვს მას, ხოლო ფსიქიკური - ზოგადი პირობების არსებობას განსაზღვრავს, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკრეტული პროდუქციის მომხმარებლის ინტერესს.

აღსანიშნავია, რომ პიროვნების/ორგანიზაციის იმიჯის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიმართულებით, სატელევიზიო სივრცეში სიუჟეტების მომზადება (გამოცდილება, ოჯახი, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ცხოველებთან ურთიერთობა, როგორც პიროვნების ჰუმანურობის გამომხატველი ასპექტი, ჰობის წინა პლანზე წამოწევა). პიროვნების იმიჯის შესაბამისი ხარისხით ამ აქტივობების განხორციელება, საზოგადოებაში იწვევს კეთილგანწყობას, ემოციასა და ნდობას.

დასკვნა

იმიჯის შექმნის ძირითადი მოდული შემდეგი ასპექტების განსაზღვრას მოიცავს: ორგანიზაციული/პიროვნების ხედვა, დანიშნულება, მისია, პირობა.. ემოციური ღირებულებები, სტრატეგია, ტაქტიკა, იმიჯის კონცეფციისა და საიმიჯო მიმართულებების შემუშავება, პოზიციონირება.

წარმატების ფორმულად შესაძლებელბელია მივიჩნიოთ ღირებულებათა ერთობლიობა:

- ◆ ემოციური ღირებულება (კეთილგანწყობა, ღიმილი, გარემო..)
- ◆ მორალური ღირებულება (გარდა ფინანსური სარგებელისა რა სიამოვნებას გვანიჭებს ჩვენს მიერ განხორციელებული საქმიანობა;)
- ◆ ფუნქციური ღირებულება - პროფესიონალიზმი.

პიარის თეორიული ასპექტების სიღრმისეული განსაზღვრა მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების შემცველ ყველა ელემენტს: (ღირებულებები, ეფექტური კომუნიკაცია, ემოცია, მოტივაცია, განწყობა, რეპუტაცია, ფსიქო - ანალიტიკური აზროვნება...) რომელიც ქმნის ინდივიდის ჯანსაღ ადაპტირებასა და ინტეგრაციას საზოგადოებაში. სწორად დასმული აქცენტები, საზოგადოებრივი კომუნიკაციები განაპირობებს სხვადასხვა სფეროსა და საქმიანობის წარმატებას, საკუთარი თავის წარმოჩენასა და შესაბამის იმიჯს.

ლიტერატურა:

1. ლ.კაპნაძე, ე. ხახუტაშვილი, „საზოგადოებასთან ურთიერთობა“, ქ. თბილისი 2003 წ (გვ144);
2. Луман Н. Что такое коммуникация? Социологический журнал 1995, №3, стр. 1-9;
3. Kotler Ph., Armstrong G. M., Wong V., Saunders J. ``Principles of Marketing`` 2010,
4. 987 - 989 გვ;
5. უილკოქსი დ. ლ., კამერონი გ. ტ. ``საზოგადოებასთან ურთიერთობა სტრატეგია და ტაქტიკა`` თბილისი, 2011წ 600 - 612 გვ;
6. თ.გურული „კიზისული სიტუაციები და პიარი,, თბ, 2003 გვ 4
7. გ. გოროშიძე, ნ. ფურცელაძე „მომხმარებლის ლოიალობის განწყობა და მისი რიგიდობა -ფლექსიბილობის განმსაზღვრელი ფაქტორები,, თსუ <https://psychologica.wordpress.com/2008/01/21/hello-world/>
8. უილკოქსი დ. ლ., კამერონი გ. ტ. „საზოგადოებასთან ურთიერთობა სტრატეგია და ტაქტიკა`` თბილისი, 2011წ 600 - 612 გვ.
9. Scharf,W, Public Relations in Bundesrepublik Deutschland – Publizistik 16, 1971, გვ166
10. Scior, W.Der Bedingungsrahmen fur unternehmensinternen Offentlichkeitsarbeit, in Haedrich, G,et alii 1982, გვ77

The formula for success

*Irina Tsertsvadze, doctoral student
Georgian Technical University*

Summary

The article discusses all key aspects including trends of public relations, effective communication, showing oneself/ self-realization and creation of an image that are the basis for the person's/organization's success.

Our objective is to provide readers with practical recommendations regarding modern PR technologies, general mechanisms of brand establishment and the unity of value of these mechanisms.

Public relations sphere (PR - public relations - საზოგადოებრივი ურთიერთობები) is extremely complex and multi-dimensional in any democratic country. PR is an organization's management function that should study public opinion and link those opinions to the organization's/person's activities. Also, create a simple program that will be addressed at reaching mutual understanding and perception of wide population.

PR has an ability to change human being's appearance, manner of behaviour, because it actualizes those hidden abilities of individuals that are so important for an image. PR contributes to selection of relevant image and its establishment both on the scene and life. It teaches people how to present themselves and make an impact on public.

Development of PR strategy, defining the target segment, managing the effective communication lead to long-term perspective of organization's image.

In the process of management of our activity, interesting is to provide public with information on existing specific distinguishing characteristics between PR and commercial as well as on business tools, all this ensures success.

PR is a long-term, targeted, written out action that requires development of properly packed, interesting press release regarding our activity. In this case, unlike commercials, information can be posted free of charge in media sphere.

There are four key distinguishing signs between PR and commercials: control – in case of posting commercial, client administers format of information, content, design and text. In case of PR – mass media has an opportunity to disseminate information provided by us according to its own viewpoint and appearance. Repetition – in case of commercials defined is number of commercial spots in addition to space. Public information often is broadcasted once. Reliability – information, activity that expresses properly administered emotion and benevolence, deserves public trust. Attraction – properly used PR tool, message, emotion...It raises public perception and awareness on our activity.

PR is a creative process that can be successfully administered based on properly planned and elaborated strategy, concept, defining the quantitative and qualitative indicators, sustainability of projects and events and quality indicators.

PR is an image that causes benevolence, positive emotions towards our personality, activity and organization.

According to Hegel: "It is Spirituality that defines existence of humans and society; humans' freedom versus natural impassability. Quality of growth of freedom lies in aspiration to the Absolute. Spirit acquires three forms to achieve this objective: subjective - personal, objective – society, absolute – culture".

Key words: PR, relations, values, communication, brand.

თანამედროვე ტენდენციები ნარკოზოციოლოგიის უმცირესობაში

ლამა ჩეკუბიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნარკოდაამოკიდებულების ფორმირებას შეიძლება ჰქონდეს გენეტიკური ხასიათი თავის ტვინის მემკვიდრეობით თავისებურებებში. რამდენადაც, წინა ფრონტალური ტვინის ნაწილები განაგებენ ადამიანის თვითკონტროლის უნარს და ქცევის მოტივაციას, მათი დარღვევის დროს სწრაფად ვითარდება ინდივიდის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი სტატუსისათვის მავნე ჩვევები. აგრეთვე, შესაძლებელია სუბიექტს გააჩნდეს წინასწარი ნარკომიდრეკილების ბიოლოგიური საფუძველი, რა დროსაც, ჯერ კიდევ ნარკოტიკების მიღებამდე ღრმა ნეიროქიმიურ ცვლილებებს ორგანიზმში უზრუნველყოფს განმტკიცების სისტემასთან დაკავშირებული თავის ტვინის დოფამინური მედიატორული სისტემის ქრონიკული დისფუნქცია.

მედიცინას ჯერ კიდევ არა აქვს პასუხი ორგანიზმში პათობიოქიმიური და პათომორფოლოგიური დარღვევების მოწესრიგებაზე, რომლებიც ნარკოტიკისადმი სწრაფვის მზაობას ქმნიან და ვერ ახერხებს დამოკიდებულების განმსაზღვრელი ბიოლოგიური ფაქტორების მოცილებას.

ნარკომანიის განვითარება ასევე კორელაციაშია ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის ზოგიერთ თვისებასა და თავისებურებასთან, როგორცაა, მაგალითად: მაღალი იმპულსურობა, ახლისა და მწვავე შეგრძნებების ძიება, რისკზე წასვლის მიდრეკილება. ამასთანავე, პიროვნება უმეტესწილად ნარკოტიკული საშუალების გამოყენებას მიმართავს ფრუსტრაციის, კონკრეტულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში და კონკრეტულ სოციალურ სიტუაციაში ყოფნის დროს.

კვლევებით დადასტურებულია, რომ ადამიანის თავის ტვინი მთლიანად და მისი ცალკეული ნაწილები ძირითადად ვითარდება სასწავლო-აღმზრდელიობითი და ფართო სოციალური გარემოდან მომდინარე სტიმულაციის გავლენით. როდესაც თავის ტვინის რომელიმე ნაწილი შინაგანი სტიმულაციის შესატყვის დადებით გარეგან სტიმულაციას არ იღებს, მისი ენერგია პოლარულად განსხვავებული შრეების მომსახურებაზე გადადის და ამ შრეების განვითარებას უწყობს ხელს. შედეგად კი თავის ტვინის ის ნაწილი, რომელსაც სწავლის ფუნქცია აქვს, მაგრამ საფრთხესა და შიშზე რეაგირებაში არ მონაწილეობს, ნაკლებად აქტიურია და ასეთი თავისებურებანი ქმნიან იმის პირობებს,

რომ ახალგაზრდები სარისკო ადიქტიურ ქცევებში ჩაერთონ.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზმის ტოლერანტობითა და აბსტინენციის სინდრომით ჩამოყალიბებული ნარკომანია ხშირ შემთხვევაში მოზარდებში არ გვხვდება, მათ მიერ ხშირია ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენება და ასეთი დესტრუქციული ქცევა, ნარკომანიის დაწყების სუბკლინიკური პერიოდის ძირითად გამოვლენას წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ნარკოდაამოკიდებულება შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ავადმყოფობის (რომელსაც აქვს სპეციფიკური ბიოლოგიური წანამდღვრები), ისე (ბიოწანამდღვრების გარეშე) ნარკოტიკების ავადმომარების ჩვევის კომბინირებულ მთლიანობას.

მიგვაჩნია, რომ ნარკომანიის ბიოლოგიური და ფსიქო-სოციალური საფუძვლების თავისებურებების ადეკვატური გააზრება, ნარკოტიკული თრობის მიმართ, ადამიანის ფსიქიკის არაცნობიერში არსებული ფიქსირებული განწყობების იდენტიფიცირება და ნარკოდაამოკიდებული პირის განწყობის თავისებურებათა შესატყვისად, მისი განწყობის შეცვლის მექანიზმების დადგენა და მის მიმართ ინდივიდუალური, მრავალდისციპლინური მიდგომა, ამასთანავე, პარალელურად ანტინარკოტიკული პირველადი პრევენციის მიმართულებით ზოგადი განათლების კონტექსტის გათვალისწინება, საშუალებას გვაძლევს ნარკომომარებით განპირობებული ზიანისა და მიწოდების მასშტაბების შემცირებისთვის პრობლემების მართვაში განისაზღვროს ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკა.

საკვანძო სიტყვები: ნარკომანიის გენეზისი, მოზარდობის ასაკში სწავლის მოტივების გავლენა, ადიქტიური ქცევის სრული კორექცია, ნარკოდაამოკიდებულთა რესოციალიზაცია, ნარკომომარების პირველადი პრევენცია.

შესავალი

უძველესი დროიდანვე ადამიანთა ნაწილთან, მომყოლი სახიფათო შედეგების გათვალისწინების გარეშე, სხვადასხვა სახით, იჩინა თავი, სიამოვნების უშუალოდ და სწრაფად დაკმაყოფილების ატავისტურმა ტენდენციამ. მათ შორის ერთ-ერთი ძლიერი და როგორც პიროვნებისთვის, ისე მთელი საზოგადოებისთვის უმძიმესი შედეგების მომტანია ნარკოტიკული თრობისადმი მისწრაფება.

ნარკოტიკულ საშუალებებზე გამკაცრებული სამართლებრივი კონტროლის მიუხედავად, მათმა წარმოებამ და შემდგომ ტრანზიტმა, მოიცვა მსოფლიოს ყველა კონტინენტი და ვერც ვერაფერი მიგვანიშნებს ამ მოვლენის უფრო შესუსტებასა და ამ მოძრაობის შენელებაზე. გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების პირველი ნახევრის საქართველოში არსებული მდგომარეობის, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ძირეული გარდაქმნების და საზოგადოებრივი ცხოვრების დესტაბილიზაციის პრობებში, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვამ არნახული მასშტაბები შეიძინა და ჩვენს ქვეყანაში ნარკოტიკების ავადმომხმარებელთა რაოდენობა 250000-ს აღემატება. დღესდღეობით ასეთი მასშტაბის დამოკიდებულების პროცესი შეუქცევადია და ნარკომანიის შემცირება სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ძირითადი ნაწილი

როცა სუბიექტს არა აქვს არარეალიზებულ განცდათა დაკმაყოფილებისათვის საკმარისი შინაგანი შესაძლებლობები, ან ობიექტური პრობები ზღუდავს მის აქტივობას, მაშინ ფანტაზია, როგორც არარეალიზებულ ფუნქციათა განხორციელების ასპარეზი, უბიძგებს ადამიანს დამაბულობის მოხსნისა და სიამოვნების მიღებისაკენ, ხელმისაწვდომი „ჩამნაცვლებელი“ აქტივობების მზაობის შექმნისაკენ, რომელთაგან ერთ-ერთი არის ნარკოდამოკიდებულება.

ამასთან ერთად, კვლევებით დადგენილია, რომ ნარკოდამოკიდებულების ფორმირების მიზეზი შეიძლება იყოს თავის ტვინის სტრუქტურულ გენეტიკურ თავისებურებებში. ისეთ სპეციფიკურ, მემკვიდრულ მონაცემებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს სუბიექტის ნარკოდამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე, მიეკუთვნება წინა ტვინის ქვედა პრეფრონტალური წილის განუვითარებელი და მოუწესრიგებელი ნეირონული კონნექტივები (მარჯვენა და მარცხენა იდენტურ განგლიათა შემაერთებელ ნერვულ უჯრედთა კონა) და ბაზალური განგლიების გადაჭარბებული განვითარება. ნარკომანია, აგრეთვე, კორელაციაშია ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარებასთან დაკავშირებულ, ხასიათის და ტემპერამენტის თავისებურებებთან.

ნარკოდამოკიდებულების მთავარ პათოგენეზურ ფაქტორს წარმოადგენს სიამოვნება, რაც ვლინდება შეჩვევისა და მიდრეკილების სახით და ხასიათდება კომპულსური ლტოლვით. ნარკომანიისთვის დამახასიათებელი აბსტინენციის სინდრომი სრულიად აქრობს პიროვნულ ზნეობრივ საზღვრებს და ადამიანი სოციალურად იზოლირებული ხდება.

ნარკომანიის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მოზარდობის ასაკში პიროვნული განვითარების შეფერხებები, სოციალური ორიენტირების უნარის დაკარგვა და იმავე დროს, თანატოლების ჯგუფში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მრავალჯერადი განმეორებითი ან სისტემატური ხმარებით, პერიოდული ან ქრონიკული ინტოქსიკაციით ჩამოყალიბებული ინდივიდუალური ფსიქოლოგიური დამოკიდებულება. რაც, ჩვენი აზრით, უმეტესწილად განპირობებულია სასწავლო-აღმზრდელი გარემოს მიერ, ბავშვის „მიკუთვნების მოთხოვნის“ სათანადოდ გაუთვალისწინებლობით შექმნილი ძირითადი ფაქტორით, რომელიც სწავლის სიძნელეებთან შეხვედრისას მოზარდს უბიძგებს არარეალიზებულ განცდათა დაკმაყოფილებისათვის ჯერ მსუბუქი ასოციალური, ხოლო შემდეგ მძიმე, ადიქტიური ქვევისაკენ.

ნარკოტიკების ავადმომხმარებელთა მკურნალობის ჩვენს ქვეყანაში არსებული ერთგვაროვანი პრაქტიკა, იმის მიუხედავად, რომ პაციენტს უყალიბებს შეგნებას ნარკომომხმარებლის მძიმე შედეგების შესახებ და მთლიანად უხსნის ტოლერანტობასა და აბსტინენციას, ვერ უზრუნველყოფს მათი აბსოლუტური უმრავლესობის ნარკომანიისგან გათავისუფლებას და, ამდენად, ვერ ამცირებს მისით გამოწვეული ზიანის მასშტაბებს. ასეთი სოციალური სინამდვილის პარალელურად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირის ქვეყნებმა 21-ე საუკუნიდან უკვე შეცვალეს ნარკომანიასთან ბრძოლის პოლიტიკა და აქცენტს აკეთებენ ნარკომანიის პირველად პრევენციაზე და ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაციაზე იმ აზრით, რომ თუ მთლიანად ვერ გაათავისუფლებენ ადამიანს ნარკოდამოკიდებულებისაგან, მაქსიმალურად მაინც შეამცირონ ნარკოტიკის მიღებით გამოწვეული ზიანი, როგორც ჯანმრთელობის, ისე სოციალური აქტიურობის თვალსაზრისით. ამ აზრით, სუბიექტის მოთხოვნილებები და საჭიროებები, როგორც ფსიქო-ფიზიკური ჯანმრთელობის, ისე სოციალური პრობლემების თვალსაზრისით, მაქსიმალურადაა გათვალისწინებული და გამოჯანმრთელებულ ბენეფიციართა რიცხვს მიეკუთვნებიან ისინი, რომლებმაც წარმატებული მკურნალობის შედეგად მიატოვეს ძირითადი პრობლემების შემქმნელი ნარკოტიკი, აღიდგინეს პროფესიული ცოდნა ან გაიარეს ახალი პროფესიული მომზადება, დაიწყეს მუშაობა და ამ მხრივ დანაშაულის საფრთხე მათგან აღარ არსებობს; ამასთან ერთად, აღდგენილია ინდივიდის თვითკონტროლის უნარი და საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარი კვლავ მიმართავს დახმარების პროგრამებს იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება, მკურნალობით მიღწეული მდგომარეობის შენარჩუნებისათვის.

ამრიგად, კვლევის შედეგების მიხედვით, ნარკომანია განხილული უნდა იქნეს, არა როგორც მხოლოდ ფიზიოლოგიური, არამედ ასევე როგორც პიროვნების პრობლემა, რომელიც ნარკოტიკული საშუალების გამოყენებას მიმართავს კონკრეტულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში და კონკრეტულ სოციალურსიტუაციაშიყოფნისდროს.რამდენადაც, ადამიანის, როგორც სოციალური არსების, ძირითადი სურვილია, არ იყოს იზოლირებული, განსაკუთრებულად მძიმედ განიცდის მარტოობის გრძნობას და ცდილობს, ჰქონდეს ვინმესთან ან რამესთან ერთობის პოზიტიური შეგრძნებები. მისი მოთხოვნილებების, მისწრაფებების, ლტოლვისა თუ ინტერესების შეჯახება გარემოში არსებულ პირობებთან, განაპირობებს მის ცხოვრებისეულ სიმწელებებს და ადამიანის მიერ მათი დაძლევის უუნარობა ხშირ შემთხვევაში იწვევს მცდელობას ნარკოტიკული საშუალებებით, განსაზღვრული გრძნობებისა და მსოფლმხედველობის ცვლილებებით მოახდინოს ემოციური ადაპტაცია მისთვის მძიმე ობიექტურ რეალობასთან. შეხვედრა ცხოვრებისეულ სიმწელებებთან, რომლებიც აბრკოლებენ ადამიანის სიღრმისეული ბაზისური ტენდენციების რეალიზაციას, განსაზღვრავს მის მზაობას ნარკოტიკების ავადმომხარებისადმი. ამ შემთხვევაში ადიქციის მოტივაციური ფაქტორებია: სოციალური ადაპტაციის უკმარისობა, პიროვნული თავისებურებები და სიტუაციური ფაქტორები. ნარკომომხარება არის არამდგრად პიროვნებასთან ფსიქოლოგიური დაცვითი მექანიზმი სოციალურ სირთულეებთან შეხვედრისას და ნარკომანიის დინამიკის თავისებურებანი მნიშვნელოვნად განაპირობებენ დამოკიდებულების რეციდივს სიტუაციის ზემოქმედებით.

მიმდინარე პერიოდში მეცნიერებას ჯერ კიდევ არა აქვს პასუხი ორგანიზმში პათოლოგიური და პათომორფოლოგიური დარღვევების მოწესრიგებაზე, რომლებიც ნარკოდაზიმიზაციის მზაობას ქმნიან. მაგრამ დადგენილია რომ თავის ტვინი მთლიანად და მისი ცალკეული ნაწილებიც ვითარდება არა მხოლოდ შინაგანი სტიმულაციის, არამედ ძირითადად სასწავლო-აღმზრდელობითი და ფართო სოციალური გარემოდან მომდინარე სტიმულაციის გავლენით. რამდენადაც, განვითარებად ქვეყნებში ადამიანთა მოზარდობის ასაკში დადებითი სასწავლო მოტივაციის ჩამოყალიბებისადმი არსებული პრობლემების შესწავლა და ადეკვატური სახელმწიფოებრივი მიდგომა, უკუპროპორციულ მიმართებაშია საზოგადოებაში არსებულ მანკიერ სოციალურ მოვლენათა გავრცელების დონესთან.

ძლიერი და სუსტი მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა იმდენად სწავლისათვის საჭირო უნარებითა და შესაძლებლობებით, არამედ

სასწავლო მოტივაციით, რაც აღძრავს, მიმართულებას აძლევს და უზრუნველყოფს ინდივიდის წარმატებისთვის ქვეყნის ბოლომდე მიყვანას.

სწავლაში ჩართულობის, სწავლის შედეგის თვალსაზრისით, ყველაზე ნაყოფიერი მოტივებია ინტერესი სასწავლო მასალისადმი და წარმატების მოთხოვნილება, ხოლო ყველაზე დამაზიანებელი ბავშვის განვითარებისათვის არის მარცხის აცილების, მარცხის შიშის მოტივაცია.

მარცხის შიში ზღუდავს ბავშვის პოტენციური შესაძლებლობების განვითარებას, აფერხებს თვით-აქტუალიზაციისა და თვითრეალიზაციის პროცესებს. მას ფესვები ოჯახურ აღზრდაში და სკოლაში ბავშვის სასწავლო საქმიანობისადმი აღმზრდელების არასწორ დამოკიდებულებაში აქვს, რა დროსაც ბავშვის მიერ დაშვებული შეცდომების გამო, არასასურველ შეფასებაზე მწვავედ რეაგირებენ. სკოლაში ზოგჯერ, ნაცვლად გამხნეებისა და სწორი განმარტებისა, ბავშვს უქმნიან არაადეკვატურად მტკივნეულ დამოკიდებულებას შეცდომის, მარცხის მიმართ. ასეთ პირობებში, მოზარდის გონებრივ-პიროვნული განვითარების ნარჩენი შეფერხებები, მათ გარკვეულ ნაწილთან ზრდასრულობაში თავს იჩენს სხვადასხვა სახის დევიაციური ქცევების სახით დაწყებული, მძიმე ფსიქიკურ აშლილობებამდე.

მარცხის შიშისაგან მოსწავლის გათავისუფლების საშუალებებია მასთან ინდივიდუალური პროგრამით მუშაობა, განმავითარებელი შეფასება და კომპენსატორული მოტივაციის გამოყენება.

თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიაში აღიარებულია მოსაზრება, რომ მოსწავლეთა უმეტესობისთვის შეიძლება სასარგებლო და აუცილებელიც კი იყოს რაღაც, ინდივიდუალურად დასაშვები დონით და დოზით, წარუმატებლობის პირობების შექმნა იმისათვის, რომ ისწავლონ ინტელექტუალურ, შემოქმედებით საქმიანობაში სიმწელებებთან ბრძოლა, ისწავლონ წარუმატებლობის გადალახვა დიდი მონდომებითა და ძალისხმევით, რაც მასწავლებლის სათანადო დახმარებით, მათ გამოუმუშავენს იმის ჩვევას, რომ შემდგომში, ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, ადვილად არ დანებდნენ სიმწელებებს.

ბავშვის განვითარების სტიმულირების თვალსაზრისით, სწავლის პროცესში უმთავრესია სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება, რა დროსაც ემპათიურ გარემოში, მოსწავლე თვითონ აფასებს საკუთარ ნამუშევარს მასწავლებლის მიერ იმ განმარტებებზე ორიენტაციით, თუ რა იგულისხმება „კარგ შეცდომაში“ და რა „ცუდ შეცდომაში“. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ბავშვის ცნობიერებას ცნობიერებითვე შევუწყოთ ხელი, მიზნად დაისახოს ისეთი მაღალი საკაცობრიო იდეალები და ღირებულებები, მათი სიკეთის გაცნობიერებითა და პირად მაგალითებზე

მითითებით, რომლებზე ორიენტაციითაც საზოგადოებაში იქმნება მაღალი კულტურა, თავისუფლება, სამართლიანობა, მშვიდობა და პროგრესი.

რამდენადაც, ინდივიდის თვითიდენტიფიკაციის წყარო საზოგადოებაა და უმეტესად ადამიანები ურთიერთობას იმათთან ამყარებენ, რომლებიც მათ თვითიდენტიფიკაციას ემხრობიან და საზოგადოებაზე დამოკიდებულება აიძულებს ადამიანს თავი შეიკავოს დევიაციური აქტებისაგან და საზოგადოება თავის მხრივ, აკონტროლებს მას და დევიაციისაგან იცავს, ადამიანურ ურთიერთობებში მონაწილეთა მიერ სხვისი როლის მიღებითა და ინტერპრეტაციით განპირობებულ ინტერაქციის მუდმივი პროცესში, ბავშვის სოციალური გარემოს განვითარებითა და ჩამოყალიბებული პოზიტიური ფაქტორების ზემოქმედებით, ადიქტიური ქცევის მოზარდმა შესაძლებელია მიაგნოს განმავითარებელ ალტერნატივებს და სოციალური აზროვნებით, თვითღირებულების გაზრდის, პრესტიჟისა და წარმატების მიღწევის მოთხოვნილებებით, თვითონ სძლიოს ჯგუფში სიტუაციურ დამოკიდებულებას და მოახდინოს ადიქტიური ქცევის სრული კორექცია.

დასკვნა

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვებზე მიმართული ისეთი სოციალური მოქმედებით, რომელიც მათი ქცევისა და განწყობების შეცვლისკენაა მიმართული, რასაც სოციოგენურ მოთხოვნილებათა, მისწრაფებათა და ინტერესთა დაკმაყოფილება მოსდევს, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება როგორც ინდივიდის ჯანმრთელობა და მისი სოციალური აქტიურობის ხარისხი, ისე საზოგადოების განვითარებაში ნარკომანიით გამოწვეული ზიანის მასშტაბების შემცირების შედეგები. კერძოდ, ნარკოტიკების ავადმომხმარებლის ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების სრული შესატყვისი გააზრებით და ისეთი ღონისძიებების ჩატარებით, როგორც არის ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაციაში ინდივიდუალური და მრავალდისციპლინური მიდგომის პარალელურად, მოზარდების ადიქტიური ქცევის რისკ-ფაქტორების შედეგების მოქმედებისგან დამცავი პირველადი პრევენცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბ., 2003
2. ჩხარტიშვილი შ. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974
3. ჩხარტიშვილი შ. განწყობა და ცნობიერება. „მეცნიერება“, თბ., 1975
4. კაკაბაძე ვ. მოთხოვნილების ფსიქოლოგია, თბ., 1988
5. მუსერიძე-ჯავახიშვილი თ. განათლების ფსიქოლოგიის საკითხები, თბ., 2013
6. მუსერიძე-ჯავახიშვილი თ. ინკლუზიური განათლების ერთი ფსიქოლოგიური ასპექტი, თბ., 2016
7. ბერძენიშვილი ა. კლასიკური სოციოლოგიური თეორიები, თბ., 2013
8. ბერძენიშვილი ა. თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები, თბ., 2019
9. Лечение наркомании и реабилитация, ООН, Нью-Йорк, 2003
10. НАЙМАРК Е. Формирование наркозависимости связано с особенностями в строении мозга, Новости науки, НЕЙРОБИОЛОГИЯ, 08.02. 2012
11. Жиляев А.Г., Палачева Т.И. Комплексная личностно-ориентированная программа формирования здорового образа жизни и первичной профилактики наркотизации школьников, Казань, 2010
12. Фрейд З. Массовая психология и анализ человеческого «Я», Москва, 1926
13. Г. Крайг, Психология развития, Питер, 2004
14. Jeffrey W. Dalley et al. Nucleus Accumbens D2/3 Receptors Predict Trait Impulsivity and Cocaine Reinforcement//Science. 2007. V. 315
15. Sutherland, Edwin Hardin. Principles of criminology / By the late Edwin H. Sutherland, 5. ed. / Rev. by Donald R. Cressey, Chicago etc.: Lippincott, Cop. 1955, VIII
16. Cloward R., Ohlin L. Delinquency and Opportunity, New York, 1960
17. Thio A., Taylor J., Schwartz M. Deviant Behavior, Worth Publishers; 7 edition, November 6, 2007
18. Vatsal Th., Levitt P., Ph.D. Addiction (Psychological Disorders), by Infobase Publishing, 2006

Summary

The formation of drug addiction may have a genetic character in the inherited traits of the brain. To the extent that parts of the anterior frontal brain regulate a person's ability to self-control and motivate behavior, habits that are detrimental to an individual's health and social status quickly develop during their disruption. It is also possible for a subject to have a biological basis for pre-drug addiction, at which time, even before taking the drug, deep neurochemical changes in the body provide chronic dysfunction of the dopamine mediating system of the brain related to the reinforcement system.

Medicine has not yet responded to the regulation of pathobiochemical and pathomorphological disorders in the body, which create a willingness to aspire to the drug and fail to eliminate the biological factors that determine addiction.

The development of addiction is also correlated with some features and peculiarities of the human central nervous system, such as, for example, high impulsivity, the search for new and acute sensations, the tendency to take risks. In addition, a person is more likely to use drugs during frustration, in a particular psychological state, and in a particular social situation.

Studies have shown that the human brain as a whole and its individual parts develop mainly under the influence of stimuli from the educational and wider social environment. When any part of the brain does not receive positive external stimulation corresponding to internal stimulation, its energy shifts to the service of polarly different layers and promotes the development of these layers. As a result, the part of the brain that has a learning function but does not respond to threats and fears is less active, and such traits create the conditions for young people to engage in risky addictive behaviors.

Although drug-induced tolerance and abstinence syndrome are less common in adolescents, they are more likely to abuse drugs and engage in destructive behavior as a major manifestation of the subclinical period of drug onset.

As we can see, drug addiction can be a combination of both disease (which has specific biological predispositions) and (without biomedicines) the combined integrity of drug use habits.

We believe that an adequate understanding of the peculiarities of the biological and psycho-social foundations of drug addiction, the identification of fixed attitudes towards drug addiction in the subconscious of the human psyche and the matching of the characteristics of the addict Taking into account the context of general education in the field of prevention allows us to define an effective state policy in managing the problems caused by drug-related harm and the scale of supply.

Keywords: Genesis of drug addiction, Influence of learning motivations in adolescence, Complete correction of addictive behavior, resocialization of drug addicts, primary prevention of drug use.

ელექტორალური ქვეყნის ასაკობრივი და გუნდობრივ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები

*ლევან თსიცი, ასტკინებელი პბთფესთბი
საქარბველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*გიორგი მუსხელიშვილი, დოქტორანტი
საქარბველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სოციალიზაციის გზაზე შემდგარი ადამიანის არა მარტო ინდივიდუალურ დონეზე წარმოშობილი ცხოვრებისეული პრობლემების გამკლავების მექანიზმის ახსნა, არამედ შესწავლა მთელი რიგი ისეთი საკითხებისა, რომლებიც ხელს უწყობენ პიროვნების აღზრდასა და ჩამოყალიბებას, რათა მან დაიმკვიდროს ადგილი სოციუმში და ეს ყველაფერი მოხდეს დაუგვიანებლად, დროში მყარად გათვლილ მონაკვეთში, რადგანაც დაგვიანებულმა სოციალიზაციამ შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს, აპათიის ჩათვლით, რადგან საზოგადოების გავლენის გარეშე სოციუმის წევრად გახდომა შეუძლებელია. სოციალიზაციის წინაშე 2 უმთავრესი ამოცანა დგას: 1 - მიაღწიოს ადამიანის ფიზიკურ გადარჩენას როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ასპექტით და 2 - მზრუნველობა გამოიჩინოს და ყველას გააგებინოს რაში მდგომარეობს საზოგადოების მიერ მიღებული ნორმები, რათა მან მოახდინოს მასში ადაპტირება. ამ საკითხში უმთავრესია დამლეული იქნეს მის წინაშე წარმოშობილი პრობლემები, რის შემდეგაც პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით იგი სოციალიზირებულად მიიჩნევა და მას არ გაუჭირდება თავისი ქცევების მისადაგება საზოგადოების მოთხოვნებისადმი.

სოციალიზაციის სრულყოფის გზაზე პოლიტოლოგიური მიდგომა უფრო რაციონალურ გათვლასთან არის კავშირში და სხვა და სხვა დეტერმინანტებს გამოარჩევს საარჩევნო კომპანიის დროს, მაგალითად, აქ გამოსაყოფია ისეთი პოსტულატები, როგორიცაა პოლიტიკური რეიტინგი, პოლიტიკური ლიდერის ავტორიტეტი, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება, პიროვნული მახასიათებლები, რეგიონის ძირითადი საქმიანობის სფერო, ბუნებრივი გარემო, ეთნიკური შემადგენლობა და ა.შ.

განხილულია სოციალიზაციის სრულყოფის ასაკობრივი თავისებურებანი, რომელიც პოლიტიკური და სოციალური ასპექტით მრავალნაირი პრიზმით განისაზღვრება ჩვენი კვლევის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ახალშობილის პირველივე დღიდან იღებს სათავეს და ფორმირებას იწყებს.

კვლევის ძირითად სამიზნეს ელექტორალური ქცევის შესწავლა წარმოადგენს, ხოლო პოლიტიკური პროცესის დემოკრატიზაცია ყოველთვის ზადებდა კითხვას, რატომ ღებულობენ ამომრჩეველები არჩევნებში მონაწილეობას და რის სანაცვლოდ აძლევენ ისინი ხმას. ამის ანალიზისას სოციოლოგ მკვლევართა ერთი ნაწილი ფოკუსირება ხდება ე.წ. სოციო - ეკონომიკურ დეტერმინიზმზე, სოციალურ პრეფერენციაზე, რომელიც მოიცავს ადამიანის სოციალურ სტატუსს, სქესს, ასაკს, რასასა და სხვა ბუნებრივ-გეოგრაფიულ მახასიათებლებს, შორის მჭიდრო გენეალოგიურ კავშირსა და ურთიერთ დამოკიდებულებას.

საკვანძო სიტყვები: ელექტორალური ქცევა, ფსიქოლოგიური მახასიათებლები, დეტერმინიზმი, ასაკობრივი და ბუნებრივი თავისებურებები, განწყობის თეორია, სოციალიზირებული, პოსტსაბჭოთა სივრცე, რეგიონის ძირითადი საქმიანობის სფერო, ეთნიკური შემადგენლობა, ბუნებრივი გარემო, პოლიტიკური რეიტინგი, ზიგმუნდ ფროიდი, ფსიქონალიზი, სოციო-ეკონომიკური ფაქტორები, კოგნიტური განვითარების თეორიები, ფოკუსირება.

შესავალი

ანტიკურ ხანაში არისტოტელე დიდ ყურადღებას ანიჭებდა პროფესიონალიზმს, რადგანაც ასეთ ადამიანებს შეეძლოთ თავისი მიზნის მიღწევა და ერთადერთი სავალდებულო საგანი ყველასათვის იყო პოლიტიკა, რადგან მათ მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად ყალიბდებოდა სახელმწიფო იდეოლოგია, რომლის გარეშეც სახელმწიფო ვერ ფუნქციონირებს. თუ ხელისუფალი თავადაა ინტელექტუალი, იგი ყოველთვის თავის გარშემო შემოიკრებს არა მმართველი პარტიის მაქებარ მედროვეებს, ე.წ. ყვარყვარე თუთაბერებს, არამედ პროფესიონალებს და მათ ფუნქციურად დატვირთავს, ქვეყნის სამსახურში ჩააყენებს და მტრად არ შერაცხავს. დღევანდელ ხელისუფალს უნდა გააჩნდეს ძალა მოკეთებების გამრავლების საქმეში. მისი პრაქტიკული პოლიტიკა უნდა გასცილდეს ვიწრო პარტიულ ინტერესებს და „მმართველი კლასის“ იდეების ერთობლიობად

ჩამოყალიბდეს და დიდი როლი შეასრულოს სამოქალაქო საზოგადოების სრულყოფისა და სოციალიზაციის პროცესების სრულყოფის საქმეში.

აქსიომაა, რომ ნებისმიერი კვლევა, რომელიც სამეცნიერო სივრცეში შემოდის საპოლემიკოდ, მითუმეტეს, როდესაც საუბარია არჩევნებზე, რომელიც მოიაზრება დემოკრატიული მმართველობის საკვანძო მოვლენად და პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად, აუცილებელია თავსდებოდეს რომელიმე თეორიულ ჩარჩოში, რომელზე დაყრდნობითაც მკვლევარს მიეცემა საშუალება პოლიტოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ პრინციპებსა და მეცნიერულ მეთოდებზე დამყარებული პროგნოზები შემოგვთავაზოს ხმის მიცემის შედეგების თაობაზე, რაც ლიბერალურ დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკური სოციალიზაციისა და მონაწილეობის ძირითად ფორმად მიიჩნევა. რა თქმა უნდა, ეს ისეთი პროცესია, როდესაც საქმე არა გვაქვს ერთხელ ჩამოყალიბებულ მუდმივმატრიცასთან, როგორც აქსიომასთან, არამედ ეს არის მუდმივად ცვლადი პოსტულატი. არსებობს მყარი შეგნების მქონე ელექტორატი, რომელიც მუდმივად სოციალიზირებადი და აქტიურია, ანუ პოლიტიკურ პროცესებში თავის პოზიციას აფიქსირებს და ამით ადასტურებს, რომ ის არის პოლიტიკის სუბიექტი. მის გვერდით არსებობს სრული ანტიპოდი, რომელიც არასოდეს აფიქსირებს თავის პოზიციას და შესაბამისად პასიურია. როგორც წესი, ამგვარი ელექტორატის კვლევას არავინ ცდილობს, ირაციონალურობის გამო. დაგვრჩა ის ჯგუფი, რომელიც მერყეობს, რომელიც ზოგჯერ მიდის არჩევნებზე და ზოგჯერ არა, შესასწავლია სწორედ ეს ფენომენი, რომელიც ქვევის ცვლილებასთანაა კავშირში. ერთი შეხედვით, ჩვენ ამ საკითხში განებივრებული ვართ ქართველი მკვლევარებით, რომელთა შორის აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ დიმიტრი უზნაძე თავისი განწყობის თეორიიდან გამომდინარე დასკვნებით, რომელიც ძალიან ახლოსაა იმ მყარად ფორმირებად პროცესებთან და რაციონალური გადაწყვეტილების მიღებაში გვეხმარება.

უდავოდ საინტერესოა იმის გაანალიზება, თუ რა ფაქტორებზეა ეს პროცესი დამყარებული და როგორ ინდივიდუალურ მიდგომებზე უნდა გაკეთდეს ფოკუსირება ამგვარი კატეგორიის ელექტორატის ქცევის ასახსნელად, ეს ცალკე კვლევის საგანია და მასში მოიაზრებთ ამომრჩევლის ინდივიდუალურ სუბიექტურ განწყობას და დამოკიდებულებას ხარიზმატული ხასიათისა და გარეგნულ ეფექტების მქონე რომელიმე პარტიის ძველ ან ახალ ლიდერთან, რადგანაც ძალიან ბევრ შემთხვევაში ეს ფაქტორი განმსაზღვრელია ელექტორალური ქცევის ფსიქოლოგიური მიდგომის განსაზღვრის საქმეში. [1]

ძირითადი ნაწილი

ჩვენ განსახილველად რაციონალური არჩევანის თეორია დავისახეთ, რომელიც მოცემულია ენტონი დაუნსის ნაშრომში: „An Economic Theory of Democracy“, [2] იგი მთლიანად დაფუძნებულია ნიკოლო მაკიაველის სახელთან დაკავშირებულ პოლიტიკის თეორიაში გაფეტიშებულ მიზანთან, რომელთანაც მისასვლელი ნებისმიერი გზა და საშუალება გამართლებულია და აქ უპირველესი აქცენტი რაციონალურობაზე მოდის და იგი განიხილება როგორც დაშვება, რომლის მეშვეობითაც ამომრჩევლები და პოლიტიკოსები მოქმედებენ თავიანთი გარდაუვალი ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური ინტერესებით, რომელიც ფოკუსირდება მთავრობის არჩევისა და ფორმირების ირგვლივ.

ამ თეორიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რაციონალური მიდგომის წყალობით ელექტორატი აკეთებს გონებრივად გათვლილ ანგარიშს, ანუ მან დაახლოებით იცის რა შედეგი უნდა იხილოს არჩევნების შემდეგ და რომელი საკითხის გადაწყვეტაა მისთვის პრიორიტეტული ცალკეული კონკრეტული პარტიებისა და პოლიტიკოსების უხვად გაცემული დაპირებების თუ შესაძლებლობების ფონზე.

სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ირკვევა, აქცენტი მიჩიგანის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის მიერ 1948 წლიდან მოყოლებული განხორციელებულ პროექტებზეა, რომელიც მსგავსი პრობლემების, კერძოდ ელექტორალური ქცევის თავისებურებებს იკვლევს ფსიქოლოგიური ასპექტით და ეს ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერი-სახელმწიფოს წარმომადგენლებისათვის მნიშვნელოვანი და მისაღებია, რადგანაც ჩვენ ძირითადში ვართ პატრიმონალური საზოგადოება და ჩვენი ძირითადი აქცენტები და პოლიტიკური აფილაციები კეთდება ოჯახზე, რელიგიურ მრწამსზე, რომელიც თაობიდან თაობას ოჯახების შიგნით გადაეცემა და ერთგვარ ტრადიციადაცაა გადაქცეული. აქვე დავსძენთ, რომ მარტო ამ ფაქტორის გამო არ იპყრობს ამ სამეცნიერო ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევები ყურადღებას, რომლებიც გამორიცხავენ რაიმე ვალიდურ კავშირს ოჯახების შიგნით წარმოშობილ პრობლემებსა და ადამიანის ტრადიციულ პერსონალურ თვისებებს შორის. ამგვარი დეფინიციის ქვეშ მოიაზრება ახალგაზრდა შვილების ერთგვარი შინაგანი პროტესტი, აჯანყება მშობლების წინააღმდეგ, რომელიც ძალზე იშვიათადაა პოლიტიკასთან კავშირში, რადგანაც შვილებს არ აინტერესებთ აქტიური ელექტორატის რანგში ყოფნა, ასე ვთქვათ, ეს პროცესი იმდენად პერიფერიულია, რომ ამასზე სერიოზულად არავინ ფიქრობს, განსხვავებით ჩვენი ქვეყნისა, სადაც ყველა პოლიტიკოსობს

და მსგავს ნიადაგზე არა ერთ შეხლა-შემოხლას ჰქონია ადგილი. ეს საკითხი ჩვენთან, ისევე როგორც ბევრი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნისათვის ყოფითი პრობლემებით შემოიფარგლება და ლამის პიროვნული კონფლიქტის დონეზეა დაყვანილი, თუ არ ჩავთვლით ერთპარტიულობიდან მრავალპარტიულობაზე გადასვლის პირველ მტკიცებულ გარდამავალ პერიოდს, როდესაც ოჯახებს შიგნით წარმოშობილი დავა პოლიტიკურ საკითხებზე ძალზე ხშირად სისხლიან გარჩევებამდე მიდიოდა არა მარტო ოჯახებს შორის, არამედ უზნებს, სამშვიდობოებსა და სხვა ათასი ჯურის პოლიტიკურ თუ კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის. ეს ცალკე კვლევის საგანია და შესაბამის ავტორს ელოდება მომავალში.

ჩვენი ქვეყნის რეალობიდან თუ დავუბრუნდებით ამერიკელი ელექტორატის დემოკრატიის განმსაზღვრელ პარამეტრებს, ისინი ამტკიცებენ, რომ მეკვიდრეობით დასაშვებია და ასეც ხდება, რომ შვილები მშობლებისა და წინაპრებისაგან იღებენ გარკვეული პოლიტიკური მიკუთვნებულობის ნიშნებს, მაგრამ ეს არაა პანაცეა და გარკვეული მოვლენებისა და ფაქტების შედეგად ადამიანმა შეიძლება შეიცვალოს თავისი პოლიტიკური მრწამსი და მიკუთვნებულობა, რაშიც მინიმალური როლი მიუძღვით პარტიულ პოლიტიკურ იდეოლოგიებს, პოლიტიკური ბატალიების მონაწილე კანდიდატების საჯაროდ გაცხადებულ დაპირებებს, პირიქით, წინა პლანზეა წამოწეული ამომრჩევლის პოლიტიკური იდენტიფიკაციის მსგავსი პრობლემები, როგორც ეს ავტორებს აქვთ ნახსენები. [3]

ისტორიულ ფაქტებს თუ მოვიხმობთ, წინა საუკუნის შუა წლებში, როდესაც დღის წესრიგში საბჭოთა სისტემასთან დაპირისპირება და იმ გზების ძიება იყო დასახული, რომელსაც უნდა უზრუნველყო ელექტორატის არა მარტო პოლიტიკური, ასევე სოციოლოგიური ქცევის ანალიზი, რითაც ადვილი გახდებოდა სოციოლოგიური მოდელის შექმნა და კვლევის ინსტრუმენტად კითხვარი შეიქმნა, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნებს შეეხებოდა და გამოიცა სახელწოდებით „The people's choice“, პოლ ლაზარფელდას ავტორობით. კვლევის მიზანი იყო ამომრჩევლის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე - რა როლი აკისრია მედიას და ამ საკითხების ირგვლივ მსჯელობა მიმდინარეობდა პანელურად - 600 მხრდამჭერთან ერთად, რომელსაც თვეში ერთხელ, შვიდი თვის განმავლობაში ჩამოერთვა თითო, ანუ საბოლოო ჯამში - 7 ინტერვიუ, რომლის შემდეგაც კვლევაში მონაწილე პირები პირობითად დაიყვნენ სამ ჯგუფად: პირველში - ვისაც გადაწყვეტილება არჩევნებამდე ჰქონდათ მიღებული, მეორეში - რომელთაც გადაწყვეტილება მიიღეს საარჩევნო პროცესში და მესამეში ისინი, ვინაც გადაწყვეტილება

მიიღეს საარჩევნო კომპანიის დასასრულ ბოლო ხმის მიცემის ეტაპზე.

თეორიული თავდაპირველი გათვლა - ანუ ჰოპოთეზა შეიცავდა დასკვნას, რომ ელექტორატის პერსონალური და ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებაზე დიდ ზემოქმედებას ახდენდა ამომრჩევლის კონტაქტი მედიასთან. ამ კვლევამ საპირისპირო შედეგო დადო, რომლის მიხედვითაც მედია მინიმალურ ზეგავლენას ახდენს არჩევნების პროცესზე, სადაც დომინანტია სოციალური გარემო, რომელშიც უხდება ამომრჩევლს ძირითადი დროის გატარება. ყოველივე ამის თაობაზე შეიძლება გავცნოთ 1944 წ. გამოცემულ: „The people's choice“ (Lazarsfeld, Berelson and Gaudet), და 1954 და 1955 წ. გამოცემულ ან-გარიშში: „Voting (Berelson, Lazarsfeld and McPhee,) და „Personal Influence,“ (Katz and Lazarsfeld). [4]

ყოველივე ზემოთ თქმულმა მიგვიყვანა გარკვეულ დასკვნებამდე, ანალიზის მთავარ და უცვლელ მიგნება - კომპონენტად ჩაითვალა: ძირითადში ამომრჩეველი მაინც რჩება თავდაპირველ გადაწყვეტილებაზე და არ იცვლის პოზიციებს, 600-დან 54-მა შეიცვალა. რის შედეგადაც ელექტორატის გადაწყვეტილების წინასწარი განსაზღვრის ოთხი კომპონენტი სამზე იქნა დაყვანილი: სოციალურ - ეკონომიკური სტატუსი, საცხოვრებელი ადგილი და რელიგიური მიკუთვნებულობა, ხოლო იმ 54 ამომრჩევლს თავიანთი თავდაპირველი არჩევანი შეაცვლევინა არა რომელიმე კანდიდატის პროგრამების ანალიზმა, არამედ იმ სოციალური ჯგუფის ზეგავლენამ, რომელსაც ადრე მიეკუთვნებოდნენ.

ეკვსგარეშეა, რომ სოციალიზაციის პროცესი ურთულესია და მასში ინტეგრაცია ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ჩვენი აზრით, პირველი ადგილი ჩამონათვალში სოციალ-ეკონომიკური კუთვნილებას უკავია, რომელშიც მოიაზრება ინდივიდის სტატუსი, საცხოვრებელი ადგილი, ასევე რელიგია, რასა და ასაკი. ამ ფაქტორთა ერთობლიობა წინასწარ შეამზადებს და ზემოქმედებას ახდენს ადამიანის პოლიტიკურ პრეფერენციებზე, ე.წ. ერთგვარ პერსერვერაციაზე, რომელიც აკვიატების მსგავსი გადაცემის მექანიზმებს შეიცავს და პოლიტიკური განწყობა გადადის თაობებზე და ამ გზით იგი ნარჩუნდება. ამის თაობაზე თავიანთ კვლევებს გვთავაზობენ ჩიკაგოს უნივერსიტეტის არა ერთი მკვლევარი. [5]

ავტორები გამოყოფენ სამ ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს, ესენია: ჯგუფებად დიფერენცირება საზოგადოების შიგნით, მათი ურთიეთ გამტარობა, ანუ ტრანზიტულობა და მესამე - კონტაქტი ერთმანეთის ჯგუფებს შიგნით. ამ ფაქტორთა ერთობლიობა განაპირობებს პოლიტიკური შეხედულებების მემკვიდრეობით გადაცემას

მათ მიერ კონტროლირებად სოციალურ სივრცეში.

უპრინანია განვიხილოთ სოციალიზაციის ასაკობრივი თავისებურებანი, რომელიც პოლიტიკური და სოციალური ასპექტით მრავალნაირი პრიზმით განისაზღვრება და ჩვენი კვლევის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ახალშობილის პირველივე დღიდან იღებს სათავეს და ფორმირებას იწყებს, რაოდენ გასაკვირი უნდა იყოს ეს. პირველი წელი, ფსიქოლოგთა გადაწყვეტილებით, ძირითადად ნდობისა და უნდობლობის ფაქტორითაა განპირობებული და მარტო ინსტინქტური ინტუიციით შემოიფარგლება. ამას გარდაუვლად მოჰყვება შემდეგი ეტაპი, რომელიც სასტარტო პოზიციით საკუთარ შესაძლებლობებში დაქვევებით ან „ძალაუფლების“ განცდის ავტონომიურობითაა შემოფარგლული. შეგახსენებთ, ამ ეტაპზე დიდი ყურადღებაა გასამახვილებელი ფიზიკური და გონებრივი სწრაფვის ნორმირება-კონტროლზე, რათა ფიზიკური უხეში ტრამირება იქნეს გამორიცხული, რომელსაც, როგორც წესი, შედეგად შიშის ფაქტორის გააქტიურება მოსდევს და მტკივნეულად გადასალახია. შემდეგი 3-5 წლის ასაკი - მოზარდისათვის საზოგადოებაში სოციალიზაციის საწყისი ეტაპია და იგი ბაგა-ბაღის და საბავშვო ბაღის წლებს მოიცავს. აქ წამყვანი თემაა ინდივიდუალური ინიციატივის გამოჩენა და მას თვითდამკვიდრების გზაზე ტრიუმფალური გამარჯვებების მიღწევისა და საკუთარი ბრალეულობის განცდა ეუფლება, ანუ ბავშვი ცდილობს გამარჯვების შემთხვევაში ყველაფერი ან თავის თავზე მიიწეროს, ანდა პირიქით, ყველაფერი უიღბლობას გადააბრალოს და საკუთარ თავში ლიდერის სამომავლო პერსპექტივებს კლავს. საკუთარი თავის დადანაშაულება მას მომავალში გზას უხშობს ეძებოს ოპტიმალური გამოსავალი, ამიტომ აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს გვერდით მყოფი უფროსი, თავისი მოთმინებითა და თანადგომით ურჩიოს სწორი მიმართულებით სიარული, რათა დაიძლიოს წარმომოხილი წინააღმდეგობანი. დგება 6-10 ახალი ეტაპის, სასკოლო ფორმატის დაწყებითი საფეხურის წლები და აქაც ორი უკიდურესობაა მოსალოდნელი. გასავითარებელია მიღწევები და დასაძლევია წინა პერიოდის დროს შექმნილი და გადაულახავი ნაკლი, რომელიც იგნორირების შედეგად შესაძლოა არასრულფასოვნების კომპლექსად ჩამოყალიბდეს და მისი დაძლევა საბოლოოდ შეუძლებელი გახდეს.

მკვლევარები განსაკუთრებით გამოყოფენ შემდეგი 11-21 წლების ე.წ. ძირითად პერიოდს, ესაა საკუთარი იდენტობის სრულყოფილად შეცნობა-ჩამოყალიბებისა და პიროვნული ვინაობის ჩამოქნის წლები, როდესაც თანამედროვე ადამიანი თავის შეუცნობადი თუ შეცნობადი ნიშანთვისებებით არა მარტო ოჯახის შიგნით, ასევე

მის გარეთ მკვიდრდება და ეძებს ნავთსაყუდელს, ადგილზე ჩაუშვას ღუზა თუ პირიქით, ეძიოს ახალი ჰორიზონტები საკუთარი ოჯახის გარეთ. მოზარდს იდენტობა ეხმარება საკუთარი ეგოს შეცნობასა და ადგილის დედის ძიებაში, სადაც მისი როგორც ნაციის შემადგენელი პიროვნული მახასიათებელი ძირითადი ბირთვის ფორმირება- ჩამოყალიბება ხდება, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად გაჰყვება და მისი შეცვლა მოითხოვს უდიდესს ძალისხმევას, რაც, ჩვენი მტკიცებით ყველას არ შეუძლია განხორციელოს.

ქრონოლოგიურად ფსიქოლოგები 22-35 წელს ადამიანებთან სიახლოვის წლებად მიიჩნევენ, როდესაც ინდივიდები ახერხებენ არა მარტო პროფესიული ნიშნით ზრდასა და დამკვიდრებას, არამედ სამომავლო პროფესიული პერსპექტივების დასახვას და გარანტირებული მყარი ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმების მოძიებასა და საფუძვლის ჩაყრას.

აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასაკის მატებასთან ერთად 36 – 65 წლები ქმედითუნარიანობის, ან სტაგნაციის წლებადაა მიჩნეული, გააჩნია წინა პერიოდებში რომელი ნიშის მატარებელი და გამტარი იყო იგი. ესაა ყველაზე უფრო ნაყოფიერი ხანა, როდესაც ხდება სოციალიზაციისა და რესოციალიზაციის პროცესში სრული ფორმატით ჩართულობა, ანდა პირიქით, გააჩნია როგორი პოლიტიკური და სოციალური დატვირთვის დემოკრატიულ ინსტიტუტში უხდება იმ პროცესებში მონაწილეობა, რომელიც თუ ძირითადად ტოტალიტარულ გარემოში მიმდინარეობს, მაშინ სრულყოფილად ხერხდება ინდივიდის ქცევის გაკონტროლება. ეს წლები წინა პერიოდის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების ერთგვარი შემაჯამებელი და ერთი შეხედვით საეტაპო წლებადაა მიჩნეული და სოციალიზაციის ასპექტით პროდუქტიულია. აქ აკუმულირდება ყველაფერი, რისი შესწავლაც ინდივიდმა მოახერხა და მასში დაილექა, თავისი დადებითი და უარყოფითი კომპონენტებით.

მივადექით ასაკს, რომელიც 65 წელს და მის ზემოთა პერიოდს განსაზღვრავს. თეორეტიკოსები, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევიან ფსიქონალიტიკოსები, მას ინტეგრირებულობით ან სტაგნაციის სახელით მოიხსენიებენ. რესოციალიზაციის გზაზე შემდგარი ინდივიდისათვის უმთავრესი და განმსაზღვრელია ის ინსტიტუტები, რომლებიც გამოირჩევიან თავისი შინაგანი ძალით, რომლის მეშვეობითაც ხდება არა მარტო კონკრეტული პირის და მისი გარემომცველი წრის გაკონტროლება, სადაც უხდება ახალი უნარ-ჩვევების შექმნა-ჩამოყალიბება-ადაპტაცია, ანუ საკუთარი მე-ს ძირითადად ახალ რეალობაში

მოაზრება საკუთარი კონფორმულობის გათვალისწინებით. [7]

თუკი ჩვენი მიზანი კვლევების ჩატარებაა, ინდა შეგვეძლოს სოციალიზაციის გზაზე შემდგარი ადამიანის არა მარტო ინდივიდუალურ დონეზე წარმოშობილი ცხოვრებისეული პრობლემების გამკლავების მექანიზმის ახსნა, არამედ მთელი რიგი ისეთი საკითხების შესწავლა, რომლებიც ხელს უწყობენ პიროვნების აღზრდას, ჩამოყალიბებას და სოციუმში ადგილის დამკვიდრებას. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს დაუფიანებლად, დროში მყარად გათვლილ მონაკვეთში, რადგანაც დროში შეყოვნებულმა სოციალიზაციამ შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს, აპათიის ჩათვლით, რადგან საზოგადოებაში გავლენის მოპოვების გარეშე სოციუმის წევრად გახდომა შეუძლებელია. თეორიულად - სოციალიზაციის წინაშე 2 უმთავრესი ამოცანა დგას: 1 - მიაღწიოს ადამიანის ფიზიკურ გადარჩენას როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით და 2 - მზრუნველობა გამოიჩინოს და ყველას გააგებინოს საზოგადოების მიერ მიღებული ნორმების არსი, რათა მან მოახდინოს მასში ადაპტირება. ამ საკითხში უმთავრესია დაძლეული იქნეს ისეთი ნორმები, რის შემდეგაც პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით იგი სოციალიზირებულად მიიჩნევა და მას არ გაუჭირდება თავისი ქცევების მისადაგება საზოგადოების მოთხოვნებისადმი. აქ თავისი სიტყვა სწავლების პროცესმა უნდა თქვას, რომელმაც უნდა მოახდინოს პიროვნების სრულყოფილი აღზრდა და ჩამოყალიბება, რითაც შეამზადოს ნიადაგი სოციალიზაციის პროცესში მის ჩასართველად, ბუნებრივია, ჩვენს შემთხვევაში ძირითადი აქცენტები არჩევნების პროცესში ჩართულობაზე იქნება გაკეთებული, რადგანაც იგი ქვეყნის დემოკრატიულობის მაჩვენებელი და საერთაშორისო იმიჯის განსამტკიცებელი ძირითადი სავიზიტო ბარათია, ხოლო კონკრეტულ პროცესში ჩართვა საზოგადოების თითოეულ წევრს სჭირდება საკუთარი მიზნების, ამოცანებისა და ამბიციების დასაკმაყოფილებლად. ამის მისაღწევად პიროვნებამ, ანდა მენეჯერმა დიდი ძალისხმევა უნდა წარმართოს სოციუმის მოთხოვნებისა და ამოცანების არა მარტო დასასწავლად, არამედ სამომავლო ეფექტური გადაწყვეტის გზების საძიებლად. [8]

რადგანაც ჩვენი კვლევის ძირითადი სამიზნეს ელექტორალური ქცევის შესწავლა წარმოადგენს, ხოლო პოლიტიკური პროცესის დემოკრატიზაცია ყოველთვის ბადებდა კითხვას, რატომ ღებულობენ ამომრჩევლები არჩევნებში მონაწილეობას და რის სანაცვლოდ აძლევენ ისინი ხმას. ამის ანალიზისას სოციოლოგ მკვლევართა ერთი ნაწილი

ფოკუსირება ხდება ე.წ. სოციო - ეკონომიკურ დეტერმინიზმზე, სოციალურ პრეფერენციაზე, რომელიც მოიცავს ადამიანის სოციალურ სტატუსს, სქესს, ასაკს, რასასა და სხვა მახასიათებლებს შორის მჭიდრო გენეალოგიურ კავშირსა და ურთიერთ დამოკიდებულებას.

მეცნიერული თვალთახედვით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტოლოგიური მიდგომა უფრო რაციონალურ გათვლასთან არის კავშირში და სხვა და სხვა დეტერმინანტებს გამოარჩევს საარჩევნო კომპანიის დროს, მაგალითად, აქ გამოსაყოფია ისეთი პოსტულატები, როგორცაა პოლიტიკური რეიტინგი, პოლიტიკური ლიდერის ავტორიტეტი, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება, პიროვნული მახასიათებლები, რეგიონის ძირითადი საქმიანობის სფერო, ბუნებრივი გარემო, ეთნიკური შემადგენლობა და ა.შ.

დასკვნა

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ დასახული მიზნის მიღწევის გზაზე, სადაც უნდა გამოგვეკვეთა ელექტორალური ქცევის ასაკობრივი და ბუნებრივ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები გვერდი ვერ აუჯარეთ ზოგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორიის ძირითად აქტორებს. ამ კუთხით მოვიხმობთ მის ნაშრომს: „მასების ფსიქოლოგია და კაცობრიობის ანატომია“, რომელშიც ავტორს არა ერთი საყურადღებო აქცენტი აქვს გაკეთებული პიროვნების ფსიქოსოციალური დასწავლისა და განვითარების თვალსაზრისით. კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი აქცენტები უნდა წარმართოთ არა კოგნიტური განვითარების თეორიებზე, არამედ საარჩევნო პროცესის ისეთ სრულყოფილ ანალიზზე, რომელმაც საბოლოოდ უნდა მიგვიყვანოს კონკრეტულ პოსტულატამდე, რამაც უნდა უზრუნველყოს კოგნიტური რუკების შედგენა არა მარტო დიდი რეგიონების, არამედ კონკრეტული ოლქის, უბნებისა და კორპუსების ჩათვლითაც კი, რითაც მოხდება ელექტორატის სამომავლო ქცევის გაკონტროლება და მისი გარკვეულ კალაპოტში მოქცევა-ლავირება, რაოდენ არადემოკრატიულად და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვად არ უნდა ჩავთვალოთ ეს პროცესი და ეს რომ განხორციელდება, ეჭვს არ იწვევს, ისე სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომ ათეული წლის წინ თუ რაიმე წარმოუდგენლად მიგვაჩნდა, დღეს იგი რეალობადაა ქცეული. პრობლემას წარმოადგენს ადამიანური აღქმისა და მიმდევრობის ფაქტორები, როგორ მიიღებს მას თანამედროვე ინდივიდი, ანდა უარყოფს მას საერთოდ. ამისათვის ბევრი რამაა გასაკეთებელი და მოსაწესრიგებელი: პირველ რიგში უნდა ვასწავლოთ და აღვჭურვოთ იგი თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და

უნარ-ჩვევებით, ანუ მას თეორიულად უნდა ჰქონდეს გავლილი ყველაფერი, რის მიღწევასაც სამომავლოდ შეეცდებით. ფროიდის მიხედვით, თუ პიროვნების სამი სისტემური ნაწილი: იდი, ეგო და სუპერეგო არის წარმმართველი, რომელთაგან აქ ჩვენთვის გამოსაყოფია პირველი - იდი, ფიზიკური ენერჯის წყარო და ბიოლოგიური

მოთხოვნილებების შემცველი, რომელიც ორმაგი მიზნით საზრდოობს, ესაა აირიდოს ტკივილი და მიიღოს სიამოვნება, რაც ძირითადად წარმოსახვით მიიღწევა, რომლის გარეშეც ფონს უმტკივნეულოდ ვერ გავალთ, მაგრამ ჯერჯერობით უკეთესი რეცეპტის შემოთავაზებას ვერ ვახერხებთ და იგი სამომავლო დროისა და კვლევის ობიექტია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. გვენეტაძე, ლ. ოსიძე; უთანასწორობის ზოგიერთი საკითხი პოსტსაბჭოთა სივრცეში; მე-11 საერთაშორისო პოლიტ-ეკონომიკის კონფერენციის მასალები, მარმარის უნივერსიტეტი, სტამბული, თურქეთი, 24-25 ივნისი, 2020
2. დიმიტრი უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგია, თბ., 2018, გვ.12
3. Anthony Downs; „An Economic Theory of Democracy“; გვ.13
4. „The American Voter“, (Campbell, Converse, Miller and Stokes, 1960), გვ.14
5. The people’s choice (Lazarsfeld, Berelson and Gaudet, 1944), Voting (Berelson, Lazarsfeld and McPhee, 1954) და Personal Influence (Katz and Lazarsfeld, 1955), გვ.15-16
6. Campbell Angus. Converse Philip E., Miller Warren E., Stokes Donald E.. „The American Voter“. The University of Chicago Press. 1960
7. გერიგი რ., და ზიმბარდო, ფ., ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბილისი, თსუ, (2009), გვ.17 - 18
8. ნ. ოსიძე - გენდერული სტერეოტიპები და სოციალური განწყობები დასაქმების სფეროში, სადოქტორო დისერტაცია, სტუ, თბ., 2019, გვ.19, 46
9. გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ. (2009). ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბ., თსუ, გვ. 20 - 21
10. Socialization, <http://www.britannica.com/topic/socialization> (17.09.2019), გვ.22
11. http://reportiori.ge/inside.php?menuid=74&id=104591&fbclid=IwAR3qzbx9-vjlyFBak-bcGwf_pqEN6ou1NzurxJhMw3LbVbDCRWcYnNM6mU (22.04.21). ლ. ოსიძის ინტერვიუ საინფორმაციო სააგენტო „რეპორტიორთან“.

Age-related and natural-psychological characteristics of electoral behavior

*Levan Osidze, Associate Professor
Georgian Technical University*

*Giorgi Muskhelishvili, PhD student
Georgian Technical University*

Summary

We consider it expedient not only to explain the mechanism of dealing with the life problems of a person on the path of socialization, but also to study a number of issues that contribute to the upbringing and formation of a person so that they can take a place in society soon enough, because delayed socialization can lead to irreparable consequences, including apathy, because it is impossible to become a member of society without the influence of others. There are 2 main tasks facing socialization: 1 - to achieve physical survival of a person both economically and politically, and 2 - to take care of others and make everyone understand what the norms adopted by society are, so that they can adapt to it. The main thing in this matter is to overcome the problems that have arisen in front of them, after which they are considered socialized in terms of political culture, and they will not find it difficult to adapt their behaviors to the demands of society.

The political approach to perfecting socialization is linked to a more rational calculation and distinguishes different determinants of the election campaign, for example, postulates such as political rating, political leader authority, domestic and foreign political situation, personal characteristics, main areas of activity in the region, natural environment, ethnic composition, etc., should be distinguished.

The age peculiarities of the perfection of socialization, which are determined from various political and social aspects through the prism of our research, starting from the very first day of the newborn, the beginning of formation, are reviewed.

The main focus of the research is the study of electoral behavior, and the democratization of the political process has always raised the question as to why voters participate in the elections and what they get in return. While analyzing this specific topic, one part of the sociological researchers focuses on the so-called Socio-economic determinism, a social preference that includes a person's social status, gender, age, race, and other natural-geographical characteristics, as well as close family ties and interdependencies.

keywords: Electoral Behavior, Psychological Characteristics, Determinism, Age and Natural Characteristics, Mood Theory, Socialized, Post-Soviet Space, Main Area of Activity, Ethnic Composition, Natural Environment, Political Rating, Sigmund Freud, Psychoanalysis, Socio-Economic Factors, Cognitive Development theories, Focusing.

სოციალური სამსახური პენიტენციურ სისტემაში, როგორც დანაშაულის პენიტენციური სისტემის საფუძვლები

ზურაბ რუხაია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში განიხილება სოციალური სამსახური პენიტენციურ სისტემაში, როგორც დანაშაულის პრევენციის საშუალება. პენიტენციურ სისტემაში სოციალური სამსახური მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს, რადგან ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულებმა გააცნობიერონ, რომ სახელმწიფო მათ მიერ იკავებს შემწყნარებლურ პოზიციას სასჯელის გამოტანისას, რომელიც მათ დევსრათ, რადგანაც ეს სასჯელი არ ითვალისწინებს საზოგადოებისაგან იზოლირებას. ზომების მთელი რიგის გამოყენება იმ პირების მიმართ, რომლებმაც გადალახეს მოქმედი კანონმდებლობის ზღვარი, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ პირებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის.

თანამედროვეების ერთ-ერთი აქტუალური საკითხია დანაშაულის პრევენცია, განმეორებითი დანაშაულის ჩათვლით. ამჟამად შეიმჩნევა თავისუფლების აღკვეთის შემცირების ტენდენცია სასჯელის სხვა ზომების შემოღებით, რომელთა ფონზე ფართოდ გავრცელდა სასჯელის ისეთი ზომა, როგორიცაა გამოსაცდელი ვადა. ღონისძიებას, რომლებიც სოციალური სამსახურის ძირითადი პრინციპებს წარმოადგენს შემდეგია: ჰუმანურობა, სამართლიანობა, კანონიერება. ეს არის პრინციპები, რომლებსაც შეიძლება სხვაგვარად მორალურ-ჰუმანისტური უწოდოთ და ეწინააღმდეგება ადრე არსებულ სადამსჯელო-რეპრესიულ პრინციპებს. სასჯელის ასეთი ზომიერი ღონისძიების მნიშვნელობა მდგომარეობს არა თავად სასჯელში, არამედ მსჯავრდებულის გამოსწორებაში.

სისხლის სამართლის აღმასრულებელი ინსპექცია არის პენიტენციური დაწესებულება, რომელიც მუშაობს საზოგადოებისგან იზოლირების გარეშე მსჯავრდებულ პირებთან. ამ კომისიის ძირითადი ფუნქციაა ამ კატეგორიის პირთა კონტროლი. სამწუხაროდ, ეს არ არის საკმარისი იმ პირთა წარმატებული რეაბილიტაციისთვის, რომლებმაც უკვე მიიღეს განაჩენი. სოციალური სამსახურის ინსტიტუტი შედის პენიტენციურ სისტემაში ისეთი სოციალური პრობლემის გადასაჭრელად, როგორიცაა რეციდივი, რომლის გადაჭრის არსს წარმოადგენს სოციალური პროფილაქტიკა. მოცემულ სტატიაში გასურს ხაზი გაუსვას სოციალური სამსახურის მნიშვნელობას ამ სისტემაში, რომელიც წყვეტს უამრავ სერიოზულ

პრობლემას, რომესაც ადგილი აქვს როგორც დანაშაულის ჩადენამდე, ისე სასჯელის დაკისრების შემდეგაც.

საკვანძო სიტყვები: ინსპექცია, იზოლაცია, პენიტენციური სისტემა, პენიტენციური სოციალური სამსახური, პეაბილიტაცია, პირობითი მსაჯავდება.

შესავალი

სოციალური პრევენცია არის სოციალური ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური გადახრების თავიდან აცილებას, მათი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრით გზით. ვინაიდან "ეფექტურად ორგანიზებული სოციალური პრევენციის შედეგია ინდივიდუალური შიდა კონტროლის ფორმირება, კლიენტის მიერ ერთობლივი საქმიანობის პროცესში ათვისებული ნორმებისა და ღირებულებების საფუძველზე" ¹. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ საქმიანობის ორგანიზაციასა და ძირითადი საკადრო რესურსებს, რომლებიც ამ საკითხებითაა დაკავებული. საკადრო რესურსების ქვეშ, ამ შემთხვევაში, ჩვენ ვგულისხმობთ პენიტენციურ სისტემაში მყოფ სოციალურ მუშაკებს, რომლებზეც დამოკიდებულია მიღებული პრევენციული ზომების საბოლოო შედეგი.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე ქართულ სახელმწიფოში კრიმინალის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. სამართალდამცავი ორგანოების 2020 წლის მაისის ბოლოს არსებული მონაცემებით, საქართველოში ციხეები 341 ქალაქი და დაახლოებით ცხრა ათასი კაცი.

პატიმართა უმეტესობა 26-დან 49 წლამდე ასაკისაა. ამავე დროს, ციხეებში იმყოფება მხოლოდ ორი არასრულწლოვანი გოგონა და 45 ვაჟი. დანარჩენი პატიმრები ასაკი 18 წელს აღემატება. პატიმართა საერთო რიცხვიდან დაახლოებით 7.3 ათასი მსჯავრდებული და დაახლოებით 1,9 ათასი განაჩენს ელოდება².

დანაშაულთან საბრძოლველად საჭიროა მთელი რიგი ზომებისა და საშუალებების კომპლექსი მისი, როგორც კონკრეტული ტიპის დევიაციის,

¹ Басов Н.Ф. Социальная работа: Учебное пособие для бакалавров / Под ред. д.п.н., проф. Н.Ф. Басова.

– 3-е изд., перераб. и доп. – М.: Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2015. С.83.

² <https://sputnik-georgia.com>

პრევენციისა და შემცირებისათვის. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური სამსახური, როგორც საქმიანობის პროფესიული სახეობა. პენიტენციურ სისტემაში სოციალური მუშაობის სპეციფიკის შესწავლის დაწყებამდე უნდა ითქვას იმაზე, თუ რა არის თავად პენიტენციური სისტემა.

პენიტენციური სისტემა არის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეებისთვის მინიჭებული სისხლის სამართლებრივი დასჯის აღსრულების სათავეში დგას¹. მათ შორის, ვინც ნასამართლეობა მიიღო და რომლებიც პენიტენციური სოციალური სამსახურის ობიექტები არიან, შეიძლება იყვნენ მსჯავრდებულთა სრულიად განსხვავებული კატეგორიები.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კატეგორია არიან ისენი, ვინც მსჯავრდებულია საზოგადოებისგან იზოლირების გარეშე, კერძოდ, ის პირები, რომელთა სასჯელი პირობითი მსჯავრია. ამ კატეგორიის სოციალიზაციის პროცესი, სოციალური სამსახურის თვალსაზრისით, უფრო ადვილად მიმდინარეობს, საზოგადოებისგან იზოლირებულ პირებთან შედარებით, რადგანაც არ წყდება სოციალური კავშირები. პირობითად მსჯავრდებული ადამიანები განსხვავდებიან თავისუფლება არკვეთილ პატიმრობისაგან, ამიტომ სოციალური სფეროს სპეციალისტმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ ეს ზღვარი არ გადალახოს.

პენიტენციურ სისტემაში სოციალური მუშაობის შედეგობრიობის და ეფექტურობა საზოგადოების იზოლირების გარეშე მსჯავრდებულ პირებთან (პირობითად ნასამართლევე) ურთიერთობისას, განისაზღვრება დანაშაულის რეციდივის დონით, ასევე დადებითი დინამიკის მაჩვენებლებით (აღრიცხვდან ნაადრევად მოხსნილი პირთა რაოდენობა).²

სასჯელაღსრულების სისტემაში სოციალური სამსახურის განხორციელება შეიძლება იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც იხდიან სასჯელს შემდეგი სახით: თავისუფლების აღკვეთით - ამ შემთხვევაში, სოციალური სამსახური ითვალისწინებს სოციალურად სასარგებლო კავშირების შენარჩუნებას და გამყარებას, მათ შორის ნათესაური კავშირებისაც; სოციალურ ადაპტაციაზე ორიენტირებულ სამუშაოებს, შემდგომ რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის გათვალისწინებით; რეციდივის აღმოფხვრასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელების სახით; ასევე სამუდამო

პატიმრობის სახით - ამ შემთხვევაში, სოციალური სამსახურის როლი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენ ვსაუბრობთ იმ უახლოეს გარემოცვაზე ზემოქმედების შესახებ, რომლებსაც საბოლოოდ მოუწევთ საზოგადოებაში დაბრუნება.

მთელ რიგ ფუნქციებს სოციალური სამსახური ასრულებს საზოგადოებასთან იზოლირების გარეშე მსჯავრდებულ პირებთან მიმართებაშიც, ესენია: გარკვეული თანამდებობების დაკავების უფლების ჩამორთმევა; გამასწორებელი შრომა; თავისუფლების შეზღუდვა; კონკრეტული საქმიანობით უფლების ჩამორთმევა; სავალდებულო მუშაობა; სასჯელის მოხდის გადადება; ასევე ისეთი სასჯელის სახით, როგორცაა გამოსაცდელი ვადა, რომელზეც მსურს უფრო დეტალურად ვისაუბრო ამ სისტემაში სოციალური მუშაობის პრაქტიკული ნაწილის შესწავლისას.

საქართველოს თანამედროვე პენიტენციური სისტემა მოიცავს წინასწარი დაკავების ადგილებს, გამასწორებელ კოლონიებს, შრომა-აღმზრდელობით კოლონიებს, რომლებიც განსაზღვრულია 14-დან 18 წლამდე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნებისათვის, შრომით-გამოსასწორებელ კოლონიებს (დასახლებული პუნქტები), აგრეთვე სისხლის სამართლის აღმასრულებელი ინსპექციებს. სოციალური სამსახური თითოეულ ამ დაწესებულების განუყოფელი ნაწილია, რომელიც აუცილებელია იმ პირთა "დაბრუნებისათვის", რომელთაც ამა თუ იმ სახით შეეხო პენიტენციური სისტემა.

სისხლისსამართლებრივ ერთ-ერთი ზომას და თავისუფლების აღკვეთის მთავარ ალტერნატივას წარმოადგენს პირობითი მსჯავრი, რომლის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავეს აქვს რეაბილიტაციის რეალური შესაძლებლობა საზოგადოებისგან იზოლირების გარეშე.

თანამედროვეების ერთ-ერთი აქტუალური საკითხია დანაშაულის პრევენცია, განმეორებითი დანაშაულის ჩათვლით. ამჟამად შეიმჩნევა თავისუფლების აღკვეთის შემცირების ტენდენცია სასჯელის სხვა ზომების შემოღებით, რომელთა ფონზე ფართოდ გავრცელდა სასჯელის ისეთი ზომა, როგორცაა გამოსაცდელი ვადა. ღონისძიებას, რომლებიც სოციალური სამსახურის ძირითადი პრინციპებს წარმოადგენს შემდეგია: ჰუმანურობა, სამართლიანობა, კანონიერება. ეს არის პრინციპები, რომლებსაც შეიძლება სხვაგვარად მორალურ-ჰუმანისტური უწოდოთ და ეწინააღმდეგება ადრე არსებულ სადამსჯელო-რეპრესიულ პრინციპებს. სასჯელის ასეთი ზომიერი ღონისძიების მნიშვნელობა მდგომარეობს არა თავად სასჯელში, არამედ მსჯავრდებულის გამოსწორებაში.

სისხლის სამართლის აღმასრულებელი ინსპექცია არის პენიტენციური დაწესებულება, რომელიც

¹ Пенитенциарная система // ru.wikipedia.org URL: https://ru.wikipedia.org/wiki/Пенитенциарная_система

² Асaдoв В.В. Oргaнизaция и пpaвoвыe oснoвы дeятeльнoсти угoлoвнo-испoлнитeльнoй инспeкций в сфeрe кoнтрoля зa услoвнo oсуждeнными :aвтoрeф. дис. ... кaнд. юрид. нaук: 12.00.11. – Пскoв, 2012.

მუშაობს საზოგადოებისგან იზოლირების გარეშე მსჯავრდებულ პირებთან. ამ კომისიის ძირითადი ფუნქციაა ამ კატეგორიის პირთა კონტროლი. სამწუხაროდ, ეს არ არის საკმარისი იმ პირთა წარმატებული რეაბილიტაციისთვის, რომლებმაც უკვე მიიღეს განაჩენი. სოციალური სამსახურის ინსტიტუტი შედის პენიტენციურ სისტემაში ისეთი სოციალური პრობლემის გადასაჭრელად, როგორცაა რეციდივი, რომლის გადაჭრის არსს წარმოადგენს სოციალური პროფილაქტიკა. მოცემულ სტატიაში გსურს ხაზი გაუსვას სოციალური სამსახურის მნიშვნელობას ამ სისტემაში, რომელიც წყვეტს უამრავ სერიოზულ პრობლემას, რომესაც ადგილი აქვს როგორც დანაშაულის ჩადენამდე, ისე სასჯელის დაკისრების შემდეგაც.

დანაშაულის ჩადენის პრევენცია, განმეორების ჩადენის ჩათვლით, თანამედროების ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ამისათვის აუცილებელია მთელი რიგი ზომების გამოყენება, რომელებიც, პირველ რიგში, მსჯავრდებულთა გამოსწორებას ისახავს მიზნად.

დასკვნა

პენიტენციურ სისტემაში სოციალური სამსახურის შესწავლის შედეგად ჩამოვყალიბეთ შემდეგი დასკვნები:

- აუცილებელია აღინიშნოს პენიტენციურ სისტემაში სოციალური მუშაობის მნიშვნელობა და აუცილებლობა, რადგან იგი განიხილავს ისეთ საკითხს, როგორცაა დანაშაულის შემცირება და განმეორებითი ქცევის აღმოფხვრა;

- დანაშაულის განვითარების მაპრობოცირებელი ფაქტორებს მიეკუთვნება: ოჯახური პრობლემები (თვით მშობლების დელიკვენტური ქცევა, ძალადობის ფორმების არსებობა, სიღარიბე და ა.შ.); ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა; და მედიის მიერ თავხედური ცხოვრების წესის პროპოგანდა, დიდ გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე;

- უნდა აღინიშნოს მარეგულირებელი და სამართლებრივი ბაზის არასაკმარისად განვითარება, რომელიც პირდაპირ და არა ირიბად გააშუქებდა პენიტენციურ სისტემაში სოციალური მუშაობის ორგანიზების საკითხს, თუმცა აღინიშნება შეუსაბამობა ამ სისტემაში არსებული სოციალური სამსახურის თეორიულ აუცილობლობისა და პრაქტიკაში მის არ არსებობის შორის;

- თანამედროვე საზოგადოებაში სოციალური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დაბადების მომენტიდან მომწიფებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში;

- განვითარების თითოეულ ეტაპზე აუცილებელია დიდი ყურადღება მივაქციოთ თუნდაც, ერთი შეხედვით, ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანებს;

- ნებისმიერი ფაქტორი შეიძლება გახდეს დანაშაულის განვითარების საფუძველი, თუ დროულად არ მიექცა მას ყურადღებას და არ იქნა მიღებული პრევენციულ ზომები, რომელებიც მიზნად ისახავს დანაშაულებრივი ქცევის ფორმების აღმოფხვრას;

- სოციალური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიზნის მისაღწევად, კლიენტების ძალების გააქტიურება რთული სიტუაციის დასაძლევად, აგრეთვე მსჯავრდებულთა კატეგორიაში (ამ შემთხვევაში, პირები, რომელებიც არ არის საზოგადოებისგან იზოლირებული) დამოუკიდებლობის დონის ასამაღლებლად, აუცილებელია არა მხოლოდ პროფესიული ცოდნა და ნორმატიულ-სამართლებრივი ჩარჩოების ცოდნა. აუცილებელია გქონდეთ ცხოვრებისეული თავისებურებების გაანალიზების უნარ-ჩვევები, მიზნობრივი პრინციპების და ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების უნარი, ასევე უწყებათაშორისი ურთიერთქმედების განხორციელების უნარი, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი იქნება დაცული შეიძლება ვისაუბროთ ეფექტურად ორგანიზებულ სოციალურ მუშაობაზე;

- ამ სისტემაში სოციალური მუშაობის განხორციელება, პენიტენციურ სისტემაში სოციალური სამსახურის ტექნოლოგიების, ფუნქციების, მეთოდებისა და ტექნიკის ჩათვლით, საშუალო დონისაა; პროფილაქტიკური ზომების დადებითი შედეგის ინდიკატორების არსებობა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ პენიტენციურ სისტემაში სოციალური მუშაობის ორგანიზება დაბალი დონის იყოს, მაგრამ მაღალ დონეზე საუბარი ნაადრევია, ვინაიდან უნდა დავფიქრდეთ ინოვაციების დანერგვაზე ამ დაწესებულებებში მუშაობის სისტემაში;

- თითოეული ტექნოლოგია თავისებური და განსაკუთრებულია, მაგრამ მაქსიმალური ეფექტური შედეგის მისაღწევად საჭიროა ტექნოლოგიების მთელი სპექტრის გამოყენება, რომელებიც მიმართულია მიზნების მიღწევისაკენ, რაც გამომდინარეობს კონკრეტული სიტუაციებიდან და პრაქტიკაში არსებული შემთხვევებიდან, ამის საფუძველზე ძალზე მნიშვნელოვანია, გამოავლინოს მთავარი პრობლემა და განხორციელდეს შემდგომი ურთიერთქმედება ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე, როგორც პენიტენციური სოციალური მუშაკის კლიენტთან, ისე მის ცხოვრებისეულ მდგომარეობასთან დაკავშირებით;

- მსჯავრდებულთა ასაკობრივი კატეგორიიდან და დადგენილი სასჯელის ტიპზე დაყრდნობით, პირობით მსჯავრდებულ პირებთან ურთიერთობისას გამოიყენება მათთვის საჭირო მეთოდები. ურთიერთქმედების ძირითადი სახეობები ორი სახის საუბარია: განმარტებითი და პროფილაქტიკური; პროფილაქტიკური საუბრები სოციალურ-ფსი-

ქოლოგიური დომინანტია და მიზნად ისახავს პიროვნული თვისებების გამოვლენას და მსჯავრდებულის გამოსწორებას;

- თუ საუბარია არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე, რომელთა სასჯელი პირობითი მსჯავრია, მაშინ ამ შემთხვევაში, საუბრების წარმართვასთან ერთად, მოზარდები მონაწილეობენ

კულტურულ ღონისძიებებში;

- მსჯავრდებულთა გამოსწორების მთავარ ფაქტორად რჩება შრომა, რომელიც ორგანიზებულია სისხლის სამართლის აღმასრულებელი ინსპექციების და უწყებათაშორისი ორგანიზაციების ურთიერთქმედებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://sputnik-georgia.com>
2. Асадов В.В. Организация и правовые основы деятельности уголовно-исполнительных инспекций в сфере контроля за условно осужденными :автореф. дис. ... канд. юрид. наук: 12.00.11. – Псков, 2012.
3. Басов Н.Ф. Социальная работа: Учебное пособие для бакалавров / Под ред. д.п.н., проф. Н.Ф. Басова. – 3-е изд., перераб. и доп. – М.: Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2015. С.83.
4. Гишинский Я.И. Девиантология: социология преступности, наркотизма, проституции, самоубийств и др. отклонений / Я.И. Гишинский. – СПб., 2004.
5. Пенитенциарная система // ru.wikipedia.org URL: https://ru.wikipedia.org/wiki/Пенитенциарная_система

Social service in the penitentiary system as a crime Means of prevention

*Zurab Rukhaia, PhD student
Georgian Technical University*

Summary

One of the most pressing issues in modern times is crime prevention, including repeat offenses (recidivism). Currently, there is a tendency to reduce imprisonment by introducing other measures of punishment.

A common form of punishment is the probation period. The basic principles of social service activities are: humanity, justice, legality. These are principles that might otherwise be called moral-humanistic and they contradict pre-existing punitive-repressive principles. The significance of such a loyal measure of punishment lies not in the sentence itself, but in the correction of the convict.

The Criminal Justice Inspectorate is a penitentiary institution that works with convicts without isolation from society. The main function of this commission is to control this category of persons. Unfortunately, this is not enough for the successful rehabilitation of those who have already received a sentence. The institute of social service is included in the penitentiary system to solve a social problem such as repeat the crime. The essence of solving it is social prevention.

In this article we would like to emphasize the importance of social service in this system. The social service solves a lot of serious problems that occur both before the crime is committed and after when the sentence is imposed.

Crime prevention, including recidivism (repeat crimes), is one of the most pressing issues in modern times. To prevent crime, it is necessary to use a number of measures, which are primarily aimed at correcting convicts.

Keywords: inspection, isolation, penitentiary system, penitentiary social service, rehabilitation, probation.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს, აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალით, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: მარცხენა – 30 მმ, ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ, მარჯვენა – 20 მმ;

აუცილებელია ნაშრომის ფიზიკური ვერსიის წარდგენა, ელექტრონული ვერსია კი შეიძლება წარმოადგინოთ დისკით, ან გამოაგზავნოთ ჟურნალის ელექტრონულ მისამართზე.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილ იქნას ქართულ და უცხოურ ენებზე. უცხოურ ენაზე დაწერილი ნაშრომის ტექსტი იწყება რეზიუმითი იმ ენაზე რა ენაზეც არის თვითონ ტექსტი.

ნაშრომის სტრუქტურა:

1. სტატიის სათაური;
2. ავტორის/ავტორების სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტა.
3. რეზიუმე ქართულ ენაზე ან იმ ენაზე, რა ენაზეც არის სტატია (მინიმუმ 200 სიტყვა);
4. საკვანძო სიტყვები (4-5 სიტყვა);
5. შესავალი
6. ძირითადი ნაწილი
7. დასკვნა
8. ლიტერატურა
9. რეზიუმე ინგლისურ ენაზე (მინიმუმ 300 სიტყვა)

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ნახაზებისა და ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი აუცილებლად უნდა იყოს TIF ფორმატში;
- ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შესრულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი (ავტორები) პასუხს აგებენ ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;
- ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს;
- გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კორპუსი 6, სართული 8, ოთახი 800 ბ.

ტელ.: 599-557-993; E-mail: ganatleba2018@gmail.com.

ჟურნალი „განათლების“ ყველა ნომრის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ლინკზე:

<https://gtu.ge/Journals/newsletters/>